CMYK

# საერთო გაზეთი

№27 (211) ● 13-19.VI.2012 წელი ● გამოდის ყოველ ოთხშაბათს ● www.saertogazeti.net; E-mail: saertogazeti@yahoo.com ● ფასი 1 ლარი



## biZina ivaniSvili erovnuli gmiria, axla Cven unda gavarkvioT, vin varT Cven?



**ეკატერინე ხვედელიძე:**

„10 ივნისს მე ქუთაისში არ ვიქნები, რადგან თუ ღმერთმა არ ქნას და ბიძინამ ვერ განაგრძო თავისი პოლიტიკური მოღვაწეობა, მაშინ მე ვიტვირთებ და მე გავაგრძელებ. ამიტომ ჩვენი ერთად ყოფნა აღარ არის სასურველი. მგონი, ყველა კარგად ხედავს, რომ ეს საფრთხე ძალიან სერიოზულია...“

**ლუკა კურტანიძე:**



## es realoba Tu ar Seicvala, Cemi saxiT mkvleli dadis _ ar minda mkvleli gavxde, magram metis moTmena aRar SeiZleba...

ერთ წვეთ ჩემს სისხლს დაღვრით — ასს დავღვრი თქვენსას, ისე არ წავალ ამ ქვეყნიდან, რომ ეს არ შევასრულო...

ISSN 2233-3983
9 772233 398001

## saukunis Zarcva anu rogor daayaCaRa `nacionalurma~ mafiam qibar xalvaSi da misi biznespartniorebi

## qarTvelebi, pirvel rigSi, koloniuri fsiqologiisgan unda gavTavisufldeT...

## ratom ar JRers saqarTveloSi sityva adamiani amayad?

## რედაქტორის სვეტი



რაც დღეს ხდება საქართველოში, ეს გასული საუკუნის 90-იან წლებში დაწყებული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გაგრძელებას ჰგავს.

ქართველი ხალხი, მე ვიტყოდი, გმირი ქართველი ხალხი, ხელახლა იწყებს ბრძოლას თავისუფლებისა და რეალური დამოუკიდებლობისთვის, რომელიც დამოუკიდებლობის მიღებიდან ერთ წელიწადში დავკარგეთ.

დიახ, ჭკვიანი და ცბიერი მტრების წაქეზებით ქართველებმა თვითონვე დაიპყრეს და დაამხეს დამოუკიდებლობის გზაზე შემდგარი საქართველო და ოცი წლის განმავლობაში მათ ეს გააკეთეს ორჯერ: — ერთხელ სისხლით, მეორედ უსისხლოდ, ვარდებით ხელში...

რაც დღეს გვჭირს, ჩვენით რომ გვჭირს, ფაქტია, მაგრამ ჩვენს მიერ გაფუჭებულ საქმეს ისევ ჩვენ თვითონ თუ არ ვუშველეთ, სხვა ვერავინ გვიშველის ვერც აშშ, ვერც რუსეთი, ვერც თურქეთი, ვერც გაერო, ვერც ნატო, ვერც ევროკავშირი, რომელთაგან ყველას თავისი ეგოისტური ინტერესები აქვს, რომლებიც, ხშირ შემთხვევაში, საერთოდ არ ემთხვევა ჩვენს ეროვნულ-სახელმწიფოებრივ ინტერესებს.

საქართველომ და ქართველმა ხალხმა ერთხელ და სამუდამოდ უნდა სძლიოს არასრულყოფილების კომპლექსს და მტკიცედ უნდა თქვას: ჩვენ ვერ შევეგუებით კოლონიის სტატუსს, ვერ შევეგუებით ჩვენი გადაკეთების, გადასხვაფერების, გადაჯიშება-გადაგვარების მცდელობას, ვერ შევეგუებით მონობას, ვერ შევეგუებით ხელისუფლებად წოდებულ უცხოელთა სადამსჯელო-საეგზეკუციო რაზმების პარპაშს — ჩვენი თავი ჩვენადვე უნდა გვეყუდნეს.

თუ ეს არ გავაკეთეთ, მაშინ, შეიძლება, მესამედაც იგივე დაგვემართოს, რაც ორჯერ დაგვემართა...

ოთხმოცდაათიან წლებში იყო ასეთი ლოზუნგი: **საქართველო ქართველებისთვის!**

დღეს, ალბათ უფრო უპრიანი იქნება ეს ლოზუნგი შებრუნებული სახით დავამკვიდროთ: **ქართველები საქართველოსთვის!**

სიტყვები კი არის ერთი და იგივე, მაგრამ შინაარსია სხვა — **ქართველები საქართველოსთვის!**

# SveicariaSi `qarTuli ocnebis~ mxardamWerTa jgufi Seiqmna

შვეიცარიაში „ქართული ოცნების" მხარდამჭერთა ჯგუფი შეიქმნა. ამის შესახებ ინფორმაცია ივანიშვილის ოფიციალურ „ფეისბუქზე" ვრცელდება. აქვე ქვეყნდება აღნიშნული ჯგუფის მიმართვა:

„ძვირფასო თანამემამულეებო, გაცნობებთ, რომ შვეიცარიაში შეიქმნა კოალიცია "ქართული ოცნების" მხარდამჭერთა ჯგუფი. მას შემდეგ, რაც ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკურ პროცესებში ჩაერთო, შვეიცარიაში მცხოვრებ თანამემამულეებს იმედი გაგვიჩნდა, რომ უკვე ახლო მომავალში შევძლებთ სამშობლოში, საკუთარ ოჯახებში დაბრუნებას; შევძლებთ ჩვენს ქვეყანაში ცხოვრებას და დასაქმებას.




იმედი გაგვიჩნდა, რომ სულ მალე თქვენთან ერთად მოვახერხებთ, მონაწილეობა მივიღოთ საქართველოს აღმშენებლობაში. ეს იმედი ბიძინა ივანიშვილმა და "ქართულმა ოცნებამ" ჩაგვისახა.

დემოკრატიის და პატრიოტიზმის ნიღბით ერთი ადამიანის ნება-სურვილზე დამოკიდებული საქართველო ძალიან საშიშ გზას ადგას.

სააკაშვილმა და მისმა მიმდევრებმა ძალაუფლების შენარჩუნების სურვილით და უგუნური პოლიტიკით საფუძველი მოურყია ქვეყნის ეკონომიკურ მომავალს, სრულიად გაანადგურა სამართლისა და სამართლიანობის შეგრძნება, ფეხქვეშ გათელა საყოველთაოდ აღიარებული ადამიანის უფლებები, ფაქტობრივად, მოშლილია სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის ინსტიტუტები, გააღრმავა ტერიტორიული კონფლიქტები და დაკარგა ტერიტორიები.

საქართველოს ისტორიაში თითქმის არ ყოფილა ისეთი პერიოდი, რომ ამდენი ქართველი ყოფილიყო სამშობლოდან გადახვეწილი ლუკმაპურის საშოვნელად. დადგა დრო, როცა გაჩნდა შესაძლებლობა, არჩევნების გზით არ მივცეთ საშუალება "ნაციონალურ მოძრაობად" წოდებულ ბოროტებას, რომ კიდევ გაახანგრძლივოს პოლიტიკური უზნეობის და უკანონობის აუტანელი პირობები.

გვჯერა, რომ შევძლებთ თავისუფალი ქვეყნის აშენებას, სადაც ადამიანებს ექნებათ თანასწორობის განცდა და ყველა ადამიანი იგრძნობს, რომ იგი საჭიროა საზოგადოებისთვის, სადაც საჭიროების შემთხვევაში ადამიანები მიიღებენ მზრუნველობას.

ჩვენ, შვეიცარიაში მცხოვრები კოალიცია "ქართული ოცნების" მხარდამჭერები შევიკრიბეთ დღეს ჟენევაში, რათა მხარი დავუჭიროთ ქუთაისში გამართულ წინასაარჩევნო თავყრილობას. გვიგულეთ თქვენს გვერდით!

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლებში
დაღუპულ მებრძოლთა უკვდავყოფის საქველმოქმედო ფონდი
„სანთელი"

Благотворительный фонд увековечивания погибших бойцов за териториальную целостность Грузии "Сантели"

Charity Foundation in Memory of the Soldiers Fallen in Action for the Territorial Integrity of Georgia „Santeli"

## მიმართვა თანამემამულეებისადმი!

აფხაზეთში და „სამხრეთ ოსეთში" პროვოცირებულმა ომმა უამრავი ახალგაზრდის და არა მარტო ახალგაზრდის სიცოცხლე შეიწირა. დაღუპულებს დარჩათ ოჯახები (მშობლები, შვილები. მეუღლეები), რომლებიც მძიმე სოციალური პირობების გამო საჭიროებენ სხვადასხვა სახის დახმარებას!

დღეს, როგორც არასდროს წინა პლანზე იწევს ჩვენი ძირძველი კუთხეების, უფრო სწორად, აფხაზი და ოსი თანამოძმეების დაბრუნების იდეა! აგრეთვე, ბრძოლებში (აქეთაც და იქითაც, რომელიც გაიმეორეს 2008 წლის აგვისტოში), ათასობით გმირულად დაცემული მებრძოლის სახელის უკვდავყოფის და მათი ოჯახების წევრთა სოციალური დაცვის საკითხები. ამას ემატება აფხაზეთიდან და სამაჩაბლოდან ათი ათასობით დევნილის საკუთარ სახლებში დაბრუნებაზე ზრუნვა!

ნამდვილად დადგა დრო აფხაზეთსა და სამაჩაბლოში დაღუპულთა ნასისხლარზე მშვიდობიანი, წითელი ყაყაჩოები აბრიალდნენ!

ამ უდაოდ კეთილშობილური მიზნების განორციელების საქმეში თავისი მოკრძალებული წვლილის შესატანად დაფუძნდა „საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლებში დაღუპულ მებრძოლთა უკვდავყოფის საქველმოქმედი ფონდი „სანთელი"!

შემთხვევითი არ არის, რომ ერთ–ერთი დამფუძნებელია ორი დაღუპული ვაჟკაცის მამა–ანზორ დანელია!

**ანზორ დანელია** – 571–22–66–34
**ომარ ჩხენკელი** – 599–25–31–66
**ჯიმი დავლიანიძე** – 2 96–17–24

ჩვენი რეკვიზიტებია: სააქციო საზოგადოება 'საქართველოს ბანკი". ბანკის კოდი: **BAGAGE22**საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლებში დაღუპულ მებრძოლთა უკვდავყოფის საქველმოქმედო ფონდი „სანთელი".

ანგარიშის ნომერი: **GEIIBG 0000000126537500**
**Tel (995 32 ) 2 44-44-44**
ელ. ფოსტა: **Welkome @ bog.ge**

**Intermediarg Bank: Citibank N.A., New York, USA: BAGAGE 22, 3,Puskini Street 0105 Tbilisi, Georgia. Beneficaru: FUND "SANTELI", Account: GEIIB-GOOOOOOO126537500.**
**Tel: ( 995 32 ) 2 44-44-44.**
**E-Mail: welcome @ bog.ge**

„საერთო გაზეთი"
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა"
მის: თბილისი, ალმაშენებლის 164;
ტელ.: 2 14 40 19; 2 34 28 97
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით.
შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს.
ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება
შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში.
შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.
◆ ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

**სხვა რომ არაფერი გააკეთოს, ის, რაც მან უკვე გააკეთა საქართველოსთვის, სრულ საფუძველს გვაძლევს ვთქვათ, რომ ბიძინა ივანიშვილი ჭეშმარიტად ეროვნული გმირია, ვინც მზად არის ყველაფერი შესწიროს სამშობლოს და მის თავისუფლებას.**

# biZina ivaniSvili erovnuli gmiria, axla Cven unda gavarkvioT, vin varT Cven?



სამშობლო — დავიწყებული დიადი სიტყვაა — მავანთაგან აბუჩად აგდებული, შეურაცხყოფილი და დაკნინებული, მან, ბიძინა ივანიშვილმა, გაგვახსენა ხელახლა და ისიც გვითხრა, რომ ერთადერთი, რისთვისაც ადამიანის სიცოცხლე და სიკვდილი ღირს, სამშობლოა.

სამშობლოა ყველაფრის გამაერთიანებელი და ერთად შემკრები და როცა სამშობლოს კარგავ, კარგავ ყველაფერს და შენც უსახელოდ და უკვალოდ იკარგები ამ უკიდეგანო სამყაროში.

— პოლიტიკაში იმიტომ მოვედი, რომ ვხედავდი, სამშობლო მეკარგებოდაო, — ასე ახსნა ბიძინა ივანიშვილმა პოლიტიკაში მოსვლის მთავარი მიზეზი.

ზოგმა პიარზე გათვლილ მაღალფარდოვან ფრაზად ჩათვალა ეს სიტყვები, მაგრამ ბიძინა ივანიშვილმა ამ რვა თვის განმავლობაში თავისი შეუპოვარი ბრძოლით დაამტკიცა, რომ ის მზად არის შინაური დამპყრობლების მიერ წართმეული სამშობლოს დასაბრუნებლად ყველაფერი გაიღოს და თუ საჭირო გახდება, შეეწიროს ამ ბრძოლას.

**ბიძინა ივანიშვილი არა მარტო თვითონ არის ეროვნული გმირი, არამედ გმირია მისი ოჯახის თითოეული წევრი — მისი მეუღლე, მისი ვაჟები, რომლებთან ერთადაც მიიღო მან გადაწყვეტილება პოლიტიკაში მოსვლის შესახებ.**



ერთად, მთელმა ოჯახმა მიიღო ეს გადაწყვეტილება — დასხდნენ, ითათბირეს, იმსჯელეს და დაასკვნეს, რომ ცხოვრების ასე გაგრძელება არ შეიძლებოდა.

ბიძინა ივანიშვილი აღიარებს, რომ არ უნდოდა თავისი მსოფლმხედველობისა და კონცეფციისთვის ეღალატა და, აქედან გამომდინარე, არ უნდოდა პოლიტიკაში გარეულიყო, მაგრამ ოჯახმა დაარწმუნა, რომ ეს ნაბიჯი აუცილებლად უნდა გადაედგა.

თუმცა რა მნიშვნელობა აქვს ამას — ეს ოჯახი ხომ მან შექმნა და მან დაამკვიდრა ამ ოჯახში ეს სულისკვეთება.

ახლა გულზე ხელი დავიდოთ და გულწრფელად ვთქვათ: — რამდენი ოჯახი გეგულებათ თქვენ საქართველოში, იყოს ყველაფრით უზრუნველყოფილი, მილიარდებს თავი დავანებოთ, ჰქონდეს მილიონები და ეს ყველაფერი სასწორზე შეაგდოს — სამშობლოს უჭირს და ვალდებულნი ვართ, სამშობლოს დავეხმაროთო?

**ბიძინა ივანიშვილის სახელთან ხშირად ახსენებენ ფულს, მაგრამ სინამდვილეში არაფერ შუაში არ არის აქ ფული — ფული ბევრს აქვს, მაგრამ ცოტას აქვს სამშობლოს სიყვარულით სავსე გული.**

**ეროვნული გმირია ბიძინა ივანიშვილი და გმირია მისი ოჯახის თითოეული წევრი.**

**გმირია ქალბატონი ეკა,** რომელმაც შაბათ საღამოს, გადაცემაში „ჩვენ“, წამყვანის, თამარ ჩიქოვანის, კითხვაზე, მიდის თუ არა ის ქუთაისში, ასეთი პასუხი გასცა: — არა, არ მივდივარ... მე და ბიძინამ გადავწყვიტეთ, ასეთ ღონისძიებებში ერთად არ ვიყოთ... მას რომ რაიმე დაემართოს, ეს ბრძოლა მე უნდა გავაგრძელოო.

გარეგნულად მშვიდად და აუღელვებლად კი წარმოსთქვა ეს სიტყვები ქალბატონმა ეკამ, მაგრამ თუ კარგად მიაყურადებდი, შეამჩნევდი, რომ ხმა უთრთოდა — თითქოს ცრემლის ბურთი ჰქონდა ყელში მობჯენილი...

ახლა გულზე ხელი დავიდოთ და გულწრფელად ვთქვათ:

**— რამდენი ქალბატონი გეგულებათ თქვენ საქართველოში, მილიარდელს თავი დავანებოთ, მილიონერის ცოლი იყოს და ერთ მშვენიერ დღეს კომფორტულ, მდიდრულ, ყოველმხრივ უზრუნველყოფილ მშვიდ ცხოვრებაზე უარი თქვას და ისეთ ომში ჩაერთოს, სადაც შეიძლება ყველაფერი დაკარგოს?**

გმირობას ადამიანები ხშირად აფექტურ მდგომარეობაში სჩადიან, მაგრამ გმირობაზე გაცილებით დიდი გმირობა არ არის, როცა წინასწარ იცი, როცა გათვლილი და გააზრებული გაქვს, რომ შენს ნაბიჯს შეიძლება შენთვის ტრაგიკული შედეგი მოჰყვეს და მაინც არ იხევ უკან?

— ამ ომში ჩემი მეუღლე თუ დაიღუპება, მაშინ მე გავაგრძელებ მის საქმეს, — აი, ეს თქვა ქალბატონმა ეკამ და არ შეიძლება ამის მთქმელი ადამიანის მიმართ ულრმესი პატივისცემით არ განეწყო.

ღმერთო, დაიფარე განსაცდელისგან ეს გმირი ოჯახი და მთელი საქართველო!

**სხვათა შორის ამ ხელისუფლებამ ძალიან კარგად უნდა დაიმახსოვროს ერთი რამ: ბიძინა ივანიშვილს ან მისი ოჯახის რომელიმე წევრს თმის ერთი ღერიც რომ ჩამოუვარდეს თავიდან, ეს იქნება ამ ხელისუფლების არამარტო პოლიტიკური, არამედ ფიზიკური დასასრული.**

* * *

ბიძინა ივანიშვილი გმირია, ახლა ჩვენ უნდა გავარკვიოთ, ვინ არის თითოეული ჩვენთაგანი და ვართ თუ არა ჩვენც მზად გმირობისა და თავგანწირვისთვის.

— ბევრი შეურაცხყოფა ავიტანე, ბევრი რამ მოვითმინე ამ ხნის განმავლობაში... ახლა თქვენც ცოტა უნდა მოითმინოთ და გაიჭირვოთ, — თქვა ბატონმა ბიძინამ ამას წინათ.

ბოლო ორი საუკუნეა, ქართველი კაცი სულ გმირის ნატვრასა და ძიებაშია.

„ვინ აღჩნდეს გმირი?“ — ეს კითხვა იყო და არის მთავარი კითხვა ყველა ქართველისთვის, რომელიც თავისი სამშობლოს ბედზე შეწუხებულა და ამ ორმხრივი ჩიხიდან გამოსავალის ძებნაზე უფიქრია.

**„საქართველოს იხსნიან არა პოლიტიკოსები, არამედ გმირები, რომლებიც მზად არიან თავისი ქვეყნისთვის თავი გასწირონ“,**

— თვრამეტი წლის წინათ მითქვამს თურმე ეს სიტყვები, რომლებიც ახლა ძველი გაზეთების ქექვისას აღმოვაჩინე.

სხვათა შორის, ახლაც ზუსტად იმავე აზრზე ვარ და მიუხედავად პოლიტიკოსებისადმი ჩემი ღრმა პატივისცემისა, მაინც მგონია, რომ მოცემულ კონკრეტულ ვითარებაში მთავარი სიტყვა გმირებმა და გმირულმა თავგანწირვამ უნდა თქვას.

ბიძინა ივანიშვილის სახით საქართველოს უკვე ჰყავს გმირი, ახლა ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, რამდენად ვართ მზად გმირობისთვის ჩვენ, დანარჩენი ქართველები...

**ვახტანგ ხარჩილავა**

# ratom ar JRers saqarTveloSi sityva adamiani amayad?



— მხოლოდ ერთი კაცი მოკვდა ქუთაისში, ჭორებს ავრცელებენ თორემ, ერთ კაცზე მეტი მსხვერპლი არ ყოფილა, — ისე არხეინად თქვეს სააკაშვილმა და ხელისუფლების წარმომადგენლებმა, თითქოს ერთი კაცი არაფერს არ ნიშნავდეს.

არადა, ერთი კაცისგან, ანუ თითო



კაცისგან შედგება ერი და როცა ერთი კაცი არაფრად არ გვიღირს, არაფრად არ გვიღირს მთელი ერიც...

სანამ ერთი კაცი შეეწირებოდა პრეზიდენტის აღმშენებლობით ექსტაზს, მანამდე იმავე ქუთაისში ორი ადამიანის — დედა-შვილის — სიცოცხლე შეეწირა იმავე პრეზიდენტის ახირებას — სასწრაფოდ, ოპერატიულად აეფეთქებინათ ფაშიზმთან ომში დაღუპული გმირების მემორიალი.

— სხვისი ომი იყო ეს ომი... ეს მემორიალი აქ არ უნდა იდგესო, — გაიცა ბრძანება და ამ ბრძანებამ ორი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, თუმცა არც ამ უბედურებას მოჰყოლია დიდი პროტესტი —

**როცა დიად საქმეებს აკეთებ, ორი ადამიანის სიცოცხლე რა ბედენაა?**

**სადაც ერთის სიცოცხლე არ ღირს არაფრად, იქ არც ორის სიცოცხლეს აქვს ფასი.**

**ნულს პლიუს ნული, ისევ ნულია.**

**ადამიანის სიცოცხლეს ნულის ფასი აქვს საქართველოში.**

**ადამიანის სიცოცხლეს და ზოგადად ადამიანს...**

**ადამიანი — ეს ამაყად ჟღერს! — თქვა ერთმა მწერალმა.**

**საქართველოში ადამიანი საერთოდ არანაირად არ ჟღერს.**

**რა სიტყვა ადამიანი გითქვამს და, უკაცრავად გამოთქმისთვის, რა ერთი გემრიელად დაგიბოყინებია.**

ცალკე აღებული ადამიანი, რომელმაც ღმერთმა შექმნა სახედ თვისად, არაფერს არ ნიშნავს, თუ გინდა ადამიანად ჩაგთვალონ, ნაცმოძრაობის წევრი უნდა გახდე.

**ნაცმოძრაობა ადამიანთა „გაადამიანურების“ ჯადოსნური ლაბორატორიაა, სადაც ახალი ქართველის ჰიბრიდული ჯიში გამოჰყავთ.**



ნაცმოძრაობის წევრი ან მხარდამჭერი თუ ხარ, კაცი ხარ, თუ არადა მონა ხარ, რომელსაც როგორც სურთ, ისე მოექცევიან — დაიჭერენ, მოკლავენ, წაართმევენ, დაამცირებენ და პასუხს არავინ აგებს.

ხუთი ადამიანი წაიღო წყალმა თბილისში და ვითომც არაფერი — არავინ დასჯილა, არავის გასწყრომიან, არავინ დაუტუქსავთ.

**ნულოვანი ტოლერანტობა ყოველგვარი ადამიანურობის წინააღმდეგ** — ასე შეიძლება შეფასდეს ის დამოკიდებულება, რასაც ეს ხელისუფლება ადამიანების მიმართ იჩენს.

ასობით ადამიანი დაასახიჩრეს, ორი ადამიანი მოკლეს 26 მაისს და ისევ არაფერი.

ვისაც უნახავს როგორი სისასტიკით, როგორი სადისტური აღტკინებით სცემდნენ იმ ცოდვის ღამეს წვიმაში ჩაყრილ უმწეო ადამიანებს, უეჭველად დამეთანხმება, რომ ამ ქვეყანაში ადამიანებს ადამიანებად არ თვლიან.

მსგავსი რამ ფაშისტურ კონცლაგერებშიც კი არ ხდებოდა, ეს ქართული კონცლაგერი ისეთი რა კონცლაგერია, რომ ადამიანურობის არავითარი ნატამალი არ სცხია.

თაბუკაშვილის ქუჩაზე უკვე აშენებული მრავალსართულიანი კორპუსი დაანგრიეს, რომლის დროსაც ერთი ადამიანი დაიღუპა, მაგრამ არაფერი.

„რუსთავი-2“-ის კუთვნილი შენობა ჩაინგრა და ნანგრევებში ორი ახალგაზრდა მოჰყვა და ისევ არაფერი.

ქუჩაში ახალგაზრდები დახვრიტეს, ერთხელ, ორჯერ, სამჯერ — არაფერი...

ციხეებიდან თვე არ გავა, მიცვალებულები არ გამოასვენონ და ისევ არაფერი.

მილიონზე მეტი ადამიანი სიღატაკის ზღვარზე ცხოვრობს და პროლეტარის „დიპლომს“ ითხოვს, მაგრამ ესეც არაფერი.

თითო-თითოდ, ორ-ორად, სამ-სამად, ღიად თუ მალულად, პირდაპირ თუ მიპარვით კლავენ საქართველოს და ვითომც არაფერი.

ჩვენი გულგრილობის და ლაჩრობის გამო თითო-თითოდ, ორ-ორად, სამ-სამად დაკლული საქართველო სისხლისგან იცლება, ჩვენ კი არჩევნები, არჩევნებიო, აგვიჩემებია.

კი, ბატონო, ვიარჩევნოთ, მაგრამ მივაღწევთ კი არჩევნებამდე?

* * *

ედუარდ შევარდნაძეს, როგორც პოლიტიკოსს და როგორც ქვეყნის მმართველს ისეთი სისაძაგლეები აქვს გაკეთებული, სააკაშვილს არც კი დაესიზმრება, მაგრამ შევარდნაძე შიგადაშიგ ისეთ კეთილშობილურ და ადამიანურ „გამოხტომებს“ გაურევდა, გაგაოცებდა.

სააკაშვილს და მის თანამებრძოლებს ადამიანური „სისუსტეები“ არ ახასიათებთ, ისინი ისე იქცევიან, თითქოს უსისხლო და უგულო რობოტები იყვნენ, რომლებიც ვიღაცამ ადამიანების და ყოველგვარი ადამიანურობის წინააღმდეგ დააპროგრამა...

**გიორგი გამეზარდაშვილი**



იხილეთ „საერთო გაზეთი“
ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი



# biZina ivaniSvilis

## gamosvlis teqsti 10 ivnisis aqciaze, quTaisSi

მოგესალმებით, ჩემო საყვარელო იმერლებო!

მიხარია, რომ დღეს ქუთაისში ვარ, დიდებული იმერეთის მიწაზე ვდგავარ!

მიხარია, რომ დღეს მთელი ქუთაისი და მთელი იმერეთი ფეხზე დგას!

რამდენს ეცადნენ, რომ წინ აღდგომოდნენ ჩვენს შეკრებას, რა არ ქნეს, ბაგა-ბაღის ბავშვების გამოყენებაც კი სცადეს, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ.

ველარავინ შეძლებს ჩვენს შეჩერებას, ჩვენი გამარჯვება გარდაუვალია, ამას ჩვენ ვაჩვენებთ მთელ ქვეყანას, მთელ ქვეყანას დავაყენებთ ფეხზე, ისე როგორც მთელი ქუთაისი დგას დღეს ფეხზე! ისე, როგორც 27 მაისს დადგა ფეხზე მთელი თბილისი!

27 მაისს თბილისმა ხმამაღლა უთხრა ხელისუფლებას - არა უსამართლობას! არა სიცრუეს! დღეს ამას ქუთაისი ამბობს!

27 მაისს, სულ რამდენიმე დღის წინ, წუთიერი დუმილით დავიწყეთ ჩვენი შეხვედრა თბილისელებთან. დღესაც, ქუთაისშიც, სამძიმრის სიტყვებით გვიწევს ჩვენი შეხვედრის დაწყება.

სამძიმარი ვუთხრათ გარდაცვლილის ოჯახს, სამძიმარი ვუთხრათ ერთმანეთს, რადგან კიდევ ერთი მსხვერპლი გვყავს, კიდევ ერთი ადამიანი შეეწირა სააკაშვილის ახირებებს.

ის ისტერია, რომელსაც სააკაშვილი თესავს თავის გარშემო, ის აკვიატებული იდეები, რომ მრავალწლიანი პროექტები რამდენიმე საათში უნდა შეუსრულონ, ყოველთვის ასეთი შედეგებით დასრულდება.

სამწუხაროდ, ეს არ არის ერთადერთი ტრაგედია. ყველას კარგად გვახსოვს, რამდენიმე წლის წინ იმ ადგილას შემზარავი ტრაგედია რომ დატრიალდა. ძეგლის აფეთქებას დედა-შვილის დაღუპვა მოჰყვა - ძეგლებთან ომში საქართველომ მსხვერპლი განიცადა!!!

მოდით, წუთიერი დუმილით პატივი მივაგოთ დაღუპულთა ხსოვნას.

ჩვენ ჩვენი ბრაზი და მრისხანება უნდა დავიოკოთ, მათ შეუძლიათ ყველაფერი იკადრონ, ჩვენ კი მხოლოდ ისეთ ნაბიჯებს გადავდგამთ, როგორსაც ჩვენი ღირსება გვკარნახობს. ამაშია ჩვენი ძალა და მათი სისუსტე. სწორედ ამიტომ ჩვენ ისინი ველარ შეგვაჩერებენ!

დღეს, აქ, ქუთაისში, ვდებთ პირობას, რომ ერთად ვიბრძოლებთ ჩვენი სამშობლოსთვის, ჩვენი ქვეყნისათვის, ჩვენი უფლებებისთვის, ჩვენი ოჯახებისთვის! დღეიდან ჩვენ ყველანი თანამებრძოლები ვართ!

გპირდებით, რომ ამ ბრძოლაში ბოლომდე ვიდგები თქვენ გვერდით, ჩვენ ერთმანეთის გვერდით ვიდგებით გამარჯვებამდე!

ჩვენ უნდა დავანახოთ ამ ხელისუფლებას და მთელ მსოფლიოს, რომ საქართველო იყო და ისევ იქნება ქვეყანა, რომელიც მსოფლიო ცივილიზაციის ნაწილია. დღევანდელი ხელისუფლება ვერ შეძლებს, უკან დაგვახევინოს და შეაჩეროს თანამედროვე საქართველოს სვლა ევროპისკენ, დემოკრატიისკენ, თანამედროვე სამყაროსკენ!

ბოლო 8 წელია გვესმის, რომ საქართველოს ისტორია 2003 წლიდან დაიწყო. თითქოს სააკაშვილმა ნულიდან დაიწყო ქვეყნის შენება და თუ აქამდე რამე იყო, ყველაფერი იყო ცუდი, ჩამორჩენილი და დრომოჭმული. ისეთი სურათი იხატება, თითქოს ჩვენ უნდა გვრცხვენოდეს ჩვენი წარსულის ან საერთოდ უარი უნდა ვთქვათ მასზე.

ამას ჩაგვაგონებენ და სხვადასხვა ფორმით ჩაგვძახიან ყოველდღე, მაგრამ თუ ვინმეს ჰგონია, რომ წარსულის გადახაზვით შეიძლება აწმყოს განდიდება, ის მწარედ ცდება.

საკუთარი წარსულის არმცოდნე ხალხი თავისი გვარ-სახელის არმცოდნე ადამიანს ჰგავს. თუ არ იცი, ვინ იყავი, ვერც იმას გაიგებ, ვინ ხარ და ვინ იქნები.

ამიტომაც, თავს უფლებას მივცემ და, თქვენთან ერთად გავიხსენებ ქუთაისის ღვაწლს, რომელიც მას საქართველოს წინაშე მიუძღვის.

განუზომელია ქუთაისისა და იმერეთის წვლილი ქართული სახელმწიფოს ისტორიაში: სწორედ აქედან, ქუთაისიდან, დაიწყო საქართველოს გაერთიანება. აქ ააშენა ერთიანი საქართველოს სიმბოლო - ბაგრატის ტაძარი - ჩვენი ქვეყნის გამაერთიანებელმა მეფემ - ბაგრატ მესამემ.

ამ ქალაქში ეკურთხა მეფედ და აქვე განისვენებს ყველა დროის ყველაზე დიდი ქართველი - დავით მეოთხე აღმაშენებელი, რომელსაც ჯერ კიდევ 16 წლისას, ქუთაისის მიწა ჰქონდა საყრდენად. მეფე დავითმა დასუსტებული საქართველო იმ ეპოქის უძლიერეს სახელმწიფოდ აქცია.

აღმაშენებლის წვლილი საქართველოს ისტორიაში განუზომელია. ის არა მარტო უდიდესი მხედართმთავარი და პოლიტიკოსი იყო, არამედ იმ დროის დიდი მოაზროვნეც იყო. სწორედ დავით აღმაშენებელმა ქუთაისთან ახლოს ააგო გელათის ტაძარი და დააარსა უმაღლესი სასწავლებელი — აკადემია, რომელიც „მეორე იერუსალიმად“, „მეორე ათენადაც“ იწოდებოდა.

გელათი იქცა მთელი საქართველოსთვის სიბრძნისა და სულიერი აღმავლობის კერად. ამ ქალაქში ეს ტრადიცია არ შემწყდარა. ქუთაისი გახდა საქართველოს უმნიშვნელოვანესი საგანმანათლებლო ცენტრი.

სწორედ ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის კურსდამთავრებულებმა დააარსეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, რომელიც თავის დროზე, იქ მოღვაწე მეცნიერების დონით ტოლს არ უდებდა ევროპის მოწინავე უნივერსიტეტებს.

ქუთაისი საქართველოს უდიდესი კულტურული ცენტრიც იყო. ამ მხრივ განსაკუთრებით გამორჩეულია მე-19 საუკუნის ბოლოსა და მე-20 საუკუნის დასაწყისის ქუთაისის კულტურული ცხოვრება.

შემთხვევითი არ არის, რომ თანამედროვე ქართულმა თეატრმა კოტე მარჯანიშვილის ხელმძღვანელობით სწორედ აქ, ქუთაისში აიდგა ფეხი; ამ ქალაქში ეუფლებოდა ხატვის ანბანს პეტრე ოცხელი - მხატვარი, გენიალური მოდერნისტი; ქუთაისი იყო აკაკის, გალაკტიონის, ზაქარია ფალიაშვილის ქალაქი; ქუთაისი ცისფერყანწელების ქალაქიც იყო.

ქუთაისის საამაყოდ უნდა ითქვას, რომ მე-20 საუკუნის დასაწყისში თბილისის კულტურულ ცხოვრებაში ქუთაისმა უმნიშვნელოვანესი როლი ითამაშა და მას განსაკუთრებული ხიბლი შესძინა.

და აი, ასეთ ქალაქს, ასეთი დიდი ტრადიციების მქონე ქალაქს, დღეს უჭირს, ისევე, როგორც უჭირს მთელ საქართველოს.

ყოველთვის ვცდილობდი, რამდენადაც შემეძლო, დავხმარებოდი ჩემს სამშობლოს, ჩემს ხალხს. მაგრამ დავრწმუნდი, რომ, რაც არ უნდა ბევრი ფული გქონდეს, რამდენ ადამიანსაც არ უნდა გაუმართო ხელი, ასობით ისტორიული შენობაც რომ აღადგინო და შეაკეთო, ქვეყნისა და ხალხის მდგომარეობას საგრძნობლად მაინც ვერ შეცვლი.

ყოველთვის ვფიქრობდი, რომ ქვეყნისა და ადამიანის კეთილდღეობისთვის ყველაზე მთავარი ეკონომიკა და ბიზნესი იყო. მაგრამ ბოლო დროის გამოცდილებამ დამარწმუნა, რომ ქვეყანაში, სადაც პოლიტიკა ერთი, საღ აზრს მოკლებული, კაცის ხელშია, ვერც ეკონომიკა და ბიზნესი განვითარდება და ვერც ქვეყანა შეიცვლება უკეთესობისკენ.

სწორედ ამან გადამაწყვეტინა პოლიტიკაში წასვლა.

ჩვენ მიგვაჩვიეს იმ აზრს, რომ პოლიტიკა თითქოს ბინძური საქმეა, რომ პოლიტიკა უპრინციპო გარიგების ასპარეზია. უნდა ითქვას, რომ ამ აზრის დამკვიდრებაში თავად პოლიტიკოსებსაც დიდი წვლილი მიუძღვით.

მაგრამ, მჯერა, რომ არსებობს პრინციპული პოლიტიკა, ღირსეული პოლიტიკა, გააზრებული, პრაგმატული პოლიტიკა, რომელსაც წესიერი ადამიანები ქმნიან. და ჩვენ დავამკვიდრებთ ასეთ პოლიტიკას. ჩვენ ამას შევძლებთ!

მე ამის მჯერა და ამიტომაც მოვედი პოლიტიკაში. პირადად მე, სწორედ პოლიტიკამ მომცა დღეს თქვენთვის გულის გადაშლის საშუალება, და ამიტომ ამ დღის მადლიერი ვარ! პოლიტიკა რომ არა, ალბათ, ვერასოდეს გავბედავდი ამდენი ხალხის წინაშე გამოსვლას, და იმის თქმას, რომ უზომოდ მიყვარს ჩემი ხალხი, ჩვენი სამშობლო!

კარგად ვიცი, რომ ერთბაშად ყველა იმ პრობლემის მოგვარება, რომელიც ჩვენს ხალხს აწუხებს, შეუძლებელია, მაგრამ არის საკითხები, რომელთა გადაჭრას მხოლოდ პოლიტიკური ნება სჭირდება.

ვიცი, რომ, პირველ რიგში, ხალხს უსამართლობა აწუხებს, ხალხი სამართალს ვერ პოულობს იმიტომ, რომ ამ ხელისუფლების ნაქები სასამართლო რეფორმა მთლიანად ჩავარდნილია. უფრო მეტიც, ქვეყანაში ფაქტობრივად არ არსებობს სასამართლო, პრეზიდენტის ხელში მორჩილი სასამართლო ქვეყნის მართვის, ხალხის დათრგუნვისა და დაშინების ერთ-ერთი მთავარი ბერკეტია. ასე სამართლებრივი სახელმწიფო ვერ აშენდება. ეს უნდა დამთავრდეს!

ამიტომ, ხელისუფლებაში ჩვენი მოსვლის პირველივე დღეებიდან სასამართლოს გავათავისუფლებთ ყოველგვარი წნეხისგან, მოსამართლეები კანონის უზენაესობით იმოქმედებენ და არა პროკურორების მითითებით. ამას ბიუჯეტიდან ფული და ინვესტიციები არ სჭირდება. ამას, პირველ რიგში, სჭირდება პოლიტიკური ნება, რომელიც სააკაშვილის ხელისუფლებას არა აქვს.

ჩვენ ასევე გავათავისუფლებთ პოლიციას პოლიტიკური დაკვეთისგან. პოლიცია შეასრულებს თავის პირდაპირ დანიშნულებას - ის იქნება არა ხელისუფლების, არამედ ხალხისა და სახელმწიფოს სამსახურში. დიახ, ამას არ სჭირდება ბიუჯეტის ცვლილებები, ამას არ სჭირდება დიდი ძალისხმევა. ეს ჩვენი პოლიტიკური ნებაა და ჩვენ ამას გავაკეთებთ!

წესრიგი მოაქვს სამართალს და სამართლიანობას. უსამართლობითა და ძალმომრეობით დამყარებული წესრიგი ერთ მოძალადეს მეორით ცვლის. ქუთაისი ხომ ის ქალაქია, სადაც ხალხმა თავის თავზე გამოსცადა, თუ რას ნიშნავს კრიმინალური კლანებისა და კანონიერი ქურდების მიერ დამყარებული წესრიგი.

მინდა სრული პასუხისმგებლობით განვაცხადო: ეს დრო არც ამ ქალაქში და არც სრულიად საქართველოში აღარასოდეს დაბრუნდება, მაგრამ ჩვენ არც იმას დავუშვებთ, რომ კანონიერი ქურდი „ქურდად მომჯდარმა“ ხელისუფალმა ჩაანაცვლოს.

კრიმინალების მძლავრობის დროს პატიოსან მოქალაქეს იმის იმედი მაინც რჩება, რომ სახელმწიფო ადრე თუ გვიან მოძლიერდება და აღკვეთს უკანონობას, მაგრამ როდესაც თავად სახელმწიფო იქცევა როგორც ავაზაკთა ბანდა, ეს გაცილებით საშიში და დამანგრეველია ქვეყნისთვის.

დიახ, ჩვენ მოვალთ და დავამყარებთ წესრიგს, მაგრამ ეს იქნება დემოკრატიაზე, სამართლის უზენაესობასა და ადამიანის ღირსების პატივისცემაზე დამყარებული წესრიგი!

ამ რამდენიმე დღის წინ სააკაშვილი დაგპირდათ წყალტუბოს რეაბილიტაციას, ხარახოებში ჩასმას. სააკაშვილმა თითქმის მთელი საქართველო ჩასვა ხარახოებში და რეაბილიტაცია დაარქვა ავარიული და გაუმაგრებელი შენობების ფასადების შეკეთება-შეღებვას. უმეტეს შემთხვევაში, ასეთი შენობები გახსნის შემდეგ ექსპლუატაციისთვის გამოუსადეგარია, ან ხელახლაა შესაკეთებელი. ქუთაისმა, სამწუხაროდ, საკუთარ თავზე იწვნია, რა შედეგები შეიძლება მოჰყვეს ასეთ მშენებლობებს.

ამ სურათის, ამ ფასადის შექმნა სააკაშვილს წინასაარჩევნოდ სჭირდება და მას ხშირად სატელევიზიო ჩართვების დეკორაციადაც იყენებს. განსაკუთრებით საგანგაშოა, რომ ის საკუთარ ახირებებს ჩვენი მოსახლეობის ფულით, ბიუჯეტის ფულით ისრულებს. ეს წყალში გადაყრილი ფულია, ჩვენი შეჭირვებული მოსახლეობის ფულია!

სააკაშვილი და მისი ხელისუფლება კიდევ უფრო დიდ თანხას იმ კრედიტებიდან ხარჯავს, რომელიც ჩვენმა პარტნიორმა ქვეყნებმა გამოგვიყვეს ომისშემდგომი რეაბილიტაციისთვის, ეს კი, ის თანხებია, რომელიც ჩვენი შვილების და შვილთაშვილების გადასახდელი იქნება.

და ეს ყველაფერი სააკაშვილს ილუზიის შესაქმნელად სჭირდება - თითქოს ქვეყანა აღმშენებლობის გზას ადგას და უტიფრად უტოლებს თავს დავით აღმაშენებელს. ეს უღირსობაა!

ჩვენ ამ უღირსობას ღირსებას დავუპირისპირებთ! ამ ქვეყანაში მცხოვრები თითოეული ადამიანის, თითოეული მოქალაქის ღირსება არის ის ფუნდამენტური ღირებულება, რასაც უნდა ეფუძნებოდეს ქართული სახელმწიფო და ჩვენ სწორედ ასეთ სახელმწიფოს ავაშენებთ!

ქვეყანას უდიდეს ტვირთად აწევს ამდენი ჩვენი თანამოქალაქე ქვეყნიდან გაჭირვების გამო რომ არის გადახვეწილი და მოწყვეტილია სამშობლოს. კიდევ უფრო დამთრგუნველია, რომ ოჯახის რჩენა ძირითადად ჩვენმა ქალებმა იტვირთეს და ლუკმაპურის საშოვნე-

6 gv.

5 gv.

ლად მთელ მსოფლიოში გაიფანტ-ნენ. ჩვენ უნდა დავამთავროთ ჩვენი ხალხის ულირსებო ყოფა. ეს უნდა დამთავრდეს!

ჩვენ უნდა შევქმნათ ისეთი ქვეყანა, სადაც ჩვენი მოქალაქეები ქართული კულტურის, მეცნიერებისა და სპორტის წარმოსაჩენად გავლენ უცხოეთში, უცხოელები კი ჩვენი კულტურის გასაცნობად ჩამოვლენ. დღეს ჩვენ ვერ გავაკვირვებთ მსოფლიოს ვერც „ყველაზე მაგარი კურორტებით“ და ვერც „ყველაზე მაგარი ტურისტული ცენტრებით“.

ამ ხელისუფლებას ტურიზმი აქვს აკვიატებული. ჩვენ, რა თქმა უნდა, ტურიზმის განვითარებასაც შევუწყობთ ხელს, მაგრამ ტურიზმი ჩვენი არც ერთადერთი და არც მთავარი საქმიანობა არ შეიძლება იყოს, რადგან ჩვენ გაცილებით მეტი, გაცილებით მდიდარი და მრავალფეროვნი რესურსი გვაქვს - ესაა ჩვენი ნიჭი, ჩვენი ღირსება და ჩვენი შრომისმოყვარეობა.

ჩვენ, თქვენთან ერთად, შევიმუშავებთ ქუთაისის განვითარების გეგმას, პირველ რიგში, გავითვალისწინებთ ქუთაისის სამრეწველო პოტენციალს, და აუცილებლად გამოვიყენებთ იმ საინჟინრო კორპუსს, რომელიც კიდევ იტყვის თავის სათქმელს.

წარმოება უნდა აღდგეს საქართველოში. ჩვენ მსოფლიოს ყველაზე განვითარებულ, თანამედროვე ტექნოლოგიებს უნდა დავეუფლოთ. თანამედროვე ტექნოლოგიების სამეცნიერო-კვლევითი და საწარმოო ასპექტები უნდა ავითვისოთ და განვავითაროთ, რადგან ეს დღეს ერთ-ერთი ყველაზე პერსპექტიული, პრესტიჟული და შემოსავლიანი სფეროა.

ჩვენ მოვინდომებთ და შევძლებთ ამას!

ჩვენი მიზანია, რომ საქართველოს მოსახლეობის მდგომარეობა თანამიმდევრულად, გააზრებული პოლიტიკით, კარგად გათვლილი რეფორმებით მკვეთრად შეიცვალოს უკეთესობისკენ.

ჩვენ შევძლებთ, და დავამკვიდრებთ თავისუფალ ბიზნესგარემოს, ხელს შევუწყობთ მეწარმეობის განვითარებას, შევქმნით საკუთრების ხელშეუხებლობისა და დასაქმებულთა სოციალური დაცვის გარანტიებს, რითაც, საბოლოოდ, მოვსპობთ ელიტურ კორუფციას და დავძლევთ უმუშევრობას.

ჩვენ შევძლებთ და ყველა პირობას შევქმნით, რათა ყველას შეეძლოს საკუთარი შესაძლებლობის შესატყვისი სამსახურის პოვნა და ოჯახის რჩენა.

ჩვენ შევამცირებთ გაუმართლებლად მაღალ კომუნალურ გადასახადებს, პენსია არანაკლები იქნება, ვიდრე საარსებო მინიმუმია. თავად საარსებო მინიმუმის ოდენობაც გადაიხედება, შეიცვლება და რეალურ ციფრს მიუახლოვდება.

ჩვენ შევძლებთ, და ახალგაზრდებს დასაქმების რეალურ პერსპექტივას გავუჩენთ. ჩვენი ახალგაზრდები, ჩვენსავე სამშობლოში შეძლებენ ცხოვრებას და წინსვლას და აღარ დასჭირდებათ ამისათვის ხელისუფლების სამსახურში დგომა.



**ძვირფასო მეგობრებო!**

ადრეც ვთქვი და აქაც გავიმეორებ: ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ჩვენი საბიუჯეტო პრიორიტეტები იქნება ჯანდაცვა, განათლება და სოფლის მეურნეობა.

საქართველოში ყველა პირობაა საიმისოდ, რომ აღორძინდეს სასოფლო-სამეურნეო მრეწველობა - იდეალური კლიმატური პირობებია, ბევრია სავარგული მიწა და სამუშაო ძალა. ის, რომ საქართველოში სოფლის მეურნეობა ფაქტობრივად განადგურებულია, ხელისუფლების არასწორი პოლიტიკის შედეგია.

ჩვენ რადიკალურად შევცვლით არსებულ პოლიტიკას. საქართველოში აღარ იქნება მოუხნავი სავარგულები, ჩვენ ამას აუცილებლად შევძლებთ. არავის მივაყენებთ 20-ლარიანი ვაუჩერებით შეურაცხყოფას, რადგან ზუსტად ვიცით - ეს არ არის რეალური დახმარება, ეს ხალხის მოტყუებაა, დაცინვაა... ხოლო შედეგი, გაღატაკებული სოფელი და უცხო ქვეყნებიდან შემოტანილი, მდარე ხარისხის პროდუქტია.

კოალიცია „ქართულ ოცნებას“ დაგეგმილი აქვს, აალორძინოს ქართული სოფელი. ამისთვის საგანგებოდ დაფუძნდება ერთმილიარდიანი ფონდი, რომელიც მხოლოდ სოფლის მეურნეობაში პირველი ეტაპის ინვესტირებისთვის იქნება განკუთვნილი.

ამ გეგმის თანახმად, შეიქმნება ათი ათასობით სამუშაო ადგილი, დახმარება გაეწევა სიღარიბის ზღვარს მიღმა მცხოვრებ, თვითდასაქმებულ მოქალაქეებს.

ჩვენ გვჯერა, რომ სოფლის მეურნეობის აღორძინების სიკეთე შეეხება თითოეულ ადამიანს. ამას იგრძნობთ თქვენც, რადგან ქუთაისს ყოველთვის ჰქონდა და ექნება თავისი განსაკუთრებული როლი ქართული სოფლის მეურნეობის აღორძინების საქმეში.

ჩვენ შევცვლით განათლების სისტემას და ისეთ რეფორმას გავატარებთ, რომ ქუთაისი დაიბრუნებს თავის ძველ დიდებას და კვლავ გახდება ქვეყანაში უდიდესი საგანმანათლებლო ცენტრი.

ჯერ კიდევ 2008 წელს ვფიქრობდი, დამეარსებინა ტექნოლოგიური უნივერსიტეტი, რომელიც კვალიფიციურ კადრებს მოამზადებდა თანამედროვე მაღალტექნოლოგიური საწარმოებისთვის. როგორც კი ქვეყანაში გაჩნდება საიმედო საინვესტიცო გარემო და გაიხსნება ასეთი საწარმოები, ჩვენ უკვე გვეყოლება ამ უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები და აღარ დაგვჭირდება უცხოელი კადრების ძებნა და ჩამოყვანა. მაშინ ვერავინ ავიყოლიე. ახლა კი, ჩვენ ამას შევძლებთ!

აქ, ქუთაისში, დავაფუძნებთ საუნივერსიტეტო ქალაქს, აღჭურვილს ულტრათანამედროვე ტექნოლოგიებითა და ინფრასტრუქტურით, რომელსაც ისეთივე მნიშვნელობა ექნება საქართველოსთვის, როგორიც გელათის აკადემიას ჰქონდა დავით აღმაშენებლის დროს.

ჩვენ გავატარებთ ისეთ რეფორმას, რომ თითოეულ სოფელს ექნება თავისი სკოლა, ხარისხიანი განათლება ყველასთვის იქნება ხელმისაწვდომი, და აღარავის ექნება სახელმძღვანელოების შეძენის პრობლემა, აღარავის დასჭირდება სკოლაში მისასვლელად 12 და 20 კილომეტრის გავლა. მასწავლებლობა პრესტიჟული პროფესია გახდება, თითოეული მასწავლებელი დაფასებული და დაცული იქნება ფინანსურადაც და სოციალურადაც.

თუმცა, ამ დღეებში ჩვენ ისიც ვნახეთ, რომ დაცვა ახლანდელი წარმატებული რეფორმის ავტორებსაც დასჭირდათ.

ჩვენ ყოველთვის აღვნიშნავდით, რომ ეროვნული გამოცდები იყო ერთადერთი წარმატებული პროექტი. სამწუხაროდ, ერთი კაცის ახირებას, ერთი კაცის ისტერიას ისე შეეწირა ეს პროექტი, რომ შედეგებზე არავის უფიქრია.

მაგრამ ის სოლიდარობა, რისი მოწმეც ჩვენ ამ დღეებში გავხდით, უპრეცედენტოა ბოლოდროინდელი საქართველოს ისტორიაში. ეროვნული გამოცდების ცენტრის 60-მა თანამშრომელმა მიატოვა კარგად ანაზღაურებადი სამსახური და ამით ყველას აჩვენა, რომ არაფრის სანაცვლოდ უსამართლობას არ შეეგუება.

ჩვენ გვჯერა, რომ სოლიდარობა გადამდებია, და რომ ღირსეული საქციელი მაგალითია. ჩვენ ვნახავთ, რომ ოქტომბრამდე ასეთი ადამიანების რიცხვი გაიზრდება. ჩვენ ამის გვჯერა!

მინდა შევეხო ჩვენი მოსახლეობისთვის ყველაზე მტკივნეულ საკითხს - ჯანდაცვის პრობლემას. არავისთვისაა უცხო, რომ დღეს ჩვენი მოსახლეობის უდიდესი ნაწილისთვის ჯანმრთელობის დაცვის ელემენტარული პირობებიც არ არსებობს, ისინი სახელმწიფოსაგან მიტოვებულნი არიან.

ხელისუფლება თავს იწონებს იმით, რომ ახალ-ახალ საავადმყოფოებს ხსნის, ქუთაისშიც გაიხსნა რამდენიმე საავადმყოფო. გარდა იმისა, რომ ეს საავადმყოფოები გამოუსადეგარია და ვერ აკმაყოფილებს ელემენტარულ სტანდარტებსაც კი, ისინი ფინანსურადაც მიუწვდომელია მოსახლეობისთვის.

ყველაზე მძიმე დღეში საშუალო თაობა აღმოჩნდა, ადამიანები, რომლებსაც არც საპენსიო ასაკი შესრულებიათ და აღარც სამსახური აქვთ. მათ სამედიცინო დაზღვევა არ გააჩნიათ, სააკაშვილის ხელისუფლება არც სამომავლოდ ჰპირდება მათ რამეს. არადა ეს ის ხალხია, რომელზეც ქართული ოჯახი დგას, მათ შვილებიც უნდა არჩინონ და მშობლებიც. ეს თაობა მთლიანად მიტოვებულია ხელისუფლებისგან.

უამრავი ჩვენი თანამოქალაქე გაღატაკდა და უსახლკაროდ დარჩა მკურნალობისთვის გაწეული კატასტროფული ხარჯების გამო. ეს უნდა დამთავრდეს! ეს ჩვენი ქვეყნის ღირსების საქმეა!



მე არაერთხელ მითქვამს და ჩემმა თანაგუნდელებმაც კარგად იციან - არ მიყვარს ტყუილი დაპირებები. კაცს რომ დაპირდები, უნდა შეასრულო. ასე ვიცხოვრე დღემდე და ასე ვაპირებ მომავალშიც.

ჩვენ კარგად შევისწავლეთ ეს სფერო. ჩემი დავალებით ჯანდაცვის პროგრამის შემუშავებაში მონაწილეობდნენ ამ დარგის საუკეთესო სპეციალისტები. არა ერთი დაძაბული დღე გამოვიარეთ, ყველაფერი დეტალურად გავთვალეთ, მსოფლიო გამოცდილებასაც გადავხედეთ, ყველაფერი ავწონ-დავწონეთ, გავითვალისწინეთ ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციები.

და დღეს მინდა გამოვაცხადო, რომ სახელმწიფო აიღებს ვალდებულებას და იზრუნებს საქართველოს თითოეული მოქალაქის ჯანმრთელობაზე!!!

ცხადია, ვისაც ექნება იმის მატერიალური შესაძლებლობა, რომ კერძო სადაზღვევო კომპანიებისგან უფრო უკეთესი ან დამატებითი მომსახურება მიიღოს, მას ამის უფლებას არავინ ართმევს, მაგრამ ვისაც არა აქვს საამისო სახსრები, და დღეს ასეა ჩვენი ქვეყნის პრაქტიკულად მთელი მოსახლეობა, მისი სადაზღვევო პაკეტი ბიუჯეტიდან იქნება დაფინანსებული.

ბაზისური პაკეტის საშუალებით საქართველოს მთელი მოსახლეობა უზრუნველყოფილი იქნება თანაბარი, ხელმისაწვდომი და ხარისხიანი სამედიცინო მომსახურებით.

ასეთია ჩვენი განაცხადი და ეს რომ ლიტონი სიტყვები არ არის, ამაში ყველანი დარწმუნდებით, როდესაც ბლოკი „ივანიშვილი-ქართული ოცნება“ გაიმარჯვებს საპარლამენტო არჩევნებში და მოვა ხელისუფლებაში.

ჩვენ ყველა დანაპირებს შევასრულებთ, ამის სიტყვას მე გაძლევთ!

ჩვენ შევძლებთ და, ჩვენი ქვეყანა თავს დააღწევს გაჭირვებას.

ჩვენ შევძლებთ და, საქართველოს საზოგადოება აღარასდროს დაიყოფა ხელისუფლების მომხრე და მოწინააღმდეგე ბანაკებად. თავისუფალ საქართველოში თავისუფალი ხალხი იცხოვრებს, რომელსაც აღარ ექნება პოლიტიკური დევნის შიში! მე ამას გპირდებით!

ჩვენ შევძლებთ და, ტელევიზიები და მედიასაშუალებები აგიტაციასა და ტვინის გამორეცხვაში კი არ შეეჯიბრებიან ერთმანეთს, არამედ დამოუკიდებელი, კვალიფიციური ჟურნალისტიკა იქნება მათი წარმატებისა და ნდობის გარანტი.

ჩვენ შევძლებთ და, ჩვენი მოხუცები და ბავშვები უზრუნველად იცხოვრებენ - ეს ჩვენი ღირსების საქმეა!

ჩვენ შევძლებთ და, ისეთ სახელმწიფოს ავაშენებთ, სადაც ხალხი იქნება ხელისუფლების წყარო და ხელისუფლება ანგარიშვალდებული იქნება თავის ხალხთან!

ჩვენ შევძლებთ და, ქართველები, ოსები, აფხაზები, ებრაელები, აზერბაიჯანელები, სომხები, რუსები, ბერძნები და სხვები - ერთად, მშვიდობიანად აღვადგენთ ქვეყნის ერთიანობას.

ჩვენ შევძლებთ და, საქართველო გახდება თავისუფალი, დემოკრატიული, ევროპული თანამეგობრობის ღირსეული წევრი!

ჩვენ შევძლებთ და, დავამკვიდრებთ ისეთ პოლიტიკურ კულტურას, როდესაც ხელისუფლების ღირსების საკითხი იქნება, როგორ მოექცევა იგი მომავალ ოპოზიციას, და ამას თქვენ ნახავთ ოქტომბრიდან - ჩვენი გამარჯვების შემდეგ.

ჩვენ შევძლებთ და, არჩევნებით შევცვლით ამ ხელისუფლებას!

ჩვენ გვწამს და მტკიცედ გვჯერა, რომ გავიმარჯვებთ არჩევნებში, ქართველი ხალხი გაიმარჯვებს, საქართველო გაიმარჯვებს, ჩვენ ერთად შევქმნით უკეთეს მომავალს და ერთად ავისრულებთ ქართულ ოცნებას!


იხილეთ „საერთო გაზეთი“
ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი



# biZina ivaniSvili `jon bass~ aucileblad Sexvdeba!..

ფრენსის კოპოლას გენიალურ ფილმში მარლონ ბრანდო ერთ არაჩვეულებრივ რამეს ეუბნება ეუბნება თავის ვაჟს: „უდარდელად ერთი დღეც კი არ მიცხოვრია. ქალი და ბავშვი უნდა იყოს უდარდელი, მამაკაცი კი არა“.

რამდენიმე დღის წინ ბიძინა ივანიშვილის მეუღლეს ქალბატონ ეკატერინე ხვედელიძეს ინტერვიუს ვუსმინე და მივხვდი, რომ საქართველოში ერთადერთი ბიძინა ივანიშვილი არის ის კაცი, ვინც ფიქრობს, რომ „ქალი და ბავშვი უნდა იყოს უდარდელი“... მაგრამ თუ ხარ ქართველი, შეუძლებელია ქვეყნის მომავალზე და აწმყოზე დარდი არ გაწუხებდეს. რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, საქართველოში ყველაზე მდიდარი კაცის მეუღლემ იმ ინტერვიუში კიდევ ერთხელ აღიარა,



რომ მას აწუხებს ქვეყნის ბედი და არ არის მხოლოდ ქმრის მილიონების მონა და შოპინგებს გადაყოლილი „მეშჩანკა“...

მადლობა ღმერთს, გამოჩნდა პოლიტიკური ლიდერის მეუღლის ახალი ტიპი...

ეკატერინე ხვედელიძეს ეცვა უბრალოდ და მიმაჩნია, რომ არც უახლესი მოდის ვარცხნილობა ჰქონდა, რაც მისთვის აბსოლუტურად არავითარ პრობლემას არ წარმოადგენს. ნებისმიერი დიზაინერი ან სტილისტი მას საკუთარ სახლში ეახლება და სუპერმოდურ ქალად გახდის. ჩვენ ვიცნობთ ბევრ ასეთ ქალბატონს, ქართველი პოლიტიკოსების ან საზოგადოებისთვის სხვა ცნობილი პირების ცოლებს, რომლებიც „საშოპინგოდ“ საზღვარგარეთის უძვირეს მაღაზიებში დადიან, დასასვენებლად და გასარუჯად კი მსოფლიოს ელიტარულ ზღვისპირა კურორტებზე. მე ასეთებს ვეძახი სნობებს და „კეკელკებს“, და ასე უწოდებს საზოგადოების დიდი ნაწილი, დარწმუნებული ვარ.

არავის შეურაცხყოფას არ ვაყენებ, მაგრამ ნებისმიერმა პოლიტიკოსმა, სულ მცირეოდენის გამოკლებით, შეხედონ საკუთარ ცოლებს, მინი-კაბებში, დეკოლტეებში გამოწყობილებს, ჯიპებზე ვაჟკაცურად ამხედრებულებს და უგზოუკვლოდ მოჯირითეებს... ანდა მათ, თვითონ იმ „ელიტარულმა“ დედებმაც და მათ ქალიშვილებმაც, ვინც მსოფლიო დონის აფერისტთან და ზნედაცემულ მექალთანესთან დონალდ ტრამპთან შეხვედრის წინ რატომღაც ფეხის ფრჩხილებიდან წარბებამდე ეპილატორით რომ გაიტყავეს თავი, ხან ვარსკვლავობანას რომ თამაშობენ და ხან „ვარსკვლავთა ცეკვებს“ (?!) რომ ცეკვავენ. ამათ შემხედვარეს გაგიკვირდება, აბა, რა, როცა ეკატერინე ხვედელიძე ამბობს:

„ჩვენ რომ ჟაკლინ კენედისნაირ ქვეყანაში ვცხოვრობდეთ, არ ჩავერთვებოდი პოლიტიკაში არც მე, არც ბიძინა, მაგრამ ეს მოდის ვალდებულების გრძნობიდან“:

საქართველოს ახლა უკვირს, თორემ ოდითგანვე ქართველი ქალი იყო ერის, ოჯახის, მამაკაცის სინდის-ნამუსის პატრონი და ქომაგი. მეც ასე მიმაჩნია და ზუსტად ვიცი, ბევრიც დამეთანხმება ამაში.

როცა ღმერთმა შექმნა ადამი და ევა, მაშინ დაადგინა, რომ ერთი მეორეს გარეშე არაფრად ვარგა და მეორე პირველის გარეშე. თუმცა მე თუ მკითხავთ, მამაკაცი არის თავი ცხოვრების (ქალი კი ამ ცხოვრების ძალა) და მის გარეშე ქალი, უბრალოდ, არავინაა. ამიტომ მოვიტანე დასაწყისში მარლონ ბრანდოს სიტყვები, რადგან ეკატერინე ხვედელიძეს როცა ვუცქერდი, მივხვდი, რომ **ეს მშვიდი, გონიერი, კეთილშობილი, მზრუნველი დედა და ცოლი, არაჩვეულებრივი ქალბატონი, რამდენადმე, თვით ბიძინა ივანიშვილმა შექმნა**.

ერთგან ბატონ ბიძინას უთქვამს: „ჩემი ეკასთვის სიზმარშიც კი არ მიღალატიაო“. ეს არის უდიდესი ქრისტიანული მიდგომა ცხოვრებისადმი, მეუღლისა და ქალისადმი, მაგრამ, მოდით, პირად ამბებს რომ არ გადავყვეთ, საზოგადოებრივ საქმეებზე ვილაპარაკოთ.

ეს ერთი შეხედვით კაფანდარა, თავისი უბრალოებით მბრწყინავი ქალბატონი ეკატერინე, რომელმაც, როგორც ამბობენ, ერთ-ერთმა პირველმა უბიძგა მილიარდერ მეუღლეს პოლიტიკაში ჩართულიყო, საყვარელი და ესოდენ ძვირფასი მეუღლის, როგორც პოლიტიკოსის, ოპონენტების მხრიდან მოსალოდნელ ლიკვიდაციაზე გარეგნულად მაქსიმალურად მშვიდად და ქალური პანიკის გარეშე ლაპარაკობს: „თუ ღმერთმა არ ქნას და ბიძინამ ვერ გააგრძელა თავისი პოლიტიკური მოღვაწეობა, მაშინ მე ვიტვირთებ და მე გავაგრძელებ... ემოციურად მართლა ძალიან ძნელია, მაგრამ, მე, უბრალოდ, მართლა არ მინდა ამაზე ვიფიქრო“...

არაა ეს გმირობა იმ ქალის მხრიდან, ვისაც თავისი ცხოვრების უდიდესი პერიოდი სიყვარულში, ფუფუნებაში და უზრუნველობაში აქვს გატარებული? ზედმეტი ხოტბა არ გამომივიდეს, მაგრამ, რატომღაც, სოლომონ ლიონიძის ღირსეული მეუღლე გამახსენდა. მაშინაც იყო საქართველოს ყოფნაარყოფნის საფრთხე – რუსეთი თუ ოსმალეთი, ირანი თუ...

დღესაც ასეა.

ბრძოლა უსისხლო, ნერვების ომი, რომელზეც, ამბობენ, რომ კაცების საქმეა. ასეთ დროს იტყვიან ქართველი კაცები: „ქალი მე სამზარეულოში ვიცი“...

„საჯაროობა ძალიან არ მიყვარს..., – ამბობს ეკატერინე ხვედელიძე წყნარი ღიმილით და განაგრძობს: მაგრამ ყველაფერი მაინც ვალდებულებიდან მოდის.

არ მინდა ხმამაღალი სიტყვები ვთქვა, მაგრამ ბიძინამ რომ გადაწყვიტა პოლიტიკაში მოსვლა, ე.ი. მან გადაწყვიტა ქვეყანას დაეხმაროს, ჩვენი შვილების მომავალს დაეხმაროს, ამიტომ არაა ლაპარაკი იმაზე, რამდენად შეიზღუდა ჩვენი თავისუფლება და კომფორტი. ამ კუთხით, უნდა ითქვას, რომ მე ერთგვარად განებივრებული ვიყავი. ბიძინას და ჩემი უფროსი ვაჟების სახით იმდენად ძლიერი კაცები მიდგანან გვერდით, რომ შემეძლო, როგორც მინდოდა, ისე მეცხოვრა და რაც მინდოდა, ის მეკეთებინა... საკმაოდ თავისუფალი ცხოვრება მქონდა, მაგრამ შეიცვალა ყველაფერი და... მეც მზად ვარ ყველაფრისთვის, მე ზურგში ვუდგავარ ბიძინას და იმედია, რომ ჩემი მხარდაჭერა არ დასჭირდება და ჩემი პიროვნება პოლიტიკაში შემოსვლის საჭიროებას არ ნახავს, მაგრამ მე ყველაფრისთვის მზად ვარ“.

უდაოდ იმედიანი, მებრძოლი და თავგანწირული სიტყვებია, რომელიც მეუღლის და მეგობრის ერთგულებას გამოხატავს.

„მე არასდროს ვერეოდი მის ბიზნესსაქმიანობაში, მაგრამ საღამოობით სეირნობისას, ის ყველაფერს მიყვებოდა და ყველაფრის საქმის კურსში ვიყავი. ახლაც ასეა, თუმცა არ ვესწრები მის შეხვედრებს და კონფერენციებს, ყველაფრის საქმის კურსში მაყენებს. ის თვლის საჭიროდ, რომ მე, ეს უნდა ვიცოდე და ვაანალიზებ ყველაფერს, რაც ხდება“...– ჰყვება „ქართული ოცნების“ მეთაურის ცოლი ლიდერ მეუღლეზე.



* * *

მახსოვს, ამბობდნენ, ედუარდ შევარდნაძის მეუღლე, ცხონებული ნანული ცაგარეიშვილი, თურმე, კარგ ხაჭაპურებს აცხობდა. მოგვიანებით, სანდრა-ელისაბედ რულოვსისააკაშვილმა საზოგადოებას თავი მეგრული სიმღერების შესრულებით დაამახსოვრა... ეკატერინე ხვედელიძემ, რომელიც, როგორც წინასწარმეტყველებენ, საქართველოს მომავალი პირველი ქალბატონია, ქვეყანას უკვე დაამახსოვრა თავი კეთილშობილებით, გაწონასწორებულობით, გონირებით...

* * *

„მთელი ოჯახი ვართ ჩაბმული... პატარა ცოტნე ამას წინათ შეეგება მამას და ჰკითხა: მამა, ჯონ ბასს შეხვდი?“ – თქვა ეკატერინე ხვედელიძემ.

როცა ერთი ქართული ოჯახი ასეთი განწყობით არის, მგონი, აღარავის აქვს უფლება იყოს გულგრილი ჩვენს ირგვლივ დატრიალებულ ამბებზე.

მე მართალი გითხრათ, იმ ინტერვიუს მოსმენის შემდეგ იმედი უფრო გამიმყარდა.

მგონი დადგება დრო, რომ ბიძინა ივანიშვილი „ჯონ ბასს“ (!) შეხვდება... და ყველა ქართული ოჯახი ბოლოს და ბოლოს წყნარად და ქართულად იცხოვრებს...



**ირანდა კალანდაძე**

# fragmentebi ekaterine xvedeliZis interviudan

## (გადაცემა „ჩვენ", წამყვანი თამარ ჩიქოვანი)

**ეკატერინე ხვედელიძე:** პირველად ვმონაწილეობდი აქციაში, რადგან 91 წლიდან საქართველოში არ ვცხოვრობდი. ხოლო 9 აპრილის აქციების დროს რეგიონში ვიყავი, სკოლაში ვსწავლობდი და შესაბამისად, აქციებზე არავინ გამომიშვებდა. 27 მაისი განსაკუთრებით დამამახსოვრდა, რადგან იყო ძალიან თბილი, ემოციური დღე, იგრძნობოდა ძალიან დიდი მუხტი. თავიდან ცოტათი ვნერვიულობდი. ბიძინა დარწმუნებული იყო, რომ ხალხი მოვიდოდა, მაგრამ, როცა დილით სახლიდან გადმოვხედეთ თვისუფლების მოედანს და ვერ ვნახეთ ბევრი ხალხი, ცოტა ავნერვიულდით. მაგრამ შემდეგ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა, ძალიან ემოციური დღე იყო.



რაც შეეხება ოჯახის წევრების ჩართულობას პოლიტიკაში, ჩვენ რომ ჟაკლინ კენედისნაირ ქვეყანაში ვცხოვრობდეთ, გარწმუნებთ, არანაირი სურვილი არ გამოჩნდებოდა პოლიტიკაში ჩართვის. ამის სურვილი არც ბიძინას გააჩნდა და მით უფრო, მე! მაგრამ ეს არ მოდის ჩვენი სურვილიდან, ეს მოდის ვალდებულების გრძნობიდან. რა თქმა უნდა, ბიძინას პოლიტიკაში შემოსვლა იყო საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაბიჯი ჩვენი ოჯახისთვის. ძალიან ბევრი ვიფიქრეთ, კამათიც გვქონდა, რადგან არსებობდა საფრთხე, რასაც ვგრძნობდით, ბიძინა კი განსაკუთრებით, რადგან კარგად იცნობს ამ ხელისუფლების წარმომადგენლებს და იცის, რაზე არიან წამსვლელები. ამიტომ ძალიან ბევრი ემოცია დაიხარჯა მანამდე, ვიდრე ამ ნაბიჯს გადავდგამდით. ახლაც 27 მაისმა ეს სიტუაცია უფრო ნათლად გამოაჩინა. თუ მანამდე არ არსებობდა იმის საფრთხე, რომ შეიძლება რაღაც მომხდარიყო, 27 მაისის მუხტმა ყველას დაანახა, რა განწყობა არის ხალხში, როგორი სურვილი აქვს საქართველოს მოსახლეობას და შესაბამისად, საფრთხეც გაიზარდა. თუნდაც ბატონი კომახიძე რასაც ამბობდა, თუ ჩვენ ეს გაცნობიერებული გვქონდა მანამდე, 27 მაისის მერე ეს საფრთხე რეალური გახდა. აქედან გამომდინარე, 10 ივნისს მე ქუთაისში არ ვიქნები, რადგან თუ ღმერთმა არ ქნას და ბიძინამ ვერ განაგრძო თავისი პოლიტიკური მოღვაწეობა, მაშინ მე ვიტვირთებ და მე გავაგრძელებ. ამიტომ ჩვენი ერთად ყოფნა აღარ არის სასურველი. მგონი, ყველა კარგად ხედავს, რომ ეს საფრთხე ძალიან სერიოზულია, რადგან 27 მაისმა ამ მთავრობას კარგად დაანახა ხალხის განწყობა. ეს არ იყო მხოლოდ ხალხის რაოდენობაზე დამოკიდებული. მნიშვნელობა არა აქვს, ვინ რამდენ რაოდენობას დაასახელებს; ჩვენ, ყველა იქ მდგომმა, კარგად დავინახეთ, თუ რა ძალა ვართ, რამდენი ვართ, რა შეგვიძლია. შესაბამისად, ეს მთავრობამაც დაინახა. დაინახა, რომ პროცესი გარდაუვალია, რაც არ უნდა გააკეთონ, პროცესი აღარ შეჩერდება და შესაბამისად, მაქსიმალურად მოინდომებენ ლიდერისთვის ხელის შეშლას.

ეს მართლაც სერიოზული საფრთხეა, მაგრამ არ ვნანობ, რადგან ემოციები დაიხარჯა მანამ, ვიდრე ბიძინა განცხადებას გააკეთებდა. ამ საფრთხეს ყველა კარგად ვხედავდით, მაგრამ უტას პოლიტიკური ამბიციები აქვს, შესაბამისად არ ისვენებდა, არ ჩერდებოდა, და ძალიან კარგსაც შვებოდა. დღესაც აგრძელებს უტა პოლიტიკის განხრით მუშაობას და დიდი სურვილი აქვს, მომავალში პოლიტიკაში ნახოს თავის ადგილი. მაგრამ, მიუხედავად ყოველივე ამისა, ემოციურად მართლაც ძალიან ძნელია ელოდო საფრთხეს, უბრალოდ, არ მინდა, ყოველდღე ამაზე ფიქრი. ახლა თითქოს თავისუფლად ვსაუბრობ, მაგრამ ეს იმის შედეგად, რომ ვცდილობ ემოციას არ ავყვე, თუმცა საშიშროება მართლაც ძალიან დიდია.

რა თქმა უნდა, ამ ნაბიჯის შემდეგ ჩემი თავისუფლება შეიზღუდა. იქიდან გამომდინარე, რომ საჯაროობა ძალიან არ მიყვარს, ოჯახის წევრებისთვის მნიშვნელოვნად შეიცვალა ცხოვრება. ამას ვერ ვიტყვი ბერაზე, მას საჯაროობა ძალიან ხიბლავს. მართალია, დავკარგეთ გარკვეული თავისუფლება, მაგრამ ეს ყველაფერი გამომდინარეობს ვალდებულების გრძნობიდან. არ მინდა ძალიან ხმამაღალი სიტყვები ვთქვა, მაგრამ ბიძინამ ეს ნაბიჯი გადადგა შეგნებულად, გააზრებულად, რადგან გადაწვიტა, რომ გააკეთოს ის, რისი ვალდებულიც არის - დაეხმაროს თავის ქვეყანას, დაეხმაროს ჩვენი შვილების მომავალს! შესაბამისად აქ აღარ არის იმაზე ფიქრის დრო, რამდენად შეიზღუდა ჩვენი თავისუფლება, რამდენად დავკარგეთ კომფორტი და ა.შ. მეტსაც გეტყვით, მე იმდენად განებივრებული ვიყავი, რადგან ბიძინას და ჩემი უფროსი ვაჟების - უტას და ბერას სახით იმდენად ძლიერი მამაკაცები მედგნენ გვერდით, რომ შემეძლო, მეცხოვრა, როგორც მინდოდა, მეკეთებინა, რისი სურვილიც მქონდა. საკმაოდ თვისუფალი და დაცული ცხოვრება მქონდა. დღეს კი სიტუაცია შეიცვალა და შესაბამისად, მთელი ოჯახის ცხოვრება შეიცვალა, არა მარტო ბიძინასი და მეც შემეცვალა განწყობა. ამიტომ მზად ვარ ყველაფრისთვის. ზურგში ვუდგავარ ბიძინას, იმედია, რომ ჩემი მხარდაჭერა, ჩემი პიროვნების პოლიტიკაში მოსვლა საჭირო არ გახდება, მაგრამ მე ყველაფრისთვის მზად ვარ!




გაცნობის პირველი დღიდანვე არასოდეს მიგრძვნია ჩვენს შორის არსებული ასაკობრივი ზღვარი. რადგან ბიძინას აქვს საოცარი ხასიათი, ძალიან უყვარს იუმორი, მუდმივად ხუმრობს, და ნებისმიერ ადამაინთან ხდება მისი ასაკის. მაგალითად ცოტნე დარწმუნებულია, რომ არაფრით არ განსხვავდება მამამისი მისი ასაკისაგან. ამ მხრივ ძალიან მსუბუქი პიროვნებაა, არასოდეს არ აქვს დეპრესიული განწყობა; არასოდეს მოსულა სახლში იმ განწყობით - ახლა დავიღალე და მომასვენეთ. ყოველთვის ხუმრობს, ლაღია, ბედნიერია და რა პრობლემებიც არ უნდა ჰქონდეს,ის რჩება სახლს გარეთ. ასე რომ ოჯახში მისი პრობლემები არასოდეს გვიგრძვნია. პირიქით, ზოგჯერ ისე ცელქობს და ხუმრობს, რომ ჩემი თავი გაცილებით უფროსი მგონია, ვაჩერებ და ამაზე ბიჭები კვდებიან სიცილით.

მე ვფიქრობ, რომ ძალიან კარგი იქნება, თუ მეტი ქალბატონი აღმოჩნდება პოლიტიკაში. მგონი, ექვთიმე თაყაიშვილი წერდა, რომ ქალი ყოველთვის იყო საზოგადოების გამაერთიანებელიო. ქართველ ქალს განსაკუთრებული დატვირთვა აქვს და ოჯახში ძალიან დიდ როლს თამაშობს. მამაკაცები ამაყად ამბობენ, რომ ოჯახის უფროსები არიან, სინამდვილეში კი ქალია ოჯახის ღერძი. მან კარგად იცის, როგორ მართოს მამაკაცი, შვილები; როგორ აგრძნობინოს თავი, რომ ისინი არიან ლიდერები. შესაბამისად, ასეთი სტრატეგიის მქონე ქალბატონები პოლიტიკისთვის ძალიან გამოსადეგები არიან და რატომაც არა! ჩემის აზრით, ქალთა ნაკლებობა პოლიტიკაში გამოწვეული იყო უფრო შიდა პრობლემებით, იმით, რომ ბევრი ადამიანია გასული ქვეყნიდან, ვინც კი შეძლო, შეეცადა საზღვარგარეთ მოეძებნა სამუშაო ადგილი. და როდესაც ეკონომიურდ გიჭირს, დაკავებული ხარ იმის ფიქრით, ხვალ რა აჭამო შვილებს, როგრო უმკურნალო, ამ დროს ძნელია დაკავდე პოლიტიკით. ასე, რომ, ძირითადად, ეკონომიურად ძლიერი ქვეყნებისთვის არის დამახასიათებელი პოლიტიკაში ბევრი ქალბატონის მოღვაწეობა. მე იმედი მაქვს, რომ მალე საქართველო ისე გაძლიერდება, რომ ქალბატონები აქაც დაიჭერენ თავიანთ ადგილს პოლიტიკაში. მე ვფიქრობ, რომ ბიძინა, რადგან თავად არ არის აგრესიული, შეძლებს და შეცვლის მამაკაცი პოლიტიკოსების აგრესიულ იმიჯს.

რაც შეეხება დაპირებებს, მართლა მიჭირს გახსენება, თუ ოდესმე რამეს დამპირდა, ასეთი რამ არ ყოფილა, იმიტომ რომ კი არ გპირდება, აკეთებს. მაგალითად, ბიძინას ხასიათში არ ზის დაბადების დღე ან რაიმე დღესასწაული მოგილოცოს განსაკუთრებულად, რადგან თვლის, რომ ყოველი დღე ბედნიერი უნდა იყოს. შეიძლება დაივიწყოს დაბადების დღე, მაგრამ ნებისმიერ სხვა დღეს ისეთი საჩუქარი, სიურპრიზი გაგიკეთოს, რომ გაგაოცოს. დაპირების მიცემა ხომ ძალიან დიდი პასუხისმგებლობაა!

ისევ დავუბრუნდები 27 მაისი თემას, მართლაც ძალიან ბედნიერები ვიყავით ამ დღეს, მაგრამ ეს ხომ ამასთან უდიდესი პასუხისმგებლობაა! ბიძინა მთელი საღამო ამ აზრით იყო დაკავებული, რამხელა ნდობა მაჩვენა ხალხმა, რამხელა პასუხისმგებლობა დამეკისრაო. ამას მანამდეც აცნობიერებდა, მაგრამ 27 მაისის მერე, ეს ძალიან აშკარა გახდა. ერთ მაგალითს მოგიყვანთ, ჩემმა მეგობარმა, რომელიც მონაწილეობას იღებდა მსვლელობაში, მაჩვენა ტელეფონით გადაღებული ვიდეოფრაგმენტი, ერთ ასაკოვან ქალბატონს აქციის დროს ფეხსაცმელზე ქუსლი მოძვრა, შვილი თხოვდა, წავიდეთო, ქალმა კი ფეხზე გაიხადა და ისე განაგრძო გზა. ამას რომ ადამიანი გააკეთებს, როგორ შეიძლება პასუხისმგებლობის გრძნობა ათჯერ და ასჯერ არ გაიზარდოს, თუნდაც მარტო ამ ქალბატონის წინაშე?! და იქ რამდენი ადამიანი იყო მოსული?! ასაკოვნებიც და ახალგაზრდებიც, რაც ძალიან კარგია. ეს ხომ მათი მომავალია. თუნდაც ის, რომ ბერა ასე ეხმარება მამას და გვერდით უდგას, მე ძალიან მომწონს. ახალგაზრდებმა უნდა შექმნან ეს ქვეყანა, მოითხოვონ, განაცხადონ პრეტენზია იმ ქვეყანაზე, როგორ ქვეყანაშიც სურთ ცხოვრება. შესაბამისად, მშობლების გვერდით აუცილებლად უნდა იდგნენ ახალგაზრდები.

ბიძინას პირველივე განცხადებაში იყო ნათქვამი, რომ მას სურს, საზოგადოება გაძლიერდეს და დარწმუნებული ვარ, ამას ბიძინა აუცილებლად განახორციელებს. ბიძინას არ აქვს ის ამბიცია, რაც ახასიათებს სხვა პოლიტიკოსებს, რომელთაც ერთხელ აირჩევენ და ჰგონიათ, რომ ამით მუდმივად უნდა იყვნენ ხელისუფლებაში. ამიტომაც აცხადებს იგი, რომ ორი-სამი წლის შემდეგ მსურს წასვლა, მაგრამ მინდა ჩავდგე საზოგადოების სამსახურში, გავაძლიერო საზოგადოებრივი სექტორი, რათა ყველამ გაიგოს, რომ ჩვენ უნდა ვმართოთ მთავრობა, ჩვენ უნდა მოვთხოვოთ პასუხი და არ მივცეთ იმის გაკეთების უფლება, რასაც აკეთებენ დღეს. რადგან გარკვეულწილად ეს ჩვენი დამსახურებაც არის, რაც დღეს ხდება. ვფიქრობ, რომ ამ ოცწლიანმა ისტორიამ ქართველებს ეს კარგად დაგვანახა და მგონია, რომ ბიძინას გარეშეც საზოგადოება აღარ მოითმენს, მოითხოვს იმას, რისი უფლებაც აქვს.

რაც შეეხხება ბიძინას პირველ წერილს, მე მარტო მბეჭდავი ნამდვილად არ ვყოფილვარ, მონაწილეობას ვიღებდი, რა თქმა უნდა, არა დიდს, მაგრამ ჩემი იდეები და მოსაზრებები გამაჩნდა და ვცდილობდი, ეს იდეებიც მოხვედრილიყო ამ წერილში. ბიძინას აქვს არაჩვეულებრივი თვისება. როდესაც ჯერ კიდევ მოსკოვში ვცხოვრობდით და ის ბიზნესით იყო დაკავებული, მე არ ვერეოდი მის ბიზნესში არასოდეს,მაგრამ საქმის კურსში ყოველთვის ვიყავი. საღამოობით ყოველთვის მიყვებოდა, სად რა და როგორ ხდებოდა. იყო რაღაც მომენტები, როცა საჭირო იყო ჩემი ჩარევა და მე იმ საქმეს ვაკეთებდი. ცოტას დავიტრაბახებ



კიდეც, მაქებდა ხოლმე, რომ კარგი მენეჯერული თვისებები გაქვსო. დღესაც ესეა. მისი ხასიათიდან გამომდინარე, არ შეუძლია ოპონირების გარეშე, გაიძულებს გახდე მისი ოპონენტი და ამ წერილის დაწერისასაც ვოპონირებდი. საერთოდ, ეს ბიძინას თვისებაა, შეუძლია ქუჩაში გააჩეროს კაცი და ჰკითხოს, ეს ასე სჯობია თუ სხვაგავრადო. დღესაც ესეა, მე არ ვესწრები თათბირებს, ყველა ღონისძიებას, რაშიც ის მონაწილეობს, მაგრამ ყველაფრის საქმის კურსში ვარ. თავს ვალდებულად თვლის და საჭიროებაც მოითხოვს, რომ მე ყველაფერი ვიცოდე და ვაანალიზებდე, ჩემის მხრივ, რა ხდება. ბიძინას მუდამ სჭირდება საწინააღმდეგო აზრი და მხარდაჭერა გადაწყვეტილების მიღების დროს. ასე იყო ბიზნესშიც. ზოგჯერ წერენ არაკეთილადგანწყობილი მედიის წარმომადგენლები, რომ მას დიქტატორული თვისებები აქვს, რაც ნამდვილად არ არის ასე, რადგან უყვარს, როცა მის ჯგუფში ოპონირებენ, კამათობენ. თვითონ ძალიან მოკამათეა, შეუძლია გონების წასვლამდე გეკამათოს, მაგრამ აუცილებლად გაითვალისწინებს ყველას აზრს, მიიღებს გადაწყვეტილებას და მე რაც მახსოვს, როცა ის გადაწყვეტილებას იღებს, ყველა კმაყოფილია ამით.

ნამდვილად ვადევნებ თვალს, ვკითხულობ, რას წერენ ჩვენზე. რადგან ვთვლი, რომ უნდა იცოდე, რას მოქმედებს შენი მოწინააღმდეგე, ინფორმირებული უნდა იყო. სიმართლე გითხრათ, დასაწყისში, ოქტომბრის თვეში ძალიან განვიცდიდი, ვნერვიულობდი, ვერ წარმომედგინა, როგორ შეიძლებოდა ასეთი სიცრუე დაწერილიყო მედიაში. დღეს ვცდილობ, იუმორის თვალით შევხედო და გულწრფელად გეტყვით, ბევრ სასაცილო ფრაგმენტს ვპოულობ, ბევრ „ახალ“ რამეს ვიგებ ჩემი ოჯახის შესახებ. რატომაც არა!

რაც შეეხება მეცხრე არხს, არ ვიცი, რამდენად დამიჯერებთ, მაგრამ საერთოდ არ ვიღებ მონაწილეობას, ეს არის ჩვენი ოჯახის პრინციპი, ჩვენი მთავარი ღირებულება არის სიმართლით ცხოვრება. სხვათა შორის ბიძინამ განაცხადა თავისი ერთ-ერთ გამოსვლაში, რომ იგი მაქსიმალურად შეეცდება, მონაწილეობა არ მიიღოს მეცხრე არხის მართვაში. მეც ვუერთდები მის განცხადებას. ჩვენი მიზანი არ არის ჩავერიოთ, ხელი შევუშალოთ ან პირიქით, ისინი აბსოლუტურად დამოუკიდებლები არიან და მოქმედებენ თვიანთი მიზნების განსახორციელებლად. მეტსაც გეტყვით, მიუხედავად იმისა, რომ საცდელი მაუწყებლობაა, შეზღუდულია, ბევრი აპარატურა დაიწვა, გუნდი მაინც ბევრს მუშაობს, ცდილობენ ბევრი რამ გააკეთონ, მაგრამ არის გადაცემა, რომელიც მე, პირადად, არ მომწონს, მაგრამ ამის შესახებ ახლა ვამბობ პირველად. არც ვერევი, არც ვკარნახობ. იმედია, არ მიწყენენ მეცხრეარხელები.

ვფიქრობთ, რომ ივლისის ბოლოს უნდა გამოჩნდეს მეცხრე არხი უფრო აქტიურად თავისი გადაცემებით. თუმცა ჯერ ზუსტად არ ვიცი, რადგან კვლავ ხდება ხელის შეშლა ხელისუფლების მხრიდან, მაგრამ მაინც დიდი იმედი მაქვს, რომ მეცხრე არხი მალე აჩვენებს თავის სახეს.

რაც შეეხება თანამედროვე ხელოვნების მუზეუმის იდეას, მე ვფიქრობ, რომ აუცილებლად იქნება ეს მუზეუმი თბილისში. უბრალოდ, ამ ყველაფერს თავისი დრო აქვს. სამწუხაროდ საქართველოში ჯერჯერობით იმდენი პრობლემაა და იმდენი უფრო მნიშვნელოვანი საკითხია გადასაჭრელი, რომ, ალბათ, ეს პროექტი ცოტას გადაიწევს. თუმცა ამის ძალიან დიდი სურვილი მაქვს.

კონკრეტულად არ მიფიქრია, რომელი პრობლემის მოგვარებით დავკავდები პირადად მე, ქართული ოცნების გამარჯვების შემთხვევაში, რადგან, ჩვენდა საუბედუროდ, საქართველოში ყველა სფეროში ძალიან დიდი პრობლემებია. ყველა სფერო მოითხოვს ჩარევას, სუბსიდირებას, დახმარებას... თუმცა პირველი, რაც აზრად მომდის, ეს არის უნარშეზღუდული ბავშვების, მზრუნველობამოკლებული ბავშვების, ომის ვეტერანების მდგომარეობა. ისინი ძალიან მიტოვებულები არიან და თუ შესაძლებლობა მომეცემა, ალბათ, უფრო ამ კუთხით ვიმუშავებდი. უნარშეზღუდული ბავშვებისთვის ერთი სკოლა იყო და ის ერთადერთი სკოლაც კი დაიხურა. ეს, ალბათ, ძალიან დიდი სირცხვილია ქვეყნისთვის, როდესაც ასეთი ბავშვები აბსოლუტურად მოკლებულნი არაინ მზრუნველობას ხელისუფლების მხრიდან. ეს არა მარტო ხელისუფლების, არამედ მთელი საზოგადოების სირცხვილია.

დღეს უკვე დაგვიანებულია პრეზიდენტს, ხელისუფლების წარმომადგენლებს გაუგზავნო ჯორჯ ოურელის „ცხოველთა ფერმა“ წასაკითხად; მეგობარი რომ ვიყო, ვურჩევდი 10 მცნების გახსენებას, იქნებ ჯერ კიდევ არ არის ყველაფერი დაკარგული.

მე მგონია, რომ ხელისუფლება დიდი ხანია ხვდება, რომ წასვლის დროა, უბრალოდ, აღიარება არ სურს; მაქსიმალურად ცდილობენ შეინარჩუნონ და სწორედ ამიტომ გვყავს მოძალადე ხელისუფლება დღეს. რა თქმა უნდა, ისინი ასე ადვილად არ დათმობენ, მაგრამ ჩვენ ძლიერი საერთაშორისო დახმარება გვექნება და რაც მთავარია, ქართველი ხალხი არც ისე მშიშარაა, რომ მოძალადე ხელისუფლებას წინ ვერ დავუდგეთ. საუბედუროდ, ამ ხელისუფლების ძალადობამ თითოეული ქართველის ოჯახში შეაღწია. ითმინა ხალხმა ამდენი, ახლა ალტერნატივა ნახა, ნახა, რომ არსებობს გზა, რომელიც ბედნიერების მომტანი იქნება და როგორ დათმობს. ამიტომ, შესაბამისად, იქნება ძალიან მძფრი ბრძოლა, მაგრამ მე იმედი მაქვს, ჩვენ ყველანი ერთად გავიმარჯვებთ.

ჯერჯერობით ვახერხებ, რომ შვილებს დავუთმო ის დრო, რასაც აქამდე ვუთმობდი, რადგან მამის ყურადღება ძალიან მოაკლდათ და ამას ძალიან განიცდიან. საღამოს ბიძინა რომ ბრუნდება, გვანცა და ცოტნე მოსწრებაზე არიან, რომელი წავა მამასთან ერთად სასეირნოდ. ამით ცდილობენ ყურადღების და სითბოს ანაზღაურებას. მე ვცდილობ, რაც მამის მხრიდან დააკლდათ, შევუვსო, თუმცა ეს შეუძლებელია. ბავშვებმა ძალიან კარგად გაიგეს, რაც ხდება, პატარა ცოტნემაც კი, და მაქსიმალურად ცდლობენ მხარი დაგვიჭირონ. შედეგად, საკმაოდ პოლიტიზირებულებიც გახდნენ. ამ რამდენიმე დღის წინა ბიძინა დაბრუნდა რაღაც შეხვედრიდან, ცოტნე საკმაოდ სერიოზული სახით გამოვიდა და ჰკითხა: ჯონ ბასს შეხვდიო?! ჩვენთვის იმდენად მოულოდნელი იყო, რომ ცოტნემ საერთოდ იცოდა, ვინ იყო ჯონ ბასი, სახტად დავრჩით. ცოტნემ თავიდან გააკეთა რამდენიმე კომენტარი, როცა მე მოქალაქეობა ჩამომართვეს, გაოცებული იყო, როგორ ქართველი აღარ ხარო, ძალიან გაბრაზებული იყო, მაგრამ დღეს სჯერა, რომ მამიკო გაიმარჯვებს, უფრო სწორად, „ქართული ოცნება“ გაიმარჯვებს. და მაქსიმალურად უკეთებს რეკლამას „ქართულ ოცნებას“; მაისურით დადის, კეპი აქვს, კალამი, თავის მეგობრებს და მასწავლებლებს ჩუქნის. ასე, რომ საბრძოლო განწყობა აქვს პატარა ცოტნესაც კი და უფროსებზე საერთოდ აღარ არის საუბარი. უტა არ ჩანს, მაგრამ საკმაოდ აქტიურად არის ჩართული პროცესებში, თან მას პოლიტიკური ამბიციები აქვს. ასე, რომ ბიჭები გვერდში უდგანან მამას.



არ ვიცი, რამდენად შეიძლება ოჯახური ამბის მოყოლა, მაგრამ ბავშვებს, რა თქმა უნდა, ამბიციები გააჩნიათ, ძალიან განსხვავებული ხასიათები აქვთ, ლიდერები არიან. ბერას 11-12 წლის ასაკში ძალიან აღელვებდა ის, რომ მამამისი ასეთი პოპულარული იყო. ბიძინა უხსნიდა, რომ დიდი ხე გახდა და შვილები ჩრდილქვეშ მოიქცია, მაგრამ მათ უფრო მეტი საშუალება ჰქონდათ ამ ჩრდილიდან გაამოსულიყვნენ. ერთი პერიოდი ისიც კი უთხრა მამას, რად გინდოდა ამხელა ხე რომ გახდიო. ამბიციები და ლიდერის თვისებები ოთხივეს აქვს. ბერამ უფრო ადრე გამოავლინა თავისი თავი. მოძებნა ის სფერო, რომელიც მოწონს, რისი ნიჭიც აქვს და შესაბამისად, ძალიან ადრე გახდა პოპულარული. უტას პოლიტიკური ამბიციები აქვს; გვანცა ბერას გზას გაჰყვა, დილიდან საღამომდე დაკავებულია, ბევრს მუშაობს, მღერის, ცეკვავს, ორ ინსტრუმენტზე უკრავს, წელს ამთავრებს კოლეჯს და გამოცდებისთვის ემზადება. ცოტნე ჯერჯერობით ხატავს მარტო. დაბადებიდან ჩვენი მთვარი მიზანი იყო, კარგად გაგვეგო, ჩვენს შვილებს რა სურდათ. ვცდილობდით, გაგვეთვლისწინებინა მათი სურვილები და შეხედულებები. არა აქვს მნიშვნელობა ბავშვი ერთი წლისაა თუ 15-ის, მისი აზრი ყოველთვის მოსმენილი უნდა იყოს და გაგებული. როდესაც ავლენდნენ თვიანთ სურვილებს, გვაჩვენებდნენ გზას, საითაც სურდათ წასვლა, ვითვალისწნებდით მას, ვფიქრობდით, ვკამათობდით, გვაინტერესებდა, რამდენად სერიოზული იყო და შესაბამისად, მხარს ვუჭერდით. ჩვენს ოჯახში მუდმივად დიალოგია. ჩვენთან არ ყოფილა ფაქტი, რომ მშობლები გადაწყვეტენ თავად და ბავშვებმა ეს უნდა შეასრულონ. შესაბამისად, არც გარდატეხის ასაკის პრობლემები შეგვხვედრია. ბავშვები ხომ 7 წლის ასაკშიც მეამბოხეები არიან. ამიტომ ძალიან თბილი დამოკიდებულება გვაქვს, საიდუმლოსაც იოლად მეუბნებიან და ამით ვამაყობ. ერთი გამონათქვამი არსებობს, რომელიც ძალიან მიყვარს და ვცდილობდი ამ პრინციპით მეცხოვრა: „თუ გინდა, რომ შენმა შვილებმა შენს საფლავზე იტირონ, გაუფრთხილდი მათ ცრემლებს დაბადებიდან“. ჩვენ მართლაც ვუფრთხილდებოდი ჩვენი შვილების ემოციებს. ამიტომ იყო, რომ თავიდან ვსწავლობდი ბიოლოგიურზე თბილისში და როდესაც მოსკოვში გადავედი, მე სწავლა განვაგრძე ფსიქოლოგიის განხრით. ვსწავლობდი პედაგოგიურ ინსტიტუტში და ამან საშუალება მომცა, ჩემი შვილები თავისუფლები აღმეზარდა. ალბათ, ჩვენც გვაქვს მცირე ხარვეზები ამ მხრივ, მაგრამ მაქსიმალურად ვცდილობდით, რომ კომფორტი შეგვექმნა შვილებისთვის, ჯანმრთელები აღგვეზარდა, მიგვეცა მათთვის სიყვარული.

ჩვენს შვილებს სახელები საქართველოს საპატივცემულოდ დავარქვით, როცა უტა და ბერა დაიბადნენ, ჩვენ საქართველოში არ ვცხოვრობდით და ამას ძალიან განვიცდიდით. ძალიან გვეშინოდა, შვილებს ქართველობა არ დაკარგვოდა, რამე არ მოხდარიყო ისეთი, რაც საქართველოსთან დააშორებდა ჩვენს შვილებს. არ ვიცოდით, როდის დავბრუნდებოდით, ამიტომ ის საკითხი, რომ ჩვენს შვილებს ქართული სახელები უნდა ჰქონოდათ, პირველი დღიდანვე კამათს არ ექვემდებარებოდა. ამიტომ შევარჩიეთ ძველი, ლამაზი ქართლი სახელები. კარგად მესმის, როგორ უჭირთ საზღვარგარეთ მცხოვრებ ქართველებს, როდესაც ბავშვს, 24 საათი ესმის უცხო ენა, მით უფრო რომ ეს ბავშვი 2-4 წლისაა და ვერ ხვდება, რატომ უნდა ისწავლოს ისეთი ენა, რომელზეც არავინ არ საუბრობს. წარმომიდგენია, რა ძალისხმევა სჭირდებათ ასეთ ოჯახებს, რათა თავიანთ შვილებს ქართული შეასწავლონ. ჩვენც ძალიან გვიჭირდა, მიუხედავად იმისა, რომ ფინანსები იმის საშუალებ გვაძლევდა, გვყოლოდა ქართული ენის პედაგოგები, ქართული ყოფილიყო აქტიური ენა ჩვენს ოჯახში, მაგრამ მაინც ძალიან რთული იყო. იმის შიშით, რომ არ დაგვეკარგა ქართველობა და საქართველო, შვილების სახელებშიც კი გამოვლინდა ეს ფაქტი. სხვათა შორის, სულ ახლახან თემურ ჭკუასელმა გამომიგზავნა „ქართული ფოლკლორის განმარტებითი ლექსიკონი“, სადაც ამოვიკითხე, რომ ბერა არის პერსონაჟი, რომელიც თავისი ცეკვით და სიმღერით ართობს საზოგადოებას. ძალიან გამეხარდა და მერე ბერასაც წავუკითხე, სცოდნოდა, რას ნიშნავს მისი სახელი.

ოთხივე ლიდერია, ერთმანეთში ფარული კონკურენცია არსებობს. ფარულს ვერ ვიტყვი, უფრო მსუბუქი, ეხმარებიან კიდეც ერთმანეთს. მაგრამ, რა თქმა უნდა, ბავშვები არიან, კონფლიქტიც მოსდით და შეკამათებაც. ბერას გვანცაზე აქვს შეფობა აღებული, ახლახან ასწავლა, მუსიკაზე ტექსტი როგორ უნდა დაწეროს. გვანცა ბავშვობიდან წერს ლექსებს სამ ენაზე. ძალიან ლამაზი ლექსები აქვს და ახლა ბერამ ასწავლა, სიმღერად როგორ დაწეროს. სხვათა შორის, დღეს გვანცას დაბადების დღეა, 15 წლის გახდა, ბერა უმზადებს რაღაც სიურპრიზს. ეს პირველი შემთხვევაა, როცა მშობლები არ ვიღებთ მონაწილეობას.

დარწმუნებული ვარ, ღირდა ჩრდილიდან გამოსვლა, დარწმუნებული ვარ, რომ 2012 წლის ოქტომბერში ჩვენ აუცილებლად გავიმარჯვებთ! პროცესი დაიწყო და ვერ შეჩერდება. რატომ გამოვედით და ეს ვალდებულებაა. ბიძინამ კარგად თქვა ერთხელ, შეუძლებელია ადამიანი იყოს ბედნიერი, რა ქონებაც არ უნდა გააჩნდეს, თუ მისი სამშობლო, მისი თანამემამულეები არიან გაჭირვებულები. თუკი ქვეყანაში არსებობს თუნდაც ერთი ადამიანი, რომელსაც ეშინია ხვალინდელი დღის გათენების. რომელსაც ეშინია შვილის ავდმყოფობის, რადგან არა აქვს საშუალება, რომ ექიმთან წაიყვანოს. შეუძლებელია ასეთ ქვეყანაში ადამიანმა იცხოვროს ბედნიერად. ეს ვალდებულებაა, ყველამ თავისი გასაკეთებელი უნდა გააკეთოს. თუ ბიძინამ იტვირთა ეს საქმე, ეს ბიძინამ უნდა დასრულოს, მაგრამ თითოეულმა ქართველმა დღესვე უნდა გაარკვიოს, როგორი სამშობლო უნდა და 2012 წლის ოქტომბერში, საარჩევნო ყუთთან თავისი გადაწყვეტილება დაფიქსიროს, როგორი მომავალი საქართველო უნდა. ყველამ საკუთარი წილი პასუხისმგებლობა უნდა ვიტვირთოთ, რადგან ერთი კაცი ყველაფერს გააკეთებს, როგორც არ უნდა მონდომოს, რამდენი თანხაც არ უნდა დაახარჯოს ქვეყანას, თუ ქვეყანა ერთ მუშტად არ გაერთიანდა. მჯერა, ქართული ოცნების ასრულება აუცილებლად დაიწყება ოქტომბრიდან.

იხილეთ „საერთო გაზეთი“
ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

# ომი იწყება?

არსებობს ასეთი გამოთქმა: „ომი დამთავრდა, მშვიდობის გეშინოდეთ!“ და, მართლაც 90-იანი წლების სამოქალაქო ომის დამთავრების შემდეგ, თითქოსდა მშვიდობიან საქართველოს, სამაჩაბლოს და აფხაზეთის დაკარგვის შემზარავი პერსპექტივა, მეხივით უეცრად დაატყდა თავს!

დაარტყდა და ახალი ომიც დაიწყო... დაიკარგა აფხაზეთი! რიგში კი სამაჩაბლოც დადგა მავანთა გეგმის მიხედვით და აი, 2008 წლის აგვისტოს ერთ მშვიდობიან ღამეს, სააკაშვილის მოღალატე ხელისუფლებამ – 143 ქართული სოფელი, უვადო პერსპექტივით მამა-პაპათა ნასახლარიდან რამდენიმე საათში აჰყარა და ე.წ. „გეტოებში“ უვადოდ გამოკეტა!

არადა, მაშინაც თითქოსდა მშვიდობა იყო...

ახლაც ვითომ მშვიდობაა, მშვიდობიანი და უღრუბლო, მაგრამ ქართველებად წოდებულ ხელისუფალთ, მაინცდამაინც ზაფხული რომ ურჩევნიათ საქართველოს ნაწილ-ნაწილ დასაგლეჯად, ახალი ამბავია?

მართალია, 2012 წლის ზაფხული რამდენიმე დღის დაწყებულია, მაგრამ სააკამ, ამჯერად უკვე ლიტვის რესპუბლიკიდან, არათუ ქართველებს, არამედ სრულიად მსოფლიოს გასაგონად, საქართველოში (ანდა, საქართველოსთვის) ახალი ომის დაწყების თარიღი ოფიციალურად გამოაცხადა და ამ ახალი ომის დასაწყისად ის დღეები დაასახელა, რომელიც რუსეთის ფედერაციის სამხედრო მთავარსარდლობამ, საშემოდგომო სამხედრო წვრთნებისთვის დაგეგმა!

გაუთვითცნობიერებელი ადამიანი, გულუბრყვილოდ უკითხავს: – კი, მაგრამ რუსების სამხედრო სწავლებები ჩვენთან რა კავშირშიაო? – და მართალიც იქნება, მაგრამ პოლიტიკაში კარგად ჩახედულებს, ხომ მშვენივრად მოეხსენებათ, რომ რუსეთ-საქართველოს კულუარულ ურთიერთობებში, შემთხვევითი არარაფერი ხდება?

პირადად მე, უკვე დავიღალე იმის წერით, რომ დამოუკიდებელი საქართველოს 20 წლიან პერიოდში, სწორედაც რომ რუსეთის ინტერესების სასარგებლო საქმიანობას ეწეოდა საქართველოს ყველა უმაღლესი ხელისუფალი და მათთან სამსახურებრივ კავშირში მყოფი ყველა ჩინოვნიკი, მაგრამ 2003 წლის ნოემბრის შემდეგ, რუსული ინტერესების ახალი შემსრულებელი, ვითომ დემოკრატი და სინამდვილეში კი „კგბ“-ს ჩინოსანი, მიშა რომ დაგვინიშნეს პრეზიდენტად, განა უარესის მოლოდინი არ უნდა გვქონოდა? იმის წერითაც დავიღალე, რომ ოკუპანტად შერაცხულ რუსებს, სააკაშვილმა და მისმა დამქაშებმა, ყველა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი სტრატეგიული ობიექტი საკუთარი ნებით ჩაუგდეს ხელში და დღეს რომ მთლიანად საქართველოს ახალი ტერიტორიულ-სახელმწიფოებრივი პრობლემები ხელოვნურად გაუჩინოს, უნდა გაგვიკვირდეს?

პირადად მე, არც არაფერი გამიკვირდება, მაგრამ ძალიან ბევრ პოლიტიკოსს, ძალიან ბევრ რიგით მოქალაქეს აბა მაშ, რატომ უკვირს – როგორ, განა საკუთარი ქვეყნის ინტერესების წინააღმდეგ წავა სააკაშვილიო?



წავააა? წავა კი არა, დიდი ხანია ასე ირჯება იმიტომ, რომ რუსეთის მარიონეტია და სამხრეთის რეგიონში, რუსეთის ინტერესებიდან გამომდინარე, როცა გაგეხარებათ მაშინ დაანთებს კოცონს!

ასე იყო 2004 წელს, ასე იყო 2008 და ასე იქნება 2012!

ხომ გახსოვთ, 2008 წელს, რუსეთის 58-ე არმიის წვრთნები ჩატარდა და რამდენიმე კვირაში, სააკამ ისეთი „პადაჩა“ გატყორცნა ცხინვალის მიმართულებით, რომ „ტოპკამაც“ არ დააყოვნა, მედვედევ-პუტინის მხრიდან! ოღონდაც „ზემო აფხაზეთის“ „სამხრეთ ოსეთის“ მატჩები იქამდე მოგვიგეს რუსებმა და ამ გაყიდული თამაშის მთავარი არბიტრი, მაშინ „რევოლუციით“ მოსული ნინოია ბურჯანაძე გახლდათ, რომელიც დღეს თურმე სააკაშვილის ოპოზიციაშია, მაგრამ პუტინთან ისევ დაქალობს? არადა პუტინი და სააკაშვილი ერთი და იგივე ინტერესებს რომ ემსახურებიან, ანუ რუსული სახელმწიფოს გაძლიერების ინტერესებს, ნინო ამ შემადგენლობაში, რა შუაშია? მე თუ მკითხავს ვინმე, იმ შუაშია, რომ ქალბატონი ბურჯანაძე-ბიწაძე, რუსეთის საამებლად – მიშას საპრეზიდენტო ვადებს უსასრულოდ წელავდადა გაყალბებულ არჩევნებს, დემოკრატიულად იმიტომ ნათლავდა, რომ რუსეთს სააკაშვილი აწყობდა და ხომ არ აწყენინებდა მათ? 2011 წლის 26 მაისამდე და 26 მაისის შემდეგაც აწყობდათ კრემლში სააკაშვილი და იმ სისხლიანმა ღამემაც, მიშას გახანგრძლივებას რომ შეუწყო ხელი – შემთხვევითია? არც ის იყო შემთხვევითი, რომ ე.წ. ოპოზიციურად წოდებულმა მარიონეტების ჯგუფმა, კრემლისავე სასარგებლოდ, საკუთარი თანამოძმეები ნახირივით აქეთ-იქით ატარა, ყინვასა და ქარში, სულში ჩააფურთხა და სააკაშვილი, პუტინის გულის გასახარად – ხელისუფლებაში ისევ დატოვა! მეტიც, აშკარად მოღალატებრივი ქმედების შემდეგ, 2008 წლის აგვისტოში, – სააკაშვილს მორატორიუმი გამოუცხადეს და ვითომც არაფერი მომხდარაო, „მშვიდობის ჯაჭვში“ ისე იძლეოდნენ ინტერვიუებს, თითქოს ომი სააკაშვილმა კი არა, ჩვენ, რიგითმა ადამიანებმა დავიწყეთ და მიშაც ხელისუფლებაში, ჩვენივე წყალობით დარჩა!

როცა ქვეყანაში რეალური ოპოზიცია არ გვყავს, როცა ქვეყნის საკანონმდებლო, სასამართლო, აღმასრულებელი და ელექტრონული მედიის უდიდესი ნაწილიც ავტორიტარი ხელისუვფლების მეხოტბეა, რა გასაკვირია, რომ ყოველ 4 წელიწადში ქვეყანა ერთი კაცის მიერ ინსპირირებული ომებით ცხოვრობდეს და ამის გამო რეალური პროტესტი არავის უჩნდებოდეს? ნიშანდობლივია ისიც, რომ ამ „ერთ კაცთან“, სწორედ რომ ომისწინა პერიოდში მოილტვიან სხვადასხვა ქვეყნების მაღალი ჩინები და დახურულ კარს მიღმა, რაზე საუბრობენ ჩვენ ვერასოდეს ვიგებთ! არადა, კონცერტებით, ქეიფებით და არაფრისმთქმელი განცხადებების მიღმა, თითქმის ყოველთვის საქართველოსთვის დამღუპველი სცენარი განიხილება და რატომღაც, ისეც ხდება – ხანმოკლე მშვიდობის შემდეგ, კვლავ ომის წინაშე აღმოვჩნდებით ხოლმე!

„საერთო გაზეთის“ მკითხველს კარგად მოეხსენება, რომ ჩვენ, ჩვენს სამშობლოში თუ მის სამეზობლო ქვეყნებში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს, ყოველგვარი მიჩუმათების და ზერელე ანალიტიკური მიმოხილვის გარეშე, შეულამაზებლად გთავაზობთ, მაგრამ სახელისუფლებო ტელევიზია-გაზეთები, თუნდაც ირანში, თუნდაც სომხეთში და თუნდაც აზერბაიჯანში მიმდინარე, არცთუ ჩვენთვის დამაიმედებელ პოლიტიკურ პროცესებს რომ აჩუმათებენ, როგორ ფიქრობთ, ვალდებულნი არ არიან, საკუთარი აუდიტორიია საქმის კურსში ამყოფონ? ანდა, ეს „ჩვენი ოპოზიცია“, და მისი ისტორიკოსი, იურისტი თუ ეკონომისტი ლიდერები, ჩვენს გარშემო განვითარებულ, წინასაომარ საშიშროებაზე რატომ სდუმან? რატომ უნდა იგებდეს მოსახლეობა მხოლოდ ინტერნეტით, რომ საქართველოდან ორ ნაბიჯში, კერძოდ კი სომხეთ-აზერბაიჯანში ომი დაიწყო, დაიხოცა ხალხი და ფართომასშტაბიან საომარ მოქმედებებამდე, სულ რაღაც რამდენიმე საათიღა რჩება? ვინც ფიქრობს, რომ ყარაბაღში განახლებული კონფლიქტი, ამჯერადაც რამდენიმე სოფლის დასაბრუნებლად დაიწყო, ძალიანაც ცდება, რადგან დიდი ალბათობით ამ ომის შემდგომი ესკალაცია ჯაჭვური რეაქციით რუსეთსაც, თურქეთსაც და თუ გნებავთ ირანსაც, რომელიც უკვე დიდი ხანია ომისთვის ემზადება, ისევე როგორც ომისთვის მზად არიან ისრაელი და ამერიკის შეერთებული შტატები! მეტიც, საომარი გეგმა უკვე დამტკიცებულია ამერიკის მხრიდან, ისევე როგორც ისრაელის სახელმწიფოს მხრიდან და ახლა მხოლოდ, კონკრეტული თარიღის შერჩევაზე და შესაფერის დროზე მიმდინარეობს ბჭობა! ვისაც ჰგონია, რომ ჰილარი კლინტონის „კავკასიის ტურნე“, მხოლოდ სააკაშვილის, ალიევის და სარქისიანის მონახულებას ემსახურებოდა, ძალიანაც შემცდარა იმიტომ, რომ – სწორედ კლინტონის ვიზიტისას, გავარდა პირველი ტყვია ყარაბაღში და დღემდე ვერავის გაურკვევია, რომელმა მხარემ განახორციელა ეს! ანუ აზერბაიჯანი სომხეთს ადანაშაულებს, სომხეთი აზერბაიჯანს და ამასობაში კი, ორივე მხარე, დიდი ალბათობით ფართომასშტაბიან კონფლიქტში ერთვება, რაც რეგიონში გეოპოლიტიკური ინტერესებიდან გამომდინარე, არამხოლოდ რუსეთს, არამედ ამერიკას, ისრაელს და ევროკავშირსაც ძალიან აწყობთ! სხვათაშორის 2008 წლის ომის წინ, საქართველოში ასევე ქალბატონი კონდოლიზა რაისი იმყოფებოდა და ახლა თავად განსაჯეთ იყო თუ არა, ეს დამთხვევა შემთხვევითი?



„საერთო გაზეთი“ თავის მკითხველს ამ ერთიოდე წლის წინ იმასაც აუწყებდა, რომ სააკაშვილის ხელისუფლებას, რუსეთის ხელისუფლებასთან ძალიან მჭიდრო, კულუარული მოლაპარაკებები ჰქონდა რეგიონში შექმნილი ფეთქებადსაშიში ვითარების გამო და შესაძლოა, სწორედ ამ მოლაპარაკებებიდან რამდენიმე თვეში, სააკაშვილის დედის ძმა, თემურ ალასანია საგარეო საქმეთა მინისტრის, გრიშა ვასაძის თანაშემწედ იმიტომაც დაინიშნა, რომ რუსეთისათვის სასარგებლო საქმიანობით დაკავებულიყო აქ! მართალია, მიშა რუსეთის სატელიტია, ისევე როგორც მისი ორმაგი მოქალაქეებით გადაჭედილი საქართველოს მთავრობა, მაგრამ მოსკოვს ამ ვითარებაში მაინც გამოცდილი, დაღვინებული „კგბეშნიკი“ უფროსი ეიმედება, ვიდრე „ნაცების“ ახალგაზრდული ხელისუფლება და თუკი ომი მართლაც დაიწყო, მხოლოდ მაშინ შევიტყობთ ეს საკადრო დანამატი რისთვის დასჭირდათ „იმათაც“ და „ამათაც“.

„საერთო გაზეთმა“ ორიოდე კვირის წინ, გამოაქვეყნა იმ გაყიდული ენერგოობიექტების არასრული სია, რომელიც საქართველოში რუსეთის ფედერაციის ბიზნესწრეებს ეკუთვნით! ჩამოვთვალეთ, ვის ეკუთვნოდა რეალურად ქართული წყალი, ენერგეტიკა, გაზი, საზღვაო პორტები, წიაღისეული სიმდიდრეები და ა.შ. მაგრამ მეტი სიცხადისთვის, ალბათ უნდა გვეხსენებინა, რომ ზუსტად იგივე ვითარება შექმნა რუსეთმა სომხეთშიც, აზერბაიჯანშიც და ამდენად, უნდა ვივარაუდოთ, რომ საკუთარი „მონაპოვარის“ შესანარჩუნებელ ბრძოლას რუსეთი, არც ამ შემთხვევაში დათმობს! ე.ი. რადგან მსოფლიო ენერგო ომების ახალ სტატიაში გადადის, იმაზეც უნდა დავფიქრდეთ, რომ გეოპოლიტიკურ გზაჯვარედინზე მყოფ საქართველოსაც არ დაადგება კარგი დღე და ამისთვის მზად უნდა ვიყოთ!

მოსალოდნელი საფრთხე კი, უპირველესად იმას გულისხმობს, რამდენად გონივრულად იმოქმედებს ქართული საზოგადოება და რამდენად გააკონტროლებს იგი, მარიონეტი ხელისუფლების ყოველ ნაბიჯს?! აგრეთვე რამდენად შესწევს უნარი, აკონტროლოს ე.წ. ოპოზიცია, რომელიც ნებსით თუ უნებლით, ყოველთვის ხელისუფლების ანუ კრემლის თამაშს თამაშობს?!

თუკი რუსეთმა სომხეთის და პარალელურად ირანის დასახმარებლად 58-59 და აფხაზეთში განლაგებული საჯარისო ნაწილები, ჩვენს ტერიტორიაზე გამოატარა და სამხედრო კორიდორი ძალით გაჭრა, წარმოგიდგენიათ რა შეიძლება მოხდეს? ნუთუ, ვინმეს იმის ილუზია აქვს, რომ „შეშფოთების“ გარდა, სხვა სახის დახმარებას გაგვიწევს ვინმე? ანდა, განა ქართულ ჯარს, იმის უნარი შესწევს, წინ აღუდგეს მსოფლიო პოლიტიკის „მამათა“ განზრახულობას?

რაც შეეხება კითხვას – რა გზა უნდა აირჩიოს საქართველომ, თუკი სამხრეთში ვითარება უკიდურესად დაიძაბა? პასუხი ერთია – სააკაშვილი უდიდესი ალბათობით კრემლის დირექტივებს დაემორჩილება და შესაძლოა ისეც მოხდეს, რომ სომხეთ-ირანისკენ მიმავალ რუსის ჯარს, არათუ წინააღმდეგობა არ გაუწიოს, არამედ პირიქით, ქართველი ჯარისკაცებიც გააყოლოს უკან, საკუთარი სკამის შესანარჩუნებლად!

არ ვიცი რატომ, მაგრამ ამ ბოლო დროს სულ ლაგოდეხის ერთ-ერთ სოფელ მსხალგორში, სისხლის ცრემლებით მტირალ ღვთისმშობლის ხატზე ვფიქრობ და ღმერთო აგვარიდე განსაცდელი და დაიფარე საქართველო, ამჯერად უკვე სხვას ომებში შესაძლო ჩართულობისგან!

**ირინე გოგოსაშვილი**

იხილეთ „საერთო გაზეთი“
ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

# `borotsa sZlia keTilman...~

***„10 ივნისს ქუთაისში ჩატარებული „ქართული ოცნების“ მხარდამჭერ აქციას მეც ვესწრებოდი და ძალზე კარგი შთაბეჭდილება დამრჩა, რადგან ქუთაისის სინამდვილეს რომ არ მოსწრებია, იმ რაოდენობის ხალხი გამოვიდა. ეს კი იმის მანიშნებელია, რომ არსებობს მუხტი და საერთო სურვილია რათა ეს ხელისუფლება უფრო დადებითი, ქვეყანაზე მზრუნველი ხელისუფლებით შეიცვალოს“, — განუცხადა „საერთო გაზეთს“ მწერალმა მერაბ შათირიშვილმა.***

**მერაბ შათირიშვილი:** „ჩვენი მოსახლეობა კარგად ხედავს, რომ ნაცხელისუფლებამ საქართველოში სიკეთის კეთება აკრძალა, ხოლო სიკეთის ჩამდენს, მკაცრად სჯის. ერთ ჩემ იმერელ მეგობარს დავესესხები გამონათქვამს, რომელიც მარტო ჩემი კი არა, ბევრი ღირსეული ქართველის მეგობარი და სიკეთის მკეთებელი კაცია: რომ ქვეყანა, სადაც სიკეთის კეთება იკრძალება, ჩათვალეთ, რომ ის ქვეყანა არ არსებობს. ეს არის უბედურება. ხელისუფლებავ, შენ თვითონაც აკეთე სიკეთე, სხვას აჯობე ამაში. ბიძინა ივანიშვილი თუ სიკეთეს აკეთებს, რატომ უკრძალავ, იმაზე იზრუნე, რომ შენ აჯობო სიკეთის კეთებაში. ელემენტარული ჭეშმარიტებაა, რომ სიკეთეს ბოროტება ებრძვის. აქედან გამომდინარე, ეს ხელისუფლება ბოროტებაა, ხოლო სიკეთე — „ქართული ოცნება“ და მის გვერდით მოაზრებული ამომრჩეველია, ვინც იმედის თვალით შეჰყურებს „ქართულ ოცნებას“ და მის ხელმძღვანელ ბიძინა ივანიშვილს. თუ სიკეთემ არ გაიმარჯვა ბოროტებაზე, თუ სიკეთე დასაშვები არ გახდა ამ ქვეყანაში, ჩათვალეთ, რომ დავიღუპებით. აი, ამ სიკეთის კეთების სურვილით გამოსული ხალხი იყო 10 ივნისს ქუთაისში, ხოლო 27 მაისს თბილისში, თავისუფლების მოედანზე“.

**- ბატონო მერაბ, მედიის ცნობით ქუთაისში აქციაზე 50.000 კაცი იყო გამოსული. თუ „ნაცმოძრაობის“ მთავარ „დამრტყმელ“ აკაკი ბობოხიძეს დავუჯერებთ, იქ ქუთაისელები არ მისულან, თბილისიდან და სხვა რაიონებიდან ჩამოსული ხალხი იყო. ისე, რა მნიშვნელობა აქვს საიდან იყვნენ ჩასული, მაგრამ მაინც რამდენად ღაღადებს სიმართლეს ბობოხიძე?**

- ასე, მეც თბილისიდან ვიყავი ჩასული, იქ იყვნენ სოსო ჯაჭვლიანი, ლუკა კურტანიძე, ზურაბ ზვიადაური თავისი მოჭიდავეებით, სხვა სპორტსმენები, სურვილის მიხედვით სხვა რაიონებიდანაც იყვნენ ჩამოსულნი, მაგრამ ეს მაინც უმნიშვნელო რაოდენობაა, რაც არ უნდა გაბერონ 1000-ზე მეტი არ იქნება, თუმცა, სხვადასხვა რაიონიდან რამდენიც არ უნდა ჩაიყვანო, ისეთ დიდ ქალაქში, როგორიც ქუთაისია, ასეთ სიმრავლეს ვერც ერთ შემთხვევაში ვერ შეკრებ. რა თქმა უნდა, იქ ძირითადად ქუთაისელები იყვნენ.

**- „ქართული ოცნების“ მიერ მაჟორიტარობის კანდიდატებში ისეთი ადამიანებიც არიან, ვისაც მოსახლეობა მაინცდამაინც პატივს არ სცემს და არ ენდობა, როგორ ფიქრობთ, ეს არჩევნების შედეგებზე უარყოფითად არ იმოქმედებს? არადა, ეს ხელისუფლება სწორედ მაჟორიტარებით მანიპულირებს.**



- არ შემიძლია სიმართლე არ ვთქვა. მე „ქართული ოცნების“ ფრთის ქვეშ შეყუჟულ ბევრ მედროვე ადამიანს ვხედავ. ეს ყოველთვის მოსდევს ისეთ მოვლენებს, რაც დღეს ხდება საქართველოში, ეს არის მშვიდობიანი რევოლუცია და ასეთ „მოდანდალე მედროვეებს“ ჩვენ ბევრჯერ წავაწყდებით, მაგრამ მიხეილ სააკაშვილისა და ნაცმოძრაობის პოლიტიკური სარბიელიდან გასტუმრების შემდეგ, ამასაც უნდა მოეღოს ბოლო.

ჩვენ ბიძინა ივანიშვილს ავტორიტეტების გადამოწმებას ვერ მოვთხოვთ. მას ჰგონია, რომ ის ადამიანები, რომლებმაც კომუნისტების დროიდან მოყოლებული შეიქმნეს ავტორიტეტი კინემატოგრაფიაში, მწერლობაში, ხელოვნებაში და კულტურის სხვა სფეროებში, მხოლოდ სამშობლოსთვის გააკეთებენ რაიმეს. ბატონი ბიძინა საკუთარი თავიდან გამომდინარე საზღვრავს ასე. მე მას ხმამაღლა ვეტყოდი, რომ ასე არ არის. ყველაზე ვერ ვიტყვი, მაგრამ ბევრი მათგანს სააკაშვილის დროსაც ვხედავდი, შევარდნაძის დროსაც და ზვიად გამსახურდიას დროსაც. ამ სნობიზმს ერთხელ და სამუდამოდ ბოლო უნდა მოეღოს. „ქართული ოცნების“ მაისურიანი ბევრი ისეთი ადამიანი დავინახე, რომლებსაც ეს მაისური იმიტომ კი არ აცვია, რომ „ქართული ოცნების“ გეგმების განხორციელებისთვის იკლავს თავს, უბრალოდ აქედან სარგებლის მიღებას ელოდება. მე თუკი ჩემს სამშობლოს ვემსახურები, ჩემთვის დიდი პატივი იქნება თუ მას გავათავისუფლებ ისეთი დიქტატორი, მშიშარა, გარყვნილი ხელისუფლებისგან, რომელიც სააკაშვილთან მოიაზრება. ეს არის პირადად ჩემთვის მიღწევა და არ აქვს მნიშვნელობა ტრიბუნაზე ვიდგები თუ ხალხის რიგებში. როცა მიზანს მივაღწევ, კანონი იკანონებს, სასამართლო, პრესა და ბიზნესი იქნება თავისუფალი, მერე შევეცდები ჩემი ნიჭის განხორციელებას. მე იმ მედროვეებს, რომლებსაც ჰგონიათ, რომ ქართული საზოგადოება ვერაფერს ხედავს, ვეტყოდი, რომ ჯერ ჯარისკაცობა იკმარონ, მერე განავითარონ თავიანთი ნიჭი თუ აქვთ. იმერეთში რამდენიმე მაჟორიტარია, არ მინდა მათი ვინაობის დაკონკრეტება, რომლებიც წინასწარ ვიცი, რომ ვერ მოიგებენ ამ არჩევნებს, რადგან იმ რაიონში არ უყვართ. დარწმუნებული ვარ იმ რაიონებში კოალიციას ხმას მისცემენ, რადგან იქ ბატონი ბიძინას გვარი ფიგურირებს, მაგრამ მაჟორიტარებს არა. მე იმის მეშინია, რომ მაჟორიტარების შემთხვევაში დამარცხება, უმრავლესობით არ შეიყვანს „ქართულ ოცნებას“ პარლამენტში.

**- ბატონო მერაბ, როგორ მოგწონთ იდეა იმის შესახებ, რომ კოალიციას „ბიძინა ივანიშვილი - „ქართული ოცნება“ დაერქვას?**

- მე და თქვენი რედაქტორი მეგობრები ვართ და ხშირად გვისაუბრია იმაზე, რომ ყველა შემთხვევაში, იმის მიუხედავად, ბატონი ბიძინა გახდებოდა თუ არა საქართველოს მოქალაქე ამ კოალიციას მისი სახელი უნდა წამძღვარებოდა. იგივე მოსაზრება სხვებისგანაც მომისმენია.



ნამდვილად მიხარია, რომ ბიძინა ივანიშვილის და საზოგადოების აზრი ასე სასიამოვნოდ დაემთხვა ერთმანეთს.

**- ბიძინა ივანიშვილმა „ასავალ-დასავალისთვის“ მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ ყველა ნამდვილ ოპოზიციურ პარტიასთან ითანამშრომლებს. ქართული საზოგადოებაც ერთიანი ეროვნული ფრონტის შექმნას ითხოვს. როგორ შეაფასებთ მის ამ მოსაზრებას?**

- მე მივესალმები მის ამ სურვილს, მას ასე ღიად და გარკვევით ჯერ არ დაუფიქსირებია თავისი პოზიცია და ეს ექსკლუზივი იყო „ასავალ-დასავალში“. ის ამბობს, რომ მნიშვნელობა არ აქვს ოპოზიციური პარტიების სიმრავლეს და გავლენას, თუ ეს ადამიანები და პარტიები ნამდვილად ოპოზიციურია და რეალურად ებრძვიან სააკაშვილის ხელისუფლებას, მათ აუცილებლად გავაერთიანებ, შეიძლება ისინი კოალიციაში არ შემოვიდნენ, მაგრამ ჩვენ ვითანამშრომლებთო. მე მივესალმები „სახალხო კრების“ წარმომადგენლებთან შეხვედრისას გაკეთებულ მის იმ განცხადებასაც, რომ დარწმუნებული ვარ ნინო ბურჯანაძე ნამდვილად ებრძვის მიხეილ სააკაშვილს, მაგრამ ჩვენი შეხედულებები და პოლიტიკური პლატფორმა ერთმანეთს არ ემთხვევაო. ბატონი ბიძინა ახლა ზემოხსენებულ ინტერვიუში აცხადებს, რომ მიუხედავად ჩვენი პოლიტიკური პლატფორმისა და განსხვავებულობისა, საერთო ენას მაინც გამოვნახავთ ერთიან ბრძოლაშიო. რაც იმას ნიშნავს, რომ მას პოლიტიკური მოლაპარაკებები ექნება, როგორც ქალბატონ ნინოსთან, ისე კახა კუკავასთან და სხვა პოლიტიკურ ძალებთან. ეს ნამდვილად გაკეთდება, რადგან ბიძინა ივანიშვილი სიტყვებს ჰაერში ტყუილად არ ფანტავს. მან ისიც თქვა, რომ ისეთი ადამიანები, როგორიც ქალბატონი ნონა გაფრინდაშვილი, სოსო ჯაჭვლიანი და ლუკა კურტანიძე არიან, თუ ისინი გამოთქვამენ სურვილს, რომ იქ სადაც შეუძლიათ გამარჯვება მაჟორიტარებად მოიაზრონ საკუთარი კანდიდატურა, ჩვენი კანდიდატები რომც გვყავდეს, მოვხსნით და მათ გვერდით დავუდგებითო. ძალიან მნიშვნელოვანი განცხადებაა!

**- 30 მაისს საზოგადოებრივი მოძრაობა „ეროვნულები“ დაფუძნდა, რომლის დამფუძნებელთა შორის თქვენც იყავით. თქვენმა ორგანიზაციამ ქუთაისში მომხდარ ტრაგედიასთან დაკავშირებით, პრეზიდენტად წოდებულ სააკაშვილს იმპიჩმენტი გამოუცხადა. იქნებ ამ საკითხზე უფრო კონკრეტულად ვისაუბროთ?**

- ამ იმპიჩმენტზე ვერაფერს მოგახსენებთ, ჩემთან შეთანხმებული არ ყოფილა, რადგან ოჯახური მიზეზების გამო „ეროვნულების“ ხელმძღვანელობასთან ურთიერთობას ვერ ვახერხებდი. მე ვინც მიცნობს, ყველას კარგად მოეხსენება, რომ ყველა ფრონტზე ვიბრძოლებ, თუმცა იმას ვერ ვიტყვი, რომ ეშმაკსაც შევეკრები. ეშმაკის წინააღმდეგ კი, ვგულისხმობ ამ ხელისუფლებას, ჩემი შესაძლებლობების ფარგლებში ყველა ფლანგზე ვიბრძოლებ, მარტოც რომ დავრჩე, ამ გეგმას მაინც განვახორციელებ ყოველგვარი პოლიტიკური ამბიციების და პირადი ინტერესების გარეშე. ჰელსინკის ჯგუფზე, ეროვნული მოძრაობის დარჩენილ ნაწილზე, რომელიც ცდილობს ამ საერთო საქმეში ჩართვას, პირადად მქონდა საუბარი ბატონ ბიძინა ივანიშვილთან, მე „ქართული ოცნების“ დამფუძნებელი ყრილობის დელეგატი გახლავართ, მიუხედავად ამისა, ამ საზოგადოებრივი მოძრაობის დაფუძნებაში ჩემს მეგობრებთან ერთად, ჩემი გარკვეული წვლილიც შევიტანე. ამ საზოგადოების ერთ-ერთ ხელმძღვანელადაც დამასახელეს, რაც, ალბათ, მათი მხრიდან პატივისცემის გამომჟღავნება იყო იმასთან დაკავშირებით, რომ გულით და სულით შევეცადე ამ ფლანგის გაძლიერებას. თუ დავჭირდები, მათ გვერდით დავდგები, იმ ჯგუფის გვერდით, რომელიც ებრძვის ხელისუფლებას, თუკი ეს ბრძოლა „ქართული ოცნების“ ერთიან ბრძოლასთან ასოცირდება.

**- ბატონო მერაბ, პოლიტიკურად საკმაოდ აქტიური პიროვნება ხართ, ცოტა ხნის წინ განაცხადეთ, რომ თქვენს კუთვნილ ავტომანქანას გაყიდდით და ამოღებულ თანხას „ქართული ოცნების“ ანგარიშზე შეიტანდით. ამ მასობრივი რეპრესიების ფონზე არ შეგეშინდათ? როგორც შევიტყვე ამ განცხადების შემდეგ ავტოავარიაში მოყევით. ეს ყველაფერი თქვენს აქტივობას ხომ არ უკავშირდება?**

- მე მართლაც ხმამაღლა გავაჟღერე, რომ ჩემს პატარა და ძველ „ფორდ-ესკორტს“, რომელიც, სხვათა შორის, ჩემი ერთადერთი ქონება იყო, გავყიდდი და ამ ფულს „ქართული ოცნების“ ანგარიშზე შევიტანდი. მე არ ვარ ის კაცი, რომ ამ ავტოავარიას რაიმე პოლიტიკური სარჩული დავუდო. თამარ მეფის გამზირზე შუქნიშანთან ვიდექი, როდესაც ორჯერ დამეჯახა ჩემს უკან მდგომი მიკროავტობუსი. ამ ბიძგებმა ჩემს წინ მდგარ ავტომანქანაზე მიმაგდო, რის გამოც ჩემი ავტომანქანის წინა და უკანა მხარე ისე დაზიანდა, რომ კაპიკად აღარ ღირს. მიკროავტობუსს თურმე უკნიდან ჯიპი დაჯახებია, რომელსაც ერთი კარგი ადამიანი მართავდა. მისი ვინაობის გამხელა არ მინდა. გაირკვა, რომ ის ნასვამ მდგომარეობაში იყო. ასე რომ, ეს შემთხვევითი ავტოავარია იყო, პოლიტიკურ მოტივებს სრულიად გამოვრიცხავ.

**მანანა სუხიშვილი**

# qarTvelebi, pirvel rigSi, koloniuri fsiqologiisgan unda gavTavisufldeT...

*გვესაუბრება „თავისუფალი საქართველოს“ ლიდერი **კახა კუკავა***

**— კახა, კლინტონის ვიზიტი ბევრისთვის იმის მანიშნებელი აღმოჩნდა, რომ სააკაშვილს ცუდი არაფერი ემუქრება. ოპოზიცია გაიძახის სამართლიანი არჩევნები ჩატარდება, მიშა თითს ველარ დაგვაკარებსო. როგორ ფიქრობთ, რა შეცვალა ამ ვიზიტმა?**

— მსოფლიო ისტორიას თავისი კანონზომიერებები აქვს დაამაზე მაღლა ვერანაირი ჭორები, კულუარები ვერ დადგება. კანონზომიერება ამ მოცემულობაში არის ის, რომ იმპერია თავის მა-



რიონეტულ რეჟიმს, კოლონიურ ადმინისტრაციას თავად არც ერთ ქვეყანაში არ ამხობს. საქართველოსთან მიმართებაში ემოციებით დატვირთულნი და, აქედან გამომდინარე არაობიექტურნი ვართ. მაგრამ, მოდით, ერთი წუთით წარმოვიდგინოთ, რომ საქმე საქართველოს კი არა, სხვა რომელიმე ქვეყანას ეხება. მაგალითად, წარმოვიდგინოთ, რომ ჰილარი კლინტონი ავღანეთში ჩავიდა და რატომღაც მხარი დაუჭირა არა კარზაის, არამედ გაემგზავრა ადგილობრივი ოპოზიციის — თალიბებისა თუ ალქაიდას მხარდასაჭერად. ეს ხომ ნონსესია. ყველას ძალიან კარგად უნდა გვესმოდეს, რომ ამერიკა კლასიკური იმპერიაა, ისევე როგორც თავის დროზე რომი, ბრიტანეთი და ა.შ. იყო, რომელთა მთავარი ინტერესი იყო საკუთარი გავლენის სფეროების გაფართოება.

**აშშ საქართველოში სააკაშვილს, ივანიშვილს თუ კუკავას, შემდეგი კუთხით აფასებს, რამდენად წარმოვადგენთ ჩვენ საფრთხეს ან სასარგებლო ფაქტორს აშშ-სთვის საკუთარი გავლენის სფეროს გასამტკიცებლად და არა იმ კუთხით — ესა თუ ის პოლიტიკური ძალები საქართველოში დემოკრატიას დაამყარებენ, ადამიანის უფლებებს დაიცავენ თუ რა რეფორმებს გაატარებენ სხვა სფეროებში.**

იმდენად ბევრი არგუმენტი მაქვს, ვფიქრობ, განსხვავებული აზრის გამოხატვა შეუძლებელია იმიტომ, რომ აშშ-ს მოკავშირეები ისეთი დემოკრატიული ქვეყნებია, როგორიცაა ბელგია, დანია და ევროპის ქვეყნები, დამთავრებული შუასაუკუნეობრივი ფეოდალური რეჟიმის ქვეყნებით, როგორიცაა საუდის-არაბეთი ან კატარი, სადაც პარლამენტის ინსტიტუტი ნომინალურადაც არ არსებობს და დანაშაულისთვის ციხეში კი არ სვამენ, არამედ ქალაქის მთავარ მოედანზე ხელფეხს აჭრიან. აქედან გამომდინარე, ვინაიდან დანია და საუდის არაბეთი აშშ-სთვის შეიძლება ერთნაირად სტრატეგიული პარტნიორი იყოს, არავითარი ილუზია იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოში ადამიანის უფლებების დარღვევა ან დემოკრატიული პროცესებისთვის ხელის შეშლა მიხეილ სააკაშვილისთვის, ვაშინგტონთან ურთიერთობაში რაიმე სახის პრობლემა გახდება, ამაზე საუბარი აბსურდია.

**— კლინტონის ვიზიტის მერე მუდმივად გვესმის — ჰილარიმ ეს გვითხრა, ჰილარიმ ის გვითხრაო. კლინტონის სიტყვებზეა მიბმული ჩვენი ქვეყნის ბედი?**

— ესეც თავისთავად კოლონიური ფსიქოლოგიაა. ქართველი ერი მე-18-ე საუკუნის ბოლოდან მოყოლებული ვერ გამოვიდა ამ ფსიქოლოგიიდან. მიუხედავად იმისა, რომ მე-17-ე, მე-18-ე საუკუნეში დაქუცმაცებულნი, გაუნათლებელნი ვიყავით — უმრავლესობამ წერა-კითხვაც არ იცოდა, მაგრამ მაშინ სახელმწიფო გვქონდა. კახეთის სამეფო ან გურიის სამთავროები დამოუკიდებელნი იყვნენ და მათ უფრო ჰქონდათ სახელმწიფოებრივი ფსიქოლოგია, ვიდრე ახლა ჩვენ. ეს იმიტომ ხდება, რომ ბოლო 200 წელია ხან მოსკოვს, ხან ვაშინგტონს შევყურებთ. ძალიან ბევრ წარმატებულ ქართველ პოლიტიკოსს ვიცნობ, რომელთაც რომ ვუთხრა — მოდი, ჩვენი ქვეყნის ბედი თავადვე გადავწყვიტოთო — კარგი რა, კახა, რეებს ლაპარაკობ, ხომ იცი, რომ ეს არარეალურიაო — მეტყვის.

**ჩემი აზრით, პირველ რიგში ამ კოლონიური ფსიქოლოგიისაგან უნდა გავთავისუფლდეთ და ამის შემდგომ ძალიან ადვილად შევძლებთ კოლონიური ბატონობისგან გათავისუფლებას.**

ყველაზე მთავარი ის მეტასტაზებია, რომელიც ჩვენი ერის ფსიქოლოგიაში იდება ანუ კოლონიური ფსიქოლოგია — თურმე სწორია, ის, რასაც კლინტონი გვეტყვის, უნდა ჩავიცვათ ისე, როგორც ამერიკაში, უნდა ვუყუროთ იმ ფილმებს, რომელსაც აშშ-ში უყურებენ, უნდა ვისწავლოთ ინგლისური და ეკონომიკურად მხოლოდ მაშინ გვეშველება, თუ აშშ გრანტებს და კრედიტებს გამოგვიგზავნის. ეს კოლონიური ფსიქოლოგია დასამარცხებელია. მინდა ყველა ადამიანს, ვინც ქართულ-ამერიკულ ურთიერთობას უჭერს მხარს ვკითხო — მხარს უჭერენ თუ არა ბათუმში მეჩეთის მშენებლობას და თბილისში გეი-პარადის გამართვას? პასუხის მხოლოდ ორი ვარიანტი არსებობს, ან უნდა თქვან, რომ აშშ საქართველოს თავზე ახვევს ისეთ მიუღებელ პოლიტიკას, რომელიც ჩვენი სახელმწიფოებრივი ინტერესების ფუნდამენტს ეწინააღმდეგება, ან უნდა თქვან, რომ საქართველოში თურქული გავლენა, მართლმადიდებლური ტრადიციების ნაცვლად ლიბერალური გარყვნილების დანერგვა ჩვენი ქვეყნის ინტერესებს არ ეწინააღმდეგება, მესამე ვარიანტი, არ არსებობს.

**— კლინტონის წასვლიდან მეორე დღესვე ხელისუფლებამ რეპრესიული მანქანის სიმწვავე გააასმაგა. ეს გვაძლევს თუ არა დასკვნის საშუალებას, რომ მიშას აშშ-ს აზრი არ აინტერესებს და არავითარი დემოკრატიის დამყარებას არ აპირებს.**

— იხილეთ 2010 წლის ადგილობრივი არჩევნების წინ ირაკლი ალასანიას განცხადებები, ან იხილეთ, თინა ხიდაშელის განცხადებები 2008 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ, ეს ზოგის მხრიდან თავისი, ზოგისგან კი ამომრჩევლის მოტყუებაა. რეალურად,

**კარგად ვხედავთ, რომ კლინტონის ვიზიტის შემდგომ, რეპრესიები კი არ შემცირდა, არამედ გაძლიერდა. უნდა ვთქვათ, რომ ჰილარი კლინტონს აბსოლუტურად არაფერი არ დაუგმია, მათ შორის არც „ქართული ოცნების“ მისამართით განხორციელებული ქმედებები.**

ეს გამოგონებულია. ამას იმიტომ არ ვამბობ, რომ ვინმეს ნიშანი მოვუგო. უბრალოდ, ნებისმიერ სიტუაციაში სჯობს სიმართლეს თვალი გავუსწოროთ და იმ რეალობაში ვიმოქმედოთ, რაც არსებობს. თუ ჩვენ თავს მოვიტყუებთ, თითქოს აშშ მხარს გვიჭერს, ვაშინგტონში ყველაფერი გადაწყვეტილიაო, ამ დროს კი არჩევნებში სხვა შედეგებს მივიღებთ, სამოქმედო ბერკეტები აღარ გვექნება.

**სჯობს ვიცოდეთ, რომ დღეს რეალურად ვებრძვით არა სააკაშვილს, მერაბიშვილს ან კეზერაშვილს, არამედ აშშ-ს კოლონიურ ადმინისტრაციას.**

**— თუმცა, გვარწმუნებენ აშშ მხარს გვიჭერსო, რაში გამოიხატება ეს — ხალხი სააკაშვილის დანაშაულებებზე საუბრობს, აშშ კი ქართველი ხალხის აზრს ყურადღებას არ აქცევს.**

— ძალიან მომეწონა მეუფე იაკობის განცხადება, რაც აშშ-ს საელჩოს მხრიდან გეი-პარადის მისამართით. მხარდაჭერას მოჰყვა მან იკითხა სწორედ ის, რასაც ახლა მე მეკითხებით. ეს არის მხარდაჭერა?! აშშ საქართველოს მხარს უჭერს იმაში, რომ გეი-პარადები ვატაროთ?! ჩვენ მხარდაჭერა გვჭირდება აფხაზეთის, სამაჩაბლოს დაბრუნებაში და არა გეი-პარადების ჩატარებაში. მეუფე იაკობმა დასვა ის შეკითხვა, რასაც ნებისმიერი ქართველი პოლიტიკოსი უნდა სვამდეს. ყველა ქართველი პოლიტიკოსი, რომელიც ამ შეკითხვას




არ სვამს, უბრალოდ არაპატრიოტია.

რამოდენიმე დღის წინ ირანის საელჩოს განცხადება გავრცელდა. როგორც იცით, რამდენიმე წელია აშშ ირანს ებრძვის საერთაშორისო ასპარეზზე. მიზეზი ისაა, რომ შესაძლოა ირანმა ისეთი სამეცნიერო კვლევები ჩაატაროს, ერთ დროს ირანის მიერ ატომური იარაღის წარმოება გამოიწვიოს. ბოლო 200 წელია ირანს არც ერთი აგრესიული ომი არ უწარმოებია, ხოლო ატომური ომის ხიფათებზე საუბრობს ის ერთადერთი სახელმწიფო, რომელმაც ატომური იარაღი თავად გამოიყენა. აშშ-ს გარდა ატომური იარაღი არცერთ სხვა სახელმწიფოს არ გამოუყენებია. ამიტომ ამდენი საუბარია აშშ-ს მხრიდან ბირთვული იარაღის საფრთხეებზე, განსაკუთრებით ირანის მიმართ, რომელსაც მეზობლებთან არაჩვეულებრივი კეთილმეზობლური ურთიერთობა აქვს, ნონსენსია. ზუსტად იგივეა, როცა ადამიანის უფლებებზე ვსაუბრობთ. არავის მსოფლიოში ადამიანის უფლებები ისე სასტიკად არ დაურღვევია, არავინ ყოფილა ავტორიტარული და დიქტატორული რეჟიმების ისეთი აქტიური მხარდამჭერი, როგორც აშშ, დაწყებული პოლ პოტით დამთავრებული პინოჩეტის რეჟიმებით.

**ჩვენ ხომ არ დაგვავიწყდა, რომ როდესაც ხალხის მიერ არჩეული კანონიერი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია მკვლელებმა, ყაჩაღებმა და კგბ-ს ნომენკლატურამ ჯერ დაამხეს და მერე მოკლეს, აშშ-მ ამას დემოკრატიული რევოლუცია უწოდა.**

ამის შემდეგ, ჩვენ გვინდა, რომ ამ ქვეყნიდან დემოკრატიული პროცესების მიმართ საქართველოში მხარდაჭერა მივიღოთ?!

**— რაც შეეხება ირანს, საუბრობენ, რომ კლინტონის ვიზიტი ამ დაძაბულობის ფონზე შემთხვევითი არ ყოფილა. როგორ ფიქრობთ, მან ომის წინ პარტნიორი მოინახულა?**

— ყოველთვის კარგად გავიგებთ თანამედროვე მოვლენების შინაარსს, თუ საქართველოს ისტორიის თუნდაც სასკოლო სახელმძღვანელოს გადავხედავთ. საქართველო, როდესაც დიდი იმპერიების ნაწილი იყო, ჩვენი ფუნქცია იყო: ან ეგვიპტეში უნდა გვეომა, ან თოხთამიშის წინააღმდეგ, ან მის მხარდასაჭერად, ან ინდოეთში, ან ავღანეთში და ა.შ. ეს საქართველოს ტრაგედია იყო, მამლუქი ამ თემაზე დაიწერა.

**დღესაც საქართველოს ჰყავს არა ეროვნული არმია, არამედ მამლუქთა ბატალიონი, რომელთაც სადაც მოსთხოვენ, იქ გააგზავნიან — ირანში, ავღანეთში, ერაყში.**

ეს სამწუხაროდ, იმ კოლონიური სისტემის ნაწილია, რომლის წინააღმდეგაც ერთადერთი ხმამაღლამოღებული, მოკავშირეების გარეშე, „თავისუფალი საქართველო“ იბრძვის. რაც შეეხება, კონკრეტულ კითხვას ირანთან ურთიერთობის დაძაბვის შესახებ,

იხილეთ „საერთო გაზეთი“
ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

არსებობს ცნობილი ფრაზა: თუ სპექტაკლის დროს კედელზე თოფი ჰკიდია, იგი რომელიმე მოქმედებაში აუცილებლად გავარდება. ჩვენ არ ვფლობთ სპეც. სამსახურების ოპერატიულ მონაცემებს და გაგვიჭირდება ვიმსჯელოთ, როდის მიიღებს ირანის კრიზისი ყველაზე მწვავე ფორმას– წელს, გაისად თუ 5 წლის შემდეგ, მაგრამ ეს საფრთხე მუდმივად არსებობს. ამიტომ უნდა გვესმოდეს, სანამ ირანის კრიზისი დადგება, მანამდე მზად ვიყოთ, საქართველოს ნეიტრალიტეტის ძალიან მყარი გარანტიები უნდა ჰქონდეს. საქართველო ამ მიმართულებით ინტენსიურ დიპლომატიას უნდა აწარმოებდეს სომხეთთან, აზერბაიჯანთან, რუსეთთან და თურქეთთან. იმიტომ, რომ არამარტო საქართველოს, არამედ ნებისმიერი ამ ქვეყნის ჩართვა ირანის კრიზისში იქნება ასევე დამანგრეველი ქართული სახელმწიფოსთვის.

**— კახა, საუბრობენ, რომ კლინტონებს ბოლო არჩევნების შემდეგ ბევრი ვალი დაუგროვდათ.**

— როცა პოსტსაბჭოთა ქვეყნებში ან აზიაში კორუფციაზე საუბრობენ, არსად ისეთი მასშტაბური და რაც მთავარია, ისეთი ღია კორუფცია არ არსებობს, როგორც აშშ-შია. ეს არის ერთადერთი ქვეყანა, სადაც შეგიძლია პრეზიდენტობის კანდიდატის საარჩევნო ფონდში გადაიხადო თანხა და არჩევნების დასრულებისთანავე ელჩად დაინიშნო. ეს არის ერთადერთი ქვეყანა, სადაც ლობისტური ფირმები არსებობენ, შეგიძლია გადაიხადო თანხა და სხვადასხვა თანამდებობის პირთან შეხვედრა დაგინიშნონ. კონკრეტულად ამ ფაქტს ვერ დავადასტურებ, მაგრამ ის, რომ სააკაშვილი მილიონებს იხდის, მათ შორის მაკკეინთან დაკავშირებული სხვადასხვა ლობისტური ფირმების სასარგებლოდ, ეს ცხადია.

**— კლინტონმა „დაიმედებული" დაგვტოვა: გრძელვადიანი მონიტორინგის ჯგუფს გამოვგზავნით საარჩევნო პროცესების დასაკვირვებლადო.**

— გრძელვადიანი მონიტორინგის მისიები, ესაა არჩევნების გაყალბების მექანიზმების ნაწილი. ახლა, 1992 წელი რომ იყოს, შეიძლება გვეპატიოს ასეთი გულუბრყვილობა, მაგრამ ახლა 2012 წელია. 20 წელია საქართველოს არჩევნების გაყალბებაში ცსკ-ზე ნაკლებ როლს არ ასრულებენ სწორედ ეს საერთაშორისო დამკვირვებლები. საქართველოში ერთადერთ დემოკრატიულ არჩევნებს, რომელიც 1990 წელს ჩატარდა, არც ერთი საერთაშორისო დამკვირვებელი არ ესწრებოდა. ამიტომ უნდა გვესმოდეს, რომ საერთაშორისო დამკვირვებლები არჩევნების გაყალბების ან არგაყალბების პრიმატი არ არის. რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაშიც არჩევნები ყველა ვარიანტში გაყალბდება, უბრალოდ, გააჩნია რა დოზით და როგორი შედეგები დაადგება. ეს არჩევნები თავისუფლად რომ ჩატარდეს, მაშინ სააკაშვილმა ერთნიშნა ციფრი უნდა მიიღოს.

**— კლინტონის ვიზიტის მერე კიდევ უნდა გვქონდეს ილუზია, რომ სამართლიანი არჩევნები ჩატარდება, რომ აშშ-მ ხელი ჰკრა მიშას და ა.შ.?**

— არსებობს ამის ილუზია. არ მინდა სხვადასხვა ოპოზიციური ძალების მიმართ კრიტიკულად გამომივიდეს, მაგრამ ჩვენ ვიბრძვით კოლონიური სისტემის წინააღმდეგ, ისინი კი ამ კოლონიურ სისტემაში წამყვანი პოზიციების მოსაპოვებლად.

ამჟამად, მიმდინარეობს არა მიხეილ სააკაშვილის, არამედ გიორგი თარგამაძის ჩანაცვლება. ამ ადამიანების სურვილია შედარებით კონსტრუქციული საპარლამენტო ოპოზიციის სტატუსის მიღება და არა — ხელისუფლების შეცვლა.

**— ბოლოს მინდა 1978 წელს გამოშვებულ საბჭოთა კატარღებზეც გკითხოთ, რითაც ამერიკამ დაგვასაჩუქრა. რუსეთისგან უნდა დავიცვათ თავი თუ ვინ უნდა დავაშინოთ ამ კატარღებით?**

— სწორედ ესაა საინტერესო. სააკაშვილი არის ადამიანი, რომელიც ანეკდოტებით მართავს სახელმწიფოს. მან განაცხადა — მას შემდეგ, რაც აშშ-მ საქართველოს კატარღა აჩუქა, რუსეთი ქვეყნიდან გადავიდაო. რუსეთს ომი მე-14 საუკუნის მერე არ წაუგია. ესაა იმპერია, რომელმაც ბოლო მოუღო მონღოლებს, გაანადგურა ნაპოლეონი და რომელმაც ყველაზე დიდი მსოფლიო ომის დროს ჰიტლერული გერმანია დაამარცხა. ესაა ქვეყანა, რომელსაც ყველაზე მეტი ბირთვული ქობინა აქვს, ყველაზე დიდ ტერიტორიაზე განფენილი სახმელეთო ჯარები, სუპერთანამედროვე საჰაერო ძალები და სასაცილოა აშშ-ს მიერ ნაჩუქარი კატარღით დაშინდება?

**თამარ შველიძე**

# aTi welia sasimRerod xma ar amomiRia, magram biZina ivaniSvilis romelime mitingze aucileblad vimRereb...

**„საერთო გაზეთს" ესაუბრება დიდი თეატრის ყოფილი სოლისტი, „წინააღმდეგობის მოძრაობის" წევრი ლელიკო ჯაფარიძე**

— პირველ რიგში, მივესალმები ჩემი საყვარელი „საერთო გაზეთის" მკითხველებს და მინდა ვთქვა, რომ საქართველო არის გარდატეხის ზღვარზე. თუ ადრე ხალხი საკუთარ ნაჭუჭში იყო ჩაკეტილი და გამოსავალის ძიებაში ამ ნაჭუჭში „იხარშებოდა", დღეს განთავისუფლდა და მოქმედება დაიწყო. დღეს ნაციონალები არიან მფრთხალი კატებივით, რადგან ვერ წარმოიდგენდნენ, თუ გამოჩნდებოდა ქართველ საზოგადოებაში ისეთი ვინმე, ვინც იტყოდა: ხალხო, გამოდით, დაგიდგებით გვერდით, გვეყოფა ამდენი უსამართლობაო. გაჩნდა იმედი და ახლა ნაცმოძრაობის წინაშე ხალხის პროტესტი ზვავივით არის წასალეკად მომდგარი. ამის დასტური იყო, რაც მოხდა „თავისუფლების მოედანზე" 27 მაისს.

საქართველოში 2005 წელს ჩამოვედი და არც ერთი მიტინგი და მანიფესტაცია არ გამომიტოვებია. კარგად მახსოვს რა მოხდა იპოდრომზე, თუმცა იქაც კი არ იყო იმდენი ხალხი, რამდენიც 27 მაისს შეიკრიბა.

ბატონმა ბიძინამ რომ ხალხს მოუწოდა, მაშინ არ უხსენებია რეგიონებიდან ჩამოსული მოსახლეობა. თბილისელები რამდენი გამოხვალთ, ეს მაინტერესებსო, — თქვა. და დაინახა ყველამ, რამდენიც გამოვიდა...



ბოკერიას ცოლი ნამდვილ მანგუსტას რომ ჰგავს, გაიკვირვა: სად იყო ბევრი ხალხიო?!

დღეს სააკაშვილი თავის უკანასკნელ რეზერვს იყენებს, ისეთი სასოწარკვეთილი სახე აქვს ხანდახან, როგორც ჰიტლერს სამამულო ომის ბოლო პერიოდში. ჰიტლერ-იუგენდებს, პატარა მებრძოლებს რომ აგზავნიდა თავგანწირულ ბრძოლაში...



სააკაშვილს თუ ჰგონია, რომ ამერიკა დაეხმარება, ძალიან ცდება. მან თავისი „შავი საქმე" უკვე გააკეთა — მე, თქვენ, ჩემს შვილს, თქვენს შვილს, ყველას, იმხელა ვალი დაგვაკისრა, ადამიანი რომ ვერ გადაიხდის.

ყველამ ვნახეთ, როგორ უძვრებოდა უსაპნოდ კლინტონს, იმ ჯოჯოხეთის მოციქულს. ერთი კი გამეცინა სიმწრით, საქართველოს პასპორტი რომ მიუცუნცულეს, მაგრამ, კარგად ვიცი, რატომაც სჭირდებათ მისი მოთაფლვა — ამერიკის კეთილგანწყობისთვის?! რა ფეხებად გვჭირდება ამერიკა? ჩამობრძანდა ეს ქალბატონი — კლინტონი და თქვეს, გზად გამოიარა საქართველოშიო. სასეირნოდ ამერიკიდან საქართველოში ამხელა თანამდებობის პირი არ დადის და ნუ გვაყრიან თვალში ნაცარს. ბათუმში რომ მივდივარ, გზად, გავლით, მე შევუვლი ხოლმე ბიძაჩემს ღვანკითში, თორემ ჰილარი კლინტონს კონკრეტული საქმეები ექნებოდა თავის მეგობარ სააკაშვილთან. ამერიკა, ამერიკაო, რომ აუჩემებიათ, სააკაშვილი დედამისის კალთაში ჩხაოდა, მე რომ ვიყავი ამერიკაში; მეტროპოლიტენ-ოპერაში, კენედი-ცენტრში და სხვა თეატრებში მაქვს ნამღერი. ვიცი, ვინც არის და რაც არის ამერიკა და ნუ გვიყვებიან აქ ზღაპრებს. ამერიკაში საცხოვრებლად დარჩენის შანსი და უამრავი შემოთავაზებები სხვადასხვა თეატრებიდან მეც მქონდა, მაგრამ ვერ დავრჩებოდი იქ და ამიტომაც ვზივარ ახლა ჩემს ქვეყანაში უსახლკაროდ და უმუშევრად. ასე მირჩევნია, დედაჩემის, მამაჩემის, ჩემი ძმის საფლავთან უფრო ახლოს ვარ და რაც მთავარია, საქართველოში ვარ. რაც ჩამოვთვალე, ეს ისაა, რისთვისაც მიცხოვრია და რაც მე სიცოცხლეზე მეტად მიყვარდა ყოველთვის.

**— ისე, არ იმღერებდით ჰილარი კლინტონის საპატივცემულოდ, ბატონო ლელიკო?**

— ვინც იქ იმღერა, ისაა მომღერალი? სოფო ნიჟარაძე თქვენ მომღერალი გგონიათ? არც ერთი მის მიერ ნამღერი ბგერა ალალი არაა და მე, როგორც მომღერალს, ამას ვერავინ გამომაპარებს. ჯიგარი არ დევს მაგის ნამღერში...

წელან ვახსენე 27 მაისის მიტინგი, თბილისელებს მოუწოდა ბატონმა ბიძინამ-მეთქი. არ შეიძლება რეგიონებიდან ხალხის ჩამოყვანა ისე სტიქიურად, „სახალხო კრებას" რომ ჰყავდა ჩამოყვანილი. კიდევ კარგი, რომ დროზე წამოვედი „სახალხო კრებიდან", მაგრამ ერთადერთი, ვისზეც გული მწყდება, ეს არის ელიზბარ ჯაველიძე, რომელიც კვლავ რჩება „სახალხო კრებაში". მე თუ მკითხავთ, ის აქამდე უნდა წამოსულიყო და რას ელოდება, არ ვიცი. მაგათ, ალბათ, უნდათ, რომ პარლამენტში მოხვდნენ, მაგრამ ვერ მოხვდებიან. ხალხი მათ ხმას არ მისცემს. ხალხი ხმას მისცემს ბიძინა ივანიშვილს.

ვენაცვალე ბატონ ბიძინას, რომ არ მივიდა კლინტონთან შეხვედრაზე. რა უნდოდა აფერისტი გამყრელიძის და ნამდვილი ხვლიკის — თარგამაძის გვერდით. მაგათაც და ნაციონალებსაც ბიძინა ივანიშვილმა თავისი კაცობით ფეხქვეშ გამოაცალა მიწა და რომ იტყვიან, დედა უტირა ყველას. სააკაშვილი მთელ ქვეყანაში ტაკიმასხარად აქცია. ამ ჩემის გადანგრეულ წიკლაურს რომ გაუსიებია თავი და ვაჟა-ფშაველას ლექსი რომ აქვს კედელზე ჩარჩოში, ლექსის მხოლოდ წაკითხვა არ კმარა, ისე უნდა იცხოვრო ადამიანურად და არ უნდა უძვრებოდე არავის უკანალში, თანაც უსაპნოდ.

რა არის ეს, როგორ დაკარგა ხალხმა თავმოყვარეობა. ახლა ხშირად ისმის შეკითხვა: რა გვეშველება? ჩვენ გვეშველება მაშინ, როცა დავიბრუნებთ ღირსებას, ვაჟკაცობას და ქართველობას.

ხომ ხედავთ, ხალხო, რა უბედურება მოხდა ქუთაისში. კიდევ რამდენი უბედურება უნდა მოხდეს. უკვე მერამდენე ტრაგედია დატრიალდა მაგ ადგილას. ისე ვარ გამწარებული, ამ მთავრობის სიკვდილს რომ მოვესწრებოდე, არ დავიზარებდი და მიუხედავად იმისა, რომ ჯოხით დავდივარ, ყველა მათგანის პანაშვიდზე მივიდოდი თაიგულით ხელში.

**ანა ვადაჭკორია**

# es realoba Tuar Seicvala, Cemi saxiT mkvleli dadis _ ar minda mkvleli gavxde, magram metis moTmena aRar SeiZleba...

***გვესაუბრება „სახალხო კრების“ ერთ-ერთი ლიდერი ლუკა კურტანიძე:***



— უპირველესად „საერთო გაზეთს“ დიდ მადლობას ვუხდი გამბედაობისთვის, მკითხველებისთვის, სამართლიანი და ობიექტური ინფორმაციების მიწოდებისთვის, ჭეშმარიტად ეროვნული პოზიციისთვის, გულწრფელი და მართალი სიტყვისთვის, ეს უმთავრესია. რაც შეეხება ჰილარი კლინტონის ვიზიტს საქართველოში, ამის შესახებ ერთ რამეს ვიტყოდი — მგონია, რომ უფრო საინტერესო იყო კულუარული მოლაპარაკებები, რაც ამ ვიზიტს თან ახლდა. ვიზიტის დასრულებისთანავე ე.წ. ხელისუფლებამ რეპრესიული მანქანა აამკაცრა, რაც იმის აღმნიშვნელია, რომ კულუარებში ამ ხელისუფლებისთვის უფრო მნიშვნელოვანი რამ ითქვა, რასაც მათი მხრიდან შესაბამისი ქმედება მოჰყვა. ვფიქრობ, კლინტონის მაღალფარდოვანი სიტყვები — საქართველოში დემოკრატიული არჩევნები უნდა ჩატარდესო — უბრალოდ ხალხისთვის გადმოგდებული სატყუარაა, ვითომ დარღვევებზე რეაგირებენ და ხელისუფლებას აფრთხილებენ სამართლიანი არჩევნები ჩაატაროს, მაგრამ კლინტონი ჯერ სამშობლოში არ იყო დაბრუნებული, რომ ხელისუფლებამ გაათმაგებული უსამართლობით შეუტია საზოგადოებას. არ ვამბობ, რომ მხოლოდ ივანიშვილს შეუტია, იმიტომ რომ ბატონ ბიძინაზე შეტევა დღეს სრულიად საზოგადოებაზე შეტევას ნიშნავს, რადგან ხალხს იმ მართალი ოპოზიციური ძალის იმედი აქვს, რომელიც დღითიდღე ძალას იკრებს. ხელისუფლება კი დაუპირისპირდა ამ ისედაც გაჩანაგებულ, განადგურებულ ადამიანებს. გვიჩვენებენ, რომ არაფრის დათმობას არ აპირებენ და ის დამახინჯებული დემოკრატია, რასაც ქადაგებენ, უფრო მეტ სიბინძურეში ისვრება.

**ხელისუფლებას არანაირი ნიშანწყალი არ სცხია იმისა, რომ დემოკრატიულ არჩევნებს ჩაატარებს. რა დროს არჩევნების ჩატარებაა, როდესაც ყოველ ნაბიჯზე ხელისუფლება ბიზნესმენებს, ბანკირებს, მეწარმეებს, მასწავლებლებს, მთელს საზოგადოებას თითს უქნევს და ეუბნება — არ გაბედოთ ოპოზიციური მხარის დაჭერა, თორემ ყველას პრობლემები შეგექმნებათო.**

რომელ დემოკრატიაზეა დღეს საუბარი, ამის მსგავსი არაფერი ხდება. ამიტომ ვამბობ, ბრძოლის გარეშე ამ რეჟიმის დამხობა შეუძლებელია. დასამხობია ის სიბინძურე, რაშიც დღეს საზოგადოება იმყოფება. ანუ ვიმეორებ, კლინტონმა რაც საზოგადოების თვალწინ გააჟღერა ის კი არა, არამედ კულუარებში მოლაპარაკებულ ქმედებებს ახორციელებს ეს ხელისუფლება. ხელისუფლების ე.წ. წარმომადგენლები გაბადრული სახეებით გაშმაგებული ებრძვიან ხალხს. ხელისუფლების მიერ კლინტონის ვიზიტის დასრულებისთანავე განხორციელებული პირველივე ნაბიჯების მერე, როგორ დავიჯეროთ, რომ ქართული ღირებულებების დაცვაზე, დემოკრატიაზე ვინმეს გული შესტკივა. ეს ყველაფერი ბლეფი, ტყუილია. პოლიტიკოსები ხშირად აღნიშნავენ, რომ აშშ-ს ადმინისტრაცია ორმაგ თამაშს თამაშობს. ამ ეჭვს თავის საფუძველი აქვს — განა შეიძლება იმ უბედურებების, რაც საქართველოში ხდება, რბილი ტონით შეფასება, მხოლოდ აღშფოთება და სხვა არაფერი? — აშშ ხელისუფლებას დემოკრატიული არჩევნების ჩატარებისკენ მოუწოდებს, ამ დროს კი ეს უკანასკნელი ოპონენტების მიმართ გაათმაგებულ სიბინძურეს სჩადის. ეს ნიშნავს, რომ ეს ორმაგი თამაშია. მრჩება შთაბეჭდილება, რომ აშშ-ს ადმინისტრაციისთვის მეათეხარისხოვანია საქართველოში ძლიერი საზოგადოება და მაღალი ღირებულებები.

**თუ ისინი ჩვენ მეორეხარისხოვან ხალხად გვთვლიან, მაშინ ჩვენ უნდა ვუთხრათ — ბოდიში, მაგრამ არ გვჯერა თქვენი ბრტყელ-ბრტყელი სიტყვების, რასაც გვეუბნებით. აშშ-ს ადმინისტრაცია საკუთარი ქმედებით ხელოვნურად უწყობს ხელს საქართველოში აშშ-ს მიმართ უნდობლობა გაჩნდეს.**

გულდასაწყვეტია, როცა აშშ გონებადაბინდულ ერთ მუჭა ხელისუფლებას მთელს ერს ანაცვალებს. აშშ-ს შემოგზავნილი ჰყავს ადამიანები, რომლებიც თითოეულ ჩვენს სიტყვას შიფრავენ, ამიტომ მინდა მათ გულწრფელად ვუთხრა — ამ ბანდიტურ ხელისუფლებას ნუ ანაცვალებთ მთელი ერის განწყობას. ჩემი დიდი სურვილია, აშშ არა ე.წ. პრეზიდენტს, მის გოშია ხელისუფლებას, არამედ, თუ მართლა მეგობარი ქვეყანაა, ქართველ ერს დაუდგეს გვერდით.

**— საუბრისას ახსენეთ, რა დროს არჩევნებიაო. ადრე ბურჯანაძემაც თქვა, რომ სააკაშვილის მეთაურობით არჩევნების ჩატარება უაზრობაა, ჯერ იგი უნდა გადადგესო.**

— ერთი რამ მინდა ვთქვა — ქალბატონი ნინო უძლიერესი პოლიტიკოსია, იგი ყოველთვის ხაზს უსვამს ქართულ ღირებულებებს. იგი თავისი საქმის პროფესიონალია და ზუსტ პროგნოზებს აკეთებს. მან კარგად იცის სააკაშვილის ფსიქიკა. ადამიანის გონება ვერც კი მოიფიქრებს, რა სიბინძურეებზეა წამსვლელი სააკაშვილი. ქალბატონი ნინო ამბობს — არჩევნები არჩევნებამდეა მოსაგები. დიახ, ეს ხელისუფლება, რეჟიმი არჩევნებამდე უნდა გადავტეხოთ წელში იმისთვის, რომ ნამდვილი არჩევნების ჩატარების საშუალება მოვიპოვოთ. პოლიტიკური ძალები, მართალი საზოგადოება ერთად უნდა დადგეს. ერთიანი ფრონტით, უნდა შევუტიოთ ამ სასტიკ რეჟიმს, რომელსაც დემოკრატიის ნასახი არ სცხია. ამ რეჟიმის დამარცხება მხოლოდ ერთიანი ფრონტით, ხალხთან ერთადაა შესაძლებელი. თქვენ, პარლამენტის შენობის ჩამონგრევა ახსენეთ, სადაც 20-მდე ადამიანი დაშავდა. ხელისუფლება კი ამ დროს უტიფრად აცხადებს — ეს კერძო შენობა იყოო და სხვას აწმენდენ ხელს. ეს შენობა, ერთი ადამიანის ახირების გამო, რომელიც წყალზეა აგებული, კოსმოსური სიჩქარით ყველა ნორმატივების დარღვევით აშენდა. ასევე სწრაფი ტემპით და უხარისხოდ აშენდა მრავალი სხვა ნაგებობა აეროპორტიდან დაწყებული თეატრებით დამთავრებული. ერთი თვის წინ გაკეთებული პლეხანოვი უკვე ხელმეორედ გასაკეთებელია. შე დალოცვილო, ხომ ქვეყნისთვის აკეთებ ამას, სად გეჩქარება — ნელა და ხარისხიანად გააკეთე. ყველაფერს თავისი დრო აქვს, როგორც პირველი საფეხურიდან მეათეზე ვერ ახტები უცებ, ასეა ყველა სხვა საქმეში, ნელ-ნელა უნდა აკეთო. მაშინ, არც ხალხი დაიღუპება, არც ხარაჩოებიდან ჩამოვარდება ვინმე და არც შენობები დაინგრევა და არც წყალი წაიღებს გაკეთებულს. მაგრამ მას ჰყავს მონები და არა მრჩევლები, რომელთაც რასაც ჩასძახებს, უკან ამოსძახებენ. სააკაშვილი წუხილს გამოთქვამდა იმ ერთი ადამიანის გარდაცვალების გამო. რეალურად იგი ისე წუხს, როგორც მე კოსმოსში გაფრენაზე — მაგისთვის ერთი, ათი, 500 ადამიანის სიკვდილი არაფერია. 500 ახალგაზრდა ჩახოცა სამაჩაბლოში და არ ანაღვლებს,

**სააკაშვილისთვის არაფერი წმინდა არ არსებობს — არც ეროვნულობა, არც სამშობლოს სიყვარული, მხოლოდ სკამის შენარჩუნებისთვის ზრუნავს. აქედან გამომდინარე ნაბიჯ-ნაბიჯ, დიდი მოთმინებით, ერთიანი ფრონტით უნდა დავძლიოთ ეს უბედურება. ცალ-ცალკე ეს ნამდვილად გაგვიჭირდება.**

მოგელაძის, ლაპიაშვილისნაირი ადამიანები ყოველთვის მოიძებნება საქართველოში. არ უნდა დავივიწყოთ, რომ გვყავდა ადამიანები, რომელთაც ამბროსი ხელაიას, ილია ჭავჭავაძეს გაუხვრიტეს შუბლი. ეს გენი არ დაკარგულა. საშუალება რომ მივცეთ, ესენიც იგივეს გააკეთებენ. წმინდა, ამ ქვეყნისთვის დაფერფლილ ადამიანებს დახვრეტავენ. ეს ის ადამიანები არიან, ვინც 26 მაისს ქართველ ხალხს სასტიკად გაუსწორდა. ამიტომ ღირსეული, ძლიერი საზოგადოება უნდა ჩამოყალიბდეს. ამიტომაა, რომ ამ ხელისუფლებას არ აწყობს ძლიერი საზოგადოება, არამედ დანაწევრებული ურჩევნია. სააკაშვილს არ უნდა არც ძლიერი სოფელი იმიტომ, რომ ძლიერი გლეხი ადვილად სამართავი არ არის. ამიტომაც სჭირდება მას ქვეყნის მოსახლეობის 95 პროცენტი დაჩაჩანაკებული, გაღარიბებული, გასაცოდავებული, რომელიც ადვილად სამართავია. ხელისუფლება თითოეული თავისუფლად მოაზროვნე ადამიანის მტერია. უბედურებაა ის, რაც დღეს საქართველოში ხდება — ბოლო ნაძირალა უფრო დაფასებულია, ვიდრე გმირი. იმიტომ, რომ ნაძირალა ყველაფერზე ტაშს უკრავს, ფეხს უკოცნის, მაგრამ ვინც ამ ქვეყნისთვის იფერფლება, მართალ სიტყვას ამბობს, არაფრად უღირთ.

**ზოგჯერ მთელს ხმაზე მინდა ვიყვირო — ხალხო, დრო არის გავერთიანდეთ, ჩვენი ძლიერი სიტყვა ვთქვათ. რისი შიში შეიძლება ჰქონდეს ადამიანს — სამსახურის დაკარგვის?! ხალხო, რა დროს სამსახურის დაკარგვის შიშია, როცა სულს, ხორცს, შვილს, თავისუფლად გადაადგილების საშუალებას, სამშობლოს კარგავ, ცოცხლად გატყავებენ და რა დროს იმაზე ფიქრია — სამსახურს ვკარგავ და ამიტომ მართალ სიტყვას ვერ ვიტყვიო.**

ბიძინა ივანიშვილმა უამრავი სიკეთე გაუკეთა ქვეყანას და ხელისუფლება მას მოღალატეს უწოდებს, წარმოგიდგენიათ რა ხდება?! ეს დღეს საქართველო არ არის, არამედ სულ სხვა რამაა, რომელიც არაფერს არ ჰგავს.

თბილისის ზღვაზე 1993 წლიდან ლტოლვილები ცხოვრობენ. მათი უმრავლესობა დღეს ამ ხელისუფლების მონაა. ისიც კი დაივიწყეს, რომ ამ ხელისუფლების ხელში აფხაზეთი დაკარგულია. შევარდნაძის დროს გვესიზმრებოდა მაინც აფხაზეთში დაბრუნება, დღეს აღარც სიზმარია, პირიქით, რაც გვქონდა ისიც დავკარგეთ. სააკაშვილმა დაგლიჯა საქართველო. დღეს ადამიანები დაზომბირებულია არიან და ამ ხელისუფლებას აძლიერებენ ტაშის კვრით, რაც უბრალოდ, ამაზრზენია. ამას იმიტომ ვამბობ, რომ ვიცი ამ დევნილების განწყობა და ისინი ნამდვილად არ არიან აფხაზეთში დასაბრუნებლები. აფხაზეთში დაბადებული ვარ და ჩემთვის საოცნებოა ჩემს ხალხთან ერთად იქ დაბრუნება, მაგრამ ზოგიერთები აფხაზეთში კი არა, პირდაპირ ჯოჯოხეთშია გასაშვები.



**— ამ ყველაფრის მერე სააკაშვილმა და მისმა ხელისუფლებამ არჩევნები უნდა ჩაგვიტაროს თუ პასუხი აგოს იმ დანაშაულებებზე, რასაც წლებია ქვეყნისა და ხალხის წინაშე სჩადის?**

— მთელი ამერიკა, ევროპა გვეუბნება არჩევნები ჩაატარეთო. მაგრამ

**მერწმუნეთ, დღეს იმხელა უსამართლობები ხდება, რაც უფრო მოახლოვდება არჩევნები, დავინახავთ, რომ ერთი პროცენტი კი არა, ამ ხელისუფლების ხელში საერთოდ არ არსებობს არა თუ სამართლიანი, საერთოდ რაიმე სახის არჩევნების ჩატარების ალბათობა. სანამ ოქ-**

# erTwveT Cems sisxls daRvriT _ ass davRvri Tqvensas, ise ar waval am qveynidan, rom es ar Sevasrulo...

**ტომბერი დადგება, „ქართული ოცნების“ კოალიციაში შემავალი საზოგადოება დარწმუნდება, რომ ერთიანი ფრონტის გარეშე ბრძოლაში შესვლა შეუძლებელია.**

თუ „რესპუბლიკელებს“, ალასანიას მართლაც ბოლომდე უნდათ ბრძოლა, მაშინ უნდა მიხვდნენ რომ მარტო ბურჯანაძის კი არა, თითოეული მართალი ადამიანის გარეშე ამ ბრძოლაში წასვლას აზრი არ აქვს. ერთი ადამიანიც კი არ უნდა დარჩეს, რომელიც ამ ერთობაში არ შევა. დღეს ჩვენ არ გვაქვს უფლება ამ უბედურებებს გულგრილად ვუყუროთ და მშვიდად ველოდოთ ოქტომბერს. არაფერი არ მინდა, ოღონდ ივანიშვილმა გაიმარჯვოს, იმიტომ რომ მისი გამარჯვებით მეც გადავრჩები, ოღონდ იბრძოლონ მართლა. თუ მე შემიძლია რაიმეს გაკეთება ამ კუთხით, ხელს ნუ შემიშლი და ჩემს ბრძოლას ნუ დააკნინებ. დღეს ბიძინა ივანიშვილის დამარცხება მარტო მისი კი არა, თითოეული იმ ადამიანის დამარცხება იქნება, ვისაც ქვეყნის გადარჩენის იმედი გაუჩნდა. ეს ყველას დამარცხება, განადგურება იქნება. დამერწმუნეთ იმ ადამიანებს, ვინც დღეს საკუთარ აზრს ღიად გამოთქვამს, ივანიშვილის დამარცხების შემთხვევაში თითოეულ მათგანს დაერევიან და გაანადგურებენ — ფიზიკურად, სულიერად და ა.შ. იმდენი ციხეები ააშენეს, მათ ჩასასმელად ადგილი ეყოფათ და ვისთვისაც, არ ეყოფათ, მათ ფიზიკურად გაანადგურებენ. აი, ამისთვის ემზადება ეს ხელისუფლება. ვინც ღიად საუბრობს, ხელისუფლება თითოეულზე ინფორმაციას ჰკრებს, დედაბუდიანად სწავლობენ ყველაფერს. ვაი, თუ ერთობა არ შედგეს და ეს ხელისუფლება დარჩეს, მაშინ, ვაი, ყველა იმ ადამიანს, ვინც მართლა იბრძოდა. საუბარი არ მაქვს იმ ოპოზიციაზე, ვინც ვითომ იბრძვის და ზურგს უკან გარიგებებს აწარმოებს, არამედ, ვინც მართლა იბრძვის. ამ ადამიანებს დედაბუდიანად უბედურება ელოდებათ. ამიტომ თითოეული მართალი ადამიანის გადარჩენისთვის საჭიროა ერთიანი ძალით ამ ხელისუფლების დამარცხება.

**— თქვენ ხელისუფლების დანაშაულობებზე დისაუბრეთ, მაგრამ ხშირად მსმენია ოპოზიციის გარკვეული ნაწილიდან: ხელს არ ვახლებთ მათ, ოღონდ წავიდნენო.**

— ხაზგასმით ვამბობ, აუცილებლად ყველა უნდა გასამართლდეს და თანაც სამაგალითოდ, რათა მომავალი ხელისუფლება ხიბლში არ ჩავარდეს, რომ რასაც დააშავებს, ყველაფერი შერჩება. ყველაფერი უნდა იქნას გამოძიებული — დაწყებული ე.წ. პრეზიდენტიდან რიგითი ზონდერით დამთავრებული ყველა სამაგალითოდ უნდა დაისაჯოს. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ბოლო დროს ზეწოლა განხორციელდა სპორტსმენებზე, ვინც საკუთარი აზრი ღიად დააფიქსირა და ივანიშვილს დაუჭირა მხარი. გამოდის ლადო ვარძელაშვილი და ამ ადამიანებს ემუქრება. იცით, რა არის დამთრგუნველი? — თუ იგი კაცია, მაშინ ვაჟკაცურად იპოვოს სიმართლე ამ სპორტსმენებთან. წარმოუდგენელია, როცა მართალ ადამიანს, ვიღაც ვარძელაშვილი, რომელსაც ქვა-ქვაზე არ დაუდია, შეურაცხყოფას გაყენებს. ასე თუ გაგრძელდა, ეს სისხლის გარეშე არ გადაივლის. გეუბნებით, მოთმინებასაც აქვს საზღვარი. რაც 26 მაისს უბედურებები მოხდა და დღემდე გრძელდება, დამერწმუნეთ, ამის გათვალისწინებით გარდაუვალია ერთი რამ — ადამიანების 80 პროცენტი, ვინც ეს უბედურება გამოიარა, შურისძიებისთვისაა განწყობილი. როგორც კი ამ ადამიანებს საშუალება მიეცემათ, სისხლს აიღებენ. ქართულ გენში დევს სისხლის აღება, ეს იმდენად გადამდებია, შეიძლება ბევრი ითმინო, მაგრამ როცა ყველანაირად — სულიერად, ფიზიკურად გასახიჩრებენ, შვილს, ახლობლებს ემუქრებიან, ამის მოთმენა შეუძლებელია. ვიმეორებ, ამ ადამიანების 80 პროცენტი, ვინც დღემდე შეურაცხყოფილნი არიან, მკვლელია. ღმერთმა არ ქნას ამ ბოლო იმედმა, რაც ბიძინა ივანიშვილმა გააჩინა, შედეგი არ გამოიღოს და ჩაქრეს, სისხლისღვრა გარდაუვალია.

**დამერწმუნეთ, რაც დღეს არის ეს რეალობა თუ არ შეიცვალა, ჩემი სახით მკვლელი დადის. მე, ლუკა კურტანიძემ რა უბედურებებიც გამოვიარე ჩემს ხალხთან, თანამებრძოლებთან ერთად და რასაც ახლა ვხედავ, დიდი მოთმინების ფასად ვცდილობ მკვლელი არ გავხდე, მაგრამ მეტის მოთმენა აღარ შეიძლება — ერთს მესვრი, ათს გესვრი უკან, ერთს გამარტყამ — ასს გაგარტყამ, ერთ წვეთ ჩემს სისხლს დაღვრი — 100-ჯერ მეტს დავღვრი შენსას. ისე არ წავალ ამ ქვეყნიდან, რომ ეს არ შევასრულო.**

ახლა გადარჩენის ბოლო შანსია. დიდი მოთმინება სჭირდება იმას, რასაც ბიძინა ივანიშვილი აკეთებს. მან ძალიან კარგად იცის, აანალიზებს რამხელა მოთმინება სჭირდება იმას, რომ არჩევნებამდე მივიდეთ, მაგრამ ერთი ადამიანი, ვინც ამხელა უბედურება გამოვიარე, ვამბობ: ერთადერთი იმედი, ამ ადამიანთან ერთად ერთიანი ფრონტით ბრძოლაა, რითაც საბოლოოდ ამოისუნთქებს მთელი ერი. თუ ეს იმედიც დავკარგეთ, ვიმეორებ — ერთ წვეთ სისხლს დაღვრიან — მე ასს დავღვრი მათსას, სანამ ცოცხალი ვარ, ასეთი გონებით ვიქნები. რადგან დამასახიჩრეს, გამანადგურეს, დაუნდობელი ვიქნები. კარგად გაიგონ ეს უდესიანებმაც, მისნაირებმაც, ვინც უკანონობებს, დანაშაულს სჩადიან ქვეყნისთვის მებრძოლი ადამიანების მიმართ. როცა ასეთ ადამიანებს შეურაცხყოფას აყენებ, უშვერი სიტყვებით მიწასთანასწორებ — ამით არანაირ შანსს აღარ მიტოვებ, რომ გაპატიო.



ჩემს ხალხს ამას გულწრფელად ვეუბნები, ამაზე ბევრს ვფიქრობ და გეუბნებით, რაც შეიძლება ამ ყველაფერს მოჰყვეს. ჩემს ოჯახს, ჩემს შვილებს დაემუქრებიან? — ყველაფერს ათმაგად მიიღებენ უკან. ილიას და სხვა გენიოსებს თავს არ შევადრი, მათ, ვინც ქართველმა ხელმა გამოასალმა სიცოცხლეს, მაგრამ ერთ-ერთი კანდიდატი ვარ, ვისაც ვილაც ჩამისაფრდება.

**ხელბორკილს კი ნუ დამადებენ, ვაჟკაცურად მოვიდნენ და კი, ბატონო. მაგრამ ასეთ ვირთხებს ხომ არ სჩვევიათ კაცობა, ისინი ჩაგისაფრდებიან და თავის გასაკეთებელს ბუჩქებიდან გააკეთებენ ან ხელებზე ათ ბორკილს დაგადებენ და ასნი ერთად დაგესევიან მერე. რაც მე ვნახე, რაც მათ პრაქტიკულად განახორციელეს ჩემზე, ამას იქიდან გამომდინარე ვამბობ. თუ კაცურად გინდათ ჩხუბი, აგერ ვარ, მაგრამ თქვენ ხართ ამისთვის მზად?!**

ჩემს გულისტკივილს ხალხის გასაგონად იმიტომ ვამბობ, რომ ლუკა კურტანიძე თუ ამ დონემდე მიიყვანეს, რას უზამენ გლეხს, რომელსაც მართალი სიტყვის თქმა სურს? — მიწასთან გაასწორებენ, უფრო მეტიც, 10 მეტრით ჩასვამენ მიწაში და ცოცხლად დამარხავენ. ამას იმიტომ ვამბობ ხმამაღლა, ხალხის გასაგონად, რომ ვუთხრა მათ — ხალხო, ტაშს ნუ უკრავთ ქვეყნის მოღალატეს, დამაქცევარს და ნუ აძლიერებთ თქვენი კუნთებით, გონებაჩლუნგობით.

**— სწორედ ამიტომაც საზოგადოებამ პასუხი მარტო ხელისუფლებას კი არა, ოპოზიციასაც უნდა მოსთხოვოს, როდემდე ვუყუროთ ამ უმსგავსობას?**

— მეტი ქმედებაა საჭირო. ჩემთვის არავის უთქვამს ქუთაისში მიტინგზე უნდა იყოო, მაგრამ მე და სოსო ჯაჭვლიანმა გადავწყვიტეთ, რომ უნდა ვიდგეთ იქ, სადაც ქართველი ხალხია. უნდა ვიდგეთ იმ ადამიანის გვერდით, რომელმაც ამხელა იმედი გააჩინა და ამხელა მოთმინების ფასად წინ მიიწევს.

**გელათიდან სამებამდე ფეხით მსვლელობით მხარი დავუჭირეთ ბატონი ბიძინას გაკეთებულ საქმეებს, პიროვნებას, ოჯახს რადგან ამ ადამიანში ვხედავთ იმ ძალას, იმ იმედს, რითაც ყველა გადავრჩებით. სიმბოლურია ისიც, რომ დავით აღმაშენებლის ძეგლთან ტარდება აქცია. ვთვლი, რომ ფიზიკურად ამ ადამიანის გვერდით უნდა ვიდგეთ, რათა იგი გავაძლიეროთ და მასთან ერთად გავაძლიეროთ ის მართალი ადამიანები, ვინც ამ რეჟიმს უპირისპირდება. ერთად დავდგეთ იქ, სადაც სიმართლეა, სადაც სამშობლოს გადარჩენაა. არავინ იფიქროს, რომ იქ არ მოვალ და საქმე უჩემოდ გაკეთდებაო, არა, სამშობლო ყველამ ერთად უნდა გადავარჩინოთ.**

მამულის გადარჩენა მარტო ივანიშვილის, კურტანიძის, ჯაჭვლიანის საქმე კი არაა, ყველას საქმეა. ვინც ამ ინტერვიუს წაიკითხავს, ჩემი გულწრფელი სიტყვები არა მარტო ჩემი გადმოსახედიდან გააცნობიეროს, არამედ ჩათვალოს, რომ ეს ცრემლით გულამღვრეული მართალი სიტყვაა. ამ სიტყვებს იმიტომ ვამბობ, რომ ჩემთვის მთელი საქართველო ძვირფასია და ყველას ვუფრთხილდები. მომავალ წელს ერის გამარჯვებას მსოფლიო ჩემპიონობას მივუძღვნი. ჩემი სიტყვები, თითოეულ თქვენთაგანს გეკუთვნით, გააცნობიერეთ ეს და დადექით იქ, სადაც სამშობლოს გადარჩენაა. მე ივანიშვილს ვუთხარი — სიცოცხლის ფასად შენს გამარჯვებას გავაძლიერებ-მეთქი და ასეც იქნება.

**თამარ შველიძე**

# saqarTvelos xelisuflebam biZina ivaniSvilze politikuri devna gamoacxada

ის, რასაც საქართველოს ხელისუფლება ბიძინა ივანიშვილის მისამართით აკეთებს, ყველა ნიშნით პოლიტიკური დევნა და პოლიტიკური ტერორია, რასაც დემოკრატიული თანამეგობრობა რატომღაც ვერ ამჩნევს და, აქედან გამომდინარე, რაც რეაგირებას ახდენს, მიუხედავად იმისა, რომ ეს დევნა ღიად, ხაზგასმული ცინიზმით და უტიფრობით ხორციელდება.

საერთაშორისო დემოკრატიული თანამეგობრობა არც იმით დაინტერესებულა ოდესმე, როგორ და რა გზებით აფინანსებდა თავის საარჩევნო კამპანიებს თვით ეს ხელისუფლება, რომელიც დღეს კანონიერების დაცვის მებაირახტრის როლში გვევლინება და თავის მთავარ პოლიტიკურ კონკურენტს მისხალ-მისხალ უთვლის დანახარჯს.

ამ ხელისუფლებას ბიძინა ივანიშვილის ერთი ტელევიზია უკვირს, როცა „რუსთავი-2“, „იმედი“, „საზოგადოებრივი ტელემაუწყებელი“ „ნაცმოძრაობის“ პიარს ემსახურება.

„ნაცმოძრაობას“ ემსახურება მთელი სახელმწიფო მანქანა, დაწყებული პოლიციით დამთავრებული ზონდერბრიგადებით.

„ნაცმოძრაობისა“ და მისი თავკაცისთვის, რომელიც, ამავე დროს, ქვეყნის პირველი პირია, ქართული სახელმწიფო, თავისი ინფრასტრუქტურით, საბანკო სისტემით, ბიუროკრატიული აპარატით დიდი ხანია პირად შპს-დ იქცა.

ყოველივე ამის შემდეგ სააკაშვილს და მის პარტიულ ორგანიზაციას რა მორალური უფლება აქვთ, რაიმე კანონდარღვევებზე ისაუბრონ.



კი მაგრამ, ვინმემ დათვალა და გადაამოწმა ვარდების რევოლუციის შემდეგ ამ რვა თუ ცხრა წლის განმავლობაში რამდენი მილიონი დახარჯა „ნაცმოძრაობამ“ არჩევნების დროს თუ არჩევნებამდე?

ვინმემ იცის, რა წარმომავლობის იყო ფული, რომელსაც „ნაცმოძრაობა“ ამომრჩეველთა გულის მოგებას ახმარდა?

ვინმემ იცის, ვინ უხდის ხელფასებს „ნაცმოძრაობის“ აქტივისტებისა და კოორდინატორების უზარმაზარ არმიას და რამდენ მილიონს შეადგენს ეს თანხა?

როგორც ბიძინა ივანიშვილმა თქვა, ის თუ რამეს ხარჯავს, საკუთარ ფულს ხარჯავს, ხელისუფლება კი საბიუჯეტო თანხებს ანუ თითოეული მოქალაქის ფულს ხარჯავს თავისი პარტიული ინტერესების სასარგებლოდ.

რატომ არ ინტერესდება, მიუკერძოებელი და „ობიექტური“ კონტროლის პალატა „ნაცმოძრაობის“ შემოწირულობათა სიებით, სადაც შემომწირველებად ისეთი ადამიანებიც არიან დასახელებულნი, რომლებსაც არასოდეს არც ერთი თეთრი არ გადაურიცხავთ ამ ორგანიზაციისთვის, არადა, მათი გვარების გასწვრივ 20-30 ათასებია მიწერილი.

„ნაცმოძრაობაზე“, სააკაშვილზე, მის გუნდზე ქართული კანონები არ ვრცელდება, ისინი კანონზე მაღლა დგანან, უფრო ზუსტად, ისინი კანონგარეშე ცხოვრობენ და საქმიანობენ, ხოლო არსებული კანონები მათ კონკურენტებისა და ოპონენტების ანგარიშსწორებისთვის სჭირდებათ.

ფართომასშტაბიანი პოლიტიკური ტერორი და დევნა, რომელიც ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ ხორციელდება, სინამდვილეში, არა მარტო ამ ერთი პიროვნების წინააღმდეგ არის მიმართული, არამედ მთელი ქართველი ხალხის და მთელი ქვეყნის წინააღმდეგ, იმ ადამიანების წინააღმდეგ, ვისაც არ სურთ შეეგუონ ავტოკრატიულ-დიქტატორულ-პოლიციურ რეჟიმს.

სააკაშვილი საკუთარი ქვეყნის დამპყრობლად იქცა, ვინც საკუთარი ხალხის წინააღმდეგ საეგზეკუციო-სადამსჯელო ოპერაციებს ახორციელებს, ხოლო შეთავსებით თავის თავს დემოკრატიის შუქურას უწოდებს.

სამწუხაროდ, ეს ისეთი „შუქურაა“, რომელიც სინათლეს კი არა სიბნელეს, სისასტიკეს და გულქვაობას „ასხივებს“...

**დავით ქავთარია**

# facebook

## xalxis azriT

დღევანდელი დღე გარდამტეხია. ნაციონალურმა მოძრაობამ და მიშას ზონდერებმა ყველაფერი გააკეთეს, რათა იმერეთში აქტივობა დაცემულიყო... ვერ ხვდებიან, რაც მეტი იქნება უსამართლო წინააღმდეგობა მათი მხრიდან, მით უფრო მობილიზებული გამოვალთ და ჩამოვალთ კიდეც... თბილისის შეკრებამ თუმცა უმაღლეს დონეზე აჩვენა ქართული ხასიათის გაუტეხლობა, რეგიონს, კერძოდ კი ქუთაისს მეტი დატვირთვა ეკისრება - მედგრად, ფხიზლად და ერთად, ქუთათურებო!!!

ვაჩვენოთ თვითკმაყოფილ ყეყეჩებს, რომ ქართველ მოქალაქეს ყოველთვის ჰქონდა და ექნება სიახლისაკენ ლტოლვა, სამართლიანობის დაცვის შინაგანი რესურსი და მას ვერაფერი და ვერავინ ვერ შეაშინებს - მით უფრო თავად შეშინებული და მერკანტილიზმით დაბრმავებული პატარა ჯგუფი - თუნდ ზონდერების მთელი ბატალიონით.

დღეს კოლხეთი და მთელი საქართველო თქვენთან ვიდგებით: - დღეს მე ქუთაისელი ვარ !!!!!!

ქუთაისის აქციას 55 ათასამდე ადამიანი ესწრებოდა - IPN-მა მონაცემები გოოგლე მაპ-ის სპეციალური პროგრამით დათვალა.სასაცილო იცით რა არის 4 000 კაციო – ითქვა პრესჯიზე გამიგია შემცირება 2ჯერ, 3ჯერ, 4ჯერ, მაგრამ 13-ჯერ??

მეგობრებო, სანამ დაგემშვიდობებით და ქუთაისისკენ მიმავალ გზას დავადგები, უნდა გითხრათ, გული მიგრძნობს, რომ იქ უკვე ასეთი მდგომარეობა დამხვდება... რატომღაც ეჭვი მაქვს, რომ პოლიციელებიც ჩვენს მხარეს იქნებიან და თავიანთ ოთახებში შეყუჟულები, ჩუმად იზეიმებენ ჩვენს სიმრავლეს და საქართველოს გამარჯვებას :)))) ოცნებას კაცი არ მოუკლავსო, ამბობენ, მაგრამ ეს მხოლოდ ოცნება არ არის, ეს გარდაუვალი რეალობაა... ქუთაისო, მალე ჩაგეხუტები :))

არ ვიცი, რამდენი ქუთაისელი მყავს მეგობრებში, მაგრამ მაინც მინდა ვუთხრა მათ, რომ დღეს ქუთაისის მაგალითი - იქნება მაგალითი მთელი ქვეყნისთვის. ის, რაც ხვალ (უკვე დღეს) ქუთაისში მოხდება, ჯაჭვურ რეაქციად წავა მთელ საქართველოში. თბილისმა თავისი სიტყვა ნამდვილად თქვა და ეს სიტყვა არ უთქვამს პირველად, წინა ხაზზე ყოველთვის იდგა დედაქალაქი, მაგრამ ახლა სულ სხვა ვითარებაა, - რეგიონები თქვენ გელოდებიან. თქვენს გამბედაობაზე და სითამამეზე, თქვენი თავისუფლების სურვილზე და ხარისხზეა ყველაფერი დამოკიდებული. თუკი ქუთაისი ხვალ - ღირსების და დაუმორჩილებლობის დემონსტრირებას მოახერხებს, - ნამდვილად გადალახავს ბათუმი, ფოთი, ზუგდიდი, ონი, თელავი, გორი, წალკაც და მარნეულიც შიშის კედელს, რომელიც უზნეო, ნაძირალა ხელისუფალს აძლევს იმდენის უფლებას, რამდენიც ჯერ, არც ერთ ქვეყნის სათავეში მყოფს არ გაუბედავს... თქვენი იმედი მაქვს...:)

ვისაც არ მოგისმენიათ, მოუსმინეთ ეკა ხვედელიძეს "მაესტროზე" თამარ ჩიქოვანის გადაცემაში "ჩვენ"...

ძალიან, ძალიან საინტერესო პიროვნებაა და საინტერესოდ საუბრობს... გამაგიჟა და ცრემლიც კი მომგვარა მისმა ერთმა ფრაზამ, როდესაც თქვა, რომ მე და ბიძინა აწი ერთად აღარ ვივლით აქციებზე, რადგან მას რომ რამე გაუკეთოს ამ ხელისუფლებამ, მე უნდა გავაგრძელო დაწყებული საქმეო... ე.ი. ბიძინას თავი აქვს გადადებული საქართველოს ამ მტარვალებისგან გათავისუფლებისთვის და ჩვენ აქციაზეც აღარ მივიდეთ? ბრავო, ეკა )



# `axali memarjveneebis~ mier arCeuli politikuri kursi araswo ria

„ახალ მემარჯვენეებში" ყველაფერი კარგად და რიგზე რომ ვერაა, ეს საზოგადოებისთვის ისედაც უკვე ნაცნობია. აღნიშნული ფაქტი კი, დავით საგანელიძის „ახალი მემარჯვენეებიდან" - „ქართულ ოცნებაში " გადაბარგებამ კიდევ უფრო გაამყარა. რატომ დატოვა მრავალწლიანი მოღვაწეობის შემდეგ „მემარჯვენეები" საგანელიძემ და რა გეგმები აქვს „ქართულ ოცნებაში" „საერთო გაზეთს" **დავით საგანელიძე** ესაუბრა.



**– ბატონო დავით, 27 მაისს „ქართული ოცნების" მანიფესტაციაზე უკვე „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს" პარტიის წევრის სტატუსით გიხილეთ. რატომ გადაწყვიტეთ „ახალი მემარჯვენეებიდან" – „ქართულ ოცნებაში" გადასვლა?**

– 1999 წლიდან მოყოლებული, მას შემდეგ რაც პოლიტიკაში ვარ, ყოველთვის ოპოზიციაში ვიყავი ერთი მარტივი მიზეზის გამო, რადგან არ ვეთანხმები იმ კურსს, იმ პოლიტიკას, რაც საქართველოში ხორციელდება, შევარდნაძიდან მოყოლებული სააკაშვილის ცხრაწლიანი მმართველობით დასრულებული. ამიტომ ჩემი პოლიტიკური მოღვაწეობიდან გამომდინარე ჩემი მოვალეობაა ვთქვა ის რასაც ვფიქრობ და ვაკეთო ის საქმე, რასაც სწორად ვთვლი. დღეს ჩემი არჩევანია ხელისუფლების სამართლებრივად, კონსტიტუციური არჩევნების საშუალებით შეცვლა. არჩევნებში საზოგადოება თუ ისევ სააკაშვილის ხელისუფლებას აირჩევს და დავინახავ, რომ ეს რეალურად ხალხის არჩევანია, მაშინ შესაძლოა სხვა გადაწყვეტილება მივიღო: ან ქვეყანა დავტოვო, ან პოლიტიკიდან წავიდე, ან ვაღიარო რომ არაფერი არ მესმის და ა.შ.

**– თქვენ არ ეთანხმებით „ახალი მემარჯვენეების" პოლიტიკურ კურსს?**

– მე შარშანდელიდან მოყოლებული აღარ ვეთანხმები იმ პოლიტიკურ კურსს, რომლითაც „მემარჯვენეები" მიდიან.

**– ბატონო, დავით თუ აღარ ეთანხმებოდით „მემარჯვენეების" გზას, პარტიაში რატომ რჩებოდით?**

– შარშან დავტოვე პარტიის გენერალური მდივნის პოსტი, მთავარი კომიტეტი, პოლიტსაბჭო, ანუ ყველა ის მთავარი სტრუქტურა, რომელიც პარტიაში ძირითად გადაწტყვეტილებებს იღებდა, თუმცა პარტიის წევრად კვლავ ვრჩებოდი, რადგან ჩემთვის ძალიან ძნელი იყო ერთბაშად დამეტოვებინა პარტია, რომლის ერთ-ერთი დამფუძნებელი ვარ. ყოველთვის იმედი მქონდა, რომ გარკვეული პერიოდის შემდეგ „მემარჯვენეები" აღებულ გეზს შეიცვლიდნენ ან მიხვდებოდნენ, რა ხდება რეალურად ქვეყანაში.

**– კონკრეტულად რა არ მოგწონთ „ახალი მემარჯვენეების" ტაქტიკაში?**

– ამ საკითხზე არასოდეს არ ვსაუბრობ, ეს არის ტაბუდადებული თემა. თუ რაზე გვქონდა უთანხმოება, რის გამო ვერ ვთანხმდებოდით პირადად, მე, და „ახალი მემარჯვენეების" ლიდერები, ეს ყველაფერი, დრო გავა და თავისით გამოჩნდება. ახლა, უბრალოდ, ვამბობ იმას, რომ მე და „ახალი მემარჯვენეები" აბსოლუტურად სხვადასხვა პოლუსზე ვართ და ქვეყანაში შექმნილ სიტუაციასა და ქვეყნის ჩიხიდან გამოყვანის გზებს განსხვავებულად ვხედავთ. ამიტომ ეს ჩემთვის მიუღებელია.

**– ბოლო პერიოდში, როცა გამწვავდა ბიძინა ივანიშვილსა და დავით გამყრელიძეს შორის ურთიერთობა, გაჩნდა აზრი, რომ „მემარჯვენეები" ხელისუფლების თამაშს თამაშობენ. იზიარებთ ამ პოზიციას?**

– აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ბევრჯერ განვაცხადე, რომ მიუხედავად იმისა, ბევრმა ადამიანმა შესაძლოა თავისი პოზიცია დააფიქსიროს „ახალ მემარჯვენეებთან" დაკავშირებით, მაგრამ ვერასოდეს დავიჯერებ იმას და არც მინდა დავიჯერო, რომ „მემარჯვენეები" ან ვინმეს მიეყიდნენ, ან ვინმეს დავალებას ასრულებენ – ეს ჩემი პოზიციაა.

**– ვრცელდება ინფორმაცია, რომ „მემარჯვენეებს" მომავალი აღარ აქვთ, რადგან პარტია, ფაქტობრივად, აღარ არსებობს?**

– ქვეყანაში, საერთოდ, ბევრნაირი აზრი არსებობს, მაგრამ ამ საკითხზე ყურადღებას არ გავამახვილებ, თუმცა, ვთვლი და ეს ჩემი ქმედებითაც გამოვხატე, რომ ის გზა, რომლითაც „მემარჯვენეები" მიდიან, არასწორია.

**– „მემარჯვენეები" საპარლამენტო მანდატების დახევის ინიციატორები იყავით. როგორ ფიქრობთ, 2008 წელს მიღებული გადაწყვეტილების შედეგს დღეს ხომ არ ვიმკით?**

– საპარლამენტო მანდატების დახევის ინიციატორები „მემარჯვენეები" არ ვყოფილვართ. ინიციატორები სულ სხვა ადამიანები იყვნენ და ჩვენც, უბრალოდ, გუნდური პრინციპის დაცვით ვითამაშეთ. მოგეხსენებათ 2008 წელს რამდენიმე ადამიანიც გამოჩნდა, ვინც ინდივიდუალური გადაწყვეტილება მიიღო და გუნდურად გადაწყვეტილების მიღებაზე უარი განაცხადა, ვგულისხმობ, დავითაის, თორთლაძეს. ჩემი აზრით, ის, რომ ოპოზიციურმა პარტიებმა პარლამენტში შესვლაზე უარი განვაცხადეთ პოლიტიკურად არასწორი, თუმცა ზნეობრივად უმაღლესი გადაწყვეტილება იყო.

**– დამეთანხმებით, ხელისუფლებასთან ზნეობა ნაკლებად თუ სჭრის?**

– მე მაშინ ეს გადაწყვეტილება სააკაშვილის გამო არ მიმიღია და, საერთოდ, არაფერს არ ვაკეთებ სააკაშვილისთვის. ვმოქმედებ საზოგადოებისა და ხალხის უკეთესობისთვის. ჩემი აზრით, ოპოზიციის მხრიდან 2008 წელს საპარლამენტო მანდატებზე უარის თქმა, ზნეობრივი გადაწყვეტილება იყო, მაგრამ ამ ხელისუფლებას ზნეობა ხომ არ აინტერესებს. პირიქით, მათ ოპოზიციის მიერ მიღებული გადაწყვეტილება გაუხარდათ, რადგან პარლამენტიდან მოიცილეს ოპოზიციურად განწყობილი ადამიანები. სამწუხაროდ, ჩვენი მაშინდელი გადაწყვეტილება, ხალხმაც ვერ დაინახა და მხოლოდ რამდენიმე ადამიანმა თუ აღიარა, რომ ოპოზიციის მხრიდან მიღებული გადაწყვეტილება არა მხოლოდ ქართულ პოლიტიკაში, არამედ მსოფლიო პოლიტიკაში უპრეცედენტო ნაბიჯი იყო.

**– ბატონო დავით, ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკურ ასპარეზზე გამოჩენის შემდეგ, ფაქტობრივად, შვიდი თვე გავიდა და მხოლოდ ახლა მიიღეთ „ქართულ ოცნებაში" გაწევრიანების შესახებ გადაწყვეტილება, რატომ, რას ელოდებოდით?**

– თავდაპირველად „ქართული ოცნების" მხრიდან ვერ ვხედავდი ინიციატივებსა და კონკრეტულ ნაბიჯებს. კოალიცია ჩამოყალიბების პროცესში იყო და ვერ ვხედავდი ერთიან ჩამოყალიბებულ ბირთვს.

**– დღეს ჩამოყალიბებულია „ქართული ოცნება"?**

– ახლა ვთვლი, რომ ჩამოყალიბებულია და მეტსაც გეტყვით, თუ რატომ მივიღე კოალიციაში გაწევრიანების გადაწყვეტილება მაინცდამაინც 25 მაისს არა 29 მაისს, ან დღეს. ჩემთვის პრინციპული მნიშვნელობა არ ჰქონდა იმას, თუ 27 მაისს რამდენი ადამიანი მოვიდოდა „ქართული ოცნების" მანიფესტაციაზე, რადგან კოალიციაში გაწევრიანება გადავწყვიტე იმიტომ, რომ ვთვლი „ქართული ოცნება" არის მართლაც გულწრფელი, არ არის ვიღაცის ინტერესებზე მორგებული, რუსული და ა.შ. ამიტომ, როცა ჩამოყალიბდა ძირითადი გუნდი და ის ბირთვი, ვინც ბევრი რამ უნდა გააკეთოს ქვეყნის სიტუაციის შესაცვლელად, დავდექი მათ გვერდით.

**– კონკრეტულად, დავით საგანელიძეს „ქართულ ოცნებაში" რა გეგმები აქვს?**

– გეგმები მაქვს ძალიან დიდი, მაგრამ ძალიან მარტივად სათქმელი: ჩემი მიზანია ხელისუფლების შეცვლა, რაც შეიძლება სწრაფად. ამიტომ ამ მიმართულებით ჩემი შესაძლებლობის ფარგლებში მაქსიმალურად ყველაფერს გავაკეთებ.

**–„ქართულ ოცნებაში" თქვენი კანდიდატურა მაჟორიტარად თუ განიხილება?**

– „ქართულ ოცნებაში" ზოგადად საუბარი იყო, თუ დავდგებოდი რომელიმე რაიონში მაჟორიტარად. მე ყველაფრისთვის მზად ვარ და არაფერზე თავს არ შევიკავებ და არც არაფრის მეშინია.

ამ ხელისუფლებას ვერც ჰილარი კლინტონი უშველის და ვერც ილია ჭავჭავაძის საფლავიდან წამოდგომა, რადგან მათი გამოსწორება შეუძლებელია.

**მირანდა ნაბახტეველი**

# Tu eseni msoflio moqalaqeebi arian da asparezad saqarTveloar hyofniT, wavidnen, Zama, vin akavebT?



***მას მოძრაობა „ეროვნულების“ დამფუძნებელ ყრილობაზე შევხვდი, თუმცა, არ გამკვირვებია, რადგან იგი ყოველთვის იქ დგას, სადაც ქართული სული ტრიალებს. „საერთო გაზეთის“ სტუმარია მრავალთათვის სასურველი სტუმარი, ბატონი მანუჩარ მაჩაიძე.***

— „ეროვნულების“ დამფუძნებელ ყრილობაზე მოვედი იმიტომ, რომ სიტყვა „ეროვნულობამ“ მომიზიდა. აქ უამრავი ისეთი ნაცნობი ვნახე, რომლებიც გასული საუკუნის 90-იანი წლების ეროვნულ მოძრაობაში იღებდა მონაწილეობას. გავიდა 20-25 წელი და ჩვენ რაც გვეგონა, რომ ვიბრძოდით ეროვნული სახელმწიფოსთვისა და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, მივაღწიეთ მიზანს, კი, ბატონო, საქართველო გახდა დამოუკიდებელი, მაგრამ რა მოიტანა ამან საქართველოსა და ქართველი ხალხისთვის კარგი? — ბევრი ვერაფერი. რევოლუციებმა და მთავრობების ცვლამ რა მოიტანა, ის, რომ კოსმოპოლიტურმა ძალებმა მოიყვანა დღევანდელი ხელისუფლება და დღევანდელ ხელისუფლებაში დღესაც ასეთი ხალხია, რომელთათვისაც ეროვნული ღირებულებები არ წარმოადგენს არანაირ ღირებულებას.

**— ბატონო მანუჩარ, „კოსმოპოლიტიზმი“ დადებით ასპექტში განიხილება...**

— კოსმოპოლიტი არის ადამიანი, რომელიც უარჰყოფს ნაციონალურ ტრადიციებსა და კულტურას, წინააღმდეგია ქვეყნის დამოუკიდებლობის, საკუთარ თავს არ მიაკუთვნებს მსოფლიოში არსებულ არც ერთ ერს, მიაჩნია, რომ მსოფლიო მოქალაქეა, ამდენად, მისთვის სამშობლო არაფერს წარმოადგენს. მათთვის სამშობლო არის ტერიტორია ხალხით და მეტი არაფერი.

ყველანი, ვინც იყვნენ და არიან ხელისუფლებაში, გადასულნი იყვნენ ეროვნული მოღვაწეებისა და ეროვნული ტრადიციების წინააღმდეგ ბრძოლაზე, ლანძღავდნენ ქართველი ერის წარსულს, ლანძღავენ აწმყოს და გვპირდებიან რაღაც ქიმერულ მომავალს, რომელიც, გაუგებარია, როგორი უნდა იყოს. რაღაც სამოქალაქო საზოგადოებაზე ლაპარაკობენ, მაგრამ მთელი უბედურება ისაა, რომ ასეთი საზოგადოების დროს კანონი კანონობს, ჩვენთან კი, ამაზე ლაპარაკიც ზედმეტია. კანონი არ მოქმედებს, ეროვნულობა არ არის, ხალხი გაჭირვებულია, საქართველო ერთ-ერთი უღარიბესი ქვეყანაა მსოფლიოში — აბა, რა დარჩა, ვერ გავიგე!...



დღეს, მოხარული ვარ, რომ გამოიღვიძა ხალხის რაღაც ნაწილმა, შეიკრიბა და აქცენტს აკეთებენ ეროვნულ ღირებულებებზე. ქართველმა ერმა არ უნდა დაკარგოს თავისი თვითმყოფადობა, ენა, სარწმუნოება, მამული!

სამწუხაროდ, ყველა მთავრობაში აღმოჩნდებიან ხოლმე ადამიანები, რომლებიც გამუდმებით ტირიან დაღვრემილი სახეებით, „რა ეშველებათ ეროვნულ უმცირესობებს საქართველოშიო“, — ამდენი წელიწადია, მოსთქვამენ, შეგვჭამეს! მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში ეროვნული უმცირესობები ისე ლაღად არ ცხოვრობენ, როგორც საქართველოში და რას ტირიან, რა უნდათ, ვინ არიან, რატომ არ ჩერდებიან, ვერ გავიგე!...

**— ახლა მე ვერ გავიგე, მართლა ვერ გაიგეთ?**

— მე ვფიქრობ, ესენი არიან პროვოკატორები, რომლებიც გამიზნულად ძაბავენ ურთიერთობას საქართველოში მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობებთან და ამით ვიღაცის წინაშე უნდათ თავის წარმოჩენა. რატომ არ შეიძლება, რომ სულაც, უცხო ქვეყნის სპეცსამსახურების დავალებებს ასრულებდნენ და ამიტომ უნდათ, რომ საქართველოში მუდმივად იყოს შუღლი და დაძაბულობა? საქმე იმაშია, რომ ქართველი ერი არ არის ასეთი, მაგრამ არ ჩერდებიან ის ხალხი და ახლა ტერიტორიებს გვედავებიან, კაცო!

ახლა, თურქებს ბათუმი სდომებიათ! — მსოფლიო ისტორიამ იცის, რომ თურქეთის ადგილზე იყო ბიზანტია, კიდევ მანამდე ხეთები და რას გვედავება, ვერ გავიგე! სომხები ჯავახეთს გვედავებიან — ეს სომხები ვიღა არიან, კაცო! V საუკუნემდე დღევანდელი სომხეთის ტერიტორიაზე იყო სახელმწიფო ურარტუ, სადაც სრულიად სხვა ხალხი ცხოვრობდა, მერე შემოვიდნენ საიდანღაც ეს ხალხი და დაიპყრეს — ღმერთმა ხელი მოუმართოთ, მაგრამ ჩვენ რა უფლებით გვედავებიან სამცხე-ჯავახეთს!

**— ბატონო მანუჩარ, უახლესი წარსულია, თურქეთში სომეხთა ჟლეტამ გააჩინა ჯავახეთში სომხები...**

— დიახ! დიახ! ბაგრატიონების სამეფო დინასტიის ისტორია ტაო-კლარჯეთით იწყება და თურქებს რომ ჰკითხო, ბათუმს გვედავებიან... რა არის, იცით, სახელმწიფო არ აკეთებს სათანადო რეაგირებას. ამ ტერიტორიების მოდავე სახელმწიფოებს უნდა აუხსნა, ძმაო, ქართველების მოგონილი კი არ არის ისტორია, მსოფლიომ იცის, სად და ვისი რა იყო... ეს აზერაბიჯანელები კიდე, — 65 წელს პომპეუსი რომ შემოვიდა, მანამდე ალბანელებს ებრძოდა, რომლებიც დღევანდელი აზერბაიჯანის ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ. სად წავიდნენ ის ალბანელები, ჰა? — ესე უნდათ ახლა ქართველებისთვისაც?

მე მგონი კი არა, ასეა, საქართველოში არის ძალები, რომელთაც უნდა საქართველო ქართველების გარეშე. ისევე როგორც, ბიზანტია ხომ იყო — იქ ბიზანტიელები აღარ არიან, ურარტუ იყო — იქ ურარტუელები აღარ არიან, ალბანეთი იყო — იქ ალბანელები აღარ არიან და რამდენია ასეთი, სწორედ ასე, უნდათ იყოს ტერიტორია, სადაც არ ვიქნებით ქართველები. იფ, რა კარგია, არა? ეგრე არ გამოვა!

ქართველმა ერმა დროზე უნდა გამოიფხიკოს ყურები და სანამ ასეთი რამ არ მომხდარა, უნდა ვიბრძოლოთ საკუთარი თავის გადასარჩენად, მორჩა და გათავდა, თორემ ვის აქვს საქართველოს გადარჩენის ინტერესი, პირიქით!

ეს ყველაფერი, მოძრაობები, შეკრებები თუ აქციები, მიმართული უნდა იყოს იმ მხარეს, რომ ხალხი მომზადებული იყოს თავის გადასარჩენად. ერში უნდა გაიღვიძოს ეროვნულმა სიამაყემ, ეროვნულმა თვითშეგნებამ და უნდა დავიცვათ ჩვენი ქართველობა. ასე არ გამოვა! თუ ხმა არ ამოვიღეთ, ესენი ისე გათავხედებულები არიან, ყველაფერს კადრულობენ და უარესს იკადრებენ. წყალში რომ ჩავარდები, თუ ხელი არ გაანძრიე, დაიხრჩობი, ასეა ჩვენი ამბავიც. ქართველები არავის ვერჩით, ჩვენ უნდა დავიცვათ ჩვენი თავი — დამთავრებული ამბავია!

ჩვენი შვილები და შვილიშვილები უნდა აღიზარდონ ეროვნული შეგრძნებით, პატრიოტული აღზრდით, იმ ისტორიით, რომელიც ნამდვილად საქართველოს ისტორიაა და არა გაყალბებული.

მე დარწმუნებული ვარ, რომ ბევრი ახალგაზრდაა ახლა, რომელთაც უყვართ სამშობლო და იბრძვიან მისთვის. ასეთ ახალგაზრდებს მხარში ამოდგომა სჭირდებათ და დარიგება, სწორი გეზის მიცემა, აბა, ისე საქართველო არ გადარჩება.

**— სწორედ ამიტომაა, რომ ახალაგაზრდა თაობებს შეფარვით სხვა მიმართულებას რომ აძლევენ, თუმცა, რაღა შეფარვით, ყველაფერი ქართულ ჩამორჩენილობად არის გამოცხადებული, ღვინის დაყენებაც კი აღარ სცოდნია, ვთქვათ, კახელ გლეხს, უცხოელმა უნდა ასწავლოს...**

— ვიღაცებს ეგრე უნდათ და ეგრე ჰგონიათ, რა!... კაცო, თუ ესეთი მსოფლიო მოქალაქეები არიან და არ ჰყოფნით საასპარეზოდ საქართველო, წავიდნენ, ძამა, ვინ აკავებთ და დაგვანებონ თავი ჩვენ, ვისაც არ გვაქვს არც სხვა სამშობლო და არც პრეტენზია, რომ მსოფლიო მასშტაბის პიროვნებები ვართ. დაგვანებონ ეს პატარა ქვეყანა ქართველებს! ვააჰ, ესეთი რამე არ გამიგია, რა! ვერ ეტევი? — წადი!

**— მთელი მსოფლიო გიცნობდათ, მართლა მსოფლიო მოქალაქე იყავით...**

— რამდენი ქვეყანა მეხვეწებოდა მათთან დარჩენას, მაგრამ მე საქართველო მიყვარდა!...

ამათ ახლა ცხოვრების ისეთი ახალი წესების დანერგვა უნდათ, რაც პირდაპირ ეწინააღმდეგება ყველაფერ ქართულს. ეს ხანგრძლივი პროცესია და მარადიული ბრძოლა იქნება, მანამდე მაინც, სანამ ერთი ქართველი მაინც იქნება!

ქართველი, მთელი თავისი არსებობის მანძილზე ქართველობის გადარჩენისთვის იბრძოდა, ხან ერთი დამპყრობელი გვესხმოდა თავს, ხან მეორე, იშვიათად ვიყავით უომრად, მაგრამ თვითმყოფადობას, ასე თუ ისე, მაინც ვინარჩუნებდით, მეფეები გვყავდა და მეფე ქართველობას ინარჩუნებდა. ახლა მეფე არ გვყავს და მის ადგილზე არაქართული მენტალიტეტის ვიღაცები მოდიან. კარგები იყვნენ თუ ცუდები, იმ მეფეებს საქართველო მაინც უყვარდათ, ახლა, შეიძლება, სულაც ვიღაც ისეთი დასვან, ქართველი სულაც არ იყოს, იმას საქართველოს სიყვარული როგორ უნდა მოჰკითხო...

ჩვენი, ქართველების მოვალეობაა, ღირსეულად გავაგრძელოთ ჩვენი წინაპრების ტრადიციები. სხვათა შორის, მხოლოდ ჩვენ არ ვართ ამ დღეში, მაგრამ აბა, შეხედეთ, როგორ იცავენ სომხები თავს ან აზერბაიჯანელები?! — ჰოდა, ერმა თვითონ თუ არ დაიცვა საკუთარი თავი და საკუთარი ტერიტორია, არაფერი არ გამოვა!

**მაია ჭელიძე**

## ქართულ ბაზარზე ცხენის ხორცი აღმოაჩინეს



სურსათის ეროვნულმა სააგენტომ არაგეგმური ინსპექტირების შედეგად, ქართულ ბაზარზე ცხენის ხორცი აღმოაჩინა.

ამოღებულია ამავე ხორცისაგან დამზადებული სხვადასხვა ფარშირებული ნახევარფაბრიკატი, მათ შორის ხინკალი და პელმენი, — აცნობებს „მედიანიუსს“ სააგენტოდან.

ადამიანის ჯანმრთელობისათვის საზიანო პროდუქციას ინდმეწარმე გიორგი ოგანესიანი ამზადებდა.

კუსტარული საწარმო ისან-სამგორის რაიონში, ყარყარაშვილის ქუჩის №3, კერძო სახლის სარდაფში მდებარეობდა, სადაც საკვებ პროდუქტებს, ანტისანიტარულ პირობებში ამზადებდნენ.

ბიზნესოპერატორს შეუჩერდა საწარმოო პროცესი და განხორციელდა შესაბამისი საჯარიმო სანქცია.

ნედლეული და მზა პროდუქცია კი სრულად ამოღებულია გაყიდვიდან.

ამოღებულ ნაწარმს ამ დროისათვის ლაბორატორიული კვლევა უტარდება.

„ინსპექტიების დროს აღმოვაჩინეთ ნედლეულის სახით ცხენის ხორცი, რომლისაგანაც მზადდებოდა ხორცპროდუქტები ხინკალი, პელმენი. ცხენის ხორცი უკვე ამოვიღეთ რეალიზაციიდან”-აღნიშნა სურსათის უვნებობის ეროვნული სააგენტოს უფროსმა თენგიზ კალანდაძემ.

და როცა ადამიანს დაშინებით, შანტაჟით, ღირსების შელახვით, წამებით აკეთებინებ იმას, რაც შენ გინდა, დამარცხებული ხომ მაინც შენა ხარ? რა უცნაურია, როგორ ვერ უნდა მიხვდე ამ მარტივ რაღაცას, როდესაც ადამიანებს ძალის გამოყენებით აიძულებ, "შენსკენ გადმოვიდეს", ეს ხომ საშინელი მარცხია? რა ნა ხრენ ტუპოი უნდა იყო, რომ ამას ვერ მიხვდე! გამარჯვება აქ, ამ სამყაროში ხომ მხოლოდ ერთია - როცა უყვარხარ!

მამაჩემს უოცნებია — პენსიის მომატება მინდაო და არ დაიბარებენ დაკითხვაზე თუ იცით მოგელაძის ქალთან? ძალიან მინდა პოლიტიკური დატვირთვა მივცე მამაჩემის ოცნებას... ესეც ჩემი ოცნებაააა.... ))))

ნაძვებს ჭრიან ჭავჭავაძეზე! ესეც ჭადარია, თქვე დაუნებო? :((( ასწრებენ ოქტომბრამდე ყველაფრის განადგურებას!

რ-2-ის ყოფილი თანამშრომელი შესასვლელ კარში რომ იდგა და საბუთებს უმოწმებდა შენობაში შემსვლელ-გამომსვლელს ვანო მერაბიშვილის პიარი რომ ჰქვია დღეს, თვეში ორჯერ (სულ ცოტა) რომ დადის საზღვარგარეთ და თვეში ასევე ორჯერ პრემიას რომ ღებულიბს ხელფასზე ორჯერ მეტს, ამაზე არავინ არაფერი უნდა თქვას არასდროს?

ყველაზე დიდი ქართული სიმდიდრე გახლავთ უცხოეთის ქართველობა. ის სამშობლოს მოწყვეტილი თანამედროვე ქართველი მამელუქები, რომლებიც ისტორიული ბედუკუღმართობის გამო უცხოეთის პოლიტიკასა და ეკონომიკას ქმნიან. ჩემი ყველაზე დიდი ქართული ოცნება გახლავთ სწორედ ის, რომ თითოეული მათგანის რესურსი თავისი ისტორიული სამშობლოსკენ იყოს მიმართული...

facebook

# xalxisazriT



ქუთაისში ისეთივე ამინდია, როგორც თბილისში 27 მაისს. მოკლედ, ბუნებაც კი აღარ ინდობს ამ ხელისფლებას, განწირულები არიან! ბუნებასაც ესმის ჩვენი გაუსაძლისი მდგომარეობა და გვეხმარება.

მე ბედნიერი ვარ!!!!! მე ბედნიერი ვარ, რომ დღესდღეისობით არსებობს ქალბატონი ეკას მსგავსი ქალები !!!!!!!! მისაბაძი მაგალითია ყველასთვის, არა მარტო ქალებისთის, არამედ მამაკაცებისათვისაც !!! როგორი შემართება, როგორი ლოგიკა, როგორი სისუფთავე, როგორი თავდაჯერებულობა, როგორი ბრძოლისუნარიანობა მოდის ამ ქალბატონისგან !!!! მართლა შოკში ვარ !!!! ეკატერინა ხვედელიძე ნამდვილად მისაბაძი მაგალითია ქართველი ქალებისათვის !!!!! ღმერთმა დაგლოცოთ, ქალბატონო ეკა და გაგაძლიეროთ!!!

რა მშვენიერი, სათნო და გულწრფელი მომავალი პირველი ლედი ჰყავს საქართველოს. ეს ჭკვიანი და ლამაზი ქალბატონი უამრავ კეთილ საქმეს გააკეთებს, ბევრ სითბოსა და სიყვარულს, მზრუნველობასა და დახმარებას მიუძღვნის თავის მშობელ ხალხს. ფსიქოლოგიურად გაწონასწორებული პიროვნებები ყოველთვის მიაღწევენ წარმატებას.

ბიძინას წარმატებები, ალბათ დიდწილად ასეთი მშვიდი ბუნების, გამჭრიახი და გაწონასწორებული ხასიათის მეუღლის დამსახურებაც უნდა იყოს. ფანტასტიური პირველი ლედია!!!

მარტო ეკას კი არ გაუმართლდა, რომ ბიძინას მეუღლეა, არამედ ბიძინასაც საოცრად გაუმართლდა, რომ ასეთი ღირსეული, ჭკვიანი და მშვენიერი ქალბატონი ჰყავს გვერდით. ღმერთმა დალოცოს თქვენი ბრწყინვალე ოჯახი

# manana kobaxiZe: imedia, aSS xelsSeuwyobs saqarTveloSi Tavisufali da demokratiuli arCevnebis Catarebas




**აშშ-ის სახელმწიფო მდივანი ჰილარი კლინტონი საქართველოში ვიზიტის ფარგლებში ოპოზიციის წარმომადგენლებს შეხვდა. შეხვედრას „ქართული ოცნების" წევრებიც ესწრებოდნენ. რამდენად შედეგიანი იყო სახელმწიფო მდივანთან შეხვედრა და რა მოლოდინი აქვს ოპოზიციას კლინტონთან შეხვედრის შემდეგ? „საერთო გაზეთს" „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს" თავმჯდომარე მანანა კობახიძე ესაუბრა, რომელიც სახელმწიფო მდივანთან შეხვედრას ესწრებოდა.**

**— ქალბატონო მანანა, აშშ-ის სახელმწიფო მდივანს „ახალ მემარჯვენეებსა" და „ქდმ" ერთად „ქართული ოცნების" წარმომადგენლებიც შეხვდით. რას ფიქრობთ, კლინტონთან შეხვედრა რამდენად შედეგიანი იყო?**

— აშშ-ის სახელმწიფო მდივანს ვესაუბრეთ ყველა იმ საკითხზე, რაც საქართველოში წინასაარჩევნო გარემოსთან დაკავშირებით არსებობს: ესაა ხელისუფლების მხრიდან განხორციელებული უკანონო ქმედებები, კონტროლის პალატის მიერ გატარებული სანქციები, „ქართული ოცნების" მხარდამჭერების პოლიტიკური დევნასა და დაშინებაზე, ანუ ვისაუბრეთ ყველა იმ პრობლემაზე, რასაც ხელისუფლება „ქართულ ოცნებას" უქმნის. ჰილარი კლინტონმა განგვიცხადა, რომ აშშ საქართველოში გრძელვადიან სადამკვირვებლო მისას გამოგზავნის, რომელიც წინასაარჩევნო პროცესებს დააკვირდება. იმედი მაქვს, აშშ-ი ხელს შეუწყობს საქართველოში თავისუფალი და დემოკრატიული არჩევნების ჩატარებას და მათი მხრიდან საქართველოში დემოკრატიული პროცესებს მხარდაჭერა ექნება.

**— დავით უსუფაშვილმა კლინტონთან შეხვედრის დასრულების შემდეგ ჟურნალისტებთან განაცხადა, რომ აშშ-ის სახელმწიფო მდივანი საქართველოში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით ინფორმირებული იყო. მაგრამ აქ მეორე საკითხია, საქართველოში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით, რამდენად სწორად იყო ინფორმირებული ჰილარი კლინტონი?**

— ჰილარი კლინტონს ინფორმაცია ჰქონდა კონტროლის პალატის ქმედებებზე, საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებით. დაინტერესებული იყო ბიძინა ივანიშვილის მოქალაქეობის საკითხით და გეგმავდა თუ არა ივანიშვილი არჩევნებში მონაწილეობს. მოგეხსენებათ, ჰილარი კლინტონის საქართველოში ვიზიტამდე აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიში გამოქვეყნდა, რომელშიც ასახულია საქართველოში 2011 წელს შექმნილი მდგომარეობა. მინდა გითხრათ, რომ ანგარიში საკმაოდ მწვავეა, რაც იმის დასტურია, რომ აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი აბსოლუტურად ადეკვატურად და სწორად აფასებს საქართველოში შექმნილ რეალურ ვითარებას. შესაბამისად, იმედი მაქვს, რომ ჰილარი კლინტონს ქვეყანაში შექმნილი სიტუაციის შესახებ სწორი ინფორმაცია ჰქონდა.

**— აშშ-ს სახელმწიფო მდივანთან შეხვედრისას თუ იყო კონკრეტული საკითხი, რითაც ჰილარი კლინტონი ყველაზე მეტად დაინტერესდა?**

— ჰილარი კლინტონი ყველა იმ საკითხით იყო დაინტერესებული, რაც საარჩევნო გარემოს უკავშირდება. ეს არის მედიის თავისუფლების დაბალი ხარისხი და ხელისუფლების მხრიდან ნაციონალური არხების კონტროლი. საუბარი გვქონდა ასევე საარჩევნო სიებთან დაკავშირებით, რითაც ხელისუფლება არჩევნებზე ხშირად მანიპულირებს ხოლმე. ჰილარი კლინტონმა საქართველოში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით ჩვენგან ინფორმაცია მიიღო და იმედი მაქვს, რომ აშშ-ს მთავრობა სწორად შეაფასებს იმ პროცესებს, რაც საქართველოში ხდება.

**— აშშ-ის სახელმწიფო მდივანთან შეხვედრის დასრულების შემდეგ გავრცელდა ინფორმაცია თითქოს შეხვედრის დროს გიორგი თარგამაძესა და დავით უსუფაშვილს შორის უთანხმოება მოხდა. ადასტურებთ ამ ინფორმაციას?**



— ჩვენ სახელმწიფო მდივანს განვუმარტეთ თუ რატომ არ სარგებლობს ბიძინა ივანიშვილი ახალი საკონსტიტუციო ცვლილებებით. ჰილარი კლინტონს ვუთხარით, რომ არ შეიძლება ქვეყნის ძირითადი კანონი ერთი ადამიანისთვის იქმნებოდეს. შესაბამისად, ახალი საკონსტიტუციო ცვლილებები ქვეყნის საწინააღმდეგოა, იგი ქვეყნის სახელმწიფოებრიობას საფრთხეს უქმნის. ახალი ცვლილებებით ბიძინა ივანიშვილი არ სარგებლობს. შეხვედრაზე „ქრისტიან-დემოკრატებმა" მათი მიერ ინიცირებული კანონპროექტის დაცვა სცადეს და დავით უსუფაშვილთან დისკუსიაში შესვლას შეეცადნენ. ცხადია, ჰილარი კლინტონის დონის პოლიტიკოსთან შეხვედრისას ნამდვილად სწორი არაა ორ პარტიას შორის დისკუსიის გამართვა. უსუფაშვილი თარგამაძესთან დისკუსიაში არც შესულა, რადგან მიზანშეუწონლად ჩავთვალეთ „ქდმ"-თან კამათის გამართვა იმ საკითხზე, რაც აბსოლუტურად ყველასთვის ნათელია.

**— პარტიები, რომლებიც „ქართუ ოცნებასთან" ერთად ჰილარი კლინტონთან შეხვედრაზე იყვნენ წარმოდგენილნი, ბიძინა ივანიშვილი ფსევდოპოზიციურ პარტიებად თვლის. შესაბამისად, რატომ დათანხმდით ე.წ. „ფსევდოპოზიციურ" პარტიებთან ერთად სახელმწიფო მდივანთან შეხვედრას?**

— „ქართულ ოცნებას" სურვილი გვქონდა ჰილარი კლინტონს ცალკე შევხვედროდით, მაგრამ არ გამოვიდა. თვითონ აშშ-ის საელჩო წყვეტდა, თუ რომელ ოპოზიციურ პარტიებს შეხვდებოდა კლინტონი, რადგან „ქდმ" და „მემარჯვენეებიც" ოპოზიციად ითვლება, მათთან ერთად შეხვედრა იმიტომ მოგვიწია. თუმცა ჩვენ აბსოლუტურად ვემიჯნებით მათ და მოგვაჩნია, რომ „ქდმ" და „მემარჯვენეები" ხელისუფლებასთან ცალსახად თანამშრომლობენ და „ქართული ოცნება" მათ რეალურ ოპოზიციად არ თვლის. მიუხედავად ამისა, ჩვენ მივედით „ქდმ-თან და „მემარჯვენებთან" ერთად აშშ-ის სახელმწფო მდივანთან შეხვედრაზე, როგორც კოალიცია „ქართული ოცნების" წარმომადგენლები.

**— როგორ ფიქრობთ, ხელისუფლება გაითვალისწინებს კლინტონის რჩევას და ყველა პოლიტიკური პარტიისთვის თანაბარ საარჩევნო გარემოს შექმნას უზრუნველყოფს?**

— ამერიკა საქართველოში აგზავნის გრძელვადიან სადამკვირვებლო მისიებს, რომლებიც რამდენიმე თვის განმავლობაში დააკვირდებიან წინასაარჩევნო პროცესებსა და გარემოს. სხვაგვარად უცხო ქვეყანა სუვერენულ სახელმწიფოს როგორ უნდა დაეხმაროს, ჩვენს საარჩევნო კომისიაში თავის წარმომადგენლებს ხომ არ დასვამენ? ისინი აგზავნიან დამკვირვებლებს, რომლებიც საქართველოში ჩატარებულ არჩევნებთან დაკავშირებით და საბოლოო ანგარიშს დადებენ და იტყვიან, თუ რამდენად დემოკრატიულად და სამართლიანად ჩატარდა საქართველოში არჩევნები. თუმცა იქამდე ქართველმა ამომრჩეველმა თავისი სიტყვა უნდა თქვას და საარჩევნო ყუთებთან უნდა გამოცხადდეს.

**მირანდა ნაბახტეველი**

# iranTan omis SemTxvevaSi ruseTma saqarTveloze gavla rom moindomos, es daangrevs msoflios samxedro wesrigs

## koba kapanaZe: biZina ivaniSvili Sedga rogorc qarTvelis xalxis sayovelTao-saxlaxo lideri

გვესაუბრება სამართლის ექსპერტი **კობა კაპანაძე**

**— ბატონო კობა, ბოლო ხანებში საკმაოდ დინამიურად ვითარდება პოლიტიკური მოვლენები. რას იტყვით ამის შესახებ?**

— მართალია, ბოლო დროს საკმაოდ საინტერესო პროცესების მომსწრე და მონაწილენი გავხდით. საქართველოში ცვლილებების დრო დადგა და ეს ჰილარი კლინტონის მიერ ხელისუფლების მიმართ გაკეთებული მკვეთრი განცხადებებითაც დასტურდება.

**ქალბატონი ჰილარი კლინტონის საქართველოში ვიზიტი "ვარდების რევოლუციის" წინა პერიოდში აშშ-ის ყოფილი სახელმწიფო მდივნის ჯეიმს ბეიკერის პირველ ვიზიტს შეიძლება შევადაროთ. მაშინაც იყო კონკრეტული რეკომენდაციები არჩევნების გამჭვირვალობასა და ძალაუფლების მშვიდობიანად გადაცემის შესახებ, თუმცა როგორ დამთავრდა ეს ყველაფერი, ყველამ კარგად ვნახეთ.**

დღესაც იგივე სიტუაციაა. 27 მაისმა კარგად დაგვანახა თუ ვის აქვს უფლება ილაპარაკოს ქართველი ხალხის სახელით. როგორც ჩანს, აშშ–ს ხელისუფლების პრინციპული პოზიციაა მხარი დაუჭიროს ქართველი ხალხის გადაწყვეტილებას რაც ნიშნავს, რომ ხელისუფლება აუცილებლად უნდა დაემორჩილოს ამომრჩეველთა უმრავლესობის ნებას. არ დაუშვას შესაძლებლობა სააკაშვილმა იძალადოს საკუთარ ხალხზე და არჩევნების გზით მშვიდობიანად, დემოკრატიულად განხორციელდეს ცვლილებები.

**სხვათა შორის, როდესაც ვუსმენდი სახელმწიფო მდივნის განცხადებებს, მისი ტექსტი, სხვა სიტყვებით, მაგრამ შინაარსობრივად ერთი–ერთში დაჯდა ობამა–სააკაშვილის შეხვედრის დროს, ბატონი ობამას მიერ გაკეთებულ განცხადებებთან.**

საქართველოსთვის ძალიან მნიშვნელოვანია ძალაუფლების მშვიდობიანი გადაცემა, რომელსაც წინ დემოკრატიული საპარლამენტო და შემდგომ საპრეზიდენტო არჩევნები უნდა უძღოდესო. ეს თავისთავად მეტყველებს იმაზე, რომ ეს გახლავთ აშშ-ს სახელმწიფოს პრინციპული პოზიცია

**— როგორ ფიქრობთ, რა იქნებოდა სახელმწიფო მდივნის კავკასიური ტურნეს ფარგლებში განსახილველი საკითხების მთავარი თემა?**

— ქალბატონი სახელმწიფო მდივნის მარშრუტს თუ დავაკვირდებით, ალბათ, მისახვედრია, რა იქნებოდა კულუარული განხილვების მთავარი თემა – რა თქმა უნდა ირანი!

ამ ტურნეს წინ უძღოდა საკმაოდ საინტერესო გამოხმაურებები მსოფლიო მედიაში. მაგალითად, **„International Herald Tribune“**-ში გამოქვეყნებულია სამი მაღალი რანგის კადრის დიპლომატის: უილიამ კორტნის, კენეტ იალოვეცის და დენის კორბოის მცირე წერილები. ისინი აცხადებენ, რომ ქალბატონი კლინტონის ეს ვიზიტი, აბობოქრებული კავკასიის დამშვიდებისკენ მიმართული ნაბიჯიაო. ძალიან საინტერესო სტატიაა, მიუხედავად იმისა, რომ სტატია მოცულობით მცირეა, მახვილი თვალი მასში ძალიან საინტერესო გზავნილებს ამოიკითხავს... შეგახსენებთ, რომ ამათგან, ბატონები: უილიამ კორტნი და კენეტ იალოვეცი აშშ-ს ყოფილი ელჩები არიან საქართველოში, ხოლო ბატონი დენის კორბოი ევროკომისიის ყოფილი ელჩია საქართველოსა და სომხეთში. სწორედ მათი ერთობლივი წერილით გამოეხმაურა **„International Herald Tribune“** ქალბატონი მდივნის ამ ტურნეს. მასში, მართალია, არაფერია ნათქვამი ირანის საკითხთან დაკავშირებით, მაგრამ სწორედ ეს ამყარებს მოსაზრებას, რომ სამხრეთკავკასიური ტურნეს ფარგლებში განხილვის მთავარი თემა სწორედაც რომ ირანი იქნებოდა.

**— რამდენიმე დღის წინ ბათუმში საქართველო-ამერიკის ქარტიის ფარგლებში შეხვედრა შედგა, სადაც ნეტრალური პასპორტებით გამარტივებული მიმოსვლა იქნება უზრუნველყოფილი აშშ-ში საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან. ეს, ალბათ, რამდენადმე შეუწყობს ხელს მშვიდობას რეგიონში და კერძოდ, საქართველოში.**

– 2008 წელმა, ჩვენდა სამწუხაროდ, დაადასტურა, რომ ცალკე აღებულ რომელიმე ქვეყანას არ შეუძლია კავკასიის უსაფრთხოების უზრუნველყოფა. იმ შემთხვევაში, თუ ირანთან დაკავშირებით რუსეთის მონაწილეობის გარეშე ნაჩქარევი გადაწყვეტილება იქნება მიღებული, ეს ჩვენ კარგს არაფერს გვიქადის. იგი დაარღვევს მსოფლიოს სამხედრო–პოლიტიკურ წესრიგს!..

როდესაც ჩვენ ამერიკა–საქართველოს ქარტიაზე ვსაუბრობთ, უნდა ითქვას, რომ მას, როგორც დოკუმენტს იურიდიული კუთხით, შესაძლოა, დიდი მნიშვნელობა არც მივანიჭოთ, რადგან მისი შინაარსი შესასრულებლად სავალდებულო ხასიათს არ ატარებს. თუმცა მას ჰქონდა ძალიან დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა, როდესაც ნაომარ ქვეყანასთან 2009 წელს ეს ქარტია გაფორმდა.... მანამდე 2008 წლის დეკემბერში მსგავს დოკუმენტს მოეწერა ხელი უკრაინასთან და სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნებთან ასეთი დოკუმენტი აშშ-ს გაფორმებული არა აქვს, თუ არ ჩავთვლით ბალტიის ქვეყნებს. ეს დოკუმენტი მათ 90-იან წლებში გაუფორმეს.

**— ასე ცალსახად შეიძლება ირანის საკითხის განხილვა?**

— რა თქმა უნდა, ირანის საკითხს აქვს მეორე მხარეც. ეს ეხება რუსულ ფაქტორს და საომარი მოქმედებების დაწყების შემთხვევაში, რუსეთის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას, სამხედრო დახმარება აღმოუჩინოს მისივე მოკავშირე – ირანს!



ამ არგუმენტს ამყარებს საბჭოთა კავშირსა და ირანს შორის 1927 წელს გაფორმებული ხელშეკრულება „ნეიტრალიტეტისა და თავდაუსხმელობის შესახებ“. მართალია, ს.ს.რ.კ. დაიშალა, მაგრამ, მისი სამართალმემკვიდრე რუსეთის ფედერაციაა. შესაბამისად, ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები რუსეთზე გადავიდა.

ხელშეკრულების მიხედვით, ნეიტრალიტეტის ვალდებულება მოქმედებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე მხარე თავდაცვით ომში აღმოჩნდება, მაგრამ ნეიტრალიტეტი არ მოქმედებს მაშინ, თუკი რომელიმე მხარე თვითონვე იქნება აგრესიული ომის გამჩაღებელი. ხელშეკრულება ყოველ წელიწადს გრძელდება მომდევნო ერთი წლის ვადით, მანამ, სანამ ერთ-ერთი მხარე მისი დენონსაციის გადაწყვეტილებით არ მიმართავს მეორე ხელშემკვრელ მხარეს.

აღნიშნული ხელშეკრულებით, რუსეთმა და ირანმა ვალდებულება იკისრეს თავი შეიკავონ ერთმანეთზე თავდასხმისაგან. გარდა ამისა, ხელშეკრულებით გათვალისწინებულია ვალდებულება, რომლითაც, თუ რომელიმე მხარეს თავს დაესხმება ერთი ან რამდენიმე სახელმწიფო, მეორე მხარე ვალდებულებას იღებს, შეინარჩუნოს მშვიდობა და სათანადო დახმარება აღმოუჩინოს საომარ მოქმედებებში ჩართულ ხელშემკვრელ მხარეს.

სწორედ ეს ხელშეკრულება გახდა მეორე მსოფლიო ომის დროს საბჭოთა ჯარის ირანში შესვლის საფუძველი. რათა გამორიცხული ყოფილიყო ირანის ოკუპაცია გერმანიის ან მისი რომელიმე მოკავშირის მხრიდან. სხვათა შორის, დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ იხილონ 2008 წელს გამოცემული წიგნი „ცხოვრება და კანონი“, რომელშიც კარგადაა განხილული ს.ს.რ.კ-სა და ირანს შორის გაფორმებული ამ ხელშეკრულებისა და ამ კონტექსტში, საქართველოსთან დაკავშირებული სხვა საკითხები.

ასევე მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ ის, რომ 1999 წელს, ამერიკის კონგრესმა დაამტკიცა „ქარტია აბრეშუმის გზის სტრატეგიის შესახებ“. მას მეორენაირად აბრეშუმის გზის შესახებ კანონსაც უწოდებენ. ეს უკვე სხვა საქმეა. ეს დოკუმენტი საქართველოს მონაწილეობის გარეშე შევიდა ძალაში. იცით, რა წერია მასში?! – ამ კანონის ძალით აშშ-ს პრეზიდენტი ვალდებულია იყოს სამხრეთ კავკასიაში მშვიდობისა და სტაბილურობის გარანტი! იყოს კავკასიური ენერგოდერეფნების უსაფრთხოების პოლიტიკური გარანტორი!



**ამიტომაც ვამბობ, როდესაც რუსეთი აცხადებს ირანთან ომის დაწყების შემთხვევაში საქართველოზე გავივლითო, ეს დაანგრევს მსოფლიოს სამხედრო პოლიტიკურ წესრიგს! თქვენ როგორ გგონიათ ე.წ. ექვსპუნქტიანი გეგმით რუსული ჯარის უკან დახევაზე როცა იყო საუბარი, სად დაიხიეს მათ უკან, გარდა იმ ტერიტორიებისა, სადაც ნავთობსადენი გადის?!**

ასე, რომ ეს ამერიკის პრეზიდენტის ვალდებულებას საკანონმდებლო დონეზე წარმოადგენდა. ჩვენგან განსხვავებით, იქ კანონს პატივს სცემენ და ასრულებენ.

ალბათ, უკვე ადვილი მისახვედრია, როდესაც ვამბობ, შეუთანხმებელმა, ცალმხრივმა ინიციატივებმა შესაძლოა დაანგრიოს მსოფლიოს სამხედრო პოლიტიკური წესრიგი - მეთქი. ეს ნგრევა, შესაძლოა, სწორედაც რომ სამხრეთ კავკასიიდან დაიწყოს. საომარი მოქმედებების დაწყების შემთხვევაში, ერთის მხრივ, ირან-რუსეთის ხელშეკრულება სამხედრო თანამშრომლობის შესახებ და ამ კონტექსტში რუსეთის ხელისუფლების განცხადებები, ირანის კონფლიქტის შემთხვევაში, საქართველოზე გავივლითო. მეორე მხარე, მერწმუნეთ, არ იქნება მთლად ასე ადვილი გასავლელი. „აბრეშუმის გზის სტრატეგიის შესახებ“ კანონი, რომელიც ამერიკის პრეზიდენტის ვალდებულებას განსაზღვრავს იყოს მშვიდობისა და უსაფრთხოების გარანტი სამხრეთ კავკასიაში, სერიოზული დაპირისპირების, სამხედრო კონფრონტაციის საფუძველსაც კი ქმნის!

**— მოდით, „შინაურ“ საქმებსაც მივხედოთ: ჩვენს თვალწინ ჩაიარა „ვარდების რევოლუციამ“, მაშინ ამბობდნენ, რომ ეს იყო ხალხის მოთხოვნა. რვა წელი გავიდა და დღეს ხალხის უდიდესი მხარდაჭერა „ქართულ ოცნებისკენ“ არის მიმართული.**

— ყველა დიდი ქართული საქმე ოცნებით იწყებოდა, მაგრამ მნიშვნელოვანია, რომ ოცნება ფიქრით და საქმით გრძელდება. თუმცა თითოეულ ჩვენგანზეცაა მნიშვნელოვანწილად დამოკიდებული ეს ოცნება რამდენად წარმატებულად განხორციელდება.

შიში გატეხილია. ხელისუფლება ვეღარ შეძლებს ხალხის მასობრივ დატერორებას. თუმცა ძალიან ადვილია შიშიდან ახალგამოსული საზოგადოების ისევ უკან შებრუნება. რამდენიმე კარგად დაგეგმილი საშუალო დონის პროვოკაცია და ეს ხალხი ისევ გადაეშვება მასობრივი უნდობლობის ატმოსფეროში. ვფიქრობ, ბატონი ივანიშვილის გუნდს ეს საფრთხეები გაანალიზებული აქვს და კონტრზომებიც მოფიქრებული ექნება.

როგორც კი ბატონმა ივანიშვილმა პირველი პოლიტიკური განცხადება გააკეთა იმ დღესვე, ამერიკის ხმისთვის მიცემულ ინტერვიუში მე განვაცხადე, რომ ივანიშვილის გამოჩენა უდავოდ გააჯანსაღებდა პოლიტიკურ პროცესს და თუ აქამდე არსებული პოლიტიკური ძალების უდიდესი უმრავლესობა, ნებსით თუ უნებლიედ, ასრულებდნენ როგორც პოლიტიკური, ასევე ფიზიკური ბუფერის როლს საზოგადოებასა და ხელისუფლებას შორის, ეს კონტექსტი დრომოჭმული გახდა-მეთქი. გამართლდა?! ასევე ვაცხადებ დღეს: იმის შეჩერება, რაც დღეს საქართველოში ხდება ალარავის ძალუძს, გარდა თავად ბატონი ივანიშვილისა!

პოლიტიკაში ჩართვიდან დღემდე განვლილმა პერიოდმა ნათლად დაადასტურა, რომ ბატონი ივანიშვილი შედგა როგორც ქართველი ხალხის საყოველთაო-სახალხო ლიდერი რომელიც, სახელმწიფოს მართვას დასავლური სტანდარტებით გვპირდება და იმავდროულად, მას არა მხოლოდ სურს, არამედ ძალუძს რუსეთთან ურთიერთობის დალაგება!

შესაბამისად, არა მხოლოდ საქართველოს, არამედ ცივილიზებული სამყაროს ღირსების საკითხს უნდა წარმოადგენდეს ის, რომ საქართველოს არ ჰყავდეს ისეთი სამარცხვინო ხელისუფლება, რომლის სათავეშიც პრეზიდენტი სააკაშვილი დგას! ვაცხადებ სრული პასუხისმგებლობით – საქართველოს ხელისუფლება მიდის 21 საუკუნის მსოფლიოს ტენდენციების წინააღმდეგ და ხალხთა დაშორიშორებისა და გათიშულობის პოლიტიკის მაპროვოცირებელია რეგიონში!

**ირანდა კალანდაძე**

***ხშირად საუბრობენ საქართველოში ბიზნესის ტერორის შესახებ, თუმცა ხელისუფლება მუდმივად იმეორებს, რომ ჩვენს ქვეყანაში არნახულად ხელსაყრელი ბიზნესგარემოა. თავად ბიზნესის წარმომადგენლები ერიდებიან ხოლმე მედიასთან ხელისუფლების მხრიდან განხორციელებული ზეწოლის შესახებ საუბარს, მაგრამ ბატონი ტატო ოსაძე, რომელიც ქიბარ ხალვაშის ბიზნესპარტნიორი იყო, გამონაკლისი აღმოჩნდა.***

# saukunis Zarcva anu rogor daayaCaRa `nacionalurma~ mafiam qibar xalvaSi da misi biznespartniorebi

**— როგორ ფიქრობთ, „ქართული ოცნების" ლიდერზე, ბიძინა ივანიშვილზე ხელისუფლების მხრიდან კანონებით აღჭურვილი მონიტორინგის სამსახურის შეტევა ბოლო იყო თუ გაგრძელდება?**

— ბატონი ბიძინა ივანიშვილის განცხადებისთანავე, რომ ის შემოდიოდა პოლიტიკაში, განხორციელდა სრული ტერორი მის მიმართ, რომელიც დღესაც გრძელდება. პარლამენტის უმრავლესობამ, რა თქმა უნდა, ხელისუფლების დაკვეთით მიიღო კანონი, რომლის ძალითაც ''ქართუ ბანკი'' გაძარცვეს 200 მილიონი ლარით. სხვათა შორის, ჩამოაჭრეს რა ამ ბანკს 200 მილიონის იპოთეკა, კანონიც შეცვალეს. გახსოვთ, ალბათ, ნნოდარ ჯავახიშვილმა წინასწარ განაცხადა, რომ ეს კანონი მხოლოდ "ქართუ ბანკისათვის" იქნა მიღებული. მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ ხელისუფლებამ და საპარლამენტო უმრავლესობამ მოაწყვეს შეთქმულება და გაძარცვეს "ქართუ ბანკი". აღნიშნული ძარცვა თამამად დაიკავებს პირველ ადგილს მსოფლიო ბანკთა ძარცვის ისტორიაში. ნნებისმიერ დემოკრატიულ ქვეყანაში აღნიშნულის შემსრულებლები - ხელისუფლების ნებისმიერი

# saakaSvilis gundi sarkofagia qarTuli ekonomikisaTvis

შტოს წარმომადგენელი ისხდებოდნენ ციხეში. ყველამ, ვინც ხელი მოაწერა ამ კანონს, იცოდა, რომ ერთადერთი მიზნით იქმნებოდა ეს კანონი. კონტროლის პალატის მონიტორინგის სამსახური - ეს ცალკე ფენომენია. აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ ის გარემობა, რომ ამ უწყებაში დამლაგებელიც კი ნაციონალია. არ ჩამოვთვლი მოგელაძის საგმირო საქმეებს, მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ ზიზღის კოეფიციენტით მან უკან ჩამოიტოვა ნაცმოძრაობის ცნობილი სახეები. დღეს ამ უწყების აქტიურობის შედეგად ბიძინა ივანიშვილი სამართალდარღვევის სუბიექტად არის ცნობილი. გახსოვთ, ალბათ, როდესაც კონტროლის პალატამ განათლების სამინისტროს შემოწმებისას აღმოაჩინა გაფლანგული 40 მილიონი, ამისთვის კონტროლის პალატა დაისაჯა.

ხელისუფლების მხრიდან ქვეყნის და ბიზნესის ძარცვის სხვა შემთხვევები გავიხსენოთ: - შუაღამეს გადაფორმებული ბიზნესები, ბიზნესმენები, რომლებსაც ციხეებში უჩნდებოდათ სურვილი საკუთარი ბიზნესი ხელისუფლების წარმომადგებელებისათვის ეჩუქებინათ. ეს მეთოდი ებრაელი ბიზნესმენების ფუქსის და ფრენკელის მიმართაც გამოიყენა ხელისუფლებამ, ისინი პრემიერ-მინისტრმა გილაურმა წერილით შემოიტყუა საქართველოში და შემდეგ დააპატიმრეს. ეს ''სტუმარ-მასპინძლის'' ქვეყანაში მოხდა! ეს ამბავი იმიტომ გავიხსენე, რომ წარმოიდგინოთ იმ ქართველი ბიზნესმენების მდგომარეობა, ვინც იძულებულნი იყვნენ ბიზნესი ხელისუფლებისთვის ეჩუქებინათ! ბიძინა ივანიშვილის მიმართ განხორციელებული შეტევა მისი პოლიტიკური ველიდან განდევნისთვის მიმდინარეობს, მაგრამ საზოგადოების განწყობა სრულიად საპირისპიროს გვაჩვენებს.



**— დემოკრატიულ ქვეყნებში პოლიტიკა პოლიტიკაა, ბიზნესი -ბიზნესი. ჩვენს ქვეყანას, უფრო ზუსტად ხელისუფლებას, აქვს პრეტენზია, რომ საქართველოში, მართალია, არაიდეალური, მაგრამ - დემოკრატიაა, ინვესტიციებისათვის კი ქვეყანა - ყველაზე მიმზიდველი ადგილია მსოფლიოში...**

— ქვეყნის ბიუჯეტი ხელისუფლების ცხრაწლიანი მოღვაწეობის შემდეგ შეადგენს 3 მილიარდ ევროს, სადაც ლომის წილი - 28 % ჯარიმები და საპროცესო შეთანხმებებია. როგორი გასქელებული შუბლი უნდა ჰქონდეთ ამ ადამიანებს, რომლებიც ეკონომიკურ ბუმზე საუბრობენ, მაშინ, როდესაც ქვეყნის ბიუჯეტი ევროპული საფეხბურთო კლუბების - მაგ. ''მანჩესტერის'' ან ''რეალის'' წლიურ ბიუჯეტს არ აღემატება.დღეს რაიმე სახით ბიზნესგარემოს არსებობაზე არ შეიძლება საუბარი ისევე, როგორც ინვესტიციების დამცავი მექანიზმის შესახებ.თავად პრეზიდენტმა რომც მოისურვოს, ვერაფრით შექმნის ამ გარემოს, რადგან ბიზნესგარემოს შექმნისათვის აუცილებელია თავისუფალი სასამართლო, იმდენი ბოროტება აქვს ჩადენილი ამ ხელისუფლებას, თავისუფალი სასამართლო მას აუცილებლად დასჯის.

ქვეყნის პარლამენტში უმრავლესობის მხრიდან დღეს, თუ არ ვცდები, 80 -მდე პარლამენტარი ბიზნესმენია, მათ რომ სურვილი ჰქონოდათ, დამოუკიდებლად შექმნიდნენ ბიზნეს გარემოს და ინვესტიციების დამცავ მექანიზმებს, მაგრამ ისინი მხარს უჭერენ პრეზიდენტს მონოპოლიების შექმნასა და განმტკიცებაში. მათ ძალიან კარგად იციან, თუ რა ტერორის ქვეშ იმყოფება დღეს ბიზნესი, მაგრამ გაჩუმებულნი არიან, ზოგი შიშის გამო, ზოგს კი თავად აწყობს არსებული მონოპოლიური სიტუაცია.ეს ბიზნესმენები მედიის საშუალებით საკუთარ მონოლოგებში აცხადებენ, რომ საქართველოში საოცარი ბიზნეს გარემოა. ვთავაზობ ნებისმიერ მათგანს, დაჯდეს ჩემთან ერთად ნებისმიერ ეთერში და უთხრას საზოგადოებას, რა ბიზნეს გარემოა ქვეყანაში. ''მაესტროს'' ეთერში დეპუტატი ნუგზარ წიკლაური დაჰპირდა მაყურებელს, რომ ჩემთან ერთად დებატებში დაჯდებოდა, მაგრამ ეს პირობა არ შეასრულა. დღესაც ვთავაზობ ბატონ ნუგზარს ტელე-დებატებს.

პრეზიდენტმა, ჩაიგდო რა ხელში განუზომელი, ძალა-უფლება გამოაცხადა ნულოვანი ტოლერანტობა - ''ყველა ციხეში'', სამართალდამცავებს განუსაზღვრა გეგმა, თუ რამდენი პატიმარი უნდა ჰყოლოდათ წლის ბოლოს, შექმნა საკუთარი გარემოცვისთვის მონოპოლიები. ქვეყნის საკუთრებას ერთ ლარად ჩუქნიდა საკუთარი ოჯახის წევრებსა და გარემოცვას, ერთ ლარად დაურიგა მოსამართლეებს მიწის ნაკვეთები და მანქანები, ერთ ლარად გაასხვისა საირმე. პირდაპირი მიყიდვის წესით, ქვეყნის ნომერ პირველ მტერს გადასცა ქვეყნის სტრატეგიული დანიშნულების ობიექტები - ''ენგური'', ''ხრამი-1'' , ''ხრამი2'', თელასი, თბილწყალკანალი, ოქროს და სპილენძის საბადოები. ამ დროს მეტად უცნაურ და ''ნაზ'' დამოკიდებულებას ვხედავთ რუსეთის ხელისუფლებასთან: პუტინი გვეუბნება, თუ ჩვენ არ გადავუხდით სააკაშვილს ნაგვის გაზრდილ გადასახადს, გამოგვირთავს დენს! რუსული კომპანია აფინანსებდა ფილმს ''აგვისტოს 5 დღე''. დასკვნების გამოტანა ძალიან ადვილია...

**— რა ფორმით განხორციელდა თქვენს ბიზნესზე ხელისუფლების მხრიდან ზეწოლა?**

— გლდანის ციხის მშენებლობისას, 2007 წლის თებერვალში, მშენებლობაზე გვესტუმრნენ შსს მინისტრი და რესპუბლიკის პროკურორი ზურაბ ადეიშვილი. ადეიშვილმა ქიბარ ხალვაშს განუცხადა, რომ ჩვენ გვყავს 12 ათასი პატიმარი, სექტემბერში უნდა გვყავდეს 20 ათასი და წლის ბოლოს - 30 ათასი. თუ დროზე არ ჩავაბარებდით ციხეებს, დაგვპირდნენ, რომ ამ ციხის პირველი პატიმრები ჩვენ ვიქნებოდით. საბჭოთა კავშირს, ამ ბოროტების იმპერიას, რომელიც ყველაფერს გეგმავდა, მაგალითად, რამდენი კვერცხი უნდა დაედოთ ზესტაფონში დედლებს, ის არასდროს დაუგეგმავს, თუ რამდენი ადამიანი უნდა დაეჭირათ წლის ბოლომდე.

სააკაშვილის ხელისუფლებისათვის ადამიანი არანაირ ღირებულებას არ წარმოადგენს. მე თავად ვნახე და გამოვცადე ეს, როცა მეუბნებოდნენ, მოგვეცით ''ბილდინგ კომპანი'', გავათავისუფლებთ მძევლებს, დაგიბრუნებთ დანარჩენ კომპანიებს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ნახავთ, რაც დაგემართებათო. როდესაც შეთანხმება შედგა, მე მაფრთხილებდნენ, რომ თუკი ამის შესახებ სადმე სიტყვა დამცდებოდა, ცოცხლებში აღარ ვიქნებოდი.

ქიბარ ხალვაშის და უცხოელი ინვესტორების მიერ შექმნილი კომპანიები: ''ინტერნეშენალ ბილდინგ კომპანი'', ''არტი'', ''პრიზა'' და ''ლიოვო'' ხელისუფლებამ გაძარცვა და მიითვისა. ამ კომპანიებში დასაქმებული იყო 5 ათასი ადამიანი, ამავე პერიოდში ქიბარ ხალვაში ტელევიზია ''რუსთავი2–ის მფლობელი იყო. ერთმა მაღალჩინოსანმა ქიბარს უთხრა, რომ ტელევიზია უნდა დაეთმო, რაზეც უარი მიიღო. იმავე საღამოს დაიბარეს პრეზიდენტთან, დაახვედრეს ვიღაც დავარაშვილი და პრეზიდენტმა ქიბარს უბრძანა, გადაეფორმებინა ტელევიზია დავარაშვილისათვის. „რუსთავი-2" ხალვაშს წაართვეს, არცერთი თეთრი არ გადაუხდიათ. წარმოადგინოს დავარაშვილმა საბუთები, თუ რამდენად შეიძინა ტელევიზია ხალვაშისაგან.

2007 წ. 23 სექტემბერს, კვირას, ნიღბიანები შემოიჭრნენ ყველა კომპანიაში, გამოყარეს თანამშრომლები და დააყადაღეს. დაიჭირეს ქიბარ ხალვაშის პარტნიორები, კომპანიის ხელმძღვანელები და ქიბარის ძმა - ნიაზი (სამი დღის განმავლობაში არ იცოდნენ, რა ბრალდება წაეყენებინათ). ამავე პერიოდში დაჭერილი ჰყავდათ თავდაცვის ექს-მინისტრი ირაკლი ოქრუაშვილი, პრეზიდენტის შესახებ სერიოზული კომპრომატების გამო. მას გირაოდ დაუწესეს იმ დროისთვის არნახული თანხა - 10 მილიონი ლარის ოდენობით შესთავაზეს, თუ უარყოფდა პრეზიდენტის მიმართ გამოთქმულ ბრალდებებს, გაათავისუფლებდნენ და გირაოს თანხითაც არ შეაწუხებდნენ. ოქრუაშვილმა გააკეთა საპირისპირო განცხადება და გაათავისუფლეს. ჟურნალისტები დაინტერესდნენ, ვინ გადაიხადა გირაო, ხელისუფლება ვერაფერს ამბობდა, რადგან გირაო იყო გადაუხდელი. ეს იყო უპრეცედენტო შემხთვევა, როდესაც პატიმარი გირაოს გადახდის გარეშე გაათავისუფლეს, ''პატიოსან სიტყვაზე''ენდნენ. იმდროინდელმა თავდაცვის მინისტრმა კეზერაშვილმა მოითხოვა ქიბარ ხალვაშთან შეხვედრა, ის იძლეოდა პირობას, რომ ქიბარს მისცემდნენ 24 საათს იატაკქვეშ გადასასვლელად. კეზერაშვილმა ხელისუფლების სახელით მოითხოვა 17 მილიონი, რაზეც ხალვაშისგან უარი მიიღო. შემდეგ მას ტელეფონით დაუკავშირდა დათა ახალაია, ქიბარმა შეხვედრაზე უარი თქვა და განაცხადა, რომ მისი მხრიდან მოლაპარაკებაში ჩავერთვებოდი მე.

რადგან ვიცნობდი დათას ძმას, ბაჩო ახალაიას, გადაწყდა, რომ მოალაპარაკებები უნდა გამართულიყო მასთან. ბაჩო ახალაიამ მითხრა, რომ ხელისუფლებას უნდა შერიგება, უნდა მიგვეცა ''ბილდინგ კომპანი'' მის მიერ წარმოდგენილი პირისთვის, ხელისუფლება ახსნიდა ყადაღას დანარჩენ კომპანიებს და გაათავისუფლებდა პატიმრებს. მეორე დღეს შეცვალეს პირობა, განაცხადეს, რომ ის პიროვნება, ვისზეც კომპანია უნდა გადაფორმებულიყო, 2 კვირაში იქნებოდა თბილისში, ამიტომ 2 კვირით თურქი პარტნიორის აქციები გადმოფორმდებოდა ქიბარზე და შემდეგ გადაიფორმებდნენ. ამაზე ქიბარმა უარი განაცხადა, რადგან მიხვდა, რომ მისი სახელით უნდა გადაერიცხათ ოქრუაშვილის გირაოს გადასახადი. მე შევთავაზე ბაჩო ახალაიას, რომ ჩემზე გადმოფორმებულიყო კომპანია და შევასრულებდი გირაოს გადარიცხვას, მხოლოდ ერთი პირობით - რომ არ ახსენებდნენ ქიბარ ხალვაშს. იმ ღამესვე ნოტარიუსი მოიყვანეს და კომპანია გადმოფორმდა ჩემს სახელზე. მეორე დღესვე, რეესტრში გატარების შემდეგ, კომპანიებს ახსნეს ყადაღა და მე გადავრიცხე გირაო. ხელისუფლებამ იმ საღამოსვე დაარღვია პირობა და პროკურორის მოადგილემ, გვარამიამ, გამოაცხადა, რომ გირაოს თანხა გადარიცხა ქიბარ ხალვაშმა. ხელისუფლებამ კიდევ ერთხელ მოატყუა საზოგადოება, რადგან გადარიცხვა განვახორციელე მე, როგორც კომპანიის მფლობელმა და დირექტორმა. ხელისუფლებამ მოგვატყუა. მალე გაიმართა სასამართლო, რომელზეც ქიბარ ხალვაშს დაუსწრებლად შეუფარდეს ორთვიანი წინასწარი პატიმრობა. მან დატოვა ქვეყანა და პოლიტიკური თავშესაფარი სთხოვა გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას. ამ მოვლენიდან დაახლოებით 3 კვირის შემდეგ, ღამის 12 საათზე დამიბარეს ბაჩო ახალაიასთან, რომელმაც გვთხოვა, რომ მე და ქიბარის ძმა დავლაპარაკებოდით ხალვაშს, რათა დაბრუნებულიყო ქვეყანაში, სამაგიეროდ, რაც წაგართვით, დაგიბრუნებთ ყველაფერსო. ბაჩო დამემუქრა, თუ არ ჩამოვიდოდა ქიბარი, ყველაფერს წაგვართმევდნენ და ვნახავდით, რაც მოგვივიდოდა. ამ საუბრიდან ძალიან მალე,



→

გახსოვთ, ალბათ, ცეცხლი წაუკიდეს ''არტის'' საწყობებს და დაწვეს 10 მილიონი ლარის ოდენობის პროდუქცია. დღეს არ მიკვირს, როდესაც მესმის, რომ საბაჟოზე იწვება ''ქართუ ჯგუფის'' მიერ შემოტანილი სატელევიზიო აპარატურა, არ მიკვირს ისიც, როცა გაზეთ ''ქართული ოცნების'' გამავრცელებლებს ავიწროვებენ. რა უნდა გაგიკვირდეს ქვეყანაში, სადაც კლავენ პრემიერ მინისტრს და ამ საქმის გამოსაძიებლად არაფერი არ კეთდება, სადაც გვყავს პარლამენტი, რომელსაც პრემიერ-მინისტრის მკვლელობის საკითხი არ აინტერესებს.

იყო ''აზრის გიგანტი''.მოსამართლემ გადაწერა მოპასუხეების პასუხი, იგივე განმეორდა სააპელაციო სასამართლოში, უზენაესმა სასამართლომ კი საერთოდ არ განიხილა ჩვენი სარჩელი. მივიღეთ საოცარი შედეგი: ბრალდება არის ერთ თემაზე, სასამართლო გადაწყვეტილება სრულიად სხვა თემაზე.

ამიტომ, კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ის, რაც ხდება დღეს ბიძინა ივანიშვილის მიმართ, ამ ხელისუფლებისაგან სულაც არ არის გასაკვირი, მით უმეტეს, რომ ის დღეს ნაცმოძრაობის უალტერნატივო კონკურენტია.



კიდევ მრავალი შემთხვევა გვექნება ''ქართული ოცნების'' მხარდამჭერების და წევრების დაჭერისა, იქნება ბევრი პროვოკაცია...

**— თუ სცადეთ თქვენი პრობლემის სამართლებრივი გზით გადაწყვეტა?**

— ამ ტერორის შემდეგ გასაჩივრდა ფინანსური პოლიციის და მსხვილი გადამხდელების მიერ შეთხზული აქტები. ჩვენს საჩივარს იხილავს დავების საბჭო, რომელსაც მაშინდელი ფინანსთა მინისტრი - ნიკა გილაური ხელმძღვანელობს. სამართლის პოვნის არანაირი ილუზია არ გვქონია, დავების საბჭოზე მე მომეცა სიტყვა, სადაც მოვახსენე ბატონ გილაურს, თუ რა ტერორი ხორციელდებოდა ქიბარ ხალვაშისა და უცხოელი ინვესტორების მიერ დაფუძნებულ კომპანიებზე.მან განმიცხადა, რომ არ აინტერესებდა პოლიტიკა და მთხოვა, განგვეხილა ფინანსური ნაწილი, სიტყვა მოგვცა, რომ თუ მართლები ხართ, განვიხილოთ და გაგამართლებთ, ჩემზე გავლენას ვერავინ მოახდენს და თუ პირობას ვერ შევასრულებ, გადავდგებიო. გილაურმა პირობა ''შეასრულა'' -გადადგა, მაგრამ გახდა პრემიერ-მინისტრი. იმ კომისიის, რომელმაც აქტი შეგვიდგინა, ერთ-ერთმა წარმომადგენელმა, გიორგი ფხაკაძემ განაცხადა, რომ იყო ზეწოლა, დაგვავალეს აქტის შედგენა 26 მილიონზე, ჩვენ პატივი გეცით და მხოლოდ 16 მილიონზე დავწერეთო. ბუნებრივია, ნიკა გილაურს ფხაკაძისთვის უნდა დაესვა შეკითხვა, რამდენად შეესაბამებოდა ეს განცხადება სიმართლეს, თუმცა ეს კითხვა მას არ დაუსვამს.

ეს კაცი დღეს პრემიერ-მინისტრია და ურცხვად ლაპარაკობს ქვეყანაში ბიზნესისთვის ხელის შეწყობაზე, მან პირობა ვერ შეასრულა, პასუხი კი იყო შემდეგი: რა ვქნა, სამსახური მაქვს პრ...ი და მეც პრ...ვით ვიქცევიო, თუმცა ნიკა გილაური ხელისუფლების დანარჩენ წარმომადგენლებს სჯობია, რადგან იცის, რასაც წარმოადგენს და ამაზე ხმამაღლა საუბრობს. მის ამ განცხადებას დარბაზში მჯდომი 50 ადამიანი უსმენდა.სხდომა რამდენჯერმე გადაიდო, 2-3 თვე მიმდინარეობდა. დავები გაგრძელდა საქალაქო სასამართლოში, მოსამართლე გახლდათ მირანდა ერემაძე, მოპასუხეები: ფინანსთა სამინისტრო, რეგიონული ცენტრი, შემოსავლების სამსახური და მსხვილი გადამხდელები, რომლებმაც ჩვენს სარჩელზე წარმოადგინეს პასუხები, ოთხივე სუბიექტს პასუხი ერთიმეორისაგან აქვს გადაწერილი. სასამართლოზე ვერ დავადგინეთ, ვინ

**— რა არის უმთავრესი, რაც ქართულ საზოგადოებაში ყველაზე დიდ პროტესტს იწვევს?**

— დღეს ნებისმიერ დროს ნებისმიერ პატრულს შეუძლია დააკავოს მოქალაქე და სასამართლოში განაცხადოს, რომ ამ ადამიანმა დაკავების დროს წინაალმდგობა გაუწია. განაჩენი კი წინასწარვეა ცნობილი. ამ მეთოდით - დაუმორჩილებლობის მოტივით, გამართულია ათი ათასობით სასამართლო პროცესი. როდესაც ირაკლი ალასანიამ სამეგრელოში ყოფილი დამნაშავეებისაგან ბანდების შექმნის შესახებ საქმის კურსში ჩააყენა ქვეყნის უშიშროების საბჭო, რათა შეეწყვიტათ აღნიშნული ქმედება, პასუხად ვნახეთ, რომ ხელისუფლებამ ისტერია ატეხა - ეს ცრუ ბრალდებაა, ბანდები კი არა, რეზერ-




ვიაო. თითქოს არასდროს შეექმნათ მსგავსი ბანდები, რომლებიც აწიოკებდნენ და აშინებდნენ საზოგადოებას.

მინდა შევეკითხო ხელისუფლებას, ვინ იყო ის ბანდა, რომელიც ქალაქის ცენტრში დაესხა თავს დეპუტატ გელაშვილს და სიკვდილის პირას მიიყვანა?ვინ მოიტაცა ასევე დეპუტატტი კობა დავითაშვილი, სცემა და შემდეგ გორის ჰოსპიტალში მიიყვანა?ვინ დაესხა თავს მიტინგიდან სახლისკენ მომავალ ბიზნესმენს - ლაღიძეს და ისიც ძლივს გადაურჩა სიკვდილს? კარგად გვახსოვს ის ნიღბიანი ბანდები, ზოგი მეეზოვის ფორმებით, თავს რომ ესხმოდნენ სახლში მიმავალ მომიტინგეებს და თავ-პირს ამტვრევდნენ. სულ ახლახან ხობის ''ქართული ოცნების'' ოფისის ხელმძღვანელს რაულ ქარდავას ვინ დაესხა თავს და სცემა სასტიკად? ეს ფაქტები გამოუძიებელი რჩება, შეიძლება დააჯარიმონ კიდეც დაზარალებული იმ მოტივით, რომ მან მოაწყო ავტოსაგზაო შემთხვევა და შემდეგ ზურგში თავად ირტყა ხელკეტები... ამ ბანდებს ამხელდა ირაკლი ალასანია, ჩვენს აფხაზ მეგობრებს შეუძლიათ მშვიდად

იყვნენ, რადგან ხელისუფლებას ეს ბანდები მხოლოდ საკუთარი ხალხის დასაშინებლად სჭირდება.დღევანდელი ბიუჯეტი არის სააკაშვილის პირადი ანგარიში ბანკში, როგორც ამას გოგა ხაინდრავა ამბობს: უნდა დოქტორ დოტს ჩამოიყვანს, უნდა სასახლეს აიშენებს, უნდა ბებიას ამოგზაურებს სამთავრობო დელეგაციასთან ერთად, ან ძვირადღირებულ ხიდს ააშენებს იქ, სადაც ხიდი საჭირო არ არის, ან რკინიგზას გაიყვანს...

ვფიქრობ, რომ პრეზიდენტმა სიტყვა აღმშენებლობა არ იცის, აღმშენებლობა უპირველესად ტერიტორიებს ნიშნავს, შემდეგ ეკონომიკურ და პოლიტიკურ სიძლიერეს, აი, მერე მოდის უკვე შადრევნების, გზების და სასტუმროების მშენებლობა. მაგრამ პრეზიდენტმა იგრძნო რა თავი აღმშენებლად, ასმილიონიანი თვითმფრინავი ეპატარავა და ორასმილიონიანი ბოინგი შეუკვეთა.. ჩვენი მეგობარი საჩვენებელი დემოკრატიის ქვეყნების - ლატვიის, ლიტვის, ესტონეთის ბიუჯეტი 3—40 მილიონ ევროს შეადგენს, ეს დაახლოებით 10-14-ჯერ მეტია საქართველოს ბიუჯეტზე, მაგრამ ამ ქვეყნების პრეზიდენტებს არც თვითმფრინავები შეუძენიათ და არც სასახლეები უშენებიათ.

ხშირად ჩვენს ხელისუფლებას და მის დაქვემდებარებაში მყოფ ჟურნალისტებს ხმალივით უჭირავთ ხადარკოვსკის საქმე. რა თქმა უნდა, ის პუტინის პირადი პატიმარია, პუტინი ჩვენი ქვეყნის მტერია, მაგრამ ამ ქვეყანაზე ყველაფერი ფარდობითია. ვთავაზობ სახელისუფლებო მედიას თემას: რომელი უფრო დიდი ბოროტებაა - პუტინი რუსული ბიზნესისა და ხოდორკოვსკისათვის თუ სააკაშვილი ქართული ბიზნესისა და ქიბარ ხალვაშისათვის, რომლის კომპანიების დარბევა- განადგურებაში 220 კაცი მონაწილეობდა, მსხვილი გადამხდელები, ფინანსთა სამინისტრო, დავების საბჭო, ფინანსური პოლიცია, გამომძიებლები,პროკურორები, მოსამართლეები. ალბათ, მალე დადგება ის დღე, როდესაც ქვეყანაში გვექნება თავისუფალი სასამართლო და ყველა დამნაშავე წარსდგება მის წინაშე. დარწმუნებული ვარ, ეს ადამიანები არჩევანში რომ თავისუფლები ყოფილიყვნენ, დანაშაულს არ ჩაიდენდნენ. ამდენი ადამიანი დამნაშავედ ერთმა კაცმა აქცია. რომ არ ყოფილიყო საფრანგეთის ყოფილი ელჩი ერიკ ფურნიე, მისი მოადგილე ბარანი, გერმანიის ელჩი პატრიცია ფლორი, ქიბარ ხალვაში დღეს კიდევ ერთი პოლიტიკური პატიმარი იქნებოდა.

აი, ამ უმძიმეს ფონზე გამოჩნდა ადამიანი, დიდი ბიზნესიდან, რომელიც ღიად დაუპირისპირდა ქვეყანაში გამეფებულ უსამართლობას. პირადად არ ვიცნობ მას, მაგრამ ''ქართული ხმების'' ბიჭებისგან ბევრი რამ ვიცი. მისი პრინციპი იყო, არ გაკარებოდა პოლიტიკას, მაგრამ ხელისუფლების აღვირახსნილი ქმედებების გამო მან იგრძნო ვალდებულება, რომ მიეღო ეს გადაწყვეტილება. მადლობა მას ამისთვის, იმისთვისაც, რომ ქვეყანას დაუბრუნდა იმედი, რომ აღსდგება სამართალი, დაცული იქნება ადამიანის უფლებები, ჯანმრთელობა, შეიქმნება ნამდვილი ბიზნეს გარემო, სამუშაო ადგილები და ქართველებს აღარ დასჭირდებათ უცხო ქვეყნის საზღვრების გადალახვა სამუშაოს მოსაძებნად. მე ვნახე 27 მაისს იმედჩასახული ქართველები. ეს იმედი გადაედო ქუთაისს. ვიცი, რომ ბატონ ბიძინას მძიმე დღეები ელის, ძალიან დიდი სამუშაო აქვს წინ, მისი მოწინააღმდეგე ხომ ის ხალხია, რომელმაც 7 ნოემბერი და 26 მაისი მოაწყო. მაგრამ ქართველი ხალხმა უკვე გააკეთა თავისი არჩევანი და ამ არჩევანს ოქტომბერში მისცემს ოფიციალურ სახეს.

**ნინო ფირცხალავა**

# Rirdaki, batono prezidento, Cemi ganTavisufleba? gareT cixeSi ar var?

2012 წლის 30 მაისს, გაზეთ „საერთო გაზეთ"-ში წავიკითხე ყოფილი პატიმრის, ჟურნალისტ ნანა სულავას სტატია პატიმარ ქალებზე. დიდ მადლობას ვუხდი ასეთი გაბედული სიტყვისთვის, მან გარე სამყაროს ამცნო იქ დადგმული სცენარის შესახებ, რასაც „ბუნტი" ჰქვია.

ქალთა №5 საპყრობილეში, მართლაცდა ძალიან ბევრი ღირსეული ქალბატონი იხდის დაუმსახურებლად სასჯელს. არიან ისეთებიც, ვინც ღირსია იქ ყოფნის, მაგრამ ქალი მაინც ქალია და ისეთი გაუსაძლისი პირობები, როგორშიც ისინი სასჯელს იხდიან, ყოვლად მიუღებელია. გულისტკივილით ვიხსენებ იქ გატარებულ თითოეულ დღეს ვინც ყოფილი პატიმარი, ყოფილი პედაგოგი ქალი, მთელი შეგნებული ცხოვრება ვემსახურე განათლებას, სხვისი შვილების აღზრდას, ხოლო ჩემი მეუღლის გარდაცვალების შემდეგ მარჩენალდაკარგულმა დედამ ოჯახის ფიზიკურად გადარჩენისა და საკუთარი შვილის აღზრდისათვის, ხელი მოვკიდე ბიზნესს, რომელიც ჩემთვის ბინძური და დამღუპველი აღმოჩნდა. მომესაჯა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, ბატონმა ჯალათმა 5 წელი მოინდომა (ის ჩემს თვალში ჯალათია), მაგრამ მოსამართლემ მორიდებულად და მოწიწებით შეახსენა, რომ ჩემს მიმართ ძალიან მკაცრი იყო სასჯელი. მოსამართლე გახლდათ ლელა შკუბულიანი. პროკურატურა მარტო ჩემს მიმართ არ არის დაუნდობელი. მათ მიერ ხელისუფლების დავალებით და ხელშეწყობით ქვეყანაში ხელოვნური გენოციდია. ახალგაზრდა საჯიშე ქალ-ვაჟები ციხეებში ლპებიან. „წლებს" ფლავივით არიგებენ და არ ფიქრობენ, თუ როგორ ანგრევენ ოჯახებს, როგორ აშორებენ სრულწლოვან თუ არასრულწლოვან შვილებს დედებთან, როგორ ამცირებენ, ღირსებას ართმევენ თავმოყვარე ქმრებს თავიანთი მეუღლეების ციხეში გამომწყვდევით. ამაზე საკმაოდ ბევრი დაიწერა და მე ვერაფერს დავამატებდი, მაგრამ მიკვირს ჩვენი მთავრობისა, იმის მაგივრად, რომ თავის ხალხზე, პატიმრებზე ზრუნავდეს, პირიქით, ციხეები და პატიმრები ბიზნესად აქცია. ისინი სახელმწიფო ბიუჯეტს ავსებენ პატიმრების საპროცესო გარიგების ხარჯზე, ხელისუფლება ცივსისხლიანი პროკურორების და მათი ზედამხედველობით დაშინებული სასამართლოს სახით აწარმოებს ერთობლივ მაფიას და ამ ყველაფერზე თვალს ვხუჭავთ, როდემდე? როდემდე უნდა დაგვაპატიმრონ, ცოცხლად მკვდრებს დაგვამსგავსონ და სულში ჩაგვაფურთხონ.



სასჯელს ვიხდიდი ქალთა №5 საპყრობილეში, ჩემი დაპატიმრებიდან ერთი წლისა და 10 თვის მერე პრეზიდენტის პირადი განკარგულებით განვთავისუფლდი. მას შემდეგ გავიდა ხუთი წელი, ბატონო პრეზიდენტო, მინდა მოგმართოთ შეკითხვით, უმჯობესი ხომ არ არის, განკარგულება მანამდე გასცეთ, სანამ ტყუილუბრალოდ ხალხს ციხეებში ჩაყრის თქვენი ხელქვეითი პროკურატურა, სანამ ისე განუსჯელად ყველას ერთ ტაფაში დაწვავდნენ, გაამწარებდნენ და სიკვდილს არ მონატრებდნენ? მე, მაგალითად, დაჭერის დღიდან სიკვდილი მქონდა მისჯილი და არა სამი წელი, ამ სამ წელიწადში რა მოხდებოდა არავინ იცის. შვილი მოზარდი, 17 წლის ბიჭი, რომელსაც მამა მიწაში ჰყავდა და დედა ციხეში დაუმწყვდიეს. სანამ გზას დაადგებოდა იმასაც ციხეში დამილპობდნენ ან მომიკლავდნენ, ხომ არ ჯობდა იმის განკარგულება გასცეთ, რომ ხალხი ბანკების, საგადასახადოების, თუ კერძო მევახშეების ვალებით არ დაახრჩონ და უკვე დამხრჩვლებს კიდევ ციხეში არ ყრიდნენ. ჩემი განთავისუფლება თქვენი პირადი განკარგულებით, იმ ქართულ ანდაზას მაგონებს, დედაბერი რომ გააუპატიურეს და მერე კარები მაგრად ჩაუკეტეს, გეკითხებით, რატომ მიიღეთ უკანონოდ ის კანონი, რომ „ყველანი ციხეში" უნდა გყოლოდათ ეს ფაქტი განა არ მეტყველებს იმაზე, ბატონო პრეზიდენტო, რომ თქვენ თქვენი ქვეყანა და თქვენი ხალხი არ გიყვართ, გარდა იმ ერთეული, თქვენგან გადიდგულებული ჩინოვნიკებისა და გარემოცვისა, ბატონო პრეზიდენტო, ხუთი წელი გავიდა ჩემი ციხიდან განთავისუფლებიდან და ხუთი წუთი არ დამვიწყებია, იქ ნანახი სიმწარე არ დამავიწყდება იმ აყროლებულ „კაპეზეში" გატარებული ერთი მძიმე და თეთრადგათენებული ღამე, არ დამავიწყდება, როგორ წამოგვყრიდნენ ლოგინებიდან და ნახევრად შიშვლებს ბარაკებიდან გარეთ გვერეკებოდნენ. ჩქარა შმონია-ო და ვისთან რას ეძებდნენ იქ ხომ ადმინისტრაციის გარეშე ჩიტიც ვერ შეფრინდება, თვითონ არ იციან, ვის შეუტანეს ის ტელეფონები? ვერ ჩამოვირეცხე ის შავი ლაქა, რასაც ნაციხარი ჰქვია, სალამი რომ ვინმეს დავუგვიანო, მაშინაც კი ვგრძნობ რომ ამ ფრაზას წამომაძახებენ, შემახსენებენ, რათა არ დამავიწყდეს რომ ნაციხარი ვარ. ღირდა კი ბატონო პრეზიდენტო ჩემი განთავისუფლება? გარეთ ციხეში არა ვარ? მეც და თითქმის სრულიად საქართველო? ახლა აღარ მაინტერესებს, თუ რამდენჯერ დამიჭერთ და გამიშვებთ ისიც მიკვირს, ან რატომ დამიჭირეთ, ან რატომ გამანთავისუფლეთ, მე აღარ ვცემ თქვენს იდეალებს პატივს, მას ხალხის ტანჯვა-წამების და შეურაცხყოფის მეტი არაფერი მოაქვს, თქვენი იდეალები მხოლოდ თქვენს მიერ გათამამებული და გაქსუებული ჩინოვნიკებია, მხოლოდ ისინი გყავთ უზრუნველყოფილნი ხელფასით, ბინებით, ბიზნესით, მანქანებით, სხვა დანარჩენი თქვენთვის დაქირავებული მონები არიან. ამიტომაც ვოცნებობ, ჩქარა აუხდეს საქართველოში მაცხოვრებელ ხალხს ოცნება, შეწყდეს ადამიანებისა უმოწყალოდ დევნა, შეწყდეს პატიმრების ბიზნესი და ვიცხოვროთ თავისუფალ, თქვენგან თავისუფალ, საქართველოში, სოციალურად დაცული იყოს ადამიანის უფლებები, არ ვიხდიდე წყლის და ნაგვის ბეგარას, როცა წყალს მიაქვს საქართველო თავისი გეოგრაფიული მდებარეობით, მდინარეებით და თუ ასე მოგწონთ ციხე თქვენ მოგახმაროთ უფალმა მშვიდობაში, თუმცა თქვენც მეცოდებით საიმისოდ.

მეცოდებით, რადგან თქვენ სიყვარული არ იცით და თქვენც ვერავინ შეგიყვარებთ.

ღმერთო უშველე ჩვენს ქვეყანას.

ყოფილი პატიმარი

**მზია უზუნაშვილი**

# kontrolis palata qilerad iqca, romelic msxverpls sakontrolo tyviiT `umaspinZldeba~



**კონტროლის პალატამ, რომლის რეალური უფლება-მოვალეობა სახელმწიფო უწყებებისა და სხვა საჯარო სამსახურების ფინანსური შემოწმებაა, „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ ფუნქცია ფაქტიურად დაკარგა. მხოლოდ ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკურ ასპარეზზე გამოჩენის შემდეგ „გამოცოცხლდა“ ეს უწყება, ოღონდ შეცვლილი ფუნქციებით, ახლა კერძო სექტორის საქმიანობით დაინტერესდა. მართალია ამ სამსახურს თავისი რეალური ფუნქცია დაავიწყდა, მაგრამ არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებს არ დავიწყებიათ და მათგან რამდენიმე სახელმწიფო უწყებასთან დაკავშირებით გარკვეული ინფორმაციები მოითხოვეს, თუმცა ოთხი თვეა კონტროლია პალატა უიმედოდ დუმს.**

**ამ საკითხებთან დაკავშირებით „საერთო გაზეთს“ მოძრაობა „არას“ ლიდერი ლევან ჩიტაძე ესაუბრა, რომლის განცხადებით, რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციამ კონტროლის პალატაში მიმართვა შეიტანა იმ ინფორმაციების გამოთხოვნის მიზნით, რომელიც მათ სახელმწიფო უწყებებთან დაკავშირებით გააჩნდათ.**

**ლევან ჩიტაძე:** ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციების გადამოწმება ოფიციალურ დონეზე გვინდოდა, მაგრამ პასუხი დღემდე არ მიგვიღია. ეს უწყება ბიძინა ივანიშვილის გამოჩენამდე საერთოდ არაფერს აკეთებდა, არადა მისი უშუალო ფუნქციაა აკონტროლოს სახელმწიფო უწყებებში მიმოქცეული ფული და სხვა სახსრები რამდენად მიზანმიმართულად იხარჯება, ხომ არ აქვს ადგილი გადახარჯვას, კორუფციას, ბიუჯეტის ხელოვნურად გაბერვას და ა.შ. მიუხედავად უმოქმედობისა ამ სამსახურის წარმომადგენლები სოლიდურ ხელფასებს იღებდნენ და გაურკვეველი დანიშნულების მივლინებებშიც ხშირად დადიოდნენ.

**ივანიშვილის გამოჩენისთანავე კონტროლის პალატამ ბერიას დროინდელი მაკონტროლებლის ფუნქციები შეიძინა და „ქართული ოცნების“ მიმართ რეპრესიები დაიწყო. რატომღაც ეს შემოწმება-რეპრესიები სხვა ძალების მიმართ საჩვენებლადაც არ განხორციელებულა, საზოგადოებისთვის თვალში ნაცარი რომ შეეყარათ, მარტო „ქართულ ოცნებას“ კი არ ვამოწმებთ, მიუკერძოებლები ვართო.**

„ვარდების რევოლუციის“ შემდეგ ამ ე.წ. მაკონტროლებლებს ათასობით საქმეზე უნდა ჰქონდეთ ინფორმაცია მოგროვებული და რეაგირება მოხდენილი, მაგრამ ამდენი წლის შემდეგაც მათ არაფერი გამოუქვეყნებიათ. 2008 წელს საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნები ჩატარდა, ხოლო 2010 წელს ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები. ჩვენ გვაინტერესებდა, სახელისუფლებო პარტიამ ამ პერიოდში კანონსაწინააღმდეგოდ ხომ არ გამოიყენა ადმინისტრაციული რესურსი, ანუ სრულიად უსასყიდლოდ ხომ არ იყენებდა მუნიციპალურ ტრანსპორტს, შენობა-ნაგებობებს და სხვა ტექნიკურ საშუალებებს, ასევე ხომ არ იყენებდა სამინისტროებსა და მერიებში დასაქმებულ ადამიანებს საკუთარი პიარკამპანიების საწარმოებლად, ხომ არ უხდიდა ადამიანებს ფულს ქრთამის სახით, ხომ არ მიდიოდა საარჩევნოდ ხალხის მოსყიდვა, ხომ არ ხდებოდა ციხიდან პატიმრების დროებით და მოტყუებით გათავისუფლება, ხმების შეგროვების მიზნით...

**— საკუთარი თვალით მაქვს ნანახი მიხეილ სააკაშვილი, რიგითი პრეზიდენტობის კანდიდატი როგორ დაბრძანდებოდა სახელმწიფო დაცვითა და ავტომანქანების ესკორტით, რა დროსაც ქუჩები ხანგრძლივად იკეტებოდა. მეეჭვება, ამ მომსახურებისთვის სააკაშვილს საკუთარი ჯიბიდან გადაეხადა ფული, მაგრამ ასეც რომ ყოფილიყო, ქუჩების გადაკეტვის უფლება ჰქონდათ?**

— ეს მაგალითიც კმარა, რომ კონტროლის პალატას სულ მცირე, დაეჯარიმებინა ის უწყება, რომელიც აგრძელებდა სააკაშვილის მომსახურებას. ყველაზე ნორმალურ შემთხვევაში კი, თვითონ კანდიდატის დაჯარიმება უნდა მომხდარიყო, თუ რა თქმა უნდა მისი ნება-სურვილის საწინააღმდეგოდ არ იქცეოდნენ დაცვის თანამშრომლები. მეტნაკლებად ნორმალურ ქვეყანაში კონტროლის პალატა ამას აუცილებლად გააკეთებდა, ხოლო ისეთ ქვეყანაში, სადაც მოჩვენებითი დემოკრატია მაინც არსებობს, ღია წერილს ან შენიშვნას მაინც გამოაქვეყნებდნენ და დაგმობდნენ ამ ქმედებას, თუმცა საქართველოში ესეც არ მომხდარა. ჩვენი ინტერესის სფეროში მოხვდა სასჯელაღსრულების სისტემაც — რომელი კომპანიები ახორციელებენ ციხეებში პროდუქტების შეტანას, საიდან შემოაქვთ, ვინ არის იმპორტიორი და დისტრიბუტორი, რომელ საწყობებში ინახება, ციხეებში რა ფასები ედება, რამდენია სხვაობა შემოტანისა და უკვე რეალიზების ფასს შორის, რამდენია საბოლოო ჯამში მოგება, სად მიდის ეს მოგება. გვაინტერესებდა მედიკამენტების საკითხიც, რადგან წამლები სასჯელაღსრულების დაწესებულებებში საკმაოდ ძვირია, თუმცა ფასები თამაშობს ხოლმე. როდესაც სასჯელაღსრულების დაწესებულებაში სახალხო დამცველის წარმომადგენელი შედის, ისინი საია-სთან ერთად ახორცილებენ ამ მონიტორინგს, მაშინ მედიკამენტებზე ფასები უცებ ვარდება, დაახლოებით 3-4 დღე ეს შემცირებული ფასები ნარჩუნდება, თუმცა შემდეგ ისევ მაღლა იწევს. გვაინტერესებდა ამ ყველაფერზე რა პასუხს გაგვცემდა კონტროლის პალატა. ისეთი არაფერი გვიკითხავს ამ უწყებისთვის, რაზეც ინფორმაცია არ გვქონდა, რადგან პასუხის გაცემის შემთხვევაში 3-4-თვიანი ძიება მაინც დაგვჭირდება მათ ინფორმაციასთან რომ შევაჯეროთ. კონტროლის პალატამ სრული იგნორირება გაგვიკეთა, მათ არანაირი პასუხი არ აქვთ ჩვენს მიერ დასმულ კითხვებზე.

ერთ ძალზე ცნობილ ფაქტს მინდა შევეხო, რომელმაც ჩვენი დაინტერესება გამოიწვია.

**2010 წელს „კანონში თბილისის შესახებ“ შესული ცვლილების თანახმად, გიგი უგულავას სახელმწიფო ქონების გაჩუქების უფლება ჰქონდა მინიჭებული, თუმცა მალევე შეცვალეს ეს მუხლი ცოტა განსხვავებული ფორმულირებით მისცეს, დაახლოებით ასეთი შინაარსის, რომ ის ქონება, რომელიც თბილისის მუნიციპალიტეტს, მერიას ეკუთვნის და სახელმწიფო საკუთრებაშია, თბილისის მერს სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე, შეუძლია მიზერულ ფასად გაასხვისოს.**



უცნობია რა ოდენობის, ღირებულების, მოცულობის და ტიპის ქონება გააჩუქა, გაყიდა თუ უბრალოდ მფლობელობაში გადასცა ვინმეს უგულავამ. ეს ცვლილება სავარაუდოდ იმისთვის განხორციელდა, რომ გარკვეული ობიექტები და მიწის ნაკვეთები გიგი უგულავას თავისი კლანის წარმომადგენლებისთვის გადაეფორმებინა, რის შემდეგაც ეს კანონი მოქმედებიდან ამოიღეს. ჩვენ რამდენჯერმე ძიება ჩავატარეთ მის კლანთან დაკავშირებით, გარკვეული ინფორმაციებიც გვაქვს, თუმცა დაუზუსტებელია. ყველა იმ დანაშაულს, რაც უგულავამ, მისი სამსახურის წარმომადგენლებმა, ვანო მერაბიშვილმა და სხვებმა ჩაიდინეს საბოლოო ჯამში მოკვლევა დაადგენს, რომელიც შემოდგომის არჩევნების შემდეგ ჩატარდება, ამის მერე გამოჩნდება ვინ რას აფუჭებდა, ყიდდა და ართმევდა მის კანონიერ მფლობელს. გავიხსენოთ განათლების მინისტრის მოადგილეების დაჭერისა და მალევე გათავისუფლების ფაქტები. მაშინაც იყო საუბარი ფინანსურ მაქინაციებზე, რაზეც კონტროლის პალატას წესით მოკვლევა უნდა ჩაეტარებინა და გამოექვეყნებინა ანგარიში, მაგრამ დუმდა, ამის მიზეზი, რა თქმა უნდა ცნობილია.

**— რას გულისხმობთ?**

— ეს იმიტომაც მოხდა, რომ ეს უწყება ზურაბ ადეიშვილის დაქვემდებარებაშია, რეალურად ყველა სახელმწიფო უწყება მას და მერაბიშვილს ექვემდებარება. ფინანსური მონიტორინგის „მრისხანე“ შეფი ნათია მოგელაძეც ხომ პროკურატურიდან გადმოიყვანეს. ამ ქალაბატონის ქმარი გიორგი კონდახიშვილი, მეტსახელად „კონდახა“ დღესაც პროკურატურაში მუშაობს და მგონი დააწინაურეს კიდეც. მე ადრეც მითქვამს, რომ ეს „კონდახა“ თავის დროზე ძალზე მძიმე საქმეებით იყო დაკავებული, რამდენიმე საქმეში, რომლებიც ბიზნესმენების დაჭერას უკავშირდება, მისი გვარი პირდაპირ ფიგურირებს. ასე რომ, მას ბევრი ცუდი აქვს ნაკეთები. თუ 2003 წლამდე ბიზნესს „შავები“ და „ძველი ბიჭები“ ატერორებდნენ, ახლა პოლიციის მუნდირიანი „კონდახები“ ატერორებენ. სახელებია განსხვავებული თორემ ფუნქციები და მეთოდები პრაქტიკულად იგივე დარჩა. იგივე შეიძლება ითქვას მოგელაძეზეც. ჩვენ ინფორმაციები საავტომობილო გზების დეპარტამენთან დაკავშირებითაც მოვითხოვეთ, განსაკუთრებით იმ პერიოდის, როცა ამ უწყებას სააკაშვილის ფავორიტი რამაზ ნიკოლაიშვილი ხელმძღვანელობდა. გვაინტერესებდა ყველა ჩატარებული სამუშაოს ოდენობა, ღირებულება, ხარისხი, როდის დაიწყო და დასრულდა, რა ბიუჯეტი იყო გამოყოფილი, რომელმა კომპანიამ ჩაატარა ეს საგზაო მშენებლობა თუ რეკონსტრუქცია, თუმცა არც აქ აქვთ პასუხი, თითქოს არ იციან, რომ ამ სფეროში ძალიან დიდი ოდენობის ფულია შეჭმული. კონტროლის პალატაში როცა ვრეკავთ, ან არ გვპასუხობენ, ხოლო თუ გვიპასუხეს გვეუბნებიან, ვიცით თქვენი განცხადების შესახებ, მაგრამ პასუხისმგებელი პირი გასულია და იქნებ მერე შემოგვეხმიანოთო. ამათთან ლაპარაკს ახლა აზრი არ აქვს, რადგან ყველამ კარგად იცის ვინც არის კონტროლის პალატის რეალური ხელმძღვანელი. ჩვენ ეს ინფორმაციები იმისთვის გვჭირდებოდა, რომ საერთაშორისო ორგანიზაციებისთვის უფრო დეტალური ანგარიში მიგვეწოდებინა, რათა გამოჩენილიყო რეალობა და ის პრინციპები, რითაც მოქმედებს ბეჟაშვილის უფუნქციო უწყება. ამხელა სამსახური მხოლოდ იმითაა დაკავებული როგორ დააზარალოს „ქართუ“ ჯგუფი, „ქართული ოცნება“, მილიონებით დააჯარიმოს ყველა ის კომპანია, რომელიც კავშირშია „ქართულ ოცნებასთან“.

კონტროლის პალატა ქილერად იქცა, რომელიც მსხვერპლს საკონტროლო ტყვიით უმასპინძლდება.

როგორ შეიძლება საქართველოს კონსტიტუციას ერთი ადამიანის ხუშტურისთვის ცვლიდნენ, თუნდაც ის ადამიანი პრეზიდენტი იყოს, როგორ შეიძლება ვანო მერაბიშვილის უწყება მხოლოდ იმ მიმართულებით მუშაობდეს, რომ რაც შეიძლება მეტი ადამიანი დააკავოს, იმის მიუხედავად მათ მძიმე დანაშაული აქვთ ჩადენილი თუ უდანაშაულოები არიან. მთავარია რაც შეიძლება მეტი ფული შევიდეს ბიუჯეტში პროკურატურიდან და სასჯელაღსრულების სისტემიდან, რომ მეტი ფული შეჭამონ, თორემ ეკონომიკისა და ჯანდაცვის სისტემის განვითარებაზე კი არ სწუხან. ყველაფერი რომ ფასადურია ამ ქვეყანაში ეს ძლიერი წვიმებისასაც გამოჩნდა, როცა ყველაფერი ჩამოირეცხა და მიწასთან გასწორდა. თურმე 300 მილიონი უნდა გამოიყოს, რომ ეს ყველაფერი გაკეთდეს, თუმცა ისევ ჩამოირეცხება, რადგან ამ ფულიდან 20 მილიონი თუ საქმისთვის დახარჯეს, დანარჩენი გაურკვეველი მიმართულებით, ანუ ამათ ჯიბეებში წავა. ამხელა ოდენობის და სიხშირის ე.წ. „ატკატები“, რაც სააკაშვილის რეჟიმის დროსაა, საქართველოში არასდროს ყოფილა.

**მანანა სუხიშვილი**

**სალომე ზურაბიშვილი: „სააკაშვილი რომ ლაპარაკობს პასუხიმგებლობაზე, პირველი პასუხისმგებლობა მასზეა რომ გამოაცხადა „თუ დროზე არ დაამთავრებენო, ნახავენ, რასაც ნახავენო“... უშუალოდ მისი პირდაპირი ბრძანების შედეგია, რაც მოხდა და სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა ნამდვილად უნდა დაისვას.... ეს არის მეორე შემთხვევა პარლამენტთან დაკავშირებული: მისი პასუხისმგებლობა იყო, როცა ქალი და ბავშვი იმსხვერპლა, ასევე მისი პირდაპირი ბრძანების შედეგად... მეტი რამდენი მსხვერპლი სჭირდება ამ ბაყბაყდევს, რომ გაძღეს. არაფერი რომ არ ვთქვათ ომში დაღუპულ გმირებზე.... ეხლა მაინტერესებს პასუხი კითხვაზე: არჩეულ პარლამენტში ვინ შევა ამ სისხლიან შენობაში? გთავაზობთ ყველას - და პირველ რიგში მედიას - არჩევნების წინ კანდიდატებს დაუსვათ ეგ კითხვა და ჩაიწეროთ პასუხი..... და კიდევ ჩემი სამძიმარი დაღუპულების ოჯახებს...“**





## hamlet WipaSvili:

# arsebobs erTaderTi gamosavali _ saxalxo gamosvlebi arCevnebamde...

*„საერთო გაზეთის“ პოლიტოლოგი* ***ჰამლეტ ჭიპაშვილი*** *ესაუბრა.*

**— ბატონო ჰამლეტ, აშშ-ის სახელმწიფო მდივანი ჰილარი კლინტონი რამდენიმე დღის წინ გაემგზავრა საქართველოდან. რა ჩამოგვიტანა და რა წაიღო აქედან?**

— ჰილარი კლინტონი უმაღლესი თანამდებობის პირია და იმის სათქმელად აქ არ ჩამოვიდოდა — ობამამ თქვა: მიშა, უნდა წახვიდეო. ამისთვის, ლავროვის თქმის არ იყოს, გორდონია თუ გონდონი, იმ რანგის დიპლომატის ვიზიტიც საკმარისი იქნებოდა.

ქალბატონი კლინტონი სერიოზული ვიზიტით იყო ჩამოსული, ჯერ ერთი, რომ სომხეთ-აზერბაიჯანში უმძიმესი სიტუაციაა შექმნილი, მეორეც, დაძაბულობა პიკს აღწევს სირიაში, სადაც მოსალოდნელია, დღეს ან ხვალ ქართველ ჯარისკაცებს უკრან თავი და ქართველი საზოგადოება ყოველივე ამას, რატომღაც, ვერ გრძნობს.

რაც შეეხება სომხეთ-აზერბაიჯანის კონფლიქტს. ორივე მხარემ გარკვეული მხარდაჭერა იგრძნო ჰილარი კლინტონისაგან და ამით გათამამებულებმა დასცხეს ერთმანეთს.

**— სააკაშვილმაც იგრძნო მხარდაჭერა?**

— დიახ, იგრძნო და ამიტომაც იყო მისი განცხადებები უფრო თამამი.

**— თვით ქალბატონი კლინტონიც კმაყოფილი ჩანდა.**

— ბედნიერია და უხარია ამერიკას, რომ სააკაშვილი ჰყავს საქართველოში, ამიტომაც იყო სახელმწიფო მდივანი გაბრწყინებულ-გაბადრული.

მან, როგორც ჩანს, მოსინჯა ნიადაგი — სირიასთან ურთიერთობის გამწვავების შემთხვევაში, რამდენად იქნება შესაძლებელი ქართველი ჯარისკაცების გამოყენება. რატომაც არა? თუ ერაყში იყვნენ, სირიაში ვერ წავლენ?

**— თქვენ ბრძანეთ, რომ „ბედნიერია ამერიკა“ სააკაშვილის არსებობით. დავუშვათ ივანიშვილი, თარგამაძე ან სხვა ვინმე რომ იყოს და იგივე გააკეთოს, რასაც სააკაშვილი აკეთებს, აშშ-ი მაინც არ იქნება კმაყოფილი?**

— არ იქნება და გეტყვით, რატომაც: იმის გარდა, რომ სააკაშვილი დაკავშირებულია აშშ-ის ხელმძღვანელობასთან, იგი დაკავშირებულია ცრუ-სთანაც, როგორც ამერიკის, ასევე ებრაულ, სომხურ-ამერიკულ და სხვა ტიპის შავბნელ წრეებთან. სააკაშვილი არის რეგიონში რუსეთის წინააღმდეგ ხმალამოღებული მებრძოლი. მისნაირ პოლიტიკოსს ამერიკელები ვერ ხედავენ ვერც თარგამაძეში, ვერც ივანიშვილში და ვერც ვერავისში, ჯერჯერობით.

მიუხედავად იმისა, რომ აშშ-რუსეთს შორის ე.წ. გადატვირთვის პოლიტიკა მიმდინარეობს, აშშ-ს რუსეთისადმი არც არასდროს ჰქონია და არც ახლა აქვს კეთილგანწყობა, ამიტომ რუსეთის მიმართ სააკაშვილისნაირ დღედაღამ მოყეფარ ადამიანს ამერიკელები აქ კარგა ხანს ვერ იპოვიან. მიშა ღამე რომ გააღვიძო, მაშინაც დაუფიქრებლად იტყვის — რუსების დედაც.

**— საპარლამენტო არჩევნები ახლოვდება. აშშ-ისგან კი უფრო და უფრო ხშირად ისმის, იმედი გვაქვს, ჩაატარებთ დემოკრატიულ არჩევნებს და არ გაჰყვებით პუტინიზაციის გზას, მაგრამ რატომ გაჩნდა დღეს ეს რიტორიკა, პრეზიდენტის არჩევნები 2013 წელს არ არის დანიშნული?**

— ჯერ ერთი, საქართველო რომ იყოს საფრანგეთი ან სხვა ევროპული დემოკრატიული ქვეყანა, ასეთ რამეს არავინ იტყოდა, მაგრამ რადგან არა ვართ დემოკრატიული, თავს უფლებას აძლევენ ამ კონტექსტით გველაპარაკონ. როცა არსებობს რიტორიკა — ჩაატარეთ დემოკრატიული არჩევნები! ეს ნიშნავს, რომ ასეთი არჩევნები საქართველოში მანამდე არ ჩატარებულა. ეს ყველამ მშვენივრად იცის. სამართლიანი არჩევნები არ ტარდებოდა არც შევარდნაძის დროს, არც სააკაშვილის მმართველობისას, მაგრამ ამათ აშშ-ი უჭერდა მხარს თავისი სტრატეგიული ინტერესებიდან გამომდინარე და არა ქართველი საზოგადოების ინტერესების შესაბამისად.

ჩაატარეთ დემოკრატიული არჩევნები — კლინტონის ეს სიტყვები იყო, უბრალოდ, ტრაფარეტი, ანუ ასე უნდა ეთქვა, მაგრამ ჰილარი კლინტონამდე სააკაშვილმა სთხოვა, სთხოვა კი არა, შეეხვეწა (!): გამოგვიგზავნეთ რაც შეიძლება მეტი საარჩევნო დამკვირვებელიო.

ეს კაცი არის ფარისეველი, მატყუარა, სინდის-ნამუსგარეცხილი, რომელმაც ძალიან კარგად იცის, ეს არჩევნებიც მოგებული რომ აქვს. თანაც აშშ და სააკაშვილი შეთანხმებული არიან, რომ ასე ილაპარაკონ.

**— ბიძინა ივანიშვილი ამბობს, რომ კლინტონის რიტორიკა და ჰაბიტუსი, ამჯერად, სხვა რამეზე მეტყველებდა...**

— ასეთი შეფასება არ შეიძლება. მით უფრო, რომ არ შეხვედრია ჰილარი კლინტონს.

სახელმწიფო მდივანი აქ იმიტომ არ ჩამოსულა, ქვეყნის შიდა საქმეებში ხელი ეფათურებინა. მან აქ შემოიარა საქართველოს პლაცდარმად გამოყენების შესაძლებლობაში დასარწმუნებლად მოსალოდნელი საომარი კონფლიქტის დროს. მოგეხსენებათ, სირიაში მდგომარეობა სამოქალაქო ომამდეა მისული, ერაყის ბირთვული იარაღი და რუსეთ-ჩინეთის მკაცრი განცხადება, პეკინში შოსი-ს შანხაის ორგანიზაციის საბჭო) შეხვედრა ძალიან აშფოთებს. ამიტომაც სურთ რეგიონში მყარი დასაყრდენი ჰყავდეთ და ეს არის სწორედ მიხეილ სააკაშვილი.



**— მაგრამ სააკაშვილი ერთგვარ რისკზეც წავიდა, როცა კონსტიტუციურ ცვლილებას ხელი მოაწერა ივანიშვილის ორმაგ მოქალაქეობასთან დაკავშირებით. თუ ბიძინა არჩევნებში მონაწილეობას პირდაპირ მიიღებდა, ეს არ იქნებოდა უფრო დიდი საფრთხე?**

— ამჯერად, ეს იყო, უბრალოდ, ასე ვთქვათ, თამაში. საქმე ის გახლავთ, რაც მან ორი წლის წინ გააკეთა — საკუთარ ტყავზე მოირგო კონსტიტუცია პრემიერ-მინისტრობის განზრახვით.

2013 წელს, როცა სააკაშვილი აღარ იქნება პრეზიდენტი და მისი პარტია უმრავლესობით უკვე მოსული იქნება პარლამენტში, პრემიერ-მინისტრად, რა თქმა უნდა, მიშას აირჩევენ. კონსტიტუცია აძლევს სააკაშვილს ამის უფლებას და როგორც კი გახდება ქვეყნის პრემიერ-მინისტრი, აი, მაშინ არის საბოლოოდ დაღუპული საქართველო, შემდეგ მას ვეღარასდროს მოვიშორებთ!

**— თქვენ გამორიცხავთ, რომ ოქტომბერში „ნაციონალურმა მოძრაობამ“ ვერ დააგროვოს საკმარისი ხმები და ვერ მოხვდეს უმრავლესობით პარლამენტში?**

— მე ამას სრულიად გამოვრიცხავ. სააკაშვილს მხარს უჭერს არმია, პოლიცია, არაქართველი მოსახლეობა, ადმინისტრაციული მომსახურე-პერსონალი, პენსიონერები, დიასპორები, დიასპორები საზღვარგარეთ...

**— ბუნებრივია, ჩნდება კითხვა: როგორ შეიძლება გამოვძვრეთ ამ სიტუაციიდან?**

— ამ სიტუაციიდან გამოსასვლელად არსებობს ერთადერთი გამოსავალი — სახალხო გამოსვლები არჩევნებამდე.

ამას წინათ ბიძინა ივანიშვილმა თქვა ასეთი რამ: არსებობს ხელისუფლება და არსებობს ოპოზიცია ჩემი სახით —„შუა უნდა გაიკრიფოსო“. უკვე დაიწყო ეს „გაკრეფა“, მაგალითად, ნათელაშვილის განეიტრალებით, ნელნელა გაქრება სხვა წვრილ-წვრილი პარტიები და ფაქტობრივად, მოხდება კონცენტრაცია ორ ძალას შორის ისე, როგორც აშშ-შია. ამ ეტაპზე ამერიკას სჭირდება სააკაშვილი, რადგან ჯერ კარგად არ იცნობენ ივანიშვილს და სურთ ის „შეამოწმონ“ პარლამენტში იმ 20 პროცენტით, რითაც წარმომადგენლობის უფლებას აძლევენ. ალასანია რომ დადის ხშირად ამერიკაში და ხვდება ხან სენატორებს, ხან თეთრი სახლის სხვა წარმომადგენლებს, ეს დადებითად არ მოქმედებს აშშ-ში ივანიშვილის იმიჯზე. მაგრამ სად არის გამოსავალი? უნდა გამოვიდეს ქართველი საზოგადოება და თავის თავში შექმნას მესამე ძალა...

**— თქვენ, გატყობთ, არ მოგწონთ ბიძინა ივანიშვილი.**

— არა, პირიქით, ძალიანაც მომწონს და სააკაშვილს ათასჯერ მირჩევნია, მაგრამ მე ვამბობ იმას, რაც სიმართლეა — ივანიშვილი მომავალ პარლამენტში შეიძლება უმრავლესობით ვერ მოვიდეს. ეს უნდა იცოდეს მან.

ნაციონალებთან ბრძოლა არ არის ადვილი საქმე და არ არის ერთი და ორი წლის ამბავი. ამას მე ვამბობ 2000 წლიდან. „ნაცმოძრაობა“ არის სერიოზული ძალა და მასთან სერიოზული დაპირისპირებაა საჭირო.

**ირანდა კალანდაძე**

## პროკურატურაში ჟურნალისტების დაკითხვა მიმდინარეობს



შიდა ქართლისა და მცხეთა — მთიანეთის საოლქო პროკურატურაში სტუდია „GNS“-ის (გადაცემა „კვირის რეპორტაჟი“) ჟურნალისტების ბელა ზაქაიძისა და ზურა პატარიძის დაკითხვა მიმდინარეობს, — იუწყება მცხეთა- მთიანეთის საინფორმაციო ცენტრი.

ამავე წყაროს ცნობით, როგორც ცნობილია, 11 მაისს, სტუდია „GNS“-ის ოპერატორს ზურა პატარიძეს დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობის გადაღების უფლება არ მისცეს. დაცვის პოლიციის თანამშრომელმა გიგა წიკლაურმა ტელეოპერატორი უცენზურო სიტყვებით აგინა, ფიზიკური ძალადობით დაემუქრა და პროფესიული მოვალეობის შესრულებაში ხელი შეუშალა. ინციდენტი მაშინ მოხდა, როცა სტუდია „GNS“-ის ოპერატორი გამგეობის შენობას იღებდა. ოპერატორი გამგეობის შესასვლელიდან დაახლოებით 10 მეტრის დაშორებით იდგა. დაცვის პოლიციის თანამშრომელმა ოპერატორს უთხრა, რომ გამგეობის შენობის გადაღების უფლება მხოლოდ 50 მეტრიდან ჰქონდა. ინციდენტის შემდეგ ჟურნალისტი ბელა ზაქაიძე გამგეობის შენობაში არ შეუშვეს. დაცვის პოლიციის თანამშრომელმა გიგა წიკლაურმა მას შენობაში შესასვლელი კარები შიგნიდან ჩაუკეტა..

მომხდართან დაკავშირებით პროკურატურას გამოძიების დაწყების რეკომენდაციით სახალხო დამცველმა მიმართა. სისხლის სამართლის საქმე 333–ე მუხლის I ნაწილით არის აღძრული, რაც სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებას ითვალისწინებს.

ჟურნალისტების ინტერესებს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის გორის ოფისის იურისტი რევაზ რევაზიშვილი იცავს.

**„მედიანიუსი“**

# unda dadges Tu ara prezidentis pasuxismgeblobis sakiTxi?

ე.წ „ვარდების რევოლუციიდან“ დღემდე ბევრი ცუდი და მიუღებელი რამ იწვნია საქართველოს მოსახლეობამ ხელისუფლებისგან – უდანაშაულო ადამიანების სისხლი, ცემა, გვემა, დაპატიმრება, დამცირება, აბუჩად აგდება, ქვეყნის ტერიტორიების დაკარგვა-გასხვისება. თითქოს ეს არ კმაროდა, ქვეყნის აღმშენებლობის ყოველმხრივმა ფასადურმა მოპირკეთებამ, აგერ უკვე მერამდენე ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, ქვეყნის პირველი პირი კი ძველებურად აგრძელებს არარსებული მიღწევებით ტრაბახს.

შეიძლება, რომელიმე კონკრეტულ სფეროზე კონკრეტული პირი ან პირთა ჯგუფი იყოს პასუხისმგებელი, მაგრამ როდესაც ქვეყანა-საქართველო უფსკრულში იჩეხება, არის თუ არა პრეზიდენტი პასუხისმგებელი და თუ არის, უნდა დადგეს თუ არა პრეზიდენტის პასუხისმგებლობის საკითხი?

**მამუკა გიორგაძე („სახალხო პარტიის“ თავმჯდომარე):** – ტირანიის წინააღმდეგ ბრძოლის მეთოდები კაცობრიობას საუკუნეებია შემუშავებული აქვს,



– უნდა მოხდეს ტირანიის საყრდენი წერტილების მოშლა, მეთოდები, რომლის გამოყენების შემთხვევაში ტირანია უნდა წავიდეს გარკვეულ კომპრომისებსა და დათმობებზე. მას უნდა წაართვა ინიციატივა, რომელიც გააჩნია, უნდა შესთავაზო შენი თამაში, განახორციელო პრესინგი და გააკეთო ოპოზიციურად განწყობილი საზოგადოების სტრუქტურირება, მით უფრო, როცა შეიძლება ითქვას, რომ ასეთი საზოგადოება საქართველოში უმრავლესობაა, გამოკითხვაც კი არ გვჭირდება. ძალიან კარგად გვახსოვს თუნდაც ეროვნული მოძრაობის მიერ გამოყენებული ტაქტიკა და ქმედებები, რომელთაც შედეგი ნამდვილად მოიტანეს, მაგრამ, როგორც ვთქვი, იქმნება ისეთი შთაბეჭდილება – უფრო ბრძოლის იმიტაციასთან გვაქვს საქმე, ვიდრე რეალურ ბრძოლასთან – იმიტაციით საქმე არ კეთდება!

მოსახლეობის 70% მზად არის მონაწილეობა მიიღოს აქტიურ ბრძოლაში, ხოლო ის ხალხი, რომელიც ამისთვის მზად არ არის, ისიც კი ეჭვის თვალით უყურებს ხელისუფლების მოქმედებებს. ასეთი პოლიტიკური რესურსის გამოუყენებლობა დანაშაულია ქვეყნის წინაშე!

სწორედ ამიტომ, იმ პოლიტიკურ პარტიებმა, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ აქვთ მაღალი რეიტინგი, საზოგადოებრივი მხარდაჭერა, არიან ძლიერები, ლამაზები და ტანადები, ჭკვიანები და შეუდარებლები, კეთილი ინებონ და განახორციელონ, რაც საჭიროა. თუ ამას არ გააკეთებენ, ბუნებრივია, საზოგადოებას, ნებისმიერ ჩვენგანს, აქვს იმის თქმის უფლება, რომ დიდი ალბათობით ეს ადამიანები ძალზე საეჭვოდ გამოიყურებიან. საზოგადოებამ არაერთხელ გასცა წინასწარ „მხარდაჭერის ავანსები,“ რომელიც ასევე არაერთხელ აღმოჩნდა ძალზე ბოროტად გამოყენებული. ამის ნათელი მაგალითია თუნდაც ამ ბოლო შვიდი წლის გამოცდილება, რაც ჩვენ გვაქვს, რომ ჩვენგან გაცემული „ავანსით“ შემდგომში ძალზე საეჭვო გარიგებებში იქნა შემჩნეული ესა თუ ის პოლიტიკური ფიგურა“.

**ნათია ავსაჯანიშვილი (პოეტი):** – „აუცილებლად მიმაჩნია პრეზიდენტ სააკაშვილის პასუხისმგებლობის საკითხის დაყენება, რადგან ამ ადამიანმა ვერანაირად ვერ გაართვა თავი დაკისრებულ მოვალეობას, ვერც ქვეყნის შიგნით და ვერც ქვეყნის გარეთ – დიპლომატიური თვალსაზრისით, მისი შესაძლებლობები არის აბსოლუტური ნული. რაც შეეხება ქვეყნის შიდა საქმიანობას, საკუთარი კეთილდღეობის გამო, გააძლიერა და შემოიღო პოლიციური რეჟიმი, რის შედეგადაც ასზე მეტ უდანაშაულო მსხვერპლს ითვლის საქართველო და ამ დანაშაულისთვის არავის უგია პასუხი; არ მიდის სწორი პოლიტიკა სამეზობლოში, რის შედეგადაც სავალალო შედეგებს უკვე ვიმკით და დანარჩენი წინ გვაქვს; არ ვიცით ჩუმ-ჩუმად რა ხდება ქვეყნის საზიანოდ – ამოუწურავია თემა, რაც ამ ადამიანს დანაშაული აქვს ჩადენილი ყველას და ყველაფრის წინაშე. თუნდაც ასეთი უზრდელი დამოკიდებულება ქვეყნის წინაშე – ის აღვირახსნილ ცხოვრებას ეწევა – პრეზიდენტი არ უნდა იყოს გარყვნილი; უგულებელყოფილია მორალი და, საერთოდ, ყველას ყველაფერი რატომ უნდა ეპატიოს ამ ქვეყანაში, ჩემამდე არ დადის!“



**ლაშა ჩხარტიშვილი („ქართული ოცნება“):** – „მიხეილ სააკაშვილის პასუხისმგებლობის საკითხი, მისი მმართველობის პირველივე წელს უნდა დამდგარიყო, მაგრამ დამონებული ნაციონალური უმრავლესობა ამას არ გააკეთებდა და არც გააკეთებს. სააკაშვილის პასუხისმგებლობის საკითხის დაყენების საფუძველი უამრავია.



სააკაშვილი რომ სისხლის სამართლის დამნაშავეა, ამაზე წლების განმავლობაში ვსაუბრობ. ალბათ, ერთ-ერთი პირველი ვიყავი, ვინც ამაზე დაიწყო საუბარი – სააკაშვილის საჯარო მოწოდება ადამიანების ლიკვიდაციისკენ; მათ შორის აღიარებითი ხასიათის განცხადება აფრასიძეების ოჯახის დაბომბვის თაობაზე; მუქარა პოლიტიკოსებისა და ბიზნესმენებისადმი; წაგებული ომი და რუსი ოკუპანტებისათვის ჩაბარებული ტერიტორიები; მისი ოჯახის წევრების ოლიგარქიულ-მონოპოლისტური ბიზნეს-საქმიანობა, მათ შორის რუსულ (ოკუპანტი ქვეყნის!) სახელმწიფო კომპანიებთან ერთად; ელიტურ-კორუფციული სისტემის შექმნა და იქიდან მიღებული მილიარდები; აღიარებითი წამოცდენა 2008 წლის არჩევნებში 1,5 მლრდ-ის ხარჯვის შესახებ, ნაცვლად ოფიციალურად გამოცხადებული 27 მილიონისა; პირდაპირი და უკანონო ჩარევა სახელმწიფოს სხვა და სხვა დაწესებულების საქმიანობაში – სამწუხაროდ, ეს საკმაოდ მცირე ჩამონათვალია იმ დანაშაულებებისა, რომელთა მტკიცებულებას ძიებაც კი არ სჭირდება, მათ დასამტკიცებლად ტელე-ეთერში გასული სიუჟეტებიც კი საკმარისია“.

**ეკა ალექსაია („ქართული ოცნება“):** – „დღეს ერთი ისეთი გაუგონარი ფაქტი მოხდა, რა დავარქვა არ ვიცი. ლანჩხუთის კულტურის სახლის ყოფილი რეჟისორია კაცი, უბრწყინვალესი ადამიანი, გივი (გია) ქურიძე, მაგრამ ჯანმრთელობამ უმტყუნა. „ქომაგი“ რომ შეიქმნა, სულ ახლახანს, მოვედით „ქომაგში“, წარვადგინეთ საბუთები და მეორე დღეს გაიკეთა ოპერაცია. ახლა ოპერაცია გაურთულდა და გადაიყვანეს ინფექციურ საავადმყოფოში. დღეს მირეკავს მისი მეუღლე, მიშველე, ჩემს ქმარს „სოდ-ი“ დაადგა თავზე და მიყავთო. გადავირიე, ფილტვებში წყალი ჩაუდგა, ისედაც ციროზი აქვს, თიაქარმა გაუჭედა – კაცი კვდება და სად მიყავთ! სანამ მივედი, შვიდმა სოდ-ის თანამშრომელმა მომაკვდავი კაცი სისტემიდან მოხსნა და წაიყვანა მოდულში. იქ ცუდად გახდა. წაიყვანეთ, გაუკეთეთ გადასხმა და უკანვე მოიყვანეთო. ექიმი ეუბნებოდა, ამ ადამიანის ადგილიდან განძრევა არ შეიძლება, მოგიკვდებათო, მაგრამ დააწერინეს რომ შეიძლება – რა ექნა! ამასობაში მეც მივედი ტელევიზია და ადვოკატთან ერთად. ის ექიმი გაქრა, აღარ იყო იქ. სისტემა ჩაიცალა და ადვოკატმა იკითხა, რასთან დაკავშირებით მიგყავთო. არ ვიცით, ასეთი დავალება გვაქვსო. კამერები ჩართულია, ეკითხებიან და კომენტარს არ გავაკეთებო, ჩასვეს კაცი ღია ჭრილობით მანქანაში და წაიყვანეს ისევ მოდულში. ნახევარი საათი ადვოკატი არ შეუშვეს, მერე გამოუცხადეს, არაფერი საქმე არ გვაქვსო. გახდა ისევ ცუდად, სუნთქვა შეეკრა, გაშავდა, გამოიძახეს სასწრაფო და ისევ წამოიყვანეს საავადმყოფოში. როგორცკი კამერები და ადვოკატი გაიგულეს, ისევ მოცვივდნენ „სოდ-ის“ თანამშრომლები. ადვოკატს უცბადვე გადავურეკე და რომ მოვიდა, ისევ გაიქცნენ. რას ედავება „სოდ-ი“, ვერ ხვდება ეს ადამიანი და არც ისინიეუბნებიან, ერთადერთი, რა დასკვნა გამოიტანა ისაა, რომ „ქომაგთან“ დაკავშირებით უნდათ რაღაც ჩვენების გამოძალვა, როგორც მიჩვეულები არიან. მთელი ღამე უნდა უყარაულონ ახლა, რომ კიდევ არ დაესხას თავს „სოდ-ი“. სასწრაფოს ექიმმა უთხრა მათ, შეიძლება, უცბად კომაში ჩავარდესო, მაგრამ ვინ მოუსმინა; მოდულში ცუდად რომ გახდა და „კპზ“-ს ექიმი ამოუყვანეს თვითონ, თავიანთივე ექიმმა უთხრა, აქ რას მოგიყვანიათ, წაიყვანეთ ეს კაცი პირდაპირ მორგში, რა დაკითხვა უნდაო. ეს, რასაც მე შევესწარი პირადად და ასეთი ფაქტი რამდენია, ხომ ვიცით. ახლა, მე რომ ძალიან ვაქტიურობდი, ტელეფონზე გადასცეს ვიღაცას, მოტრიალდნენ და სურათი გადამიღეს...

ეს ყველაფერი იმ პირველი პირის პასუხისმგებლობის საკითხია, მაგრამ რა გინდა რომ ქნა... ის კაცი პრეზიდენტი კი არა, ბიძინა ივანიშვილის თქმისა არ იყოს, შოუმენია.“

**თეო ტლაშაძე („ქართული პარტია“):** – „მიხეილ სააკაშვილის, როგორც პრეზიდენტის, პასუხისმგებლობის საკითხი უნდა დადგეს, პირველ რიგში კი ფაქტები, რის საფუძველზეც აქამდეც უნდა აღძრულიყო სისხლის სამართლის საქმეები. ეს დანაშაულებები ირაკლი ოქრუაშვილმა პარტიის დაფუძნებისას გააჟღერა 2007 წელს. მას შემდეგ სააკაშვილის დანაშაულებებს კიდევ ბევრი დაემატა – ომის პროვოცირება და ამის გამო დაკარგული ტერიტორიები, ხომ უპატიებელი დანაშაულია ქვეყნის და ხალხის წინაშე.



**ქიბარ ხალვაში (ბიზნესმენი):** – „პრეზიდენტმა პასუხი უნდა აგოს ჩადენილ დანაშაულებებზე. ომი მისი დაწყებულია; ქვეყნის ყველაზე მნიშვნელოვანი სიმდიდრეები მის ხელშია, რაც, ცხადია, უკანონოდ აქვს მითვისებული; ტელეკომპანია „რუსთავი-2“ მე წამართვა, „იმედი“ – ცხონებულ ბადრი პატარკაციშვილს, ზურაბ ჟვანიას ამბავს, მინიმუმ, არ ახმოვანებს; გარდა ამისა, კიდევ ბევრი რეგიონალური ტელევიზია შანტაჟითა და მოტყუებით აქვს მითვისებული; მისი ბრძანებით იფლანგება სახელმწიფოს მნიშვნელოვანი რესურსი; უკანონო პრივატიზაციები და ქვეყნის ბიუჯეტის არამიზნობრივი ხარჯვა; პოლიტიკური ტერორი ხალხში; ციხეებში უშუალოდ მისი დავალებით გამომწყვდეული პატიმრები – თუნდაც ეს მცირე ჩამონათვალი, განა საკმარისი არ არის?“



**თემურ მიქაუტიძე,** პოლკოვნიკი: – „მაგალითად, პირადად მე, პრეზიდენტის პასუხისმგებლობის საკითხს 2008 წლიდან დავაყენებდი, რადგან, ძალზე ადვილი შესაძლებელია უდანაშაულო ხალხის მკვლელობებისა და მიტინგების დარბევების დროს მომხდარი ტრაგიკული ამბების არიდება, შეიძლება, მისი დანაშაული პირდაპირ არ გამოიკვეთოს, რაღაც დამხმარე არგუმენტი შემოიყენოს. აი, ომი და პრეზიდენტი – აქ ხელებს სხვას ვერ შეაწმენდს. თუ მექნებოდა მხოლოდ სულ ხუთიოდე კითხვის დასმის საშუალება, მე მას უკვე წარმოვაჩენდი კითხვებით, პასუხის გაცემის გარეშე... ნაკლებად მაქვს იმედი, რომ მას ვინმემ მოსთხოვოს პასუხი. სამწუხაროდ, არ მგონია, რომ ეს ჩვენს სიცოცხლეში მოხდეს. ვფიქრობდი, ლიტერატურა მაინც გააკეთებდა ამას, მაგრამ ახლა არც ამის იმედი მაქვს.“



**თამარ ლაბარტყავა (პენსიონერი):** – „პრეზიდენტ სააკაშვილის პასუხისმგებლობის საკითხს დღევანდელი პარლამენტი რომ არ დააყენებს, ხომ ყველამ ვიცით, ამიტომ, ის გზა უნდა გამოვნახოთ, რაც უკვე გავლილი გვაქვს. ერისკაცები და ქალები შეეწირნენ, მაგრამ შედეგი გამოიღო, იმხელა იმპერიას გამოვუძვერით კლანჭებიდან და ეს მართლა ერთი მუჭა ნაც-ხროვა რა გახდა ასეთი, რომ უპატრონოდ ხმას არ ვცემთ. წინასწარ წაგებული ომის წამოწყება შემდგომში ტერიტორიების გადაცემის გეგმით, უდანაშაულო ხალხის კვლა, დაპატიმრებების კასკადი, ქვეყნის გაძარცვა და საკუთარი ჯიბის გასქელება, ქრისტიანული მრწამსის და ქართული სულის გაპარტახება – რომელი ერთი ვთქვა!



მხოლოდ პრეზიდენტის კი არა, პარლამენტის პასუხისმგებლობის საკითხიც უნდა დადგეს, რომ ასეთ პრეზიდენტს ხელს აფარებენ და თავისივე შეკერილ კონსტიტუციასაც არ სცნობენ.“

**ლილი ბექურიძე (პენსიონერი):** – „დიკლო ჩემი სოფელია, იქ დავიბადე და როგორი მოსასმენია ჩემთვის, რომ იქ, სადაც მთელი ბავშვობა მაქვს გატარებული, ვთამაშობდი და ხორბალს ვთესავდით, ფეხი აღარ დამედგმება – ჭერო და ეფცოხი თავისი შემოგარენითა და სახნავ-საძოვრებით აგვტაცა ქვებუდნურად და ისტორიულ მტერს ჩააბარა. შეთე გულუხაისძისა და ზეზვა გაფრინდაულის შთამომავლებს, დასაბამიდან მეომარ ხალხს ისე ფარულად აგვწაპნა „თუშეთის განვითარების“ პროგრამის საფარქვეშ უბრძოლველად, რომ ერთი „ვაის“ თქმა ვერ მოვასწარით.

მხოლოდ ეს? საქართველოს კავკასიონის 43 ისტორიული გადასასვლელიდან, რომელიც „ბოროტი კომუნისტების“ დროს საქართველოს ადმინისტრაციულ საზღვრებში შედიოდა, ოციღაა დარჩენილი: ხევსურეთი, ხევი, თუშეთი, რაჭა, კოდორი, კახეთიდან, ყვარლის რაიონიდან დაღესტნის მიმართულებით, აზერბაიჯანისა და სომხეთის საზღვრის მიმდებარე ტერიტორიები და რა ჩამოთვლის ყველა უღელტეხილსა და სტრატეგიულ გზებს. ამ ყველაფერს რომ ქვეყნის უმაღლესი ხელისუფალი ანგარებით თუ უანგაროთ, არ აქვს მნიშვნელობა, სხვას გაატანს, ის კაცი თვითონ არის მტერი და სადღა ეძებენ მტერს? – საქართველოს ხელისუფლება და პრეზიდენტი არ ჰყავს, საქართველოს ჰყავს გარედან შემოყვანილი და მტრის მიერ დასმული მთავარი და რიგითობის მიხედვით დამწკრივებული სატრაპები.



**თემურ მირიანაშვილი (ედუარდ შევარდნაძის ყოფილი მრჩეველი):** – „მიხეილ სააკაშვილს მე პრეზიდენტად არ ვთვლი, ის არის უზურპატორი, რომელიც ქვეყნის სათავეში მოვიდა სახელმწიფო გადატრიალებით, შემდეგ ყველა არჩევნები გააყალბა და ახლა კიდევ აპირებს იმავეს გამეორებას.

თქვენ ვისაც პრეზიდენტს უწოდებთ, მან არაფერი არ იცის, მათ შორის საქართველოს ისტორია. მე ვურჩევ მას, წაიკითხოს კონსტანტინე მირზას ამბავი, გაიგოს, რა უქნეს ქართველებმა. არადა, რა დააშავა, კონსტანტინე მირზას სააკაშვილის მიერ ჩადენილი დანაშაულის მეათედი არ დაუშავებია – დაჭრეს ასო-ასო და ალაზანს გაატანეს. აი, ეს მოუვა სააკაშვილს! – გაიგოს მაგ გარეწარმა...



ვურჩევ, დაყვეს ქართველი ხალხის ნებას, ნუღარ გაამწვავებს მდგომარეობას, ჩამოშორდეს სკამს და მე დარწმუნებული ვარ, ასეთ შემთხვევაში, ლმობიერი ქართველი ხალხი შეუნდობს. თუ ასე არ მოიქცევა, რაც მოუვა, საკუთარ თავს დააბრალოს, საქართველოს ისტორიაში არავის შერჩენია ეგეთი არაკაცობა...“

**მაია ჭელიძე**

# `biologiuri kaci~ da `finita la komedia~ saxelwodebiT `miSa magaria!~

ახლა იმისი დრო აღარ არის, ამისტებად და იმისტებად დავიყოთ, რადგან დღეს ყველაზე მნიშვნელოვანს, “ნაციონალების ბინძური კლანჭებიდან” საქართველოს გამოტაცება წარმოადგენს. “ბიოლოგიურ კაცად” და სტატუსით პრეზიდენტად წოდებულმა “არაკაცმა”, სახელად მიხეილ-მაიკლ სააკაშვილმა, ჩვენი სამშობლო საბოლოო განადგურების პირამდე მიიყვანა. მიშისტების არგუმენტები – დაგებული (და მალევე აყრილი) ასფალტი, შადრევნები, პენსიები და “წარმატებული განათლების სისტემა”, ინფრასტრუქტურტის განვითარება, ტურიზმი და მინასავით მყიფე შუშის დემოკრატია “პატრონს ჩაბარდა”. ეს მხოლოდ ხიბლია, რითაც ამ “ხიბლით შეპყრობილებს” უბრამავებენ თვალებს “ნეოტროცკისტი ნაციონალები”. ეგ კი არა, ამ ყველაფრის ინიციატორი სააკაშვილი დგას და თავად აკრიტიკებს ეროვნულ გამოცდებსა და უხარისხოდ აშენებულ შენობებს. ამ “ამერიკულად დატრეინინგებულ არაკაცებს” რატომ ვაძლევთ იმის უფლებას, რასაც არც ერთი თავმოყვარე ერი არ მოითმენდა?! ნუთუ მართლა ისე “დაგვაჩაჩანაკეს”, რომ ქართველს თვისუფლების მოყვარე სული აღარ შერჩა და სიცოცხლის ბოლომდე ამ “ეშმაკის მოციქულების” მონობას ვეგუებით? გვიჭერენ, გვაშინებენ და სამსახურებიდან გვაგდებენო არის ბევრის პასუხი. ყველა მოციქული დატყვევებული იყო და ყველა მათგანმა მტკიცედ გაუძლო განსაცდელს. მათ უფალი ეხმარებოდა! ვისაც საქართველო, სამშობლოდ არ მიაჩნია და მხოლოდ “შპს მეწველი ძროხა” ჰგონია, მათზე საუბარი აღარც ღირს. ისინი უკვე კისრამდე არიან “კუპრში ჩაფლულნი”, მაგრამ ვინც კარგად იცის, რომ აჭარა საქართველოა, დავით გარეჯაში 6 000 ბერი ეწამა რწმენისა საქართველოს გადარჩენისთვის იცის, რომ ქართველი ქართველია და არა “მაშასადამე ევროპელი”, ჩვენი მშობლიური ენა ქართულია და არა “ბუშის ენა”, იმათ რა “ჯანდაბა და დოზანა” შეეყარათ. რას “მიირთმევენ ასეთ გემრიელსა და ძვირფასს”, რისი დათმობაც ასე არ ემეტებათ? რამ აუმღვრიათ ასე ტვინი და გონება, რომ ქალისა და კაცის გარჩევა უჭირთ და ამას “დემოკრატიის მონაპოვრად” მიიჩნევენ? “კაცად და პრეზიდენტად წოდებულმა მთავარმა არაკაცმა” სააკაშვილმა საქართველოსთვის ისტორიულად ყველა საუკუნის მტერი, ყველა დამპყრობი, “ქვეყნის მეგობრად გამოაცხადა”. რაც საუკუნეების წინ შაჰ-აბასმა, თემურ-ლენგმა, ჯალალედინმა და მუვარნ ყრუმ ვერ შესძლეს, დღეს ეს არაკაცი და მისი სახელისუფლებო ხროვა ახორციელებს. საქართველოს ნაკუწ-ნაკუწ ანაწევრებენ და ამ დამპყრობი გადამთიელების შთამომავლებს საკუთრებაში აძლევენ. დღეს, როდესაც ნახევარი საქართველო “უგულავას ნაგვის ბუნკერებში” იქექება. მათი მაცივრები გაძიძგნილია ხორაგით. შვილები უცხოეთში სწავლობენ, რათა იქედან “დეველოპერული და კონსალტინგური იდეებით დახუნძლულებმა” მერე საქართველოში მაღალი თანამდებობები დაიკავონ. სილიკონებითა და ბოტოქსებით დაბერილ მათ მეუღლეებს კოსმეტიკური სალონებისა და ვიზაჟების ფული არ შემოაკლდეთ. მათმა წინაპრებმა “თბილ-თბილ” სამსახურებში და მაღალ ხელფასებზე იმუშაონ, იმაზე რატომ არ დაფიქრებულან, ამ თავიანთ ნაფუფუნებ–ნალოლიავებ “ევროპულად ქართველ შთამომავლობას” სუფთა ჰაერით სუნთქვის საშუალება რომ აღარ ექნება. უცხოურ ბანკებში დაგროვილი დოლარები როცა შემოელევათ, მერე სად აპირებენ ცხოვრებას? ყველა კოპა-კაბანაზე და მაიამი ბიჩზე ვერ იცხოვრებს. ბევრს აქ მოუწევს ცხოვრება. ოღონდ უკვე “დაფერთხილი ნაძარცვი ქონებით” და მათივე დუმილის სანაცვლოდ, ეკოლოგიურად დაბინძურებულ საქართველოში.

მთელი საქართველო ტაშის კვრითა და როგორც ელიჩკა თევდორაძე იტყოდა, “აღფრთოვანებით” შევეგებეთ “უდემოკრატიულესი ქვეყნის” ადმინისტრაციის წარმომადგენელს. ექსპერტთა მხრიდანაც მხოლოდ იმაზე მიდიოდა სჯაბაასი, თუ ეს ქალბატონი საქართველოში რომ ჩამობრძანდა თითი ვისთვის უნდა დაუქნია. ვინმემ თუ დააფიქსირეთ, რას ნიშნავდა “კონფლიქტური რეგიონების მაცხოვრებლებისადმი” მისი შეთავზება აშშ-ში “ნეიტრალური” ვიზებით სტუმრობისას. რომელი შვეიცარია, აფხაზეთი და სამაჩაბლოა, ნეიტრალური ქვეყნების ვიზებით იმოგზაურონ? ეს აშშ-ს მიერ აფხაზეთისა და სამაჩაბლოს რეგიონის აღიარებას რომ ნიშნავს, ამას თუ ვხვდებით? “ნატოში” კონფლიქტური რეგიონების გარეშე შესვლის გეგმაც ხომ ე.წ. “ვარდების რევოლუციამდეც” არსებობდა და მომავალი “რეფორმატორები” ამას ხალხს საგულდაგულოდ უმალავდნენ. არის თუ არა ფარისევლობა აშშ-ს მხრიდან, სიტყვიერად საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღიარება, საქმით კი იმის განხორციელება, რა გეგმაც აშშ-ს დიდ იდეოლოგს ბზიგნევ ბზეჟინსკის დიდი ხანია აქვს დასახული. საქართველოს 6 ადმინისტრაციულ ერთეულად დაყოფა, სადაც აჭარა, სწორედ თურქეთის ვილაიითის დაქვემდებარებაში გადადის. “პრეზიდენტად წოდებული ეს მთავარი არაკაციც”, თავის ხროვითაც ხომ სწორედ ამ გეგმას მიჰყვება. ეს ე.წ ინვესტიციებიც – იგივე საქართველოს ფართომასშტაბიანი გაყიდვაც ამიტომ წარმოებს! ქალბატონი კლინტონის ვიზიტი ექსპერტთა აზრით, პირველ ყოვლისა ირანის სამომავლო სტრატეგიას უკავშირდებოდა. ასეთ ვითარებაში ირანელებისთვის ქართული მიწების დათმობა – კახეთში (გაზეთის წინა ნომერში დაბეჭდილი ერეკლე მეფის სასახლის ირანელებისთვის შაჰ-აბასის მემკვიდრეების მუზეუმისთვის 49 წლიანი იჯარით გადაცემა) 49 წელი ნახევარი საუკუნე და თითქმის ერთი თაობაა, რასაც ამ “სულძაღლი ნაციონალების” ხელში ბევრი ქართველი ვეღარც კი აღწევს. ან ქვემო ქართლში ირანელებისთვის ჰექტრობით აუთვისებელი ტერიტორიების მიყიდვა რას ნიშნავს? “პარტნიორი აშშ-ს” ზურგს უკან ირანთან გარიგებებს თუ კიდევ უფრო უარესს – კვლავ მეზობელი ქვეყნის ინტერესების გატარებას, რომელიც ისტორიულად საქართველოს წინააღმდეგ, ყოველთვის ირანის მოკავშირედ გვევლინებოდა. ამით კი ქართული მიწების მითვისებას ახდენდა. ნუთუ მართლა აღარაფერი შეგვრჩა ეროვნული, ქართული და მამაპაპეული? “პრეზიდენტად წოდებულმა მთავრმა არაკაცმა”, მისმა ოჯახმა და “ნაციონალების ხროვამ” ყველაფერი გააკეთეს იმისთვის, რომ ქართველ კაცს თავის მიწა-წყალზე ვერ გაეხარა. არც ბავშვებისთვის საექსპერიმენტოდ შემოტანილი სავალდებულო, წითელა-წითურის აცრები დაგვაკლო, რის შედეგადაც, ორი წლის წინ, ათობით ბავშვი დაიღუპა. ეს კი მომავალი საქართველოს გენოფონდი გახლდათ. ამ არაკაცის მეუღლე “პირველი ქალბატონი” კი პირადად ეწევა იმ “პაპილომა ვირუსის” აცრების აგიტაციას ზრდადაუსრულებელ მოზარდ გოგონებში, რომელიც კვლავ საექპერიმენტოა და მეცნიერთა აზრით უშვილობას იწვევს. ამათ ფარმაცევტულ ქარხნებში დამზადებული წამლებიც, “პსპ“ და „ავერსის” აფთიაქებში გასაყიდი ფარმაცევტული პროდუქციაც, ძირითადად ცარცზე და გენურ საფუძველზე დამზადებული წამლებია ქართული მოსახელობის დაწამვლას რომ ემსახურება, ეს თითოეულ ადამიანს თავის თავზე აქვს გამოცდილი. ფართოდ აგიტირებული სექსუალური აღვირახსნილობის, ერთსქესიანთა ურთიერთობის მხარდაჭერის, ქალიშვილობისა და ოჯახის ინსტიტუტის მოშლის პროპაგანდაც ისევ ქართველთა გადაშენების მიზანს ემსახურება. ან ამ “მიშარასტებად” დარჩენილებიდან, რამდენი ხართ მომხრე, რომ თქვენმა ნალოლიავებმა პირმშოებმა ერთსქესიანთა ოჯახები შექმნან და თქვენი “ძვირფასი გვარები”, (რომელიც საქართველოს უახლეს ისტორიაში “შავ ლაქად” შევა), ასეთი ოჯახებით გააგრძელონ? როდემდე შეიძლება ვუსმინოთ ტელეეკრანებთან და სიმწრისგან ვიქირქილოდ პრეზიდენტად წოდებული ამ არაკაცის სამარცხვინო სისულელეებზე და ზღვარგადასულ უვიცობაზე? პრეზიდენტად წოდებულმა ამ არაკაცმა მოახერხა ის, რის წინააღმდეგაც საუკუნეები იბრძოდა ქართველი კაცი – საქართველოს დაშლა და დაქუცმაცება. უფალმა მასაც და ხალხსაც არაერთხელ მიგვანიშნა. პირველად გლდანის ეკლესიის კარის შენგრევისას, კამაზის მძღოლი წელს ქვემოთ მოწყდა. მეორედ, ზუგდიდში, ჯვრის მოთხრისას, მის ადგილას მშენებარე სპორტული კომპლექსის სინკარმა იმსხვერპლა, ადამიანი. ახლა უკვე მესამედ- პარლამენტის შენობის ჩამონგრევისას. (როგორც ამბობენ, მსხვერპლი გაცილებით მეტია ოფიციალურად გამოცხადებულზე.) ამდენი წყლდიდობებიცა და მეწყერებიც მხოლოდ ღვთის რისხვაა “არაკაცი ნაციონალებისგან” ქართული ბუნების გავერანების გამო. მერე კიდევ გამოვდგებით და ღვთისმშობლის წილხვედრ საქართველოზე ბრტყელ-ბრტყელს სიტყვებს ვამბობთ. “წილხვდომი” რომ ხარ და არა “წილნაყარი”, ესაა ჩვენი პასუხიმგებლობა და არა არხეინად ყოფნის საფუძველი. სააკშვილმა კი “რომაელი ჯარისკაცებივით” მაცხოვრის კვართის პატრონ საქართველოს “უყარა წილი” ფარისეველ-მწიგნობართა მსგავსად და განაჩენიც – ჯვარცმა გამოუტანა. თუმცა ჯვარცმას აღდგომაც ახლავს და საქართველოს სწორედ ეს დრო უდგას ახლა. პრეზიდენტად წოდებულ არაკაცსა და მის “ნაციონალების ხროვას” უბედურების მეტი არაფერი მოაქვს საქართველოსთვის. კიდევ რამდენი ქართველის სიცოცხლე უნდა მიიტანოს მამონას სამსხვერპლოზე ამ არაკაცმა, ერი გონს რომ მოეგოს! სააკაშვილიც თავისი ხროვით, ოფიციალური მკვლელი და ტერორისტია. “უმაღლესი მთავარსარდალი” ლიკვიდაციით პირადად დაემუქრა განმუხურში აბუნტებულ სამხედროებს და ერთი საათის ულტიმატუმის ვადა მისცა. მერე დაგბომბავთო. საერთაშორისო თანამეგობრობას რომ ჰკითხო, ტერორისტებთან და მკვლელებთან არ თანამშრომლობს. ამ არაკაცს, გიჟსა და გარეკილს კი ოფიციალურ შეხვედრებს უმართავენ. გაიგეთ, რომ ჩვენი პატრონი არავინაა. ჩვენ ღვთისგან კურთხეული, მაგრამ “ობოლი ერი ვართ”. “ობლის კვერი ცხვა, ცხვა და გვიან გამოცხვაო” –ქართველმა კაცმა თქვა. “ამ კვერის გამოცხობა” კი ახლა ჩვენს ხელშია. ბათუმში კლინტონთან “პადხალიმობისას” სააკაშვილისა და მისი ცოლის ნეტარებისგან ბედნიერი სახეები იმაზე მეტყველებს, რომ არც ეს არაკაცი წავა თავისით. არ დათმობს იმ სიკეთეებს რაც ამდენი ტყუილებით მოიპოვა. საგანგებოდ შეუღებავად დატოვებული თმაც, ალბათ ვაზელინის კაგრად წასასმელად გამოადგა “საქართველოს პირველ არაკაცს”. მათ ბედნიერ სახეებზე ნათლად იკითხებოდა, რომ ამ “ევროატლანტიკურად ღვთაებრივ ოჯახს” ფეხზე ჰკიდია ქართველი კაცის უბედურება. იმ დროს, რა დროსაც ამდენ ადამიანს ასე უჭირს, ასეთი ბედნიერი სახეები როგორ უნდა ჰქონდეს “ქვეყნის პირველ არაკაცსა” და მის მეუღლეს?! ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ “საქართველოს პირველი არაკაცი” და მისი მეუღლე უბედნიერესად გრძნობენ თავს, მაშინ, როდესაც საქართველო ჭრილობებისგან კვნესის, ქართველ ხალხს ასე უჭირს. სანამ ამ “პრეზიდენტად წოდებული არაკაცის” ამდენი ხნით დატოვებისთვის, ქუთაისის პარლამენტივით, უფალმა ჩვენც თავზე არ ჩამოგვამხო ყველაფერი, ნებიმიერი, უპირველესად ოქტომბრის არჩევნების გზით უნდა მოვიცილოთ ესეც და მისი ნარჩენებიც. თუ მშვიდობიანი გზით და ცივილიზებულად ვერ შეიგნებენ, მერე უკვე “ცხვარივით გაცხარებაც” გვჩვევია ქართველებს.






თქვენით წადით “ნაციონალო ბიძიებო და დეიდებო”. წადით, სანამ ქართველი ხალხი ჯერ კიდევ ე.წ. “დემოკრატიითა” და ქართული ტოლერანტობით დიდსულოვნად გინდობთ! მოგელაძისა და თქვენი გამოხტომების უკვე ხალხს აღარც ეშინია და აღარც სჯერა. “ფინიტა ლა კომედია” სახელწოდებით “მიშა მაგარია”! წადით ცივილიზებულად და თქვენს შვილებს “იმას მაინც მოატყუებთ” შემდეგ – “ქართველმა ხალხმა ღირსეულად გაგვაცილაო”. წადით, თორემ ჩვენს მოთმინებასაც აქვს საზღვარი და იმას ნუ გაგვაკეთებინებთ, რაც ქართველს არასდროს ჩაუდენია.

**ბაია ამაშუკელი**

იხილეთ „საერთო გაზეთი“
ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

# xalxis azriT

ვცდილობ, წინ გავძვრე, მივარღვევ ხალხის ტალღას, თან თვალებით ვეფერები ჩემს თანაქალაქელებს...უეცრად კვიმატი ქუთაისელის სიტყვები:

–რაია, ბუჯო, აქამდე ტიტვლები მევიდენ, ყველას რო ერთნაირი მაიკა აცვია?:)))

დღეს ქუთაისში "ნაცების" ხელისუფლება დასრულდა. დღევანდელი დღე დიდი ნიშანია ყველასთვის, ვინც არ აპირებს პოლიტიკურ სამარეში ჩაყვეს ამ ხელისუფლებას. თავისუფალ ადამიანებს სასწაულის მოხდენა შეუძლიათ. დღეს ეს დამტკიცდა: ქუთაისმა, იმერეთმა დიდი ზარი შემოკრა მთელი საქართველოსათვის. როგორც ყოველი მოაზროვნე ქართველი-ამაყი ვარ იმით, რაც ქუთაისში მოხდა.

გენაცვალე, იმერეთო! ბრავო, ქუთაისო! ღირსეული ქართველები და მართლა კოლორიტები ხართ! თქვენ შემოგევლეთ. მთელი საქართველო ველოდით ამ დღეს და მადლობა იმერეთო ამ სიხარულისათვის!

ჩემი მრავალწლიანი გამოცდილებით, ქუთაისის მიტინგზე ტელევიზატორში ასე 40 000 კაცი ჩანდა. ადგილი იყო მაზალო, სრულად ვერ იღებდა კამერა.

თუმცა, ეს ბევრად მეტია, ვიდრე თბილისის პროცენტი, რაც ნიშნავს, რო დასრულდა ნაცების კუნტრუში.

ალბათ ვინმე თეატრის წინა მოედანსაც გადაიღებდა, თუ რაოდენ დატვირთული იყო ღონისძიებით, რის გამოც ოცნების მიტინგს უარი სტკიცა ქუთაისის მერიამ.

ჰოდა, მაგ კადრებსაც ველოდები.

ხოლო თუ იქ არაფერი იყო სერიოზული, ეს ტრაკუცუნობა სახეზე უნდა ააფინო ნაცმაცუნებს.

ახლა ბოცვრები იხტიბარის არგატეხვის რეჟიმში იქნებიან ერთი თვე და მერე დაიწყებენ გადმოსრიალებასა და შორს გასრიალებას.

ქუთაისმა ვერ გაამართლა დიდბოცვერას იმედები. სავარაუდოდ, მუშავდება გეგმა ქუთაისის პარლამენტის გადატანისა თელავში, მერე იქაც რო ჩაისვრიან, ახლაციხეში, იქაც რო ჩაისვრიან...

მე ოცნება მაშინაც არ მეხერხება, როცა ლექსს ვწერ, მეტისმეტად ანალიტიკური წყობის ტვინი მაქვს. ოცნებაზე მეტად ის მაინტერესებს, მესხიშვილის თეატრის წინ თუ იყო იმხელა ღონისძიება, რის გამოც ამ მიტინგზე უარი უთხრა მერიამ.

ხოლო თუ არ იყო ასეთი სერიოზული რამ, მაშინ ხელისუფლება ყოფილა ბოცვერი, რის დამტკიცებაც ჩვენ გვინდოდა. აბა, სად არის აქ ოცნება? ;)

ნამდვილად არ ვაპირებ, ვისმინო ტელე-აბდაუბდა და დავიქვეითო აქციაზე მიღებული ამაღლებული განწყობა! გვითხრა ამ მადლიანმა კაცმა, არავის დამარცხებას არ ვაპირებ, საქართველომ უნდა გაიმარჯვოსო. ვისაც თავი მიგაჩნიათ ღირსეულ ადამიანად, ეს არის ნათელი გზავნილი! სხვათა შორის, რამდენჯერ დააპირეს სკანდირება: "ბიძინა, ბიძინა", იმდენჯერ შეუცვალა მიმართულება და „საქართველოს გაუმარჯოსო"–შეახსენა ხალხს...

ბოდიში მომითხოვია, მაგრამ, რაღაცა „კაკუნების" „სურნელი" ტრიალებს ავლაბრის რეზიდენციაში...... ნეტავ, რატომ??? რა ვიცი, ცოტა იყო ხალხიო და.... ეჰ, მიხეილ, მიხეილ!!! კიდევ ჩაიფსი მიხეილ???

როგორც ხდება ცნობილი ბიძინა ივანიშვილის დაცვამ მიიღო ინფორმაცია რომ რეჟიმს დაქირავებული ყავდა ეგრეთ წოდებული "კილერები" — სნაიპერები და მიიღო გადაწყვეტილება ტრიბუნა ტყვიაგაუმტარი შუშით დაეცვა. რათა უზრუნველეყო დაცვის ობიექტი.

ბევრი დადებითი ასპექტები იყო ბიძინა ივანიშვილის სიტყვაში! ბევრად უკეთსი იყო, ვიდრე თბილისის აქცია, უფრო ქართველ ლიდერად წარმოჩდა, ვერაფერს ვიტყვი, სანიკიძის სიტყვაც მომეწონა, ეროვნულობის ელფერი შემოიტანა, რესპუბლიკელების მიჩქმალვაც კარგი იდეა იყო! აასრულოს ამ კაცმა რასაც გვპირდება და მართლა გადარეულები ხომ არ ვართ, რომ დავუპირისპირდეთ?! თუმცა ბევრი პრობლემატური საკითხი კვლავაც დგას, საგარეო პოლიტიკასთან მიმართებაში! ნაციონალების პასუხისმგებლობის საკითხიც და ასე შემდეგ, მაგრამ, ვნახოთ, რა იქნება! მიშა უნდა წავიდეს!!!!!!!!!! და ჩვენ სამშობლოში უნდა დავბრუნდეთ!!!!!!!!!!




# Sindiseli jariskacis da amerikeli pedagogis tragikuli seqsi

სოციალურ ქსელში გავრცელდა ინფორმაცია, რომ ამერიკელი პედაგოგის გაუპატიურიების ფაქტზე გორის პოლიციის სამმართველოში აღძრული საქმე უკვე გადაგზავნილია სასამართლოში. 22



წლის შინდისელი ჯარისკაცი ეჭვმიტანილია გაუპატიურებაში, თუმცა 27 წლის კანზასელი პედაგოგის სხეულსა და ტანსაცმელზე ჩატარებული ტრასოლოგიური, გენეტიკური და სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნაში წერია, რომ არცერთ შემთხვევაში ძალადობის ნიშნები არ იკვეთება.

„დაზარალებული" 26 მაისს მივიდა პოლიციაში და განაცხადა, რომ გააუპატიურა დაუდგენელმა პირმა. სამართალდამცავებმა მსწრაფლ მიაკვლიეს „მოძალადეს" და წაუყენეს ბრალი მუხლი №137 პირველი ნაწილით, რომელიც ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 4-იდან 6 წლამდე.

ეჭვმიტანილის ადვოკატი ფრიდონ მაღრაძე: — „ამ ქალბატონმა ჯარისკაცთან ჯერ თვითონ დაამყარა გაუკუღმართებული სქესობრივი კავშირი, ხოლო შემდეგ, იგივეს გამეორება მოსთხოვა ჯარისკაცს. ქართველმა მამაკაცმა ამაზე უარი უთხრა. აქ საკითხავია, ვინ ვისზე ახორციელებდა ძალადობას. ამის შემდეგ, გაბრაზებული ქალბატონი წავიდა პოლიციაში და იჩივლა."

ბატონი ადვოკატი წვალობს, ვერ ამბობს რა შესთავაზა ამერიკელმა პედაგოგმა, ამდენად, მსმენელი იბნევა, ვერ აღიქვამს როგორ დაამყარა ქალბატონმა გაუკუღმართებული კავშირი, ამიტომ, დავაკვალიანოთ — ამერიკელი პედაგოგი რომ იყო, ოღონდ მამაკაცი, ნიუკასლელი თომას ფლეტჩერი, რასაც აკეთებენ მამაკაცის სასქესო ორგანოსთან, ის გაუკეთა კანზასელმა პედაგოგმა შინდისელ მამაკაცს. ახლა, რაზე უთხრა უარი ჯარისკაცმა — მე იმ პოზას ვერ მივიღებ, ბათუმის ბულვარში რომ ქანდაკების დადგმას აპირებენ, არ ვარ ჯერ ბოლომდე გაევროპელებული, შინდისელი ბიჭი ვარო.

მოკლედ, ადვოკატის თქმით, დაკავებული არ აღიარებს ბრალდებას და შესაბამისად, არც საპროცესო შეთანხმების გაფორმებას აპირებს.

ბევრი რამ არის ხოლმე ამერიკელი პედაგოგების გაუპატიურების საქმეში საინტერესო, ზოგს ის წყინს, უპრეზერვატივოდ რატომ ამყარებს ჩემთან კონკრეტული პირი სქესობრივ კონტაქტსო, ზოგი იმას ჩივის, კუნილინგს რატომ უარობსო.

პედაგოგი ამბობს, რომ მოძალადემ ძალით წაიყვანა ბინაში, გაარტყა სახეში, თან სცემდა და პირზე აფარებდა ხელს, მეორე ხელით კი იძულებით გახადა საცვალი და გააუპატიურა. ყველა სახის ექსპერტი კი გამორიცხავს ყოველგვარი ძალადობის ნიშანს.

ჯარისკაცი ამბობს, რომ გოგო გაიცნო კაფეში, ისაუბრეს და ტაქსით მივიდნენ ბინაში. გოგო წყლის გადასავლებად შევიდა სააბაზანოში და ათიოდე წუთის შემდეგ გამოვიდა მხოლოდ ქვედა საცვლით.

ადვოკატი ფრიდონ მაღრაძე: — „დღევანდელმა ვითომ დაზარალებულმა შიშველ ადგილებზე დაუწყო კოცნა. ბრალდებულს, რა თქმა უნდა, წინააღმდეგობა არ გა-




უწევია. როგორ მოგახსენოთ ახლა, არც მინდა რომ სხვებმა გაიგონ ახლა, მაგრამ მოხდა, გაუკუღმართებულად მოხდა. საიდან — პირიდან. არა სასქესო ორგანოდან, არამედ პირიდან. როცა აქტი დამთავრდა, ბრალდებულმა მიაწოდა სუფთა ნაჭერი, რომ პირი გაეწმინდა. ქალბატონმა ეს არ გააკეთა, კაბის ქვედა ნაწილი აიწია და გაიწმინდა. ეცვა სარაფანი, ზედ ჰქონდა ჟაკეტი მოცმული.

რა თქმა უნდა, წინასწარმა გამოძიებამ, პროკურორმა და მოსამართლემაც აღმკვეთი ღონისძიების მიღების დროს არ გაითვალისწინეს ამ ბიჭის ვერსია და გაითვალისწინეს მომჩივანის ვერსია, რომ ის გააუპატიურეს.

გამოძიების პროცესში ამოღებულ იქნა დაზარალებულის ტანსაცმელი: ტრუსიკი, კორსეტი, ლიფი, კაბა, ჟაკეტი და რა თქმა უნდა, ლეიბი და სხვა ნივთები, რაც საჭირო იყო იმისათვის, რომ დაედგინათ გენეტიკურად, შეესაბამებოდა თუ არა ბრალდებულის იმ გენს, რომელიც კაბაზე და ჟაკეტზე აღინიშნებოდა. ასევე, შეესაბამებოდა და, იქნებოდა თუ არა დაზარალებულის საშოში ბრალდებული მამაკაცის სპერმა. ჩატარებული ექსპერტიზის შედეგად ირკვევა მხოლოდ ერთი რამ, არ დასტურდება ვერსია, რომელსაც ვითომდა დაზარალებული მიუთითებს. პირველ რიგში რა — ძალადობა. ფაქტი პირველი, რომ ყელში ჰქონდა ხელი წაჭერილი, არ აძლევდა წასვლის საშუალებას და დაყვირებაც არ შეეძლო. ექსპერტიზის დასკვნის შედეგად, არც სისხლნაჟღენთი, არც არანაირი ძალადობის კვალი არ არსებობს. სცემდა სახის არეში — ესეც ჩვენებაშია მითითებული, არც სახეზე არ არსებობს არანაირი დაზიანების კვალი."

იმდენი ექსპერტიზა ჩაუტარებიათ, გასტროსკოპიული გამოკვლევაც ჩაეტარებინათ ბარემ გოგოსთვის და სტომატოლოგიურიც მიეყოლებინათ იმის დასტურად, რომ კბილები არ აქვს და ყბის კუნთები ჯეროვნად არ უმუშავებს — ეს ისე, ყოველი შემთხვევისთვის, ვინიცობაა მტკიცებულებად გამოსდგომოდა ორალური სექსის დაძალების ბრალდებისას...

ყველას სიკეთეში მოეხმაროს სანუკვარი, მაგრამ პატივცემული პედაგოგები. ორალური სექსის გაკვეთილების ჩასატარებლად ჩამოჰყავთ? ეს უცხოელი პედაგოგები, ქალიან-კაციანად რატომ ეწაფებიან ფალოსს ასე დახარბებულები?

მითხრეს, განვითარებად ქვეყნებში წამსვლელები დიდ თანხაში არიან დაზღვეულები და ვინც მთლად ნამუსამოწყვეტილები არიან, იმათ იციან ეგეთი ამბები, „მაყუთს ჭრიანო".

ჩემს გარშემო უამრავი სკოლის მოსწავლეა, რომლებმაც ერთნაირი შეფასება მისცეს მათთან მიმაგრებულ ე.წ ინგლისური ენის პედაგოგების გარჯას, „რა გრამატიკა და წერა-კითხვა, სლენგს ვუბერავთ ზეპირად!"

როგორც ვხედავთ, მახინჯი ფორმით, მაგრამ ერთგვარ „ჩეინჯს" აქვს ადგილი, უცხოური პედაგოგები ინგლისურს ასწავლიან ჩვენს ყმაწვილებს, ჩვენები კი, „სალამურზე" დაკვრას, თუმცა, დიდი რისკის ფასად.

ასე იცის ქართულის ანგარიშში ინგლისურის სწავლამ საქართველოში!

**მაია ჭელიძე**

# zRapar iyo, zRapar iyo...



**ირმა ინაშვილი:** ერთი კაცის სავარძელი, რომელიც ისედაც მიტაცებულია, ქვეყანას ტრაგედიის ფასად უჯდება... ფასადები, ფასადები, ფასადები... უხარისხო ნაგებობები... „სტახანოვური" ტემპებით მშენებლობა... ჯიბრი, რომ პარლამენტის შენობა მაინცდამაინც 2012 წლის 26 მაისს უნდა გახსნას... ერთხელ წამოცდა, იდიოტობა თქვა და უკან როგორ დაიხევს?! ჯობია, ხალხი დაიხოცოს, ვიდრე მისი სიტყვა უკან წაიღოს... გარდა ჯიბრისა, უტიფრობა... თითქოს არაფერი, აგრძელებს სტუდენტებთან შეხვედრას და ქვეყნის „აღმშენებლობაზე" საუბარს... დუჩეს შეშურდება... ადოლფსაც შეშურდება... ორივე იტირებს... საბრალო საქართველო... ჩვენი საბრალო ხალხი... ვიზიარებ ჩვენს საერთო მწუხარებას იმის გამო, რომ სააკაშვილმა თავის დროზე ქვეყანა ხელში ჩაიგდო... და კიდევ ერთხელ ვამბობ: კრიტიკას დაანებეთ თავი... იმოქმედეთ რეჟიმის წინააღმდეგ, როგორც შეგიძლიათ.... უბრალოდ, იმოქმედეთ... იყვირეთ, იხმაურეთ, ილაპარაკეთ ხმამაღლა და არა ჩურჩულით... გაპროტესტეთ სახლში, მეგობართა შორის, თქვენს წრეში... ტრანსპორტში... ქუჩაში... და როცა დადგება საჭირო მომენტი, ერთად ვუთხრათ: „წადი", მაგრამ ჩვენ მაშინ რეზულტატის გარეშე სახლებში აღარ დავბრუნდებით... ეს არის და ეს...

წელს თებერვალში თავის ყოფილ პოსტზე ყოფნისას მაია მიმინოშვილმა განაცხადა, რომ იმ ტიპის დავალებებით, როგორიც საატესტატო გამოცდებისთვისაა გათვალისწინებული უმაღლეს სასწავლებლებში სტუდენტების კონტინგენტს ვერ შევარჩევთ. ამით ეროვნული ცენტრის დი-



რექტორმა ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ საატესტატო გამოცდები დაბალი დონისაა და უმაღლესისათვის მიუღებელია. ამით მან ხაზი გაუსვა ნაცების მცდელობას გაეერთიანებინათ საატესტატო და ეროვნული გამოცდები, რამაც განათლების მინისტრის აღშფოთება გამოიწვია. შაშკინი იმაზეც იყო განრისხებული, რომ მიმინოშვილი წინ აღუდგა მინისტრისა და გიგი თევზაძის (წარმოიდგინეთ, ილიას სახელობის უნივერსიტეტის რექტორის) იდეას ერთიანი ეროვნული გამოცდებიდან ამოეღოთ ქართული ენა და ლიტერატურა. ვარდოსნები ხელქვეითებს ინიციატივებს არ პატიობენ. მოსახდენიც მოხდა.

დღეს შაშკინი უსირცხვილოდ აცხადებს, რომ საატესტატო გამოცდები წარმატებით დამთავრდა. ჩამბარებელთა შეფასებები მნიშვნელოვნად მაღალია წინა წელთან შედარებით. ასეც უნდა ყოფილიყო, რადგანაც გამოცდები შარშანდელი „კატ"-ის (კომპიუტერზე ადაპტირებული ტესტებით) მოდელით ჩატარდა და კითხვები გასულ წელთან შედარებით უფრო იოლი და ნაკლები იყო, – აცხადებს აკადემიკოსი პედაგოგიკის დარგში ზურაბ ვახანია.

შაშკინის უწყებას ვითომდა გამოეპარა ერთი რამ – დილის სესიაზე გასულ სტუდენტებს შუადღეზე გასულთათვის გამოჰქონდათ მზა პასუხები, კითხვები იდენტური იყო. ამასთანავე დაშვებული იყო მობილურის შეტანა და ცხადია, რთულ კითხვაზე სმს-ით პასუხის მიღება.

აკადემიკოსის განმარტებით, უცნობია თუ რამდენი პროცენტი არ გამოცხადდა დამამთავრებელ გამოცდებზე. სამაგიეროდ, მისთვის ცნობილია, რომ ბევრ საჯარო თუ კერძო სკოლებში დირექტორებმა ჩაატარეს პრეტესტი (წინასწარი გამოცდა) და მასში ჩაჭრილ მოსწავლეებს პირდაპირ განუცხადეს – საატესტატო გამოცდებზე არ დაგიშვებთო. მიზეზი ის იყო, რომ შარშან ჩაჭრილთა გამო (15 პროცენტი) ბევრმა დირექტორმა სამინისტროსგან მიიღო საყვედური, რესურს-ცენტრებში სკოლის ქულები არ დაეწერათ და ხელი შეეშალათ ბრენდირებაში.

### რამ მიიყვანა განათლების სისტემა ამ მდგომარეობამდე, ანუ როცა პრეზიდენტი იტყუება

სააკაშვილი წინასწარ შერჩეულ პედაგოგებთან შეხვედრისას მათ დამსახურებასა და ღვაწლზე სახოტბო სიტყვებს არ იშურებს. ეს სიტყვით, საქმით კი... ვარდოსნების ხელისუფლებაში მოსვლამდე ქვეყანაში 3201 სკოლა იყო. პედაგოგთა და მეცნიერთა პროფკავშირების მონაცემებით, დღეისათვის დარჩა 1200, უმუშევრად დარჩა 10 ათასამდე პედაგოგი. სკოლების ოპტიმიზაცია – ლიკვიდაციის პროცესი დღესაც გრძელდება. რასაც თან ახლავს პედაგოგთა შემცირებაც. თავდაპირველად ასაკოვან, დამსახურებულ, შემდეგ კი „პოლიტიკურად არასანდო" მასწავლებლებს მისდგნენ.



ზუგდიდის რ-ნის სოფელ ჭკადუაშის საშუალო სკოლის დირექტორმა მანუჩარ ხარებავამ ერთბაშად იმდენი მასწავლებელი გაათავისუფლა, რომ 21-ე საუკუნეში სკოლა ფიზიკის მასწავლებლის გარეშე დატოვა, – გვეუბნება რესპუბლიკის დამსახურებული პედაგოგი ქეთევან ჩაჩანიძე. მასწავლებელთა უმოწყალო განთავისუფლებები მას მერე დაიწყო, რაც სამინისტრომ მოსწავლის დაფინანსება (ვაუჩერი) შეამცირა. ამ მიზეზით ბევრ სოფელში საერთოდ გაუქმდა სკოლა. ბავშვებს კილომეტრების გავლა უწევთ მეზობელ სოფლებში ჩასასვლელად. ბევრ მშობელს ამის ელემენტარული შესაძლებლობა არ აქვს. დაბალი კლასების მოსწავლეები დაწყებითი განათლების გარეშე დატოვეს.

უპრეცედენტო შემთხვევა მოხდა: თბილისში მასწავლებლებისაგან ფარულად გაიყიდა 187-ე საშუალო სკოლის შენობა. მოსწავლეები ახლომდებარე სკოლებში გადანაწილდნენ. პედაგოგთა დასაქმებაზე არავინ ფიქრობს, ისევე როგორც ათასობით მათი კოლეგისა.

ქეთევან ჩაჩანიძის გადმოცემით, პედაგოგები მუდამ სამსახურის დაკარგვის შიშით მუშაობენ. ეს აისახება მათ პროფესიულ და ეთიკურ დონეზეც.

### შაშკინის ტყუილები

თავის გამოსვლებში განათლების მინისტრი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ რეფორმებმა გაამართლეს. ქვეყანაში განათლების დონე მნიშვნელოვნად ამაღლდა. სულ სხვას ამტკიცებენ ექსპერტები.

**ეთერ სირაძე, ყოფილი გადამზადების ცენტრის წამყვანი სპეციალისტი:** „კომუნისტების პერიოდიდან მოყოლებული სახელმძღვანელოთა გადატვირთვა დღესაც გრძელდება. ჰუმანიტარულ დისციპლინებში სასწავლო პროგრამები დაქსაქსული, დაქუცმაცებულია და უსისტემოდ, გაუგებარი ლოგიკით ისწავლება. ახალგაზრდა ისე ამთავრებს საშუალოს, რომ ვერ ერკვევა მათემატიკის, გეოგრაფიის, ისტორიის, ქართული ლიტერატურისა და გრამატიკის ელემენტარულ საკითხებში, მოსწავლეთა დიდი ნაწილი ერთგვერდიან პუბლიცისტურ ტექსტს ვერ კითხულობს. იგივე მდგომარეობაა ზუსტი მეცნიერების დარგებში. სკოლებში ისეთ რაღაცებს ასწავლიან, მათემატიკის პროფილზე ჩაბარების (უმაღლესში) პროგრამაშიც რომ არ შედის. ზოგადი განათლების ხარისხი დაბალია. გამონაკლისები გვხვდება, ზოგიერთები საერთაშორისო ასპარეზზე რომ გვასახელებენ ხოლმე. ასეთები მოსწავლეთა საერთო რაოდენობის 5 პროცენტია საშუალო დონით, საერთაშორისო ტესტირების შედეგად მსოფლიოში 57-ე ადგილზე ვართ, ისეთი ქვეყნებიც გვისწრებენ 50 წლის წინ დამწერლობაც რომ არ ჰქონიათ.

განათლების პოლიტიკის დაგეგმვისა და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტის დირექტორის გიორგი მაჩაბელის განმარტებით, საზოგადოებაში განათლების ფასი გაიზარდა, შესაბამისად მოთხოვნაც. ხარისხიან განათლებაზე გაიზარდა შრომის ბაზრის მოთხოვნილებაც, რასაც, სამწუხაროდ, საშუალო სკოლა მხარს ვერ უბამს.

### რეპეტიტორის აუცილებლობა – განათლების დაბალმა დონემ განაპირობა

სპეციალისტთა, ექსპერტთა, პედაგოგთა განმარტებით უწყვეტი სასწავლო პროცესი სკოლასა და უმაღლეს სასწავლებელს შორის დარღვეულია. მისაღებ გამოცდაზე აბიტურიენტს იმ ცოდნას სთხოვენ, რაც სკოლაში არ მიუღია. გაუაზრებელმა რეფორმებმა წარმოშვა რეპეტიტორის აუცილებლობა. იგი ავსებს ან აძლევს ახალგაზრდას იმ ცოდნას, რაც 12 წლის განმავლობაში არ მიუღია, არადა უმაღლესში ითხოვენ.

განათლების პოლიტიკის დაგეგმვისა და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტის მიერ ჩატარებული კვლევებით გამოკითხულთა 90 პროცენტმა ჩათვალა, რომ რეპეტიტორი აუცილებლობაა, ხოლო მათ 60 პროცენტს ამის საშუალება არა აქვს. იმავე გამოკითხვით, რეპეტიტორებთან 3-ჯერ მეტი ქალაქის მაცხოვრებელი დადის, ვიდრე სოფლებისა. მნიშვნელოვანი განსხვავებაა ქონებრივ ცენზშიც. საერთაშორისო ინსტიტუტში აცხადებენ, რომ ოჯახები რეპეტიტორებში წელიწადში დაახლოებით 300 მლნ ლარს ხარჯავენ. სახელმწიფო კი სკოლების დაფინანსებისათვის წელიწადში 350 865 700 ლარს იმეტებს.

შესამჩნევია რეპეტიტორთა რიგებში სკოლის მასწავლებელთა რაოდენობრივი ზრდა. დიდ პრობლემას წარმოადგენს ზოგადსაგანმანათლებლო სისტემაში მუდმივი ცვლილებები, სპეციალისტები ამას გაგებით ეკიდებიან, მაგრამ არა ყოველწლიურად.

### სეფერთელაძის ნაზოდვარი

განათლების მინისტრის მოადგილე კოკა სეფერთელაძე I არხზე დავით პაიჭაძესთან „დიალოგი" ყველა კითხვაზე წინასწარ დაზეპირებულ პასუხს იძლეოდა – პედაგოგის სახლის თანამშრომლები 24 სთ-იან რეჟიმში მუშაობენ, რათა პედაგოგებს აუმაღლონ მომზადების დონე. თუ ასეა, მაშ რატომ არის, რომ მოზარდები რეპეტიტორებთან არა მხოლოდ უმაღლესში ჩასაბარებლად ემზადებიან, არამედ სკოლის პროგრამის დასაძლევადაც. ზოგიერთი არაკეთილსინდისიერი პედაგოგი მათ შეგნებულად არ ასწავლის მისაღები მეთოდებით, რათა მოსწავლე კერძოდ მივიდეს მასთან მოსამზადებლად. ზოგიერთი მასწავლებლის გადმოცემით, ახლადგახსნილი პედაგოგის სახლი, ძირითადად, იმ კუთხით ფუნქციონირებს, რომ მასწავლებლებსა და მომავალ აბიტურიენტებს პროფილის მიხედვით შეურჩიოს რეპეტიტორ-მოსწავლეები – ასკვნიან სპეციალისტები, ექსპერტები.



განათლების სამინისტრო ოდნავაც რომ არ ზრუნავს პედაგოგთა კვალიფიკაციის ასამაღლებლად, იქედანაც ჩანს, რომ მსოფლიო ბანკის დახმარებითა და იაპონიის მთავრობის გრანტით საქართველოს განათლების სისტემის გასაუმჯობესებლად გამოყოფილი 500 ათასი დოლარი დაიხარჯა, მაგრამ შედეგი არ ჩანს. ეს თანხა გამოყოფილი იყო განათლების სფეროში 66 ახალი სახელმძღვანელოს თარგმნისა და რედაქტირებისათვის. ეროვნული სასწავლო გეგმების და შეფასებების ცენტრმა ამ წიგნების უფასოდ გავრცელების უფლება შეისყიდა, თუმცა მისი არც ბეჭდვითი და არც ელექტრონული ვერსია, არავის უნახავს.

**ზაზა ბილიხოძე**

იხილეთ „საერთო გაზეთი" ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

# გულის საიდუმლო

***წლებთან ერთად უსიამოვნებანი, რომლებსაც ჩვეულებრივ ცხოვრებისეულ პრობლემებს ვუწოდებთ, გულ-სისხლძარღვთა სისტემის მუშაობის დარღვევის მიზეზი ხდება. მუდმივ სტრესს, განცდასა და დატვირთვას, უამისოდაც დაღლილი და გადაქანცული სხეულის ყველაზე დიდი ტუმბო მნიშვნელოვნად გამოჰყავს მდგომარეობიდან. ამიტომაც ისიც, უფრო და უფრო ხშირად გვახსენებს თავს მკერდში მსუბუქი ჭვლით, ჩხვლეტით, გულისცემის გაძლიერებით. ყოველ ასეთ "სიგნალს" სამედიცინო თვალსაზრისით თავისი მნიშვნელობა აქვს.***

### ზაფხული დადგაო...

ზაფხულის დადგომისა და სიცხის კვალდაკვალ, ბევრი ამჩნევს, რომ მათი ჯანმრთელი გული საკმაოდ უცნაურად იქცევა — ზოგჯერ აბსოლუტურად მოსვენებულ მდგომარეობაში გაძლიერებული ძგერს, მაჯისცემა წუთში 80 და მეტიც კი არის, ზოგჯერ კი თავისთავად წყნარდება და ნორმას უბრუნდება.

გულის რიტმის მცირედ აჩქარებას — 80-95 დარტყმა წუთში — ჯანმრთელი ადამიანი ჩვეულებრივ ვერ ამჩნევს, სწორედ ამიტომ გვაკვირვებს ხოლმე ემოციების თანმხლები ის რეაქციები, რომლებიც ზაფხულის დადგომასთან ერთად ხშირდება: სწრაფი დაღლა, ნებისმიერ, უმნიშვნელო საგანზე თუ მოვლენაზე ძლიერ გაღიზიანება, მსუბუქი თავბრუსხვევა, ჰაერის უკმარისობა, ბიძგები გულმკერდში და გულის ტკივილი: ყრუ, გამჭოლი, მჩხვლეტავი.

თუ აღელვებისას, როგორც დადებითი ისე უარყოფითი ემოქციებისას, თავს მსგავს სიმპტომებს შეამჩნევთ, გაისინჯეთ მაჯისცემა:

60-80 შეკუმშვა წუთში — ნორმაა.

81-95 — მაჯა მცირედ აჩქარებულია.

95-ზე მეტი — მაჯა ძლიერ აჩქარებულია.

### მაჯის მცირედ აჩქარებას რამდენიმე შესაძლო მიზეზი აქვს

— პირველ ყოვლისა, ტემპერატურის მომატებისას აქტიური ფუნქციონირების რეჟიმზე გადადის ფარისებრი ჯირკვალი, მის მიერ



გამომუშავებული ჰორმონი — თიროქსინი კი, როგორც მოგეხსენებათ, გულს გაცილებით სწრაფად ძგერას აიძულებს.

— მეორე — თირკმელზედა ჯირკვლები სისხლში მომატებული კონცენტრაციით გადაისვრის ადრენალინსა და ნორადრენალინს, ჰორმონებს, რომლებიც აჩქარებს გულის კუნთის შეკუმშვების ძალასა და რაოდენობას.

— მესამე — ორგანიზმში აკუმულირებული დაღლილობა თავისებურად ნერვულ სისტემაზეც ისახება, იგი ზედმეტად გაღიზიანებულია და მცირე ემოციების დროსაც კი სხეულის შინაგანი მეტრონომის მუშაობას აძლიერებს.

მედიცინაში ამ მდგომარეობას კარდიალური ტიპის ვეგეტო-სისხლძარღვოვან (ნეიროცირკულარული) დისტონიას უწოდებენ. ეს დაავადება გულ-სისხლძარღვთა სისტემის დროებითი მოშლითაა განპირობებული და საკმაოდ ადვილად ემორჩილება კორექციას. აუცილებელია მხოლოდ რამდენიმე რეკომენდაციისა და პირობის შესრულება, რომლებსაც თქვენთვის ინდივიდუალურად დაადგენს ექიმი-ნევროლოგი.

**მაჯის ძლიერ აჩქარების მიზეზის დადგენა** უკვე კარდიოლოგის კომპეტენციაა. თუ მაჯისცემა აჭარბებს 150 დარტყმას წუთში და მას თან ერთვის ძლიერი ბიძგები გულმკერდის არეში — აუცილებელია დარწმუნდეთ, ყოველივე ხომ არ უკავშირდება ფარისებრი ან თირკმელზედა ჯირკვლების მიერ ჰორმონთა გაძლიერებულ სეკრეციას. ამასთან, გამოკვლევის გადადებას არ გირჩევთ, რადგან მაჯისცემის დიდი ხნით ძლიერი აჩქარება მიოკარდიუმის ენერგეტიკული მარაგის სწრაფ გამოლევას იწვევს და ერთ



მშვენიერ დღეს შესაძლოა, გულმა მუშაობა ვეღარც კი შეძლოს.

### სხვა სიმპტომები

საკმარისია გადაიღალოთ ან ანერვიულდეთ და გული თითქოს ჩერდება გამჭოლი მჩხვლეტავი ტკივილის გამო? ეს გულის ნევროზის ტიპური სიმპტომია.

სტრესის ჰორმონის გავლენით გულის კუნთის მკვებავი წვრილი სისხლძარღვები ვიწროვდება, მიოკარდიუმში ჟანგბადისა და საკვები ნივთიერებების მიწოდება მცირდება და ისიც ნერვულ სისტემაში მოსალოდნელი შეფერხების თაობაზე ასე გზავნის სიგნალს, რომლის პასუხადაც ტვინი მსხვილ არტერიებს გაფართოების ბრძანებას უგზავნის და უსიამოვნო შეგრძნებებიც წყდება.

ასეთი ტკივილი ფუნქციური ხასიათისაა, ის წამიერია, არ არის საშიში და ჩვეულებრივ ადვილად გადის დამამშვიდებელი საშუალებების მიღების შემდეგ.

შიშის, აღელვების, წყენის, გადაღლის, გამოუძინებლობის ფონზე, ადამიანს ხშირად ისეთი გრძნობა ეუფლება, თითქოს სადღაც ვარდება, გული ეპარება, შიშისგან ჩერდება — ამ შემთხვევაში საუკეთესო დამხმარეა სიმშვიდე, კალიუმის პრეპარატები ან მათი შემცველი პროდუქტები: ქიშმიში, ყურძენი, კარტოფილი, კარგია დამამშვიდებელ მცენარეთა ნაყენები.

ქალბატონებს გულის კუნთის ინფარქტისგან საიმედოდ იცავს სასქესო ჰორმონები, მაგრამ თვეში ერთხელ, კრიტიკული დღეების წინ, გულის კუნთს პატარა გამოცდას სწორედ ეს ჰორმონები უწყობს, ჰორმონული ფონის მკვეთრი ცვლილებით ამ პერიოდში მაჯისცემა 80-ზე მეტი ხდება, რაც საშიში არ არის, რადგან რამდენიმე დღის შემდეგ ის თავადვე დაუბრუნდება ნორმას.

# ჰობი სტრესის წინააღმდეგ

***სტრესის სამკურნალოდ, წმინდა ფსიქოლოგიურ საშუალებათა გარდა, არსებობს მეტად მარტივი, დროით გამოცდილი მეთოდები: ჩვენი ბებიების საყვარელი ხელსაქმე — ქსოვა, აგრეთვე თევზაობა, ფიზიკური ვარჯიში, მუსიკა, სიმღერა...***

### XXI საუკუნის იოგა

უკანასკნელ წლებში კვლავ პოპულარული გახდა ქსოვა. მსოფლიოს წამყვან ქვეყნებში ქსოვის სპეციალური კლუბებიც კი გაიხსნა, სადაც სტრესით შეწუხებული ადამიანების განკურნებას ცდილობენ და ქსოვის თანმხლები ფსიქოთერაპიული ეფექტის წყალობით, უმეტეს შემთხვევაში ახერხებენ კიდეც.

ბევრისთვის დღესაც გაუგებარია, როგორ უნდა დამშვიდდეს და სიამოვნებაც კი განიცადოს ადამიანმა, რომელიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში საქსოვი ჩხირებით ერთფეროვან, რიტმულ და მუდმივ ყურადღებას რომ საჭიროებს, ისეთ მოძრაობებს ასრულებს.

აგაირკვა, პიროვნებაში, რომელიც დაკავებულია ერთფეროვანი, მონოტონური, ავტომატურად განმეორებადი მოძრაობებით, ეგრეთ წოდებული, "მონოტონიის სინდრომი" ფორმირდება.

**მონოტონია** — განსაკუთრებული მდგომარეობაა, იგი თავისი ფსიქოფიზიოლოგიური თვისებებით ძლიერ წააგავს სიფხიზლიდან ძილის პროცესში გადასვლას: ქვეითდება ნერვული სისტემისა და კუნთების ტონუსი, თავის ტვინის ბიოელექტრული პოტენციალი, უჯრედებისა და ქსოვილების მიერ ჟანგბადისა და ენერგიის მოხმარება, ნელდება გულს-სისხლძარღვთა სისტემის მოქმედება, შესაბამისად — კლებულობს არტერიული წნევა.

ბევრნი ქსოვას ტყუილად არ იწყებენ მაშინ, როცა რაღაც მნიშვნელოვანზე ფიქრობენ ან საკუთარ გრძნობებში გარკვევა სურთ.

უუკანასკნელ ხანს ამ ხელსაქმეს უკვე ნევროპათოლოგებიც მიმართავენ ზოგიერთ ნერვული გენეზის მოშლილობათა სამკურნალოდ.

თერაპიული ეფექტი ქსოვის დაწყებიდან მალევე არ იჩენს თავს; თუ ახალბედა მქსოველი ბრძანდებით, განსაკუთრებული შვების ნუ გექნებათ, დასაწყისში ქსოვის შესწავლის პროცესი უფრო დაგღლით, ვიდრე დაგამშვიდებთ. ქანტისტრესული ეფექტის გემო მხოლოდ ხელსაქმის კარგად მცოდნეებმა იციან.



ქსოვის ანტისტრესული თვისების დასასაბუთებლად საინტერესო ექსპერიმენტი ჩაატარა ბრიტანელმა ფსიქოლოგმა ემილი ჰოლმსმა და დაამტკიცა: როდესაც ადამიანი ტელევიზორის წინ ქსოვს, ეკრანზე როგორი საშინელების ამსახველი კადრიც არ უნდა გაჩნდეს, ტვინი მას პრაქტიკულად ტრაგედიად ვერ აღიქვამს და შესაბამისად, ამ პერიოდში დაცულია გარემო სტრეს-ფაქტორებისგან.

### თევზაობა

თევზაობა სტრესთან გამკლავების საუკეთესო საშუალება რომ არის, კარგა ხანია ცნობილია. თევზაობის სამკურნალო ეფექტს წარმოადგენს ნავში ან ნაპირზე ჯდომისას, წყლის ზედაპირზე ნაზად მოტივტივე ერთ წერტილში — ტივტივაზე მზერის შეჩერება. დიდხანს ერთ წერტილში ყურებისას ცენტრალური ნერვული სისტემა ნორმალურ მდგომარეობას უბრუნდება. გაგონილი გექნებათ, საკმაოდ ბევრი ადამიანი რთული მდგომარეობიდან (როგორც საყოფაცხოვრებო, ისე სამეცნიერო) გამოსავალს სწორედ თევზაობისას პოულობს.

თევზაობა ერთგვარი მედიტაციაა, რომელიც სულს, ტვინს მოდუნებისა და ცუდი ფიქრებისგან თავის დაღწევაში ეხმარება. ავიწყებს ყველაფერს, რაც თავის მომაბეზრებელი და დამღლელია, წინ ეღობება ე.წ. პროლონგირებული, გაჭიანურებული სტრესის მავნე შედეგებს.

თუ გსურთ, თევზაობამ მაქსიმალური სარგებლობა მოგიტანოთ, გაითვალისწინეთ, რომ სათევზაოდ წასვლა ყველაზე ახლობელ ადამიანებთან ერთად სჯობს; თუ ეს შეუძლებელია, მდინარის ნაპირზე მისვლისას გაერიდეთ ამხანაგების ჯგუფს და ამ საქმიანობას მათგან მოშორებით, განმარტოებით შეუდექით.

დადებითი გავლენა აქვს შინ აკვარიუმის თევზების ყოლასაც. ჰობის ეს სახე საზღვარგარეთ განსაკუთრებით მას შემდეგ გახდა პოპულარული, რაც სპეციალისტებმა დაადგინეს, რომ აკვარიუმის თევზების მფლობელთა 60 პროცენტი ნაკლებად ექცევა სტრესებისა და ნერვული მოშლილობების მარწუხებში. გაცილებით იშვიათად აწუხებთ თავის ტკივილი, სისხლის წნევა თითქმის ყოველთვის ნორმის ფარგლებში აქვთ, განსხვავებით მათგან, ვისაც „ოქროს თევზების მიმართ" დიდი სიყვარული არ ამოძრავებს.

### ჰობის სხვა სახეები

**ფიზიკური ვარჯიში** სტრესთან ბრძოლის საუკეთესო საშუალებაა. ნებისმიერი ფიზიკური აქტივობისას სისხლში მატულობს იმ ჰორმონთა კონცენტრაცია, რომლებიც ტკივილის შეგრძნებას თრგუნავს და ადამიანის ემოციურ ფონს აუმჯობესებს. ამასთან, რაც უფრო დიდხანს გრძელდება ვარჯიში, მით მეტად მატულობს ანტისტრესულ ჰორმონთა რაოდენობა ორგანიზმში.

სამსახურიდან დაბრუნების შემდეგ, გამოძებნეთ რამდენიმე წუთი, განმარტოვდით საძინებელში და თავს ხანმოკლე მასაჟი ჩაუტარეთ, რადგან დაძაბულობისა და გადაღლისას დანარჩენ ორგანოებზე მეტად სწორედ იგი ზიანდება. ეს ყველაზე მეტად კეფას სჭირდება, რაც გააუმჯობესებს სისხლმომარაგებას და ნერვულ სისტემასაც დააწყნარებს.

**წიგნების კითხვა** — ძილის წინ ნუ ეტყვით პატარებს უარს რაიმეს წაკითხვაზე, თავადაც იკითხეთ, ესეც სტრესის მომხსნელი ერთ-ერთი საშუალებაა, რადგან კითხვისას მუხრუჭდება ადამიანის განცდები ან იგი უბრალოდ მათ შესახებ ივიწყებს.

**მუსიკა, სიმღერა** — კარგია ან თავად იმღეროთ ან სხვის ნამღერს მოუსმინოთ. ჩართეთ საყვარელი ლირიკული სიმღერა და უსმინეთ სასიამოვნო მელოდიას; მუსიკა გულისცემას შეგინელებთ და დაძაბულობასაც მოგიხსნით.

გაცილებით ეფექტიანი ყოფილა თოვლში სიმღერა და მუსიკის მოსმენა — ამ პირობებში სტრესის ჰორმონები ყველაზე სწრაფად „გარბიან" ორგანიზმიდან.

ნნუ დაივიწყებთ ერთობლივ თამაშებსაც — საამისოდ ყოველთვის შეიძლება დროის გამოძებნა, სტრესის პროფილაქტიკისთვის კი საუკეთესოა მეგობრებთან შაშის, ჭადრაკის და დომინოს თამაში.

მოამზადა
ზვიად ლონდაძე

## მსოფლიო პრესის მიხედვით

# `idioturi~ kanoni mitingebis Sesaxeb da saprotesto aqciebi

**დასავლეთის პრესა მიმოიხილავს კანონს მიტინგების შესახებ, რომელიც დრაკონულ ჯარიმებს აკისრებს მომიტინგეებს. კრიტიკოსთა განცხადებით, ეს კანონი ფეხქვეშ თელავს მოქალაქეთა კონსტიტუციურ უფლებებს. ზოგიერთი ექსპერტი დაუნდობლად აკრიტიკებს პუტინის პარანოიკულ გარემოცვას, რომლის ინიციატივითაც მიიღეს ეს კანონი.**

„ოპოზიციის მიტინგი პუტინის იმ ზომების გამოცდა იქნება, რითაც საპროტესტო აქციების ჩახშობა სურთ“ — ეს არის გაზეთ **The Washington Times**-ში გამოქვეყნებული წერილის სათაური. არასანქცირებულ აქციებში მონაწილეობისთვის ჯარიმა 150-ჯერ გაიზარდა, გვახსენებს **Associated Press**-ის ჟურნალისტი ლინ ბერი. როგორც ჩანს, პუტინი ასეთი მეთოდებით ცდილობს, მიტინგებს ლაგამი ამოსდოს. ამ სტრატეგიას ამ დღეებში გამოსცდიან: როგორც ცნობილია, ოპოზიცია პუტინის ინაუგურაციის შემდგომი პირველ მასობრივ დემონსტრაციას მართავს.




ოპოზიციონერთა შორის თავი აზრთა სხვადასხვაობამ იჩინა. ზოგს მიაჩნია, რომ ხელისუფლების მკაცრი სანქციები კიდევ უფრო გაამძაფრებს საზოგადოების უკმაყოფილებას. სხვების აზრით კი, საშუალო კლასის მომიტინგეებს რეპრესიების შეეშინდებათ. „პუტინი, თავის მხრივ, უარს აცხადებს ოპოზიციასთან რაიმე მოლაპარაკებაზე“, — აღნიშნავს ავტორი, რადგან მას მხოლოდ ძალადობრივი ენა ესმის.

ამ დღეებში ოპოზიციის ლიდერები იმ შედეგებზე მსჯელობდნენ, რაც ჯარიმების გაზრდის შესახებ კანონს მოჰყვება. მათი აზრით, საპროტესტო მოძრაობამ უნდა შეაგროვოს ფული დაჯარიმებულთათვის და ამით გამოხატოს თანადგომა საერთო საქმის გამო. ამასთან, ახალი კანონი პოლიციას ახალ უფლებებს ანიჭებს „ოკუპაიაბაის“ ტიპის საპროტესტო ბანაკების მიმართაც.

გაზეთი **The New York Times** მოსკოვში საპროტესტო მსვლელობის მონაწილეთა დაპატიმრებას პუტინის ახალი კანონის კონტექსტში მიმოიხილავს. მანიფესტანტებისა და მომიტინგეებისთვის ჯარიმების გაზრდით, ხელისუფლება მოქალაქეთა უფლებებს არად აგდებს.

„პუტინმა ხელი მოაწერა დრაკონულ ჯარიმებს დემონსტრანტებისთვის“ — ეს კი **Financial Times**-ში დაბეჭდილი სტატიის სათაურია. კანონს დიდი ვნებათა ღელვა მოჰყვა, აღნიშნავს ჟურნალისტი ჩარლზ კლოვერი.

ამ კანონით ფაქტობრივად აიკრძალა მიტინგები და პოლიტიკური აქციები. რუსეთში ზოგიერთი პოლიტიკური ორგანიზაცია უკვე თავს იკავებს აქციებში მონაწილეობისგან, რადგან „არ სურთ მიტინგზე დაუძახონ ხალხს, რომლებიც მკაცრად დაისჯებიან და დაჯარიმდებიან“.

რუსეთელი ექსპერტები პუტინის ამ კანონს იდიოტურს უწოდებენ და აცხადებენ, რომ იგი პარანოზმით შეპყრობილმა პუტინის გარემოცვამ შექმნა.

# reaqciaze reaqciis gamoxatva revoluciaa

**ბოლო წლების ყველაზე სკანდალური კანონი — „მიტინგების შესახებ“ უკვე მიიღეს. უდიდესი აღშფოთება გამოხატა საზოგადოებრიობამ, ავტორიტეტულმა ორგანიზაციებმა აღიარეს, რომ იგი ეწინააღმდეგება კონსტიტუციას, სახელმწიფო სათათბიროს ოპოზიცია ცდილობდა, ეს კანონი 12 ივნისის „მილიონთა მარშის“ შემდეგ მაინც ამოქმედებულიყო... არა, მიიღეს და აბუჩად და მასხრად აიგდეს ქვეყნის მოქალაქეები. კანონს მწვანე შუქი აუნთო სათათბიროს უმრავლესობამ, რომელსაც რუსეთის მმართველი პარტია აკონტროლებს, აგრეთვე ფედერაციის საბჭომ, რომელსაც კიდევ უფრო აკონტროლებს პარტია და ხელი მოაწერა პრეზიდენტმა, რომელიც არჩევამდე ამ პარტიას ხელმძღვანელობდა.**




ანტიკონსტიტუციური, თავისი შინაარსით ფაქტობრივად ფარსი კანონი მიიღეს. დიახ, ფარსია სწორედ რუსეთისთვის... მისი ავტორები გამუდმებით იშველიებენ დასავლეთის გამოცდილებას, სადაც საზოგადოებრივი შეკრებების მიმართ მოთხოვნები კიდევ უფრო მკაცრია. თუმცა განსხვავება აშკარაა: ევროპაში მკაცრად სჯიან მიტინგების შესახებ კანონების დამრღვევთ, რადგან ეს დარღვევები სერიოზულია და უფრო გამონაკლისია, ვიდრე წესი. მარტივად რომ ვთქვათ, დასავლეთის ქვეყნებში ნაკლები საბაბი არსებობს იმისთვის, რომ კანონი დაარღვიო. სინამდვილეში, კანონს ნამდვილი ექსტრემისტები თუ არღვევენ, რომლებიც კატეგორიულად ითხოვენ რეჟიმის შეცვლას და რადიკალურ ზომებს მიმართავენ. სწორედ ამიტომ მოქმედებს იქ კანონები, რომლებიც მეოცე საუკუნის პირველ ნახევარში მიიღეს... და არც მემარჯვენეები, არც მემარცხენეები, რიგრიგობით რომ ენაცვლებიან ერთმანეთს, მათ შეცვლაზე არ ფიქრობენ — იგი ხელსაყრელია უმრავლესობისთვის, რადგან სტაბილურობის გარანტიაა.

რუსეთში ყველაფერი თავდაყირაა. მმართველი პარტიის წარმომადგენლები ირწმუნებიან, რომ კანონი მიიღეს უმრავლესობის ინტერესებისთვის და სტაბილურობის გასამყარებლად, მაგრამ აშკარაა, რომ მას საპირისპირო ეფექტი ექნება. ქვეყანაში არ არსებობს პოლიტიკური დემოკრატია და დასავლეთისგან განსხვავებით, უფრო მეტი ეკონომიკური პრობლემებია. ასე რომ, საპროტესტო აქციის გამართვას მხოლოდ რადიკალები არ მოისურვებენ, რადგან ამომრჩეველი ხელისუფლების შეცვლას ფარსად ქცეულ არჩევნებზე ვერ ახერხებს. ერთადერთი, რაც მათ შეუძლიათ, ეს არის პროტესტის გამოხატვა, რისი უფლებაც მას უკვე წაართვეს.

ადამიანის უფლებებისა და დემოკრატიის მთავარი მასხრად ამგდები თვითონ კონსტიტუციაა, რომელიც საბჭოთა დემოკრატიის დამცველთა სისხლით დაიწერა, რომელმაც ერთ კაცს მიანიჭა უფლება, სიცოცხლის ბოლომდე დასცინოს ქვეყანას და რომელშიც თავმოყრილია ყველაფერ იმის საფუძველი, რაც ახლა რუსეთში ხდება.

ახლა არც 1991 წლის აგვისტოა, როცა ხელისუფლებაში მყოფმა პენსიონერებმა ერთი ტყვიის გასროლის გარეშე მოკურცხლეს; არც 90-იანი წლების მეორე ნახევარია, როცა ოპოზიციას შეეძლო, სახელმწიფო სათათბიროში უმრავლესობა მოეპოვებინა... ასე რომ, თუ რეჟიმის შეცვლა გსურს — მოემზადე მილიონიანი ჯარიმისთვის, ციხისთვის და შესაძლოა — ტყვიისთვისაც კი.

რუსეთში ხელისუფალთა თავნებობა ამ კანონის მიღებამდეც ჩვეულებრივი რამ იყო — არსებობდნენ პოლიტიკური პატიმრები და არსებობდა პოლიციური სახელმწიფოსთვის დამახასიათებელი ყველა ატრიბუტი... რუსეთი არც ევროპაა და არც უკრაინა ან საქართველო, სადაც ეგრეთ წოდებულ „რევოლუციას“ სისტემის მხოლოდ კოსმეტიკური რემონტი შეეძლო. რუსები დინჯად კაზმავენ ცხენებს, სამაგიეროდ, სწრაფად დადიან. რეაქციის გამძაფრება კი ყოველთვის იწვევს რეაქციას, ანუ რევოლუციას. ეს კანონია.

„ადამიანს აქვს შეიარაღებული აჯანყების უფლება“ — ასე წერია გაეროს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაში. რუსეთი, რომელიც ამ ორგანიზაციის ერთ-ერთი დამფუძნებელი ქვეყანაა და რომელმაც ხელი მოაწერა დეკლარაციას, ამ უფლებას არ დაიცავს?

**msk.ru**

# konfliqti siriaSi da rusuli cinizmi



საერთაშორისო დიპლომატია არ იშურებს თავის ძალისხმევას, დაარწმუნოს პუტინი, ზემოქმედება მოახდინოს სირიის დესპოტზე იმის იმედით, რომ შეაჩეროს სისხლისღვრა; საპასუხოდ, რუსეთი იმით სარგებლობს, რომ გაეროს უშიშროების საბჭო ამ საკითხში უძლურია.

„2010 წლიდან მოყოლებული, კრემლი გამუდმებით და მოღალატურად უხამებს ერთმანეთს ცინიზმსა და ოპორტუნიზმს. იარაღის მიწოდებასთან ერთად (რომელიც დიქტატურის მოწინააღმდეგეთა გასანადგურებლად არის გამიზნული), მოსკოვმა სირიაში გაგზავნა ტექნიკური მრჩევლები, რომლებიც ადგილობრივ ექსპერტებთან ერთად მუშაობენ“, — წერს გამოცემის მიმომხილველი სერჟ ტრიუფო. — მეორე მხრივ, პრეზიდენტის თანამდებობაზე დაბრუნებული ვლადიმირ პუტინი საერთაშორისო საზოგადოებრიობასა და უშიშროების საბჭოს წევრებს პოლიტიკურ თამაშებს უმართავს“.

საქმე ის არის, რომ რუსეთის გეოსტრატეგიაში სირია და იქ მდებარე რუსეთის სამხედრო-საზღვაო ბაზა ტარტუსში მთავარი საყრდენია ახლო აღმოსავლეთში. გარდა ამისა, პუტინს შესანიშნავად ესმის, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ერაყში შეჭრით დაკარგა ნდობა, რომ მას კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარების ძალა შესწევს. იმავდროულად, პუტინს, აჰმადინეჯადსა და ასადს მოეხსენებათ, რომ „ამ რეგიონისთვის დამახასიათებელი გეოპოლიტიკური ფაქტორების გათვალისწინებით, შეუძლებელია, ნატო სირიაში ლიბიის სცენარის მსგავსად შეიჭრას“ — ასეთი ნაბიჯის შედეგად, კონფლიქტი სირიის საზღვრებს გასცდება.

იმის დასტურად, რომ რუსეთი სირიაში მოქმედებს პოლიტიკური პრინციპით „ცივა-ცხელა“, შეიძლება მოვიყვანოთ რუსეთისა და ჩინეთის ლიდერთა განცხადებები, რომ დაუშვებელია კრიზისის მოგვარების ნებისმიერი მცდელობა შეიარაღებული ჩარევით ან გარეთა ბერკეტების მეშვეობით. იმავდროულად, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი აცხადებს, რომ მოსკოვს არასოდეს გამოუთქვამს ასადის შენარჩუნების შესახებ განცხადება

**Le Devior**

**ინტერნეტმიმოხილვა**
**მოამზადა გ. ჭავჭავაძემ.**

ჯემალ დავლიანიძე

## ვინ უქნევს თითს მსოფლიოს?

რუსეთმა 2003 წელს მოინდომა შევარდნაძის შეცვლა, მაგრამ ევროამერიკულმა ძალამ და შევარდნაძის ქვებუდანობამ მაინც გაიმარჯვა. საქართველოში წინასწარ განსაზღვრული „ვარდების რევოლუცია“ მოახდინეს, ხელისუფლებაში პროამერიკული სააკაშვილი მოიყვანეს, რომელმაც ზუსტად განაგრძო, ოღონდ ახალი ენერგიით გააგრძელა ძველი ჩანაფიქრი. – აფხაზეთში არა, მაგრამ 2008 წელს სამაჩაბლოში წამოიწყო ე.წ. ომი, რომელსაც ექსპერტი დავით არსენიშვილი 13 წლის წინ ვარაუდობდა.

მაშასადამე – ევროამერიკის მიერ ჩაფიქრებული რუსეთის ფედერაციის დაშლის გეგმა და ნატოს შემდგომი გაფართოება გრძელდება!

გრძელდებაო და გაგრძელდესო, შენ რას დარდობო, - იტყვის მავანი, მაგრამ... ყოველივე ეს ხდება ჩემი ქვეყნის უბედურების ხარჯზე და ეს ყველამ უნდა ჩაიჭედოს ამღვრეულ აზროვნებაში!

ნეტავ ახლა მაინც თუ დაიჯერებს ქართველი კაცი, რამხელა როლი აკისრია შევარდნაძეს! დიახ! დიდი როლი, რითაც დაწყებულია საქართველოს საბოლოო დაღუპვა-დაქუცმაცება-გაცამტვერება!

ის, რაც სააკაშვილის დროს დაგვატყდა თავს, ბევრად ადრე იყო მოფიქრებული. შევარდნაძემ დახნა და დათესა, ნიადაგი მოამზადა, რომ საქართველო შესჯახებოდა რუსეთს, მის გეოპოლიტიკურ მისწრაფებას, რომ მეტი გზა არ დაგვრჩენოდა, გარდა ევროამერიკულ ინტერესებში პაიკად ჩართვისა.

მაგალითად, 1996 წლის 2 დეკემბერს, ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ლისაბონის უმაღლესი დონის შეხვედრაზე ედუარდ შევარდნაძემ თითის ქნევით მიმართა თითქმის მთელ მსოფლიოს:

„ბევრი რამ ჩვენ (საინტერესოა „ჩვენ“-ში ვინ იგულისხმება? იქნებ ის ჯერჯერობით საიდუმლო ბნელეთის ორგანიზაციაა, სადაც შევარდნაძეს დიდი თანამდებობა უკავია? – ჯ.დ.) უკეთ მოგვეხსენება. სახელდობრ ის, რომ ვერც ერთი ფარი, რა საზღვართანაც უნდა დააყენო, სიძლიერითა და ეფექტიანობით ვერ შეედრება სახელმწიფოთა ეკონომიკურ რეაბილიტაციასა და აღორძინებას მთელ პოსტსოციალისტურ სივრცეში. არაფერი სჯობს ასეთ ინტეგრაციას ევროპულ სტრუქტურებში. არ არსებობს ამ სახელმწიფოთა უშიშროების იმაზე უდიდესი გარანტია, ვიდრე ევროპის კავშირის გაფართოებაა ევროპის აღმოსავლეთითა და სამხრეთ-აღმოსავლეთით (როგორ მოგწონთ ბატონებო? ხედავთ, რა ჭკუის კოლოფია შევარდნაძე? რადგან იგი ლისაბონში ამდენს ბედავს, ესე იგი, რაღაც სხვა თანამდებობაც გააჩნია, გარდა საქართველოს პრეზიდენტობისა! – ჯ.დ.). ამას ყველა ქვეყანა მიესალმებოდა... საამისოდ ევროპას აქვს მთავარი – ერთიანი მსოფლმხედველობის სივრცე – ვანკუვერიდან ვლადივოსტოკამდე გადაჭიმული სივრცე, რომელზეც აღესრულა პოპულარული სამყარო და დამკვიდრდა ზოგადღირებულებათა სისტემა, რომელიც დემოკრატიული ლიბერალიზმის ფილოსოფიისა და ადამიანის უფლებათა პატივისცემას ემყარება... ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციამ ამ სივრცეში უნდა მოაქციოს მისი ისეთი განზომილებანი, რომლებიც დაიცავენ ჩვენს საერთო ღირებულებებს, მათ შორის – კულტურულ მემკვიდრეობას და გამორიცხავენ ყოველგვარ კონფლიქტს, მათ შორის ცივილიზაციათა კონფლიქტებსაც... განზომილებანი, რომელთა შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი იქნება ჩვენი საერთო უშიშროებისადმი ოდნავი დამუქრებისათვის პასუხისმგებლობის კატეგორია, ნებისმიერი რეჟიმისა თუ ადამიანთა ჯგუფისა, თუნდაც სახელმწიფოს დასჯის გარდაუვალობის კატეგორია, რომლებიც გაბედავენ ევროპული მშვიდობის ხელყოფას. ევროპას საამისოდ ყველაფერი აქვს. მას მხოლოდ ერთი რამ აკლია – ჰელსინკის დებულებების დამავალდებულებელი ძალა, რომელიც მათი უცილობელი შესრულების გარანტია იქნებოდა. და მე ვეკითხები საკუთარ თავს და გეკითხებით თქვენ, პატივცემულო კოლეგებო, ხომ არ მოვიდა დრო, ვიფიქროთ ახალ ჰელსინკზე, რომლის საბოლოო აქტიც XXI საუკუნის ევროპის ძირითადი კანონი ევროპის კონსტიტუცია იქნებოდა?“ (გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, №243, 1996 წ. 4 დეკემბერი).

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „საერთო გაზეთი“ #14–25

# mwaregakveTilebi

## evroamerika, ruseTi da saqarTvelo

## ციკლიდან: ომი ბნელეთთან — რიცხვი მისი 666



უკვე დიდი ხანია ვსაუბრობთ შევარდნაძის საქმიანობაზე და ყოველივე ამის შემდგომ შესაძლებელია დასკვნის გამოტანაც:

თითოეული ე.წ. ეთნოკონფლიქტი კავკასიაში, სისხლიანი დარბევები, რასაც ადამიანთა მხრიდან მოჰყვა მსხვერპლი, გახლდათ დაგეგმილი ყოფილი საბჭოთა კავშირის საზღვრებს მიღმა, ხოლო სისრულეში მოიყვანა იმ ხალხმა, იმ ადამიანებმა (შევარდნაძის მსგავსებმა!), რომლებიც ჯერ საბჭოთა კავშირის, ხოლო შემდგომ რუსეთის ფედერაციის ხელმძღვანელობაში იყვნენ, თუნდაც მუშაობდნენ... ამის შედეგად, არც ერთ ყოფილ რესპუბლიკას, ისევე, როგორც თვით რუსეთს, ამ ქვეყნების ხალხს, არაფერი სიკეთე არ მიუღიათ, გარდა უბედურებისა და ერთმანეთის მტრობისა, რის ნიადაგზეც იღვრებოდა და იღვრება სისხლი!

კეთილი და პატიოსანი! დასკვნა დასკვნად და გავაგრძელოთ ჩვენი ამბების თხრობა...

### „გკჩპ“ სახელმწიფო გადატრიალება თუ ინსცენირება?

1991 წლის აგვისტოში საბჭოთა კავშირში მეხივით გავარდა გორბაჩოვი შეუძლოდ შეიქნაო. გამოქვეყნდა საბჭოთა ხელისუფლების ხელმძღვანელთა შემდეგი განცხადება:

„იმასთან დაკავშირებით, რომ ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, მიხეილ სერგის-ძე გორბაჩოვს არ ძალუძს შეასრულოს სსრ კავშირის პრეზიდენტის მოვალეობანი, სსრ კავშირის კონსტიტუციის 127-ე (7) მუხლის შესაბამისად სსრ კავშირის პრეზიდენტის უფლებამოსილებანი გადადის სსრ კავშირის ვიცეპრეზიდენტზე გენადი ივანეს-ძე იანაევზე“.

მაშასადამე, გამოცხადდა საგანგებო მდგომარეობა მთელ საბჭოთა კავშირში და ცენტრალურ პრესაში თუ ტელევიზიაში გამოქვეყნდა „მიმართვა საბჭოთა ხალხს“:

„თანამემამულენო! საბჭოთა კავშირის მოქალაქენო!

სამშობლოს და ჩვენი ხალხების ბედისათვის მძიმე, კრიზისულ ჟამს მოგმართავთ თქვენ! ჩვენს დიად სამშობლოს სასიკვდილო საფრთხე შეექმნა! მ.ს. გორბაჩოვის ინიციატივით დაწყებული რეფორმების პოლიტიკა, რომელიც ჩაფიქრებული იყო, როგორც ქვეყნის დინამიკური განვითარებისა და საზოგადოებრივი ცხოვრების დემოკრატიზაციის უზრუნველყოფის საშუალება, მთელი რიგი მიზეზების გამო ჩიხში მოექცა. თავდაპირველი ენთუზიაზმი და იმედები შეცვალა უიმედობამ, აპათიამ და სასოწარკვეთამ. ყველა დონის ხელისუფლებამ დაკარგა მოსახლეობის ნდობა. პოლიტიკანობამ საზოგადოებრივი ცხოვრებიდან გამოდევნა ზრუნვა მამულისა და მამულიშვილის ბედისათვის. ინერგება სახელმწიფოს ყველა ინსტიტუტის ბოროტი გამასხარავება. ქვეყანა არსებითად უმართავი გახდა. წარმოიშვა ექსტრემისტული ძალები, რომლებიც დაადგნენ საბჭოთა კავშირის ლიკვიდაციას... დღეს, იმათ, ვისაც არსებითად საქმე მიჰყავს კონსტიტუციური წყობილების დამხობისაკენ, პასუხი უნდა აგონ დედებისა და მამების წინაშე ეროვნებათაშორისი კონფლიქტების ასობით მსხვერპლის დაღუპვისათვის... თუ არ განვახორციელეთ სასწრაფო და გადამწყვეტი ღონისძიებანი ეკონომიკის სტაბილიზაციისათვის, სულ უახლეს ხანს გარდაუვალი იქნება შიმშილი, გაღატაკების ახალი ტალღა, საიდანაც ერთი ნაბიჯია სტიქიური უკმაყოფილების მასობრივ გამოვლინებამდე. მხოლოდ უპასუხისმგებლო ადამიანებს შეუძლიათ იყვნენ საზღვარგარეთის რაღაც დახმარების იმედად. ვერავითარი ნაწყალობევი ვერ გადაგვიჭრის პრობლემებს. ხსნა ჩვენს საკუთარ ხელშია...

მიმდინარეობს შეტევა მშრომელთა უფლებებზე. შრომის, განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, საცხოვრებლის, დასვენების უფლებანი ეჭვქვეშ დადგა. ქვეყნის ისტორიაში ჯერ არასოდეს არ მისცემია ისეთი გაქანება სექსისა და ძალადობის პროპაგანდას, რომლებიც საფრთხეს უქმნიან მომავალ თაობათა ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს.

...საბჭოთა კავშირში პოლიტიკური და ეკონომიკური ვითარების დესტაბილიზაციის გაღრმავება ძირს უთხრის ჩვენს პოზიციებს მსოფლიოში. ზოგან გაისმა რევანშისტული ნოტები. აყენებენ მოთხოვნებს ჩვენი საზღვრების გადასინჯვის შესახებ. იმასაც კი მოითხოვენ, რომ დაანაწევრონ საბჭოთა კავშირი და ცალკეულ ობიექტებსა და ქვეყნის რაიონებს დაუწესდეთ საერთაშორისო მეურვეობა.

... ჩვენ მშვიდობისმოყვარე ქვეყანა ვართ და განუხრელად დავიცავთ ყველა ნაკისრ ვალდებულებას. ჩვენ არავის მიმართ არავითარი პრეტენზია არა გვაქვს. გვინდა ვიცხოვროთ ყველასთან მშვიდობიანად და მეგობრულად, მაგრამ მტკიცედ ვაცხადებთ, რომ არასოდეს და არავის დავანებებთ ხელყონ ჩვენი სუვერენიტეტი, დამოუკიდებლობა, ტერიტორიული მთლიანობა. ჩვენს ქვეყანასთან დიქტატის ენით ლაპარაკის ყოველგვარი ცდა, ვისგანაც უნდა მომდინარეობდეს იგი, მტკიცედ აღიკვეთება!...“

წინამდებარე მიმართვა გამოქვეყნდა საბჭოთა კავშირში 1991 წ. 19 აგვისტოს, ფერისცვალება დღეს და ხელს აწერს: სსრ კავშირის საგანგებო წესების სახელმწიფო კომიტეტი.

საკითხავია, - რა მოხდა იმ დროს საბჭოთა კავშირში?

სახელმწიფო გადატრიალება გახლდათ თუ ინსცენირება?

რუსი ხალხის სულისკვეთება აბობოქრდა თუ ამგვარი ბლეფით, - სამხედრო გადატრიალების შიშით, კიდევ უფრო დაუბნელეს თვალები მოსახლეობას?

### გორბაჩოვი... საბჭოთა კავშირის დაშლა და მილიარდობით „სიხარული“

ფაქტია, რომ ე.წ. გარდაქმნა საბჭოთა კავშირს გარედან მოახვიეს თავს და იგი ხორციელდებოდა გორბაჩოვ-შევარდნაძის დაჯგუფების მიერ. ამას მოწმობს შემდგომ წლებში განვითარებული მოვლენები და ის, რომ გორბაჩოვ-შევარდნაძე დღესაც სანაქებო პიროვნებები არიან ევროამერიკელთათვის!

ამ ე.წ. გკჩპ-ში არც გორბაჩოვი და მით უმეტეს არც შევარდნაძე, არ მონაწილეობდა. ფაქტიურად გკჩპს წინააღმდეგ აღიმართა საკმაოდ სერიოზული ძალა, რომელმაც უმალვე გაიმარჯვა!

ხომ საინტერესოა, - დასასვენებლად სადღაც სამხრეთში წასულმა (თუ ჩაყლაპულმა?) გორბაჩოვმა და მოსკოვში გამოკეტილმა შევარდნაძემ როგორ შეძლეს, ვისი დახმარებით დაამარცხეს ი.დ. ბაკლანოვი – სსრ კავშირის თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, ვ.ა. კრიუჩკოვი – სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე, ვ.ს. პავლოვი – სსრ კავშირის პრემიერ-მინისტრი, ბ.კ. პუგო – სსრ კავშირის შინაგან საქმეთა მინისტრი, ვ.ა. სტაროდუბცევი – სსრ კავშირის გლეხთა კავშირის თავმჯდომარე, ა.ი. ტიზიაკოვი – სსრ კავშირის სახელმწიფო საწარმოებისა და მრეწველობის, ტრანსპორტის და კავშირგაბმულობის ობიექტების ასოციაციის პრეზიდენტი, დ.ტ. იაზოვი – სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი, გ.ი. იანაევი – სსრ კავშირის ვიცე-პრეზიდენტი?

როგორც ვხედავთ, სამივე ძალოვანი მინისტრი ვეებერთელა საბჭოთა კავშირისა, ვერასგზით ვერ მოერია რაღაც ძალას, რომელიც გორბაჩოვ-შევარდნაძეს შორიდან ეხმარებოდა და შედეგად, ყველა ამბოხებული დააკავეს, ვგონებ კიდეც გაასამართლეს, ოღონდ – საკმაოდ ლმობიერად მოექცნენ, რაც ბადებს ეჭვს, რომ ყოველივე გაითამაშეს! ყოველივე წინასწარი სცენარით განავითარეს და ჯამში რუსი ხალხის მომავალი „ბუნტი“ ჩაახშეს. სამაგიეროდ სულ მალე მართლაც დაშალეს საბჭოთა კავშირი და რუსეთში ევროამერიკულ ურემზე დადებული ლიბერალური დემოკრატია შემოაგორეს!

ყოველივე ეს, რაღა თქმა უნდა, შესავალია უფრო დიდი გეგმისა, რაც რუსეთის ფედერაციის მომავალ დაშლას გულისხმობს.

არადა, 1991 წლის 19 აგვისტომ მთელ ევროამერიკულ სამყაროს დიდი სიხარული მოუტანა! ოდნავ კი გათათხეს და გაკენწლეს გორბაჩოვი, მაგრამ, სამაგიეროდ მსოფლიოს რესტორნებში, მარკეტებში და კაფებარებში გორბაჩოვის და შევარდნაძის სახელები ღვინო-არაყის ბოთლებზე გამოჩნდა!

გორბაჩოვმა მაშინ თავისი დიდი დავალება ბრწყინვალედ შეასრულა, გზა მისცა ბორის ელცინს და თვითონ კი განაცხადა:

„სკკპ ცენტრალური კომიტეტის სამდივნო, პოლიტბიურო არ გამოსულან სახელმწიფო გადატრიალების წინააღმდეგ. ცენტრალურმა კომიტეტმა ვერ დაიკავა დაგმობისა და წინააღმდეგობის მტკიცე პოზიცია, არ დარაზმა კომუნისტები კონსტიტუციური კანონიერების ფეხქვეშ გათელვის წინააღმდეგ საბრძოლველად. შეთქმულთა შორის აღმოჩნდნენ პარტიული ხელმძღვანელობის წევრები.

... ამ ვითარებაში სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა უნდა მიიღოს ძნელი, მაგრამ პატიოსანი გადაწყვეტილება თვითდაშლის შესახებ. რესპუბლიკური კომპარტიები და ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციები თავიანთ ბედს თვითონ განსაზღვრავენ.

შესაძლებლად არ მიმაჩნია კვლავაც ვასრულებდე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ფუნქციებს და ვიხსნი შესაბამის უფლებამოსილებებს“.

ასე და ამგვარად, შესანიშნავად დადგმული კონცერტის მეოხებით – გორბაჩოვმა თავისი როლი ამოწურა ე.წ. აქტიურ პოლიტიკაში და ევროამერიკისგან დღესაც დიდად დაფასებულმა პიროვნებამ ჩინებული პენსია, განცხრომა და „წიგნების“ ჰონორარით მონიჭებული მილიონობით, იქნებ მილიარდობით „სიხარული“ მიიღო!

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

## „გკჩპ“-ს მარცხი და ევროამერიკის დავლური

გადავხედოთ იმჟამინდელი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების გამოხმაურებებს, რაც ე.წ. გკჩპ-ს მოჰყვა:

„რადიოსადგურ „ამერიკის ხმის“ ცნობით, შეერთებული შტატების კონგრესის ლიდერებმა მაღალი შეფასება მისცეს პრეზიდენტ ბორის ელცინის მოქმედებას სახელმწიფო გადატრიალების დროს. ბორის ელცინი მიიჩნიეს საბჭოთა კავშირში რეალური ძალაუფლების მქონე პიროვნებად. სადაზვერვო საქმიანობის კომისიის წარმომადგენლის აზრით, საბჭოთა კავშირში მომხდარი სახელმწიფო გადატრიალება „გორბაჩოვის ეპოქის“ დასასრულია. ახლა „ელცინის ეპოქა“ დადგაო, - აღნიშნა მან“.

„არგენტინამ ოფიციალურად ცნო ლიტვის, ლატვიისა და ესტონეთის დამოუკიდებლობა“. პრეზიდენტმა მენონმა მოსკოვს წარგზავნილ არგენტინის ელჩს სთხოვა, დროებით შეითავსოს ბალტიისპირეთის რესპუბლიკების დიპლომატიური საკითხები.

ირლანდია და ნორვეგია იგივე განცხადებას გუშინ აპირებდნენ. ასეთივე გეგმები აქვთ დანიასა და გერმანიას. პარიზიდან ბალტიისპირეთის რესპუბლიკებში გაემგზავრა სპეციალური წარმომადგენელი. საფრანგეთის მხრივ მათი დიპლომატიური ცნობის საკითხების მოსაგვარებლად.

პრეზიდენტმა ბუშმა განაცხადა: „დიდი მნიშვნელობა ენიჭება მოსკოვში მიმდინარე საბჭოთა კავშირის უზენაესი საბჭოს სესიის გადაწყვეტილებას“.

რიჩარდ ჩეინის აზრით, ამ რესპუბლიკების ცნობა მალე მოხდება და ეს ფორმალური მხარეა.

ვიტაუტას ლანდსბერგისის აზრით — ევროპის ქვეყნების უმრავლესობა უკვე უახლოეს დროში ცნობენ ბალტიისპირეთის რესპუბლიკების დამოუკიდებლობას“.

„გერმანული „შპიგელი“ აღნიშნავს, რომ გერმანიის ტერიტორიაზე განლაგებული საბჭოთა ჯარები „პუტჩამდე“ რამდენიმე დღით ადრე იყვნენ გაფრთხილებულები. „შპიგელი“ წერს, რომ ელცინის მომხრე ბევრი ოფიცერი თადარიგში გაუშვეს“.

„საბჭოთა კავშირის პრეზიდენტის მრჩეველმა, მარშალმა ახრომეევმა და კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საქმეთა მმართველმა კრუჩინმა სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულეს“.

„უზბეკეთის სუკი და შინაგან საქმეთა სამინისტრო რესპუბლიკის იურისდიქციაში გადავიდნენ, რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს რეკომენდაცია მიეცა, უმოკლეს ვადაში მოამზადოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობის კანონი“.

„საბჭოთა კავშირის საკონსტიტუციო მეთვალყურეობის კომისიის თავმჯდომარის, ალექსეევის აზრით, საბჭოთა კავშირის კომპარტიის ხელმძღვანელობა შეთქმულების მთავარი მამოძრავებელი ძალა იყო.“

„ამერიკულ ჟურნალ „იუნაიტედ სტეიტს ენდ ვერლ სოფორთისათვის“ მიცემულ ინტერვიუში, ედუარდ შევარდნაძემ აღნიშნა, რომ პრეზიდენტმა გორბაჩოვმა ძალიან სერიოზული შეცდომა დაუშვა, როდესაც პოლიტიკურად ძალიან დაძაბულ დროს დედაქალაქი მიატოვა და დასასვენებლად გაემგზავრა. ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრის აზრით, ყველა შეთქმული გორბაჩოვის მიერ იყო დაწინაურებული, რაც პრეზიდენტს ლაქას სცხებს“.

„რადიოსადგურმა „გერმანიის ტალღამ“ აღნიშნა, რომ ყირიმიდან მოსკოვში დაბრუნებული პრეზიდენტი გორბაჩოვი უკვე აღარ არის ქვეყნის ლიდერი. შეთქმულების განადგურების გმირია ბორის ელცინი, რომელიც კრიზისის პირველსავე წუთებში მიხვდა, რომ სტალინისტების დამარცხება მხოლოდ ისეთ ადამიანს შეუძლია, რომელსაც არავითარი რისკის არ ეშინია“.



„სომხეთის პარლამენტის ლიდერმა, ლევონ ტერ-პეტროსიანმა, 22 აგვისტოს გამართულ პრეს-კონფერენციაზე აღნიშნა: ის, რაც საბჭოთა კავშირში მოხდა, გორბაჩოვის ბრალია. მისმა საკადრო შეცდომებმა შესაძლებელი გახადეს სუმგაითი 88-ის, თბილისი 89ის, ბაქო-90-ის, ვილნიუსი-91-ის ტრაგედიების მოწყობა (ბატონ ლევონს ავიწყდება შევარდნაძის ხსენება, მაგრამ იმ დროს ყველგან თავ-თავისი შევარდნაძეები მუშაობდნენ მართლაც გორბაჩოვის ხელმძღვანელობით, ოღონდ, თვითონ გორბაჩოვს უფროსი რომ ჰყავდა, ამის შესახებ არავინ არაფერს ამბობს ან არცოდნის ან სიბრიყვის ან უვიცობის, ან ფლიდობის გამო! — ჯ.დ.). ამ ტრაგედიებს გორბაჩოვის ხალხი აწყობდა. ლევონ ტერ-პეტროსიანის აზრით, მომხდარმა ფაქტმა სომეხი ხალხი კიდევ ერთხელ და უკანასკნელად დაარწმუნა, რომ სომხეთის რესპუბლიკა საბჭოთა კავშირიდან უნდა გავიდეს“.

„24 აგვისტოს უკრაინის პარლამენტმა დამოუკიდებლობა გამოაცხადა“.

„საბჭოთა კავშირის უზენაესი საბჭოს დეპუტატების ერთმა ჯგუფმა ვიცე-პრეზიდენტის პოსტზე იაკოვლევი, ხოლო საგარეო საქმეთა მინისტრის თანამდებობაზე შევარდნაძის კანდიდატურა დაასახელა“ (გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1991 წ. №167).

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

# evropa Tavisi tradiciebis dacvas iTxovs, saqarTvelo maT ganukiTxavad Tmobs

გასულ წელს საფრანგეთმა და მერე ბელგიამ მიიღეს კანონი, რომლის მიხედვითაც მუსულმან ქალებს საზოგადოებრივ ადგილებში ეკრძალებათ ეგრეთ წოდებული ნიქაბის ტარება. ნიქაბი გახლავთ ჩადრისმაგვარი თავსაბურავი, შავი ვუალი, რომელიც მთლიანად ფარავს ქალის სახეს. კანონის დამრღვევი დაჯარიმდება 137 ევროთი ან შვიდდღიანი პატიმრობით. უუნდა ითქვას ისიც, რომ პოლიცია ხანდახან თვალსაც ხუჭავს ამგვარ კანონდამრღვევებზე, ამიტომ ბელგიაში ულტრამემარჯვენე პარტიის “ფლამანდიური ინტერესები” ლიდერი ფილლიპ დევინტერი 250 ევროს სთავაზობს მას, ვინც ბელგიელ სამართალდამცავებს მიაწვდის ინფორმაციას იმ ქალების შესახებ, ვინც ნიქაბის ტარებაში იქნება შემჩნეული. „კანონის გამართლება ხდება იმით, რომ იგი ხელს შეუწყობს ბელგიას დაიცვას თავისი დემოკრატიულობა, რომლის მიხედვითაც ქალები და მამაკაცები აბსოლუტურად თანასწორუფლებიანები არიან. ამასთან ნიქაბი ითვლება რადიკალური ისლამის ერთგვარ იარაღად დასავლეთის წინააღმდეგ.

ეს ყველაფერი დემოკრატიის და თანასწორუფლებიანობის სახელით კეთდება, მაგრამ ევროპა ამითი, პირველ რიგში, თავისი ტრადიციების დაცვას ითხოვს. მმას არ სურს თავს მოიხვიოს უცხო ქვეყნების წესჩვეულებები და მითუმეტეს არ გახდეს ისინი თვალშისაცემი საზოგადოებრივ ადგილებში. აანუ თქვენი წესჩვეულებები თქვენივე ქვეყანაში დაიცავით და ჩვენს ტრადიციებს კი პატივი ეცითო — აფრთხილებენ ყველას ევროპელები. საფრანგეთის და ბელგიის მაგალითის მიბაძვას აპირებენ სხვა ევროპული ქვეყნები, მათ შორის ესპანეთი.

ასე უფრთხილდებიან ტრადიციებს ცივილიზებულ ევროპაში, საფრანგეთსა და ბელგიაში. “სადაც წახვალ, იქაური ქუდი უნდა დაიხურო”, — ამბობს ქართული ანდაზა, თუმცა ქართველებმა იგი თავის ქვეყანას ვერაფრით ვერ მოარგეს.

დავიწყოთ იმითი, რომ საზღვარგარეთ წასული ქართველი, რუსეთში იქნება ეს, თუ სხვა რომელიმე ქვეყანაში, ქართველი აღარაა. სულით და გულით სხვა ქვეყნის შვილი ხდება და ქუდიც იქაური ახურავს. ხაზგასმულად იყენებს უცხო სიტყვებს, ფრზებს, ერთი სიტყვით “არაამქვეყნიურ” იმიჯს იქმნის. “მე მალე სრულიად დამავიწყდება ქართული ენა და ასეც მირჩევნია”, — ეს სიტყვები ერთ-ერთმა რიგითმა ქართველმა თქვა, რომელიც სულ სამიოდე წელი ცხოვრობდა უკრაინაში. დამერწმუნეთ, ასეთ რამეს მხოლოდ ქართველისგან თუ გაიგონებთ, აბა, სომეხი, რუსი, ინგლისელი ან გერმანელი ტყვიით რომ დააშინო, მსგავს ფრაზას, ალბათ, ვერ დააცდევინებ. (ამასთან დაკავშირებით რაჯ კაპურის გმირი მახსენდება ფილმიდან “ბატონი 420”, რომელსაც ტუფლები იაპონური აცვია, ქუდი რუსული ახურავს, კოსტუმი ინგლისური, მაგრამ გული მაინც შერჩა ინდური)

თავის მხრივ, მუსულმანებმაც მოითხოვეს თავიანთი ტრადიციების დაცვა, ბელგიაში ინცინდენტიც კი მოხდა ამასთან დაკავშირებით: ჩადრით მოსილ ქალს კონფლიქტი მოუხდა პოლიციელთან, საქმე იქამდე მისულა, რომ ერთმანეთს ხელით შეეხნენ. მმუსულმანები ამ კანონს მათი უფლებების დარღვევად და რელიგიური სიმბოლოების შეურაცხყოფად მიიჩნევენ, მაგრამ “ბებერი ევროპა” მტკიცედ დგას თავისაზე, განურჩევლად ყველასგან ითხოვს თავისი ტრადიციებისადმი პატივისცემას.

საქართველომ, ქართველმა ხალხმა საუკუნეების მანძილზე შეინარჩუნა და დღემდე მოიტანა თავისი სარწმუნოება, ეროვნება, ენა და ქვეყანა, მაგრამ მე-20-ე საუკუნის ბოლოს და 21-ეს დასაწყისში დადგა ყველაფერ



ამის შენარჩუნება-გადარჩენის საკითხი. საბჭოთა კავშირისგან თავდახსნის მოლოცვის შემდეგ ჩვენმა დასავლელმა მეგობრებმა პირველი რაც გააკეთეს, იყო ის, რომ გამოგვიცხადეს ქართველებს ადგილობრივი წარმოება არ გჭირდებათო, ანუ ჩვენი ნარჩენ-ნაგავი ასაღეთო, ჩვენ კი გვასარგებლეთო. “რას იზამ, დაიშალა ქვეყანა, მოიშალა ყველანაერი სისტემა . . . ‘ —შლიდა ხელებს მავანი და მავანი, მაგრამ დაშლა ხომ მორჩა, აღარ გრძელდება, სამაგიეროდ, დაიწყო და აღარ მთავრდება ყოველგვარი ქართულის წინააღმდეგ ბრძოლა. გგარდა იმისა, რომ ყოველგვარ გადახრებს და ახირებებს მხარი უნდა დავუჭიროთ და რაღაც უმცირესობების უფლებები დავიცვათ, დაემატა ის, რომ ქართული ენა კარგავს ფუნქციას. ვთქვათ პირდაპირ, რომ უკვე ბევრისთვის ინგლისური ენის ხსენება კოშმარად იქცა. ეს ეპრობლემა ახლა არაერთ ქვეყანაში დგას, მაგრამ ჩვენთვის გაცილებით მწვავეა არაერთი მიზეზის გამო: ჯერ ერთი: ჩვენ ვართ მცირერიცხოვანი ერი, მოსახლეობის ნახევარი გაფანტულია მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში და ვინც საზღვარგარეთ დაფუძნდა იმათი შთამომავლობა თუ საერთოდ ისწავლის ქართულს, კიდევ საკითხავია. მეორეც: პატარა ქვეყანას დიდი სიცოცხლისუნარიანობა მართებს და ეს, პირველ რიგში, ენის დაცვაში უნდა გამოიხატოს. დდაცვაზე ლაპარაკიც ზედმეტია, ამ გაჭირვებულ ქართველებს ის არ აკმარეს, რომ დამლაგებლად ან ჭურჭლის მრეცხავად არ იყვანენ ინგლისური ენის არცოდნის შემთხვევაში, ისიც დაამატეს, რომ დაღლილ-განერვიულებული სახლში რომ მივა და თავის სავარძელში დასვენებას მოინდომებს, მშობლიურ ენაზე ტელევიზიით ფილმებსაც ველარ უყურებს, ტიტრებს მიშტერებია და ათასგვარ მოკითხვას უთვლის ამ კანონის მომგონს, მაგრამ ხმამაღლა არ ამბობს, იმიტომ, რომ, მთავარია ცოცხალი გადარჩეს, შიმშილით არ მოკვდეს, ვიღა ჩივის ენასა და ტრადიციებს.

ცივილიზებულ ევროპაში თავსაბურავით ვერ გაივლი, სამაგიეროდ, თბილისის ქუჩებში დადიან ჩალმებით, ათასგვარი ზიზილ-პიპილებით... ვის როგორ მოესურვება, ისე. უცხოელები ტრანსპორტში ხმამაღლა ლაპარაკობენ, ვინმეს რომ შენიშვნა მისცე, საციხედ გაგიხდიან საქმეს. აშენებენ მეჩეთებს, გვისახლებენ ბურებს, რამაც, შესაძლებელია ჩვენს მომავალ თაობებს ახალი ტერიტორიული პრობლემები მოუტანოს. სამაჩაბლოსა და აფხაზეთის პრობლემის თავი და თავი ხომ ისევ ჩვენი უნიათობა, გამყიდველობა და ყბადაღებული სტუმართმოყვარეობაა. სტუმართმოყვარეობის საწინააღმდეგო არაფერი გვაქვს, მაგრამ, როცა სტუმარი მასპინძელს სახლიდან გააგდებს, ეს უკვე სხვა რამეა; თუმცა ამაზე სხვა დროს.

ისტორიულად ცნობილი ფაქტია აფრიკაში ჩასული კოლონიზატორები თვითმფრინავის ტრაპიდან რომ იწყებდნენ ბრჭყვიალა ხარახურის და კანფეტების სროლას რითაც საცოდავ, ნახევრადველურ მოსახლეობას აკვირვებდნენ და აღაფრთოვანებდნენ; რამდენი ბრჭყვიალა ხარახურით ვართ უკვე ჩვენ აღფრთოვანებულები? მაგრამ ჯერჯერობით ისევ და ისევ გაღიმებულები ვრჩებით. ნახევრად ველურებად რომ გვთვლიან, ამას ჯერ კიდევ ვერ მივმხდარვართ.

„შვეიცარიაში ვიყავი, ევროპაში საზოგადოებრივად თითქმის ყველაზე დემოკრატიულ და განვითარებულ ქვეყანაში და აეროპორტში ინგლისური ენის მცოდნე ვერ ვნახე, ელემენტარული რაღაც რომ მეკითხა”, — გაოგნებული მეუბნება ჩვენი თანამოქალაქე. თბილისში ნორმალურ ქართულს ვერ გაიგონებ, თორემ დანარჩენი — იცოცხლე...”

ბებერი ევროპა იბრძვის თავისი ტრადიციების დაცვა-შენარჩუნებისთვის, ჩვენ კი ყველაფერი ახალი უნდა ავიტაცოთ, თან ისე, რომ არც ვკითხულობთ გვარგებს ეს თუ არა.

**თამუნა ქადაგიძე**

## მოგზაურობა სამშობლოში

ერთ-ერთი წინა მოგზაურობისას ხარაგაულის რაიონში არსებული ვარძიისა და ვანის ეკლესიები მოვიარეთ, ახლა კი ჯავახეთიდან გადმოტანილი კიდევ ერთი ტოპონიმის მქონე ადგილი უნდა მოვინახულოთ.

ჯავახეთის ვაჰანის, ანუ იგივე ვანის ქვაბები ვარძიის მეზობლად მდებარე კლდეში ნაკვეთი დიდი კომპლექსია, რომელსაც 16 სართული და რამდენიმე ეკლესია ჰქონდა. **მარგვეთში ვახანი (იგივე ვაჰანი) ძველთაძველ ციხესიმაგრეს ჰქვია. იგი მოლითის რკინიგზის სადგურიდან სამხრეთ-დასავლეთით, ჩხერიმელის ერთ-ერთი შესართავის — ვახანისწყლის ხეობაშია.**

საქართველოში ვახანის ციხეზე მკვეთრად ნაგები და მიუვალი ბასტიონებიც არსებობს, მაგრამ ამგვარად ამეტყველებული ლოდები სხვაგან იშვიათად შეგხვდებათ. შესაძლებელია, ასეთ ღრმა შთაბეჭდილებას კედლებზე ჭაღარასავით მოდებული ვერცხლისფერი ხავსიც ახდენდეს, მაგრამ ფაქტია, რომ X-XI საუკუნეების ეს ციხე გულგრილს ვერ დაგტოვებთ.

როგორც ივანე ჯავახიშვილმა გამოიკვლია, **1120 წელს მტკვრის ნაპირებზე მოზამთრე თურქ-სელჩუკებზე თავდასასხმელად გეგუთიდან წამოსულმა დავით აღმაშენებელმა, სანამ მისი ლაშქარი 5 მეტრი სიმაღლის თოვლს გაკვალავდა, ღამე სწორედ ვახანის ციხეში გაათია.**

საინტერესოა, რა ბედი ეწია ვახანის ციხეს XIII-XIV საუკუნეებში, როცა ამ მიდამოებში ჯერ მონღოლთა ნოინმა თუგუდურმა ილაშქრა, მერე კი ლანგ-თემურმა?... რაიმე კონკრეტული ცნობა ამის თაობაზე არ გაგვაჩნია. სამაგიეროდ ვიცით, რომ **1774 წელს, ჩხერის ციხის მსგავსად, ვერც ვახანის ციხე დაიმორჩილა ახალციხის ფაშის 4-ათასიანმა ლაშქარმა.**

11 წლის შემდეგ ვახანი მაინც გატყდა: ოსმალოსგან შეგულიანებულმა ავარიელთა ბელადმა ომარ-ხანმა 20-ათასიანი ლაშქარი შემოუსია ამ მხარეს და ციხის აღების შემდეგ, ერთიანად ამოწყვიტა მისი 700 დამცველი. დახოცილთა შორის ყოფილან ვახანის პატრონი ივანე აბაშიძე და მისი მეუღლე. არის გადმოცემა, რომ მაშინდელი სისხლის ღვარი ვახანის წყალს უერთდებოდა. ხალხმაც ამიტომ შეარქვა ამ ადგილს **ნასისხლარი.** ამბობენ იმასაც, რომ ციხე ღალატით გამტყდარა, ხოლო მოღალატე ივანე აბაშიძის ერთ-ერთი სიძე კანდელაკი ყოფილა. შემორჩენილია ერთი მაშინდელი ლექსიც:

**„ვახანის ციხე მაღალო,**
**ძირი გაქვს სალი კლდისაო,**
**ომარ-ხანი რომ მოვიდა,**
**ჩამოხტა ციხის ძირსაო,**
**ბრძანება გასცა მაშინვე**
**ჩრდილსა და ნებოძირსაო,**
**რაც არის ოცი წლის ზევით,**
**ყველანი დასცით ძირსაო,**
**კარგ-კარგი პატარძლები კი**
**დამისვით მუხლის პირსაო“.**

ომარ-ხანის შემოსევის დროს უნდა იყოს დანგრეული ციხესიმაგრის ტერიტორიაზე არსებული წმინდა გიორგის სალოცავიც... რომლისგანაც მცირეოდენი ნაშთებიღაა შემორჩენილი.

ვახანი კიდევ ერთ ძალიან მნიშვნელოვან ამბავთან არის დაკავშირებული — აქვე, **ნასოფლარ ელაზნაურში, 1804 წელს, საბოლოოდ შეხვდნენ ერთმანეთს და იმერეთ-რუსეთის ხელშეკრულებაზე ხელი მოაწერეს სოლომონ II-მ და კავკასიის მთავარმართებელმა პავლე ციციანოვმა.** ეს ხელშეკრულება **„ელაზნაურის ტრაქტატის“** სახელით შევიდა ისტორიაში.

ზღვის დონიდან ამავე სიმაღლეზე და ჩხერიმელის ამავე სანაპიროზე, ვახანიდან აღმოსავლეთით და ზვარედან სამხრეთით, შერეული ტყით დაფარულ მთებში არის კიდევ უფრო ცნობილი დასახლება, რომელსაც ნუნისი ჰქვია.

საიდან მოდის და რას უნდა ნიშნავდეს სოფლის ეს სახელწოდება? ამის თაობაზე სამი ჰიპოთეზა არსებობს.

**პირველი:** სახელი, შეიძლება ნაწარმოებია მირონისა და საკმევლის სურნელიდან —„ნონი“-დან (ნონისი = ნუნისი);

**მეორე:** ხალხური გადმოცემის თანახმად, როცა დავით აღმაშენებელმა ნუნისი გადაიარა, რამდენიმე ზურგდაწყლულებული ცხენი აქაურ ღელეში შესულა და უმალ განკურნებულა. ამიტომ ხალხური ვერსიით ნუნისი და მისი წყალი მუნის მოცილების უებარი საშუალებაა და სოფლის სახელწოდებაც მუნიდან მოდის (მუნისი = ნუნისი).





ნუნისი. ბერთა ქვაბები

# ვახანიდან — ნუნისამდე

## ჩხერიმელის ხეობა





ნუნისის ეკლესიის დასავლეთი ფასადი და ინტერიერის ერთი ნაწილი

ნუნისში მართლაც ამოდის თერმული წყალი, რომლის ბაზაზე მცირე ბალნეოლოგიური სამკურნალო დაწესებულება მუშაობს და კანის დაავადებებს არჩენს, მაგრამ ამ დაავადებებში მუნი ნამდვილად არ შედის.

**მესამე:** ეს ვერსია ყველაზე უფრო რეალურად გამოიყურება, ამ შემთხვევაშიც საქმე გვაქვს სიტყვა „მუნ“-თან, ოღონდ არა კანის სნეულებასთან, არამედ ადგილის გარემოებასთან, იგი დაახლოებით იგივეა, რაც „იქ“.

აღსანიშნავია, რომ ერთ დროს ადგილი ნუნისი, რომელიც შემდგომში სახელად სოფელსღა შემორჩა, ქართლს ეკუთვნოდა. აქედან დღესაც გადადის ძველი საურმე გზები შოლას ხეობაში — ბულბულის ციხესთან და ქვიშხეთში. შემთხვევით როდია, რომ **ვახუშტი ბატონიშვილი თავის საგეოგრაფიო თხზულებაში ნუნისს ქვიშხეთიდან მოკიდებულ „მთას იქით“-ს, ანუ პირიქითს უწოდებს.** თუ რუკას დავხედავთ, აღმოვაჩენთ, რომ ნუნისსა და ქვიშხეთს ერთი მცირე მთა ჰყოფს. მას ძველთაგან მთაწმინდა ჰქვია, უძველესი ნაფუძარია და თუმცა კი საიდუმლოებითაა მოცული, დიდი არქეოლოგიური კვლევა არ ჩატარებულა. **ნუნისი სწორედ მთაწმინდის პირიქით, ანუ მუნ არსებული მხარეა — მუნისია!**

სოფელ ნუნისამდე, გზიდან დასავლეთით არის სოფელი **ჩრდილი,** ხოლო მისგან 2-3 კილომეტრში — ერთი მცირე მთა და ალაგი, რომელსაც **შილდაყი** ჰქვია. 2008 წელს მთის კორტოხზე აღმოაჩინეს მიწაში ჩაფლული წმინდა გიორგის მცირე საყდრის ნაშთები, რომელიც X საუკუნით თარიღდება. **აღმოჩენილ ქვებში ყველაზე საინტერესო გამოდგა კანკელის ის სვეტი, რომელზეც სიმეონ მესვეტე (ანტიოქიელი) არის გამოსახული.**

შილდაყში დიდხანს არ ვჩერდებით და ნუნისისკენ მივეშურებით.

ნუნისში ყველაფერი საინტერესოა, მაგრამ თავდაპირველად ღვთისმშობლის შობის სახელობის ბაზილიკა უნდა მოვინახულოთ. **იგი სამი ეპოქის შემოქმედებაა, მათგან უძველესი VI საუკუნე უნდა იყოს. ამ ეპოქისაა საყდრის უმთავრესი ნაწილი — დასავლეთის მონაკვეთი, რომელიც დაახლოებით 13 მეტრია სიგრძეში.** აქ ინტერიერში 3 წყვილი სვეტით გამოყოფილი 3 სივრცე, ანუ 3 კლასიკური ნავია. ტაძრის ამ ნაწილში თაღების მოხაზულობა და გაფორმება, დასავლეთისა და სამხრეთის პორტალების სტილი, სარკმლების ფორმა და მდებარეობა სწორედ უძველეს დროს გვახსენებს. **სავარაუდოთ, ნუნისის ბაზილიკა გორგასლის მიერ მარგვეთის ერისთავად დადგენილი ბაკურის ან მისი შთამომავლების მიერ უნდა იყოს აგებული. ამ ეპოქაში მთელ იბერიაში სწორედ ასეთი სამნავიანი ტაძრები იგებოდა და ვერც მარგვეთი დარჩებოდა განზე, აქ კი ამ ეპოქისათვის დამახასიათებელი მეორე ასეთი საყდარი შემორჩენილი არ არის.** ხსენებული 3 წყვილი თაღ-სვეტის შემდეგ, აღმოსავლეთის მიმართულებით, საკურთხევლის აფსიდამდე კიდევ ერთი წყვილი და თანაც უფრო მაღალი თაღ-სვეტია. ეს უკვე სავარაუდოთ IX-X საუკუნეების კვალი უნდა იყოს. შესაძლოა, სწორედ ამ ეპოქაში ნუნისის საყდარი, წილკნის ბაზილიკის მსგავსად, გუმბათიან ტაძრად გადააკეთეს. კარგა ხნის შემდეგ, ალბათ, ლანგ-თემურის 1399 წლის შემოსევის დროს, ტაძარი დანგრეულა და აღდგენისას მისთვის ისევ 3-ნავიანი საყდრის ფორმა დაუბრუნებიათ, თუმცა ძველი პეწი ვეღარ შეუნარჩუნებიათ — საკურთხევლის შვერილ აფსიდს შიგნიდანაც და გარედანაც შეუსაბამო ფორმები აქვს. ამ ეპოქების გარდა საყდარში XIX საუკუნის საგულისხმო შეკეთებებსაც აღმოაჩენთ. ჯერჯერობით მონასტერში მამა პავლე მაჩიტაძე ეულად მოღვაწეობს, მაგრამ მაინც ბევრის გაკეთება მოასწრო. როგორც მან გვითხრა, ძალიან მალე ტაძრის პერანგს იმ ზედმეტი ნალესობისგან გაანთავისუფლებს, რომლითაც ადრე გადაუღლაბნიათ ქვები.

**მონასტრიდან სამხრეთ-დასავლეთით, ორიოდ კილომეტრში ნუნისის ცნობილი ქვაბებია** და ჩვენც იქით გავწიეთ. **ეს ბებერახოს პატარა ხეობაა.** თავისთავად ბებერახოც საინტერესო ტოპონიმია — ბერების კვალი იგრძნობა. ქვაბები უძველესი მონასტრის გარშემო დაბინავებული ბერების მიერაა გამოკვეთილი. ასეთი ქვაბები, საქართველოშიც, და საერთოდ, წინააზიაშიც ბევრია, მაგრამ ნუნისელ ბერებს სადგომები რკინასავით მაგარ კლდეში გაუჭრიათ. შესაძლოა, ეს ქვაბები VI საუკუნის მეორე ნახევრისაც კი იყოს, როცა აღმოსავლეთ საქართველოში ცამეტი ასურელი მამა დამკვიდრდა. ხეფინისხევში, რომელიც ამ ადგილებიდან შორს არ არის, მიქაელ ულუმბოელი იყო დაყუდებული და მისი სამწყემსო ალაგი აქამდე აუცილებლად მოაღწევდა.

ვინ იცის, არცთუ შორეულ მომავალში ნუნისის მონასტრის საძმო ისე გაფართოვდეს, რომ ბერები კვლავ ამოვიდნენ აქ საცხოვრებლად.

**გელა ქოქიაშვილი**

**ავტორის ფოტოები**

ვახანის ციხის ხედი სამხრეთიდან და ცენტრალურ კოშკში შესასვლელი





# quTaisSi aTasebi, xolo gldanSi... miSa da bavSvebi!

დარწმუნებით შეიძლება იმის თქმა, რომ „სააკაშვილებს" ქუჩაში გამოსული ათიათასობით ადამიანის დანახვაზე უკვე ელეთმელეთი ემართებათ! თორემ, რა დროს ლაზიკის აშენების განხილვაა, რა დროს „ვარანცოვის" და „საბჭოს მოედანზე" მიმდინარე შენობებზე მიდგმული ხარაჩოების და მათ მიმდებარედ კანალიზაციისათვის გათხრილ ორმოებში ძრომიალია?

კვირას ქუთაისში იმერეთმა დაიქუხა, ანუ მიშას საპარლამენტო, წარსულში კი აღმშენებლის ქალაქმა!

უფრო ადრე თბილისმა — ვახტანგ გორგასლის და თამარის ქალაქმა!



ხვალ გურია იქუხებს, ზეგ — აჭარა, მაზეგ — ქართლ-კახეთი, სამეგრელო და რაღა დარჩა? ხევი, სვანეთი, ჯავახეთი, რაჭა? ესენიც იქუხებენ, იქუხებენ და მერე როგორ?!

მერე, ფაა ფუ, მორჩა მიშა!

თუმცა ბევრმა არ იცის, რომ მიშა საქართველოს ბევრ ქალაქში უკვე დიდი ხანია „ფაა-ფუ" და „ფიიჰ, ჰი, ჰი, ჰის" რეჟიმშია ჩაყენებული მოსახლეობის მხრიდან და მასთან „მადლიერი" ქართველები, მისალმებასაც კი უკადრისობენ! უკადრისობენ და არადა, მიუხედავად ადგილობრივი ჩინოვნიკების მუქარისა, ქუჩაში გამოსვლას ვინ დაეძებს, კარ-ფანჯარასაც საგულდაგულოდ გმანავენ, ემანდ, „ნაციონალურმა" ნიავქარმა და მათი მანქანების მტვერმა ჩვენს სახლებში არ შემოაღწიოსო!

თუმცა ამ ბოლო დროს, მეტად უცნაური ტენდენცია იმკვიდრებს ფეხს, —კერძოდ ფანჯრებს კი აღებენ, ქართველები, მაგრამ ზემოდან დასცქერიან თავიანთ ქუჩაზე მისულ დამაქცევრებს და გამომწვევად, ირონიულად უღიმიან მოიცა, მალე თქვენი აღსასრულიც დადგებაო!

ასე მოხდა, კვირას, დღის 4 საათიდან — 5 საათის ჩათვლით გლდანში, მე-3 მიკრორაიონში მდებარე სკვერში, რომელსაც გარშემო მრავალი მრავალსართულიანი სახლი დაჰყურებს და რომლის ყველა ფანჯარა დღის ამ მონაკვეთში საგანგებოდ გაიხსნა.

კვირას, უკვე 12 სათიანი საინფორმაციო საშუალებებით შევიტყვეთ, რომ მიშა, გიგი, ზაალი და მრავალი თბილისის გარშემო „საქმიან" შემოვლებს აწარმოებდნენ. „რუსთავმა", „იმედმა", „დონაძეებმა" და „პიკმა" — ეს მნიშვნელოვანი „ნიუსი", უმალ ახარეს საქართველოს და დაახლოებით 15 წუთიანი ჩართვებით მრავალმნიშვნელოვნად მიანიშნეს — „ნაცები" აშენებენ, მავანნი კი საქართველოს დასანგრევად ქუთაისში მიტინგობენ!

რაც შეეხება სააკაშვილს, „რუსთავი-2"-ის ამ ჩართვაში ისეთი ყალბი ღიმილი, ისეთი არეულდარეული სიტყვათა წყობა და ისეთი არაბუნებრივი „ცმუკვა" ჰქონდა, ვიფიქრე — უეჭველად რაღაც ხდება და ნეტავ, რას გვიმალავს -თქო? შემდეგ, კარგად დავაკვირდი კადრს და შევნიშნე, რომ „ვარანცოვზე" და „საბჭოს" მოედანზე, ხალხი მიშას შესაგებებლად თითქმის არ იყო გამოსული ვინც იყო, ისიც თითო-ოროლა, მაგრამ ზომიერად პრეტენზიული! (?) მიშა-მიშას" ძახილი არსად ისმოდა, იდგა მაღალი და ელოდა, მაგრამ... ბოლოს ერთმა პატარა 2-3 წლის გოგონამ უთხრა: „მისა, ჭყალი აგალ მოდის, ჩუდია!-ო.

ამის შემდეგ, სააკაშვილს გლდანი მონატრებია და იმ იმედით, რომ გლდანელები, — „მიშა, მიშა" და „მიშა მაგარიას" ძახილით გულს გაუხარებდნენ, მე-3 მიკრორაიონში მდებარე სკვერში მიგრიალებულა! მაგრამ...

როგორც უკვე მოგახსენეთ, საკა გლდანს დღის 4-5 საათის ინტერვალში იმყოფებოდა და ნებისმიერ ვარიანტში იმიტომ, რომ უქმე იყო, ხალხი საკუთარ ბინებში იმყოფებოდა. რასაკვირველია, მე-3 მიკრორაიონის სკვერშიც არის სპორტული მოედანი, სადაც იმ დღეს თამაშობდნენ ბავშვები და როცა მანქანიდან გადმოსული მიშა დაუნახავთ, ერთი-ორს „მიშა მოვიდაო" — დაუძახიათ და ფეხბურთის თამაში შეუწყვეტიათ. მიუხედავად იმისა, რომ წამებში გავარდა ხმა — სააკაშვილი მოვიდაო, უფროსებმა კორპუსებიდან დაბლა ჩამოსვლა არ ისურვეს და გაწბილებულ სააკაშვილს მხოლოდ ბავშვებისთვის ჩაუტარებია სასწავლო-აღმზრდელობითი მიტინგი! ერთი-ორჯერ ბურთიც გაუგორებია კარისკენ, მაგრამ აუცდენია! რამდენიმე ბავშვს მოედანიც მიუტოვებია და რასაკვირველია, ამ გლდანის მე-3 მიკრორაიონის მცხოვრებლები მიშასთან შესახვედრად არ ჩამობრძანდნენ და მხოლოდ ფანჯრებიდან. ისიც ირონიული მზერით აკვირდებოდნენ, მათ შვილებთან როდის დაამთავრებდა საუბარს და როდის გაეთრეოდა სკვერიდან პრეზიდენტად წოდებული ადამიანი!

ახლა, საიდან ვიცი ეს ამბავი?

იქედან ვიცი, რომ ზუსტად მე-3 მიკროში და ზუსტად იმ სკვერის გვერდით ცხოვრობს არა მარტო ჩემი, არამედ ბევრი თბილისელის მეგობარი, ძალიან ცნობილი ლიტერატორი თემურ ქორიძე და სწორედ მან მიამბო ეს ამბავი!



ყველაფერს საგულდაგულოდ იღებდნენ მიშას ტელევიზიები, მაგრამ რატომღაც ეს სიუჟეტი, მომდევნო საინფორმაციო გამოშვებებში აღარ აჩვენა! ამის მიზეზი კი ის გახლდათ, რომ მიუხედავად დიდი მცდელობისა, ხელების ქნევისა, ჰაეროვანი კოცნების გაგზავნისა და ა.შ. ასე, რომ მიშა ნელ-ნელა აუდიტორიას კარგავს და ბავშვი რომ ბავშვია, ისიც კი არ უჩერდება დიდხანს გვერდზე! ეს კი, დამეთანხმებით, ბევრისმთქმელია და მრავალი ცვლილების მომასწავებელი!

ყოჩაღ, გლდანელებო!

**ირინე გოგოსაშვილი**

# mindia gulua disSvilis dakrZalvaze samSobloSi ar SemouSves!

გუშინ, ქაშუეთის ტაძრიდან 20 წლის ირაკლი ესიავა გამოასვენეს... ის აფხაზეთში, სოხუმში იმ დროს მოევლინა ქვეყანას როცა, 500 ტონიანი ბომბებით შუაზე იპობოდა საცხოვრებელი სახლები და დედას, ქალბატონ ნანას ნაადრევი მშობიარობა დაეწყო...

ირაკლის დატირების საშუალება არ მისცეს ირაკლის ალალ ბიძას, დედის ძმას, სამშობლოდან მოკვეთილ ბიზნესმენ მინდია გულუას, ხოლო უახლოესი ნათესავები, ალალი ბიძაშვილები, რომლებიც კრასნოდარიდან თბილისისკენ მოემართებოდნენ 11 ივნისს, ლარსის გამშვები პუნქტიდან უკან რუსეთის ფედერაციისკენ მიატრიალეს!

ქართველებო! ამ ყველაფერზე გაჩუმება დანაშაული არ არის? ოდეს ყოფილა საქართველოში, მსგავსი რამ? ჩვენ, თვით მტრის დამტირებელ ქვეყანას, ვაჟა-ფშაველას ქვეყანას, მსგავსი უღმერთობა გვეპატიება, ხმას რომ არ ვიღებთ?

გული გამისკდა, როდესაც ტელეფონში ატირებული მინდიას ხმა გავიგონე: „გამაგებინონ, პასუხი გამცენ, რატომ არ მიშვებენ საქართველოში? რა დავაშავე ასეთი, ხმამაღლა თქვან, რა არის მიზეზი? ქალბატონო ირინა, ვინ არის ეს ხალხი, სად იყო ეს ხალხი, როცა სოხუმი იკარგებოდა? ჩემი იკაჩო, ჩემი გაზრდილია. მე, დღეში ოთხჯერ ფეხით დავრბოდი სამშობლო-



ში ბავშვებისთვის თბილი რძე რომ მიმეტანა, სად იყო მაშინ მანქანები და კარგი ცხოვრება? ბავშვი სიკვდილისგან ვერ ვიხსენი, გაზრდილი ბავშვი, ანგელოზი მომიკვდა, არაფერი არ დამიკლია, მაგრამ წაიყვანა უფალმა... (ტირის), რად მინდა, ირინა, რამე? ან ფული, ან ბიზნესი, ან ახლა რა მინდა აქ? ჩემს ოჯახში ამხელა უბედურებაა და მე აქ მარტო უნდა ვიყო? ვინ გდია ლაშა თორდია, ანდა დანარჩენები, თბილისში ჩამოფრენას რომ მიკრძალავენ? ვანო მერაბიშვილი მეგონა რამეს სწყვეტდა მანდ და თურმე ისიც „ტრიაპკა" ყოფილა, მაგის სიტყვასაც არ ჰქონია ფასი... არა, ამიხსნან რა დავაშავე ასეთი, ანგელოზის დასაფლავებაზე, ჩემი შვილის დასაფლავებაზე რომ არ მიშვებენ? რა უნდოდათ, ვეუბნებოდი— ავაშენებ ლტოლვილებისთვის სახლებს, ფაბრიკებს, დავასაქმებ და დავაბინავებ ამ ხალხსთქო და უარი მითხრეს!რა, მე ფულს ვთხოვდი მაგათ, თუ საქართველოდან მაქვს წამოღებული, რაც მაქვს? მაგათსავით, უკაცრავად და ბოზებისთვის, საყვარლებისთვის და საკუთარი ცოლშვილისთვის მინდოდა ის ყველაფერი, რის გაკეთებასაც საქართველოში ვგეგმავდი? რა გაუხდათ ერთი მინდია გულუა, რაღა მარტო მე მიკრძალავენ პარტიის გაკეთებას, მშენებლობას, გაჭირვებულისთვის დახმარებას და ყველა სიკეთეს? მე რომ გაჭირვებულ ლტოლვილს 1000 დოლარს გადმოვუგზავნი, მოსყიდვაში მითვლიან, აწიოკებენ იმ ოჯახს და ასეთი ფაქტები ბევრია. ვინ არიან ეს უღმერთოები, ეს რომელ დროს ხდებოდა საქართველოში, ჭირისუფალს მკვდარ დისშვილთან რომ არ უშვებდნენ?

— ბოლშევიკურ საქართველოში ხდებოდა, ედუარდ შევარდნაძის საქართველოში ხდებოდა, როცა თვითმფრინავის ბიჭების ცხედრებთან არ მიაკარა მშობლები და სააკაშვილის საქართველოში ხდება!

— ქალბატონო ირინა, მე მაპატიეთ, მაგრამ რა ჰქვია საქციელს, როცა ერთი კვირის წინ სიდედრი მომიკვდა და საქართველოში ჩამოსვლას რომ ვითხოვდი — დედა რომ მოგკვდომოდა, აი მაშინ ჩამოგიშვებდითო — მიპასუხეს? ალალი ბიძა მომიკვდა და მამა რომ ყოფილიყო, მაშინ დაგრთავდით ნებასო, — ასე მიპასუხეს! ახლა, ჩემი გაზრდილი, 20 წლის ანგელოზის დაკრძალვაზე არ მიშვებენ და მპასუხობენ — ნამდვილი შვილი რომ ყოფილიყო, კიდევ ჰო, მაგრამ დისშვილია და რა ვქნათო? მიპასუხეთ, ამას რა ჰქვია? ვის ხელშია საქართველო, ვინ არიან ესენი, მიცვალებულიც და ცოცხალიც ფეხებზე, რომ ჰკიდიათ?

ძვირფასო მკითხველო! შესაძლოა ძალიან გაგიკვირდეთ, მაგრამ მინდია გულუას საქართველოში შემოშვება არ შემოშვების გამო, ორშაბათს პარლამენტში დიდი გაწევა-გამოწევა გამართულა! როგორც მიამბეს, „ნაცების" აზრი ორად გაყოფილა, ანუ ერთი შემადგენლობა დასთანხმებია მინდია გულუას შემოსვლას, ხოლო მეორე ნაწილი კატეგორიულად იმეორებდა: „არავითარ შემთხვევაშიო".

მეტიც, დაკრძალვის დღეს, ქაშუეთის ეკლესიაში, პირადად მე მითხრა მაღალი იერარქიის სამღვდელო პირმა, რომ — ერთი კაცი კრძალავს მინდიას ჩამოსვლას და ჯერჯერობით ამ კაცის წინააღმდეგ ბრძოლაში, ყველა უძლურები ვართო!

ნეტავ ვინ არის, ის ერთი „კაცი"?

არ ვიცი დასავლეთ საქართველოში როგორ არის, მაგრამ ჩვენთან კახეთში ასე ამბობენ: „დეიდას დედის სუნი აქვს, ხოლო ბიძას, მამისაო!" ჰოდა, ალბათ ამიტომაც ტირის საცოდავი მინდია გულუა, სადღაც მოსკოვში თავის გაზრდილ დისშვილს და ყველაზე უარესი კი ის არის, რომ ამ წუთში ის მარტოა, შორს თავისი ოჯახისგან და უმისოდ აბარებენ მიწას 20 წლის ახალგაზრდა ბიჭს — ირაკლი ესიავას! ვისაც ამ უღმერთობაზე პროტესტი არ უჩნდება, ის ქართველი — ფურთხის ღირსია!

„ნაცებო"! თქვენი დროც დადგება, გჯეროდეთ! მაგრამ იქამდე ისე ნუ იზამთ — მართლა თქვენი გვამებით დაიწყოს სირბილი ხალხმა! თუმცა ეგ დღე, რომ ნამდვილად დაგიდგებათ, ამაში ეჭვი არ მეპარება!

**ირინე გოგოსაშვილი**







# თავსატეხი

შვეულად: ასაკი, აყალო, გუდია, ქირია, ალდაგი, გიტარა, ისლამი, მინდია, ნაგანი, ნარსია, რულეტი, სიზიფე, ტრიალა, ჰალარა, გრენლიდი, ლიტურგია.

თარაზულად: არაყი, ულონი, მაგია, სისია, აიდამა, ალდაგი, დინარა, თორაძე, კვართი, კვარტა, ლიტერი, ნაგანი, სარტრი, ქარტია, ყულევი, ჩელინი, მაგელანი.

# სამიდან ერთი

შვეულად: 1. გულათი, კაკადუ, მეკარე. 2. შალახო, გონება, მერცხა. 3. მარიტა, შეკელი, ტულუზა. 4. ქართუ, ლუწწა, სიმბა. 5. ეილეტი, ყენია, სარჩა. 6. მორზე, შეუდი, რიონი. 11. კასტელი, მარჯანა, კანტორი. 12. პარლუმი, კომპოტი, ლაითერი. 13. გიმარი, მეტეკა, დასენი. 14. რაბატი, მორაკო, საზელი. 15. შამათი, კონერი, პულელი. 16. სეტერი, კანადა, მორალი.

თარაზულად: 3. სამაგური, მასაური, პარასოლი. 7. ბეფინა, მეტეხი, საკურა. 8. სურინამი, კინავირი, რუსთაველი. 9. ბაგება, მეხიკო, ქარიზი. 10. ზრიგინი, კრიკეტი, ტრამალი. 13. პოლუსი, ლურაკა, ტაბუხი. 17. ბოსტანი, მარტინა, ხანძარი. 18. ჯოყოლა, სალამი, ხაბანი. 19. მლოკალა, კრაზუმა, სტეფანი. 20, ბუკატი, მამილა, ნატურა. 21. ტრიალოლი, არამაკი, ერეკანი.

# შიფრვორდი

| | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ■ | 7 | ■ | 11 | ■ | 29 | 6 | 8 | 6 | 21 | 6 | ■ |
| 4 | 9 | 30 | 6 | 3 | 9 | ■ | 33 | ■ | 9 | ■ | 31 |
| ■ | 4 | ■ | 17 | ■ | 1 | 6 | 2 | 12 | 6 | 21 | 9 |
| 27 | 24 | 32 | 24 | 3 | 6 | ■ | 11 | ■ | 8 | ■ | 6 |
| ■ | 21 | ■ | 10 | ■ | 15 | 26 | 9 | 2 | 9 | ■ | 9 |
| 22 | 9 | 20 | 9 | 3 | 9 | ■ | ■ | 6 | ■ | ■ | 14 |
| 9 | ■ | 2 | ■ | 19 | ■ | 7 | 6 | 23 | 6 | 2 | 9 |
| 6 | 5 | 33 | 10 | 6 | ■ | 6 | ■ | 9 | ■ | 9 | ■ |
| 21 | ■ | 9 | ■ | 2 | ■ | 3 | ■ | 1 | 24 | 18 | 6 |
| 22 | ■ | 4 | ■ | 11 | 33 | 9 | 4 | 9 | ■ | 6 | ■ |
| 8 | 6 | 9 | 20 | 6 | ■ | ■ | 33 | ■ | 33 | ■ | 18 |
| 33 | ■ | ■ | ■ | 10 | 6 | 13 | 3 | 9 | 21 | 27 | 24 |
| 3 | 6 | 25 | 1 | 9 | ■ | ■ | 9 | ■ | 20 | ■ | 21 |
| 6 | ■ | 10 | ■ | ■ | 26 | 6 | 21 | 16 | 9 | 11 | 9 |
| ■ | 28 | 24 | 3 | 24 | ■ | ■ | 9 | ■ | ■ | ■ | 24 |

ა-6, ბ, გ, დ, ე-33, ვ, ზ, თ, ი 9, კ, ლ, მ, ნ, ო-24, პ, ჟ, რ 2, ს, ტ, უ 19, ფ, ქ, ღ, ყ, შ, ჩ, ც, ძ-31, წ, ჭ, ხ, ჯ, ჰ

# `saerTo gazeTis~ iuridiuli konsultacia



*„საერთო გაზეთის" მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი*

***მთვარისა კევლიშვილი.***
ტელ.: 2 79 63 91;
0 790 60 64 69;
5 93 78 64 69

* * *

**— ვის ეკუთვნის სავალდებულო წილი?**

— მამკვიდრებლის შვილებს, მშობლებსა და მეუღლეს, ანდერძის შინაარსის მიუხედავად, ეკუთვნით სავალდებულო წილი, რომელიც უნდა იყოს იმ წილის ნახევარი, რაც თითოეულ მათგანს კანონით მემკვიდრეობის დროს ერგებოდა.

* * *

**— შეიძლება თუ არა მემკვიდრე იყოს იურიდიული პირი?**

— თუ თქვენმა მამამთილმა საცხოვრებელი ბინის ჩუქების დროს ჩუქების ხელშეკრულებაში არ მიუთითა, რომ გაჩუქებული ბინა თქვენს მაზლს ჩათვლოდა სავალდებულო



წილში, მაშინ ეს უკანასკნელი, როგორც I რიგის მემკვიდრე, მიიღებს სავალდებულო წილს გარდაცვლილის ქონებიდან.

* * *

**— რა ვადაში შეგვიძლია სარჩელის შეტანა ანდერძის ბათილად ცნობის შესახებ?**

— სარჩელი ანდერძის ბათილობის შესახებ წარდგენილ უნდა იქნეს ორი წლის განმავლობაში, რაც გამოითვლება სამკვიდროს გახსნის დღიდან.

ხანდაზმულობის ეს ვადა არ ვრცელდება მესაკუთრის სარჩელზე, როცა მოანდერძემ მემკვიდრეს არასწორად უანდერძა სხვისი ქონება, როგორც თავისი.

* * *

**— შეიძლება თუ არა ქორწინების გაბათილება სამოქალაქო რეესტრის ორგანოში?**

— არა.

სამოქალაქო რეესტრის ორგანოში შეიძლება მხოლოდ განქორწინება ორივე მხარის ერთობლივი განცხადების საფუძველზე დავის არ არსებობის გამო.

რაც შეეხება ქორწინების ბათილად ცნობას, ეს მხოლოდ სასამართლოს პრეროგატივაა.

* * *

**— რა ვადას ნიშნავს სასამართლო განქორწინების საქმის განხილვისას მეუღლეთა შესარიგებლად?**

— ეს ვადა არ უნდა აღემატებოდეს 6 თვეს.

* * *

**— შემაქვს სარჩელი სასამართლოში ალიმენტის გადახდასთან დაკავშირებით. მეკუთვნის თუ არა სახელმწიფო ბაჟის გადახდა?**

— არა.

თუ ალიმენტის გადახდას ითხოვთ, კანონი თქვენ სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლებთ.

* * *

**— შეიძლება თუ არა დაუშვებელი მტკიცებულება სასამართლომ გამოიყენოს ბრალდების დასადასტურებლად.**

— მტკიცებულების დაუშვებლად ცნობის საკითხს წყვეტს სასამართლო.

დაუშვებელი მტკიცებულება არ შეიძლება საფუძვლად დაედოს სასამართლოს გადაწყვეტილებას.

* * *

**— ჩვენების მიცემა ბრალდებულის უფლებაა თუ მოვალეობა?**

— საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 74-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, ჩვენების მიცემა ბრალდებულის უფლებაა.

ამავე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, ბრალდებულის მიერ ჩვენების გაცემის ფაქტი არ შეიძლება შეფასდეს მისი ბრალეულობის დამადასტურებელ მტკიცებულებად.

* * *

**— არის თუ არა დაზარალებული მხარე?**

— არა.

— სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-5 ნაწილის მიხედვით, მხარე არის ბრალდებული, მსჯავრდებული, გამართლებული, მათი ადვოკატი, გამომძიებელი, პროკურორი.

* * *

**— როდიდან ითვლება პირი დაკავებულად?**

— დაკავება არის თავისუფლების ხანმოკლე აღკვეთა. პირი დაკავებულად ითვლება მიმოსვლის თავისუფლების შეზღუდვის მომენტიდან. დაკავების მომენტიდან პირი ითვლება ბრალდებულად.

* * *

**— შეიძლება თუ არა ბრალდებულის დაუსწრებლად მოხდეს სისხლის სამართლის საქმის განხილვა და განაჩენის დადგენა?**

— ბრალდებულის დაუსწრებლად საქმის განხილვა დასაშვებია, თუ იგი თავს არიდებს სასამართლოში გამოცხადებას. ასეთ შემთხვევაში საქმის განხილვაში ბრალდებულის ადვოკატის მონაწილეობა სავალდებულოა.

# gaxmaurebuli da gauxmaurebeli saqmeTa qronika

## ანუ ვინ დატოვეს ცოცხალი, ვისი სახელებით იწერდნენ ქულებს და რატომ გვიდევს თაროზე ამდენი გაუხსნელი საქმე?

საქართველოში გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან დღემდე. საქართველოს უახლოეს ისტორიაში პოლიტიკურ მკვლელობებს დიდი ადგილი უკავია. უმეტესობა ამ საქმეებისა — დღემდე გაუხსნელია.

1989 წლის 13 ოქტომბერს რიკოთის უღელტეხილზე, სოფელ ბორითთან ავტოკატასტროფასი დაიღუპა მერაბ კოსტავა. ამავე მანქანაში იჯდა ზურაბ ეჭავჭავაძეც, რომელიც მძიმედ დაშავდა, შემდეგ თითქოს მოიკეთა, მაგრამ იმავე წელს ბოტკინის დიაგნოზით გარდაიცვალა. საჭეს მართავდა თამარ ჩხეიძე, რომელიც ამ ავტოკატასტროფის შემდეგ პოლიტიკურ ცხოვრებას ჩამოცილდა. წლების შემდეგ თ. ჩხეიძე ამტკიცებდა, რომ ეს არ იყო შემთხვევითი ავარია, და რომ სასწრაფოს მანქანა საეჭვოდ სწრაფად მივიდა შემთხვევის ადგილაზე და რომ ჭავჭავაძეც არ დაღუპულა ბოტკინით. არსებობს ვერსია, რომ კოსტავას და ჭავჭავაძეს სასწრაფოს ექიმებმა სიცოცხლისთვის არასასურველი ინექციები გაუკეთეს.

1993 წლის 31 დეკემბერს ზვიად გამსახურდიამ ოფიციალური ვერსიით სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა. "სტეჩკინი" თვითმხილველების თქმით პრეზიდენტს გულზე ედო. მოგვიანებით გაქრა მკვლელობის იარაღი, არ ჩანს მასრა და ტყვიის გულა. დენთის კვალი და ძვალზე დარჩენილი დამწვრობა იმაზე მიუთითებს, რომ პრეზიდენტ გამსახურდიას ნახევარი მეტრის დისტანციიდან ესროლეს. არც ის უნდა დაგვავიწყდეს რომ "სტეჩკინის" სიგრძე 23 სმ-ია, ხოლო გატენილი მჭიდებით იგი 2 კგ-ს იწონის.

1993 წლის 17 სექტემბერს ჟიული შარტავას შევარდნაძესთან ერთად უნდა დაეტოვებინა აფხაზეთი, მაგრამ სოხუმის დაცემამდე რამდენიმე საათით ადრე შევარდნაძემ შარტავას აფხაზეთის მთავრობის შენობაში დაბრუნება მოსთხოვა, სადაც იგი აფხაზმა სეპარატისტებმა დახვრიტეს.

1993 წლის 10 მარტს კოსტავას ქუჩაზე, საკუთარ სახლში მოკლეს თბილისის პროკურორი მიხეილ ქურდაძე. საქმე დღემდე გაუხსნელია.

1994 წლის 3 დეკემბერს საკუთარ სახლთან დაცხრილეს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელი გია ჭანტურია. მისი მკვლელობისთვის მხედრიონელები გაასამართლეს, მაგრამ მკვლელობის დამკვეთის ვინაობა დღემდე უცნობია. ირინა სარიშვილი დამკვეთად თავიდან იგორ გიორგაძეს ასახელებდა, მაგრამ მოგვინებით, როცა გიორგაძის პოლიტპარტნიორი გახდა, ვერსია შეცვალა და შოთა კვირაიას მიიჩნევდა მკვლელობის დამკვეთად. შოთა კვირაიაც შევარდნაძის ერთ-ერთი შს მინისტრი გახლდათ.

1994 წლის 3 დეკემბერს საკუთარ სახლში ააფეთქეს თავდაცვის მინისტრის ყოფილი მოადგილე ნიკუშა კეკელიძე. ამბობენ, ნიკუშა ჩეხეთიდან იარაღის შემოტანას კურატორობდაო. სთხოვეს, სახელმწიფოს ხარჯით შემოიტანე იარაღი და წილში ჩაგვსვიო, მაგრამ ნიკუშა გარიგებაზე არ წავიდა და ააფეთქესო.

1994 წლის 20 აპრილს საკუთარ სახლთან დაცხრილეს ზუგდიდის ყოფილი კომენდანტი, გენერალი გია გულუა. 2 დღით ადრე გულუამ და შევარდნაძემ ტელეფონით ისაუბრეს, თუმცა საუბრის შინაარსი უცნობია. ასევე დღემდე უცნობია, ვინ დაუკვეთა გია გულუას მკვლელობა მხედრიონელებს.

1995 წლის 10 ივნისს საკუთარ სადარბაზოსთან დაცხრილეს სულიკო ხაბეიშვილი, რომელიც შევარდნაძის ფონდ "დემოკრატია და აღორძინების" თავმჯდომარე იყო. მისი ოჯახის წევრები ღიად საუბრობდნენ მკვლელობის პოლიტიკურ სარჩელზე და შევარდნაძეს ადანაშაულოებდნენ.

2002 წლის 25 თებერვალს კანცელარიაში, საკუთარ კაბინეტში, ოფიციალური ვერსიის თანახმად სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა უშიშროების საბჭოს მდივანმა ნუგზარ საჯაიამ. მისი ოჯახი მიიჩნევს, რომ იგი პოლიტიკური ძალადობის მსხვერპლი იყო. საქმე დღემდე არ დახურულა. ერთ-ერთი ვერსიის თანახმად, საჯაიას მკვლელობით ის ძალები იყვნენ დაინტერესებულნი, ვისაც შევარდნაძის ძალაუფლების შესუსტება სურდათ.



2002 წლის 20 ნოემბერს აბაშიძის ქუჩაზე ავტომანქანაში ჩახრილეს სპორტსმენი და ბიზნესმენი კახა ასათიანი. მკვლელი დღემდე დაუდგენელია.

2001 წლის 26 ივნისს საკუთარ სახლში მოკლეს გიორგი სანაია. ამ მკვლელობისთვის სასჯელს გრიგოლ ხურცილავა იხდის, მაგრამ სანაიას ოჯახი და მთლიანად საზოგადოება მიიჩნევს, რომ ხურცილავამ უბრალოდ "დაიბრალა" მკვლელობა და მკვლელობის მოტივიც შეთითხნილია.

იმ პერიოდში პანკისში სიტუაცია დაძაბული იყო და ამბობდნენ, რომ პანკისელები არ ემორჩილებოდნენ ცენტრალურ ხელსუფლებას. პირდაპირ ეთერში პანკისელმა ავტორიტეტრმა ვეფხვია მარგოშვილმა უთხრა სანაიას, რომ - პანკისში სიტუაციას ხელისუფლება და პოლიციელები ძაბავენ და ჩვენ არაფერ შუაში ვართო. შემდეგ კი სანაიას ვიდეოკასეტა გამოუგზავნა, სადაც ჩაწერილი იყო პანკისელების შეხვედრა კახა თარგამაძესთან და კახა ბაკურაძესთნ (თბილისის პოლიციის მაშინდელი უფროსი). ვიდეოკასეტა სანაიას მკვლელობის შემდეგ გაქრა. მარგოშვილი აპირებდა ასლის გადმოგზავნას, მაგრამ იგი საკუთარ სახლში ააფეთქეს. ამ ისტორიას დიდი გამოხმაურება მოჰყვა. ეხლანდელი ხელისუფლება, რომელიც მაშინ შევარდნაზის ოპოზიციაში იყო, მანიპულირებდა სანაიას სახელით. გვპირდებოდნენ რომ ხელისუფლებაში მოსვლის შემხვევაში აუცილებლად მოჰფენდნენ ნათელს სანაიას მკვლელობის საქმე.

ნაცვლად ამისა;

2004 წლის 23 ნოემბერს დიდუბის ეკლესიასთან საპატრულო პოლიციის ტყვიას ემსხვერპლა 18 წლის ბუტა რობაქიძე. ჯერ კიდევ მანამდე, 1999 წელს, დაბა წნორში პოლიციელმა აბულაშვილმა პირდაპირი დამიზნებით ესროლა და მოკლა 18 წლის ზვიად ბალიაშვილი. მკვლელი პოლიციელის ძმა ბუგზარ აბულაშვილი ნაციონალების ერთ-ერთი სახეა კახეთიდან და დღემდე ახერხებს მკვლელის დაცვას. როგორც ვხედავთ 1999 წლიდან დღემდე არაფერი შეცვლილა და ხელისუფლება მაშინაც და ეხლაც პოლიციელებზე კანონის გავრცელებას "კრძალავს".

2005 წლის 3 თებერვალს საბურთალოს ქუჩაზე, კონსპირაციულ ბინაში "გაზით გაგუდული" პრემიერ-მინისტრ ზურაბ ჟვანიას და მისი მეგობრის რაულ იუსუფოვის გვამები აღმოაჩინეს. უამრავი კითხვაა პასუხგაუცემელი. ორი მთავარი მოწმე წესიერად არ დაუკითხავთ, არც კი დააპირისპირეს.

2006 წლის 28 იანვარს თბილისის მახლობლად იპოვნეს სასტიკი ცემის შედეგად გარდაცვლილი 28 წლის სანდრო გვირგვლიანი. იგი შს სამინისტროს მაღალჩინოსნებმა სცემეს. ამ მკვლელობას საზოგადოების დიდი გამოხმაურება მოჰყვა, მაგრამ მკვლელები დღემდე დაუსჯელად დადიან.

2006 წლის 2 მაისს პოლიციის მიერ თბილისში, კორტებთან ჩატარებულ სპეცოპერაციას ემსხვერპლა ზურაბ ვაზაგაშვილი და ალექსანდრე ხუბულოვი. არსებობს ვარაუდი, რომ ისინი ისეთ ინფორმაციას ფლობდნენ, რომლის გახმაურებაც მაღალჩინოსნებს ხელს არ აძლევდათ.

2007 წლის 20 მაისს მელიქიშვილის ქუჩაძე აკადემიკოსი გურამ შარაძე მოკლეს. დააკავეს გიორგი ბარათელი, რომელმაც თითქოს გურამის ვაჟზე განაწყენებულმა, მამამისი მოკლა. მოკლულის ოჯახი ფიქრობს, რომ მკვლელობის მოტივი გურამის პატრიოტული და უსამართლობასთან შეურიგებელი ბუნება გახდა. რადგან ვერ გააჩუმეს - დაადუმეს.

2008 წლის 13 თებერვალს ლონდონში საკუთარ სახლში გარდაიცვალა ბადრი პატარკაციშვილი. ოფიციალური ვერსიით გულის შეტევით. საგულისხმო ისაა, რომ მის გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე საქართველოს ყოფილმა თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ოქრუაშვილმა პირდაპირ ეთერში განაცხადა რომ ხელისუფლებას პატარკაციშვილის ლივიდაცია სურდა. საპრეზიდენტო არჩევნებამდე ცოტა ხნით ადრე კი პატარკაციშვილმა "სანდი ტაიმსში" ფარული ჩანაწერი გამოაქვეყნა, სადაც შს სამინისტროს ერთ —ეერთი მაღალჩინოსანი პატარკაციშვილის ლიკვიდაციაზე საუბრობდა.

2008 წლის 8 მაისს პატრულის თანამშრომელმა 32 წლის გიორგი გამცემლიძე მანქანის დიდი სიჩქარით მართვის გამო მოკლა. გამცემლიძეს სამი მცირეწლოვანი შვილი და მეუღლე დარჩა.

მთლიანობაში 63 ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა პოლიციამ. სასჯელის ფორმა-დახვრეტა. ადამიანებს კლავენ ციხეებში, სახლებში და პირდაპირ ქუჩებში.

2007 წლის საპროტესტრო აქციების დროს, პოლიტიკოსები დაღუპული ახალგაზრდების სახელებსა და გვარებს 24 საათის განმავლობაში ახსენებდნენ. მაშინ ბევრმა "პოლიტიკოსმა" ქულები დაიწერა ამ ბიჭების ხშირი ხსენებით. დღეს კი თითქმის მივიწყებას მიეცა.

**თამარ კეშელავა**

# ნიბირუ — რეალური საშიშროება



1983 წელს ჩრდილოეთ პოლუსზე ნასას ასტრონომებმა ტომას ვანფლანდერსმა და რიჩარდ ჰარინგტონმა ტელესკოპში უცნაური ციური სხეული დააფიქსირეს, იგი 14 000 000 000 კმ-ით იყო დაშორებული მზისგან და მოძრავ მდგომარეობაში იყო. ის დედამიწას სიდიდით ოთხჯერ აღემატებოდა. ასტრონომებმა განაცხადეს, რომ ის ჩვენსკენ მოემართებოდა. ეს არის ნიბირუ, — აღნიშნეს მათ. ნიბირუ მკაცრად განსაზღვრულ კოსმოსურ ორბიტაზე მოძრაობს და 3600 წლის შემდეგ იგი დედამიწასთან ერთად იმოძრავებს. დედამიწის ბირთვი ამ სიახლოვის გამო ძლიერი კატაკლიზმებით შეაზანზარებს დედამიწას.

ეს პლანეტა უკვე ორჯერ მიუახლოვდა დედამიწას და ორჯერვე დაიხოცა დედამიწაზე ყოველი სულიერი. მეცნიერები ვარაუდობენ, რომ გამყინვარება და მსოფლიო წარღვნა შეიძლება სწორედ ნიბირუს მოახლოებისგან ყოფილიყო გამოწვეული. რამდენიმე თვეში პლანეტა ნიბირუ დედამიწას მესამედ მოუახლოვდება. 2011 წლის მაისში ვარსკვლავიან ცაზე. მისი დანახვა შეუიარაღებელი თვალითაც იყო შესაძლებელი მაისის ბოლოს ცაზე ყველაზე მანათობელი ობიექტი ნიბირუ იყო მზისა და მთვარის შემდეგ. 2012 წლის მაისის თვიდან ის მთვარეზე უფრო ძლიერი სიკაშკაშით იქნება გამორჩეულიო, ჯერ კიდევ შარშან ვარაუდობდნენ მეცნიერები.

2012 წლის 23 დეკემბერს ნიბირუ დედამიწასთან ისე ახლოს იქნება, რომ იგი ნათებით მზეს არ ჩამოუვარდება და ამ დღეს ის ყველაზე მეტად მოუახლოვდება ჩვენს პლანეტას. სწორედ ეს თარიღი არის მითითებული მაიას კალენდარზე, როგორც სამყაროს არსებობის უკანასკნელი დღე.

600 წლის წინათ შექმნილ ერთ ძველშუმერულ გამოსახულებაზე ასტროლოგიურ ნიშნებს ვხედავთ. ცენტრში არის მზე, რომელიც გარშემორტყმულია ჩვენთვის ცნობილი პლანეტებით, მაგრამ მარსსა და იუპიტერს შორის გამოსახულია უზარმაზარი ციური სხეული, მას შუმერები ნიბირუს უწოდებდნენ. ნიბირუ მზის სისტემაში 3600 წელიწადში ერთხელ შემოდის და ყოველ მის შემოსვლას უმნიშვნელოვანესი კატაკლიზმები მოჰყვება.



შუმერული გამოსახულების მიხედვით, ასტეროიდი დაეცა პლანეტა დიამატს, რომელიც ჩვენი მზის სისტემაში მეთერთმეტე პლანეტა იყო. ამის გამო ურანი, ნეპტუნი და პლუტონი მკვდარ პლანეტებად იქცნენ. როცა ნიბირუ მზესა და ვენერას შორის აღმოჩნდება ჩვენს პლანეტაზე მსოფლიო წარღვნა დაიწყება... ასტრონომებს სხვადასხვა მოსაზრებები აქვთ. ზოგი ვარაუდობს, რომ ეს იქნება 2012 წლის 21 დეკემბერი, ზოგის აზრით, 23, ზოგიერთი ვარაუდობს, რომ ეს დღე შეიძლება დადგეს 2014 წლის 13 თებერვალს, ან 14 თებერვალს, მაგრამ მათი უმეტესობა თანხმდება იმაზე, რომ როცა დედამიწა ნიბირუსა და მზეს შორის აღმოჩნდება, დაიწყება გლობალური კატაკლიზმები. მაგნიტური პოლუსები შეიცვლება, მოხდება ძლიერი მიწისძვრები, ცუნამები. დედამიწის ბირთვი, როგორც გული, უკვე რეაგირებს დამანგრეველი ძალის მოახლოებისას. იზრდება ტემპერატურა, ძლიერდება ვულკანური აქტივობები, ხშირდება მიწისძვრები. დედამიწის ღერძი უკვე გადაიხარა 17 სმ-ით. დღე-ღამე კი ორი სეკუნდით შემცირდა.

ნიბირუ, რომელიც 4-ჯერ დიდია დედამიწაზე, პირდაპირი გზით დედამიწისკენ მოდის. კონსტრუქტორის, პროფესორ ალექსანდრ ფილატოვის აზრით, უკეთეს შემთხვევაში, ჩვენს პლანეტას გლობალური დატბორვა ემუქრება. უარეს შემთხვევაში, ნიბირუ დედამიწას დაეჯახება.

საინტერესოა, რომ უძველესი ცივილიზაციის ბევრ წინასწარმეტყველებაში, მაგალითად, მაიას, ინდიელთა, აცტეკების, ინკების, უძველესი ეგვიპტელების ჩანაწერებში იხსენიება მითი 2012 წლის დეკემბერში უცნობი ობიექტის გამოჩენის შესახებ, რომელიც დედამიწას მოუახლოვდება.

პლანეტა ნიბირუს შუმერები უწოდებდნენ ხომალდს, რომელზეც ღმერთები ცხოვრობენ.

პლანეტის მოძრაობის პარამეტრები იმდენად შემაშფოთებელია, რომ ასტრონომთა ნაწილი თვლის, რომ ის ისეთი ფორმისაა, თითქოს ხელოვნურად შექმნილი იყოს და კონკრეტული მიმართულება ჰქონდეს მიცემული, როგორც გიგანტურ ხომალდს. მეცნიერები მიიჩნევენ, რომ ეს პლანეტა, შეიძლება, დასახლებულიც იყოს.

დედამიწა კი ნიშანს იძლევა — ხდება ცუნამები, დიდი ხნის მიძინებული ვულკანები იღვიძებს, გახშირდა მიწისძვრები, მაგნიტური ველი სუსტდება, დედამიწის ღერძი გადაიხარა და ადამიანები ყოველივე ამას ახსნას ვერ უძებნიან.

„საერთო გაზეთი“ წერდა იმის შესახებ, თუ როგორ დნება ყინულები დედამიწის უმაღლეს წერტილებში, მეწყერებს თითქმის მთელი ქალაქები ჩააქვს მიწის ქვეშ, 2010 წელს ჰაიტიზე გაუგონარმა ქოლერის ეპიდემიამ იფეთქა, რის შედეგადაც 5000-მდე ადამიანი დაიღუპა. საინტერესოა, რომ ქოლერაზე მსოფლიო მედიცინამ ასეული წლის წინათ გაიმარჯვა, მაგრამ ამ ეპიდემიას ვერავინ და ვერაფერმა უშველა. 2010 წლის ზამთარში აშშ-ის, შვეციის, იტალიის, თურქეთის, საფრანგეთის მოსახლეობის თვალწინ პირდაპირ ციდან ასეულობით ჩიტი მკვდარი ცვიოდა. ფრინველების მასიური დაღუპვა პირდაპირ შოკი იყო. დღემდე მეცნიერებმა ვერ გამოიკვლიეს, რატომ შეიძლება ეს მომხდარიყო.



ყოველივე ეს იმის მანიშნებელია, რომ დედამიწის მაგნიტური ველი სუსტდება. დღესდღეობით ის 15-20 პროცენტით არის შემცირებული. თუ ასე გაგრძელდა, მოსალოდნელია, მაგნიტური ველი, საერთოდ გაქრეს. მეცნიერები ვარაუდობენ, რომ ეს სპეციალურად პროვოცირებული მოვლენაა, მაგრამ ამას გამონაბოლქვი აირების სიჭარბესაც უკავშირებენ. ამ მონაცემებით, ორი საუკუნის შემდეგ დედამიწაზე ტემპერატურა, შესაძლებელია 100 გრადუსი გახდეს ისე, როგორც მარსზეა. ადამიანები უძლურნი ვართ სტიქიის მიმართ. ჯერჯერობით ვუმკლავდებით, მაგრამ სანამდე შევძლებთ სტიქიის შეჩერებას? ამაზე პასუხი არავის აქვს.

**მოამზადა ანა ვადაჭკორიამ**




ერის ნათელი მომავალი ეკლესია-მონასტრების მშენებლობაშია, მიიღეთ მონაწილეობა წმიდა ანდრია პირველწოდებულის მონასტრის მშენებლობაში. უფალი შეგეწევათ. ბედნიერი ადამიანი - მორწმუნე ადამიანია.

რომ გწამდეს - უნდა დაიჯერო, რომ გჯეროდეს - უნდა გინდოდეს, მადლი რომ მოიპოვო - უნდა გსურდეს. ქართველნო, ერთად ღვთისაკენ!

ღმერთმა დაგლოცოთ და გაგაძლიეროთ!

## ასტროლოგიური პროგნოზი

**ვერძი** — უცნობთან დაწყებული თანამშრომლობა თქვენი კარიერისთვის ძალიან სასარგებლო აღმოჩნდება. ფინანსური საკითხების მოგვარებისას არ აჩქარდეთ — უფრო გათვლილი და ბალანსირებული მოქმედება გმართებთ. ოჯახში მომწიფებული კონფლიქტის განმუხტვა მხოლოდ თქვენ შეგიძლიათ.

**კურო** — ყველას, განსაკუთრებით კი, საკუთარი თავის მიმართ ძალიან მომთხოვნი ხართ და უარს ვერავისგან აიტანთ. გონება კარგად გიმუშავებთ და ფინანსურ პრობლემებს შესანიშნავად აგვარებთ. ოჯახში ძალიან მშვიდი და ჰარმონიული სიტუაცია გაქვთ.

**ტყუპები** — ტყუპების ენერგეტიკული მდგომარეობა საკმაოდ არამდგრადია და კარგი იქნება, თუ სიმშვიდეს და კეთილგანწყობას შეინარჩუნებთ. თუმცა თქვენს მატერიალურ მდგომარეობაზე წუწუნი ნამდვილად არ მოგიწევთ.

**კირჩხიბი** — სიმშვიდე და გაწონასწორება გჭირდებათ. იმ უამრავი საქმიანი წინადადებიდან, რომლებსაც ამ დღეებში შემოგთავაზებენ, არცერთი ივარგებს და ამდენად, დაფიქრებაც არ ღირს.

**ლომი** — თუ ამ კვირას ახალი სამსახურებრივი რომანით დაიწყებთ, აუცილებლად გამიჯნეთ ერთმანეთისგან საქმე და პირადი საკითხები. სასიყვარულო ურთიერთობებში კი მართლაც ცხელი დღეები გაქვთ.

**ქალწული** — თქვენი კარიერის საკითხით, ბოლოს და ბოლოს, საკმაოდ კომპეტენტური პირებიც დაინტერესდებიან და დიდი ხნის ნანატრ წარმატებასაც მიაღწევთ.

**სასწორი** — ერთობლივ პროექტზე იწყებთ მუშაობას, რომელიც აუცილებლად წარმატებით დაგვირგვინდება და ამ საქმიდან სხვებზე მეტად თქვენ ისარგებლებთ. ფინანსების საქმე ნამდვილად გამოსწორების გზაზეა.

**მორიელი** — ეს კვირა საკმაოდ ნელა და მძიმედ იწყება, მაგრამ ყველასთვის და განსაკუთრებით თქვენთვის, მოულოდნელი შედეგებით დასრულდება.

**მშვილდოსანი** — მხოლოდ კარიერაზე ფიქრობთ და თქვენი პირადი ცხოვრება უკანა პლანზე გადადის. არ არის გამორიცხული, რომ ამის გამო საკმაოდ მნიშვნელოვანი მოვლენა გამოგრჩეთ და გვიან მიხვდეთ.

**თხის რქა** — სარისკო საქმეებს, ჯობია თავი აარიდოთ. განსაკუთრებით კი კანონსაწინააღმდეგო ქმედებებს ერიდეთ. ოჯახში თითქმის ერთგვარი გაუცხოება შეინიშნება, მაგრამ დროებით ერთმანეთისგან დასვენება ყველასათვის სასარგებლო აღმოჩნდება.

**მერწყული** — საკმაოდ დაძაბული მოვლენების ცენტრში აღმოჩნდებით და მაქსიმალური შემართების და მოთმინების გამოჩენა მოგიწევთ.

**თევზები** — ფინანსური საკითხები ამ კვირაში ნაკლებად გადარდებთ, ოჯახის წევრებსაც საკმაოდ სერიოზული პრობლემები აქვთ, მაგრამ კვირის ბოლოსთვის ყველაფერი მოგვარდება.

## ამავე ნომრის სკანვორდის პასუხები:
### სკანვორდი

1.ნეაპოლი. 2. სასჯელი. 3. სუბტიტრი. 4. სტოპერი. 5. ლენინგრადი. 6. მარტყოფი. 7. რეჰაუ. 8. კბილანა. 9. კაბადონი. 10. ბერიმორი. 11. ბლატერი. 12. ასოციაცია. 13. თხილი. 14. ბაზრობა. 15. შპიცრუტენი. 16. ყურშა. 17. ჰილარი. 18. კასრი. 19. ასტრონომია. 20. ფაბიო. 21. სკაროსი. 22. კაცია. 23. კაირატი. 24. აფსკა. 25. გარლანდი. 26. განძელი. 27. ანდერსენი. 28. ტენი. 29. კონცხი. 30. ხურო. 31. ნარიტა. 32. ბაქანი. 33. ბარტყულა. 34. ჭრაქი. 35. პოლიგინია. 36. ნოტაბენე. 37. ჩანახი. 38. ბატონები. 39. ბოლშევიკი. 40. იოგურტი. 41. რევერსია. 42. ბენე. 42ა. უჟმური. 43. ნაალი. 44. პროცესი. 45. ჟენშენი. 46. ვერსია. 47. კეტი. 48. ღიპი. 49. ჟუსაკი. 50. ბევრი. 51. ფინია. 52. ავა. 53. ქალალდი. 54. ლუკ. 55. ტიკი. 56. ქილერი. 57. ბგერა. 58. პიციკატო. 59. გვენ. 60. კატო. 61. რიდი. 62. ღობე. 63. გერმა. 64. მესტია. 65. დანია. 66. კლიმატი. 67. ელდორადო.